



(XVIII—XIX სს.)

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოგვიდგინოს ცნობები ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მანძილზე. ამ პერიოდში პოემა ჩვიდმეტჯერ გამოიცა. ნაშრომში განხილულია თითოეული მათგანის ტექსტოლოგიური საკითხები, დაზუსტებულია გამოცემათა თარიღები და ტირაჟი, მოცემულია ამ გამოცემათა პოლიგრაფიული აღწერილობანი და ნაჩვენებია რა საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა ამა თუ იმ გამოცემას.

წინასიტყვაობა

ძველი ქართული ლიტერატურის ბეჭდვის ისტორიის საკითხების შესწავლას ამ ოციოდე წლის წინათ შევეუდექით. მასალების ძიებას ვაწარმოებდით საქართველოსა და რუსეთის ბიბლიოთეკა—სიძველეთსაცავებში. ჩატარებული მუშაობიდან ზოგი რამ კიდევაც გამოვაქვეყნეთ¹. ამჟამად დაინტერესებულ პირთ ვაწვდით ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიის პირველ ნაკვეთს, რომელიც მოიცავს XVIII—XIX საუკ. პერიოდს. პოემის XX საუკ. გამოცემათა მასალები მზად გვაქვს და მიმდინარეობს მათი დამუშავება.

1712 წლამდე ვეფხისტყაოსანი ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, მაგრამ მდგომარეობა დიდხანს შემდეგაც არ შეცვლილა. როგორც ცნობილია, პოემის პირველი გამოცემა სწრაფად გავრცელდა და მალე მისი ეგზემპლარები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამას გარდა, სხვადასხვა მიზეზის გამო, პოემის მეორე გამოცემას 129 წელი დააგვიანდა. ყოველივე ამის გამო, ვეფხისტყაოსანი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა².

¹ იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. I, XVIII, X; ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I. და „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I. .

² ჩვენთვის ცნობილია პოემის 152 ხელნაწერი, ესენია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები—A: 363, 530, 654, 656, 855, 859, 1123; S: 305, 1418, 1515, 1586, 1675/ა, 1727, 2304, 2315, 2525, 2686, 2781, 2829, 3077, 3430, 3441, 3442, 4499, 4527, 4699/ე, 4732, 4758, 4988, 4997, 5006, 5207; H: 54, 66, 167, 248, 288, 302, 403, 412, 422, 455, 461, 599, 740, 741, 742, 743, 757, 783, 925, 933, 937, 964/ა, 964/ბ, 1079, 1090, 1128, 1205, 1279, 1280, 1759, 1839, 2052, 2055, 2074, 2323, 2610, 2689, 2850, 2930, 3249, 3061; Q: 239, 246, 261, 279,

ვეფხისტყაოსნის სისტემატური ბეჭდვა დაიწყო 1841 წლიდან, ამჟამად პოემის 46 გამოცემა მოიპოვება. აქედან 41 დაბეჭდილია საქართველოში—თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ახალ-სენაკში (მათ შორის 21 — საბჭოურ პერიოდში), 3 — პეტერბურგში, 1 — ბერლინში და 1 — პარიზში. ამას გარდა მიმდინარე წელს, რუსთველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, იბეჭდება ვეფხისტყაოსნის ოთხი სხვადასხვა სახის გამოცემა.

წინამდებარე ნაშრომში ვცდილობდით პოემის ყველა გამოცემაზე ამომწურავი ცნობები მოგვეცა, ისეთებიც კი, რომლებიც, ერ-

280, 296, 375, 376, 431, 433, 483, 484, 566, 609, 622, 714, 733, 734, 737, 768, 779, 780, 796, 797, 798, 799, 930, 1082; საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი: 44, 59, 92, 166, 289, 425, 537, 683; საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი: 30, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 10768/191, 12904/190; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ვ. ასლანიშვილის კოლექცია: ა71/4, 72/4, 25239/2; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: F 20242; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკა: ინვ. № 524; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი: 204, 205, 209, 214, 215, 289, 883, 593; სსრკ აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორი: K 21, H 22, E 22, 105, 106, M 24,27; სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა: 14; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა: 10, 12; ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკა, უორდროპის კოლექცია: 17, 27; საქართველოს მუზეუმები—გორის: 124, 126; ახალციხის: 238, ირის კიდეე XVI საუკ. ხელნაწ. ფრაგმენტი; ბორჯომის: 1, ონის: 1; ყერძო პირთა: ვუკ. ბერიძის, სოლ. ყუბანეიშვილის, ნ. კასრაძის და კ. ჭიჭინაძის კუთვნილი ხელნაწერები.

ამ ხელნაწერებიდან ტექსტუალურად ყველაზე უფრო საყურადღებოა 48 ხელნაწერი: A:362, 654, 1123; S:1418, 1675/ა, 1727, 2315, 2525, 2829, 3077, 4499, 4527, 4988, 5006, 5207; H: 54, 66, 248, 412, 461, 599, 740, 757, 783, 964/ა, 1839, 2074, 2610, 3061, 3249; Q:261, 483, 779, 796, 799, 930, 1082; საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი: 10768/191; 12904/190; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი: 205, 215, 883; სსრ კავშირის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორი: M 27(48); ოქსფორდის, ბოდლის ბიბლიოთეკა, უორდროპის კოლექცია: 17, 27; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა: 10; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა; ვ. ასლანიშვილის კოლექცია, ო. K 25232/2 და ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკა: ინვ. № 524.

თი შეხედვით, შეიძლება ვინმეს ზედმეტადაც ეჩვენოს. მაგრამ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჩვენ თითქოს ამჟამად ყველაფერი ამოვწურეთ. მომავალი კვლევა-ძიება უდავოდ კიდევ ახალ ცნობებს გამოავლენს ამა თუ იმ გამოცემაზე და საკითხის შესწავლის საქმეს უფრო გააღრმავებს და დააზუსტებს.

ნაშრომში მოცემული გვაქვს გამოცემათა შრიფტების აღწერა³ და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებსაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვის პოემის ამა თუ იმ გამოცემაში, წარმოდგენილია თითოეულ გამოცემაზე ჩატარებული ტექსტოლოგიური მუშაობა, რაც გასათვალისწინებელია პოემის აკადემიური გამოცემის ახალი ტექსტის დადგენისათვის.

გამოცემათა ტექსტის ფილიაციისა და მათი სტროფული მოცულობის ნათელი წარმოდგენისათვის, აგრეთვე, ამა თუ იმ გამოცემის სათანადო სტროფების ადვილად მოძებნისათვის, ნაშრომს ერთვის ნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის სტროფების საძიებელი.

პოემის პირველი და მეორე გამოცემის სტროფები დანომრილია ქართული ასოებით, ამიტომ მათი უკეთგაყოყნების მიზნით, აქვე ვიძლევიტ ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობის ცხრილს.

სოლ. ყუბანეიშვილი

(მათი აღწერილობა და სტროფული მოცულობა იხ. სოლ. ყუბანეიშვილის. ნაშრომში: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 30! —321.

აღნიშნულ ხელნაწერებიდან რვა (A—654, 1123; S—1727, 2315, 5207; H—66, 783; სსრ კავშირის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორი—M27) გადმოწერილია ვახტანგისეულ გამოცემიდან, რომელთაც დართული აქვს ინდო-ხატაელთა და მისი მომდევნო ამბები. ინდო-ხატაელთა ამბის შემცველი ნუსხების შესწავლა მით უფროა საჭირო, რომ ვეფხისტყაოსნის საიუბილეო (1937 წ.) გამოცემაში ამ ამბავთა ტექსტი პოემის ძირითად ნაწილად არის მიღებული.

პოემის დანარჩენი ხელნაწერები, ორიოდეს გამოკლებით, მომდინარეობენ ვახტანგისეული (1712 წ.) გამოცემიდან.

³ შრიფტების აღწერილობაში დახმარებას მიწევდა ასოთაშეყოფი ანდროთოღუა.

ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ც	თ
1	2	3	4	5	6	7	8	9
ი	კ	ლ	მ	ნ	ძ	რ	ს	ტ
10	20	30	40	50	60	70	80	90
რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
100	200	300	400	500	600	700	800	900
ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჯ	ჰ
1000	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000

• 10000

I

ვეფხისტყაოსანი სტამბური წესით პირველად გამოიცა 1712 წელს. ამ საქმის ინიციატორი იყო ვახტანგ მეფე. 1709 წ. მან თბილისში მოაწყო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა სასულიერო შინაარსის წიგნები. საერო თხზულებიდან კი ვახტანგმა პირველად ვეფხისტყაოსანი დაბეჭდა, რომელიც თავისი კარგი გაფორმებით ბევრად სჯობს იმ დროის სხვა გამოცემებს.

მოცულობით ვახტანგის გამოცემული ვეფხისტყაოსანი განსხვავდება მისი წინააღმდეგობისაგან. ის ყველაზე მოკლე რედაქციას წარმოადგენს. ამიტომ რუსთველოლოგიაში აზრთა სხვადასხვაობაა, თუ საიდან მომდინარეობს ვახტანგის ტექსტი, იგი კრიტიკული ე. ი. ხელოვნურად შეცვლილი ტექსტია, თუ უცვლელი გამოვლილია ჩვენამდის მოუღწეველი ხელნაწერისა.

1908 წ. ექ. თაყაიშვილი წერდა: ვახტანგ მეფემ შესძლო გაეწმინდა ვეფხისტყაოსანი ნართაულებისაგან, რომლებიც მასში შეიქმნა მე-17 საუკუნეში და იქვე დასძენდა: ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ვახტანგისეულ გამოცემაში ყველაფერი რუსთველის კალამს ეკუთვნისო¹. ამრიგად, ექ. თაყაიშვილის აზრით, ვახტანგისეული გამოცემა კრიტიკული, ხელოვნურად შეცვლილი ტექსტია. ეს მოსაზრება, სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით, გაიზიარეს კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, კ. ჭიჭინაძემ და სხვ.

ზოგი მკვლევარის აზრით ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული ტექსტი ჩვენამდე მოუღწეველი ხელნაწერის უცვლელი განმეორებაა. ამის შესახებ 1913 წ. დ. კარიჭაშვილი წერდა: „არსაიდგანა ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს—გამოეკლოს ან მიემატებინოს. სხვა ხელნაწერებთან შედარება ამ გამოცემისა გვარწმუნებს, რომ შესწორებული არაფერია მასში, არ არის არც რამე დამატებული, ხოლო რაიცა შეეხება დაკლებას, არც ეგ არის ჭკუაზე მოსასვლელი... თუ რამე აკლია ვახტანგის გამოცემას მე-

¹ Е. Такашвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, 1908, гл. 582.

ჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტი რამ არ იყო ვახტანგის დედანში“. ხელნაწერებში დაცული „მეტი რამ“ კი, დ. კარიკაშვილის აზრით, ფსევდორუსთველური ქმნილებაა⁵. ეს მოსაზრება გაიზიარეს პ. ინგოროყვამ, ს. კაბაძემ, ი. აბულაძემ და სხვ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ა. შანიძემ მეტად საყურადღებო ფაქტი აღმოაჩინა 1937 წელს. ვახტანგმა თავის გამოცემას დაურთო კომენტარი, ანუ თარგმანი, რომლის შესწავლამ ა. შანიძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ვახტანგს ტექსტის გამოცემისას ხელთ ჰქონია ვრცელი ხელნაწერი, რომელსაც „უწერდა იგი თარგმანს ანუ ახსნა-განმარტებას. ისიც გაირკვა, რომ ვახტანგს (ან მის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუშუშავებია და დაუბეჭდავს. „შედარება თარგმანში დამოწმებული ადგილებისა და პირველ ნაბეჭდი პოემის ტექსტისა, — წერს ა. შანიძე, — დიდ განსხვავებას გვიჩვენებს: თარგმანში ერთია ნათქვამი და პოემაში სხვა“. ა. შანიძის დაკვირვებით, „განსხვავება ორგვარია: ერთი შეეხება ცალკეულ სიტყვებს, მეორე კი—მთლიან სტროფებს“. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა ვახტანგის კომენტარში და პოემაში ან სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, ანდა კომენტარში დამოწმებული სიტყვები და სტროფები პოემაში სრულებით არ იხსენიებიან. ეს გარემოება საბუთს აძლევს ა. შანიძეს დაასკვნას, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა „არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი“⁶.

ა. შანიძის ახლადმოპოვებული ფაქტი თავისი დებულებების დასამტკიცებლად გამოიყენა პ. ინგოროყვამ. მისი აზრით ვახტანგმა ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტი კი არ დაბეჭდა, არამედ უცვლელად გადმობეჭდა ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი. პ. ინგოროყვას დაკვირვებით, ვახტანგს თავისი კომენტარი დაუწერია პოემის ბეჭდვის დაწყებამდე, იმ დროს, როდესაც მან „ჯერ კიდევ არ ჰქონია ხელთ ვეფხისტყაოსნის იმ ტიპის დედანი, რომელიც საფუძვლად დაედო“ მის გამოცემას და სადაც „არაა შეტანილი შემდეგი ღროის დანართები“. კომენტარი კი ვახტანგს დაუწერია „იმ განვრცობილი რედაქციის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია XVI—XVII საუკუნეთა ხელნაწერებში“. შემდეგში, როდესაც ვახტანგი „შესდგომია ვეფხისტყაოსნის ბეჭდვას, ... ამ დროს მოუპოვე-

⁵ დ. კარიკაშვილი, ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, „განათლება“ 1913, VI, გვ. 414—415.

⁶ შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937, გვ. 391—393.

ბიათ პოემის ძველი დედანი, რომელიც საფუძვლად დასდებია ვახტანგისეულ გამოცემას“. ამ გარემოებას კი პოემის ბექდვის დროს გამოუწვევია ვახტანგის კომენტარის გადაკეთება ახლად მოპოვებული უძველესი ტექსტის მიხედვით. ასე რომ, პ. ინგოროყვას აზრით, „ვახტანგს არ ჰქონია არავითარი განზრახვა „შეემოკლებია ვეფხისტყაოსანი“, პირიქით, ის „უცვლელად მისდევდა ლიტერატურულ დოკუმენტს“, ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერს⁷.

დასმული საკითხის გასარკვევად ანგარიშგასაწვევია შემდეგი გარემოება: ვახტანგის დროს უკვე ცნობილი იყო, რომ ვეფხისტყაოსანს არა ერთი და ორი ინტერპოლატორი გამოჩენია, რომლებსაც რუსთველის პოემაში ბევრი საკუთარი ნაღვაწი ჩაურთავთ და ნამდვილი ტექსტიც დაუმახინჯებიათ. ეს კარგად იცოდა ვახტანგ ზეფემაც. სხვა არა იყოს რა, მისთვის უცნობი არ შეიძლება ყოფილიყო არჩილ მეფის თხზულება „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, სადაც ავტორი თეიმურაზ პირველს ათქმევინებს: „რუსთველო სხვათ მეღეჭეთა თუცა შენ გაგითავესა... ერთი ამბავი აიწყვე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“⁸. ანდა არჩილის განცხადება ამავე პოემის შესავალში, სადაც ის ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ ინტერპოლატორთაგანს პირდაპირ ასახელებს:

ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურქევია.

საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აღმღერქევია⁹.

ასეთ პირობებში ძნელი დასაჯერებელია, რომ ვახტანგს აეღო და უცვლელად დაებეჭდა ერთ-ერთი ხელნაწერი, თუგინდ შემოკლებული რედაქციისა.

მხედველობაში მისაღებია შემდეგი ფაქტიც: ამა თუ იმ ტექსტის გამართვისას, ვახტანგი და მისი „სწავლულ კაცთა“ კომისია ყოველთვის სხვადასხვა ხელნაწერს იყენებდა. ასე დაამუშავა მან „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი და ამავე მეთოდით გამართავდა ის ვეფხისტყაოსანსაც.

მართლაც, როგორც ირკვევა, ვახტანგს დაუმუშავებია ვრცელი ტიპის ხელნაწერი, რომლის ნიშნები შემორჩენილია მის მიერ დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანში. ასე მაგ. ვახტანგისეულ გამოცემაში ნათქვამია, რომ როდესაც ტარიელმა და ავთანდილმა ინდოეთი დაიკავეს, მათთან მივიდნენ ინდოელები და „ამბობდიან ჳირთა მათთა“

⁷ შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, 1953, გვ. 506—507.

⁸ არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1937, გვ. 9.

⁹ იქვე, გვ. 3.

(სტროფი ჩფო, 1570) და „ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხალო-
დიან“ (სტროფი ჩფობ, 1572). ვახტანგისეულ გამოცემიდან არ ჩანს,
რომ ინდოელები ავთანდილისა და ფრიდონის დახმარებით განთა-
ვისუფლებულიყვნენ მტრისაგან. მოყვანილი აზრი ნათელი გახდე-
ბა, თუ მას წინ წარუშემდვარებთ ვეფხისტყაოსნის ვრცელი ტიპის
ხელნაწერებში დატულ ეპიზოდს ინდო-ხატელთა შესახებ, სადაც
აღწერილია. თუ როგორ გაათავისუფლეს ტარიელმა, ავთანდილმა
და ფრიდონმა ინდოელები ხვარაზმელ დამპყრობლებისაგან და გად-
მოცემულია ინდოეთის გაქირვებული მდგომარეობა ტარიელის ნეს-
ტანდარეჯანის საძებრად წასვლის შემდეგ¹⁰.

ვახტანგისეული გამოცემით, ფრიდონი გამოეთხოვა ტარიელს
(სტროფი ჩფოზ, 1577), უკანასკნელმა „როსტევანისთვის წაატანა
ძღვანად ტურფები ჯუბაჩები“ (სტროფი ჩფოშ, 1587), რაც გაუგება-
რია, ტარიელი ფრიდონს ვერ გაატანდა როსტევან მეფესთან საჩუქ-
რებს, რადგანაც ფრიდონი ინდოეთიდან არაბეთში კი არ მიიღოდა,
არამედ თავის სამფლობელოში. დასახელებული სტროფის (ჩფოშ,
1578) ცნობა კი გასაგები იქნება, თუ მას წინ ჩაუერთავთ მე-17 საუ-
კუნის ვრცელი ტიპის ხელნაწერებში დატულ 1859-ე სტროფს სა-
დაც ნათქვამია: ტარიელმა გამოთხოვებისას

ავთანდილს უთხრა: უწენოდ რამცაღა გაიხარეო?
რადგან ისწრაფი, ნუ გავვა, მიგელის ღომსა მთეარო.

ამას გარდა ვახტანგის გამოცემაში გვხვდება ისეთი ლექსიკურდ
ფაქტები, რომლებიც კ. კეკელიძის სიტყვით, ჩვენს მწერლობაში
ხმარებაში შემოდიან მე-17 საუკუნიდან, „მაშასადამე, — ასკვნის
მკვლევარი, ის რედაქცია პოემისა, რომელიც ვახტანგს გამოუყენე-
ბია, აღორძინების ხანაზე აღრინდელი ვერ იქნებოდა“¹¹.

ეს და მსგავსი მაგალითები ვახტანგისეულ გამოცემაში საკმაოდ
არის შემჩნეული მკვლევართა მიერ¹², რითაც მტკიცდება, რომ ვახ-
ტანგს (თუ მის კომისიას) ხელთ ჰქონია პოემის ვრცელი ტიპის მე-17

¹⁰ ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, სოლ. ყუბანე ო-
შვილის გამოცემა, 1956, სტროფები 1780—1841.

¹¹ კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, თბილისის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 132—133.

¹² კ. კეკელიძე, „რუსთველიანა“, „მნათობი“ 1927, № 2, გვ. 187—
188, მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,
ტ. IX, 1963 წ., გვ. 209—212. ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი,
აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 391—393; აღ. ბარამიძე, შოთა რუს-
თაველი, 1958, გვ. 11—18, ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეუ-
ლი რედაქცია, 1957, გვ. 49—54 ოა სხვ.

საუკუნის ხელნაწერები, რომლებიც მას გამოსაცემად დაუმუშავე-ბია¹³.

ვეფხისტყაოსნის ვრცელი ტიპის ხელნაწერებიდან ვახტანგს შეგნებულად ამოუღია პირველი სტროფი: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად“, რადგანაც ამ სტროფში აღნიშნულია ვეფხისტყაოსანი „არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად და თუ უყურა მონაზონმან შეიქნების გაპარსულადო“, რაც პოემის ვახტანგისეულ გაგებას ეწინააღმდეგებოდა; ვახტანგს ვეფხისტყაოსანი მისტიკურ-ალეგორიულ ნაწარმოებად მიაჩნდა. ამას გარდა, პოემისათვის ვახტანგს მოუშორებია „ინდოხატაელთა“ და მისი მომდევნო ამბები, დარჩენილ ნაწილიდანაც ამოუღია მის მიერ ფსევდორუსთველურად მიჩნეული სტროფები. ამ გზით ვახტანგმა ნაწილობრივ მიაღწია მიზანს, რადგანაც მის მიერ გამოცემულ ტექსტში ბევრი ფსევდორუსთველური სტროფია დარჩენილი და ნამდვილიც ბევრია დაკლებული.

ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემისათვის ვახტანგს დაურთავს კომენტარი, ანუ განმარტება, სადაც ავტორი გაუგებარ ან ძნელად გასაგებ სიტყვების ახსნა-განმარტებას იძლევა და ზოგჯერ სიტყვის წარმოშობას უჩვენებს. სულ განმარტებულია 642 სიტყვა. ზოგი მათგანი ვახტანგს ვერ განუმარტავს, მაგრამ კომენტარში მაინც შეუტანია და მიუწერია: „არ ვიცოდი, ვინც იცოდეთ, თარგმნეთო“, ანდა „მართლა არ ვიცოდიო“, „ვიკითხოთ რა არისო“ და სხვ. კომენტარში ბლომად მოიპოვება სიტყვების ენციკლოპედიური

¹³ ერთ-ერთ ასეთ ხელნაწერად ზოგი მკვლევარი ასახელებს ზაზასეულ ნუსხას, ზოგი კი ზაზასეული ტიპის ხელნაწერს (იხ. სარგ. ციციშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 75—118).

ზაზასეული ხელნაწერის პირველი მეპატრონე ყოფილა სარდალი და სახლ-უხუცესი ზაზა ციციშვილი, რომლის შეკვეთითაც დამზადებულა მე-17 საუკუნეში აღნიშნული ხელნაწერი. ზაზას სიკვდილის შემდეგ ხელნაწერი გადასულა სამეფო გვარეულობაში, მას ჯერ ფლობდა ლევან ვახტანგის ძე ბატონიშვილი, შემდეგ კი მისი შვილი ვახტანგ VI, ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემელი. უკანასკნელიდან ხელნაწერი წაუღია ვახტანგის ქალს თამარს და ინახებოდა თემურაზ მეორის ოჯახში. აქ ხელნაწერს ლაპატრონებია ერეკლე მეორის უმცროსი ქალი თელე (გარდ. 1846 წ.). ბოლოს ხელნაწერის მეპატრონე გამხდარა თეკლეს შვილი პოეტი ალექსანდრე ორბელიანი (1802—1869), რომელსაც 1853 წ. 1 სექტემბერს პ. იოსელიანის ხელით საჩუქრად გაუგზავნია მაშინდელი მთავარმმართველის მ. ვორონცოვისათვის. ამის შემდეგ ხელნაწერი ინახებოდა ვორონცოვის პირად არქივში ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ ყირიმში, ოდესაში და ლენინგრადში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხელნაწერი, ვორონცოვის არქივთან ერთად, გადავიდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში, საიდანაც ჩამოიტანეს საქართველოში 1935 წ. 5 იანვარს. დატულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q 1062).

ხასიათის განმარტებანიც, მაგრამ მოიპოვება ისეთებიც, რომელთა შესახებ ავტორი მხოლოდ მათ წარმოშობას უჩვენებს (არაბულია, თათრულია, სხვათა ენაა, სპარსულია, სომხურია და სხვ) და ახსნას კი არ იძლევა, რადგანაც, ა. შანიძის შენიშვნით, ასეთი სიტყვების მნიშვნელობა იმ დროს ისედაც სცოდნიათ. მართალია ვახტანგის კომენტარში მოიპოვება სუსტი ადგილები, გაუგებრობანი და შეცდომები, მაგრამ სპეციალისტების აზრით, საერთოდ მისი „ლექსიკონი კარგია და თავის დროისთვის ჩინებული“¹⁴.

ვახტანგი კომენტარებს იძლევა სტროფების მიხედვით; 52-ე სტროფამდე ყველას განმარტება არის მოცემული, შემდეგ კი— სხვადასხვა სტროფისა.

ვახტანგისეული გამოცემა შეიცავს 1587 სტროფს, აქედან ვახტანგს მოცემული აქვს 623 სტროფის კომენტარი. თვითონ ვახტანგიც აღნიშნავს, რომ მას მთლიანად არ განუმარტავს ვეფხისტყაოსანი, „მე თარგმანი მრავალი დამირჩია... მოუცლელობისათვისო“.

კომენტარში ავტორი ბევრ საინტერესო საკითხს სვამს და ზოგ შემთხვევაში კარგადაც სწუვეტს.

გამოცემას თან ერთვის ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელის ორსტროფიანი ლექსი. ისე, როგორც ვახტანგის კომენტარი, ეს ლექსიც აშკარა პოლემიკური ხასიათისაა. მიქელი ვეფხისტყაოსნის შესახებ ვახტანგის ძირითად შეხედულებას იზიარებს. მასაც პოემა საღმრთო და საერო სამიჯნურო ნაწარმოებად მიაჩნია: „საღმრთოა და საეროცა, ვისაცა აქვს სმენა გულსა, უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა—გულს უსრულსაო“ —აცხადებს ის.

მიქელის ცნობით, პოემის 1712 წ. გამოცემა დაიბეჭდა „მეფის ვახტანგის ბრძანებით“ და მისივე „შრომითა წარსაგებელითა“; ხოლო პოემა, თავფურცელზე დაბეჭდილი ცნობით, გამართულა „ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“. მოყვანილი ცნობები კ. კეკელიძეს აფიქრებინებს, რომ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემა „წარმოადგენს ორი სხვადასხვა პირის ნაშრომს, ამათგან ერთს [ე. ი. ღიქელს] ეკუთვნის პოემის ტექსტის დამზადება დასაბეჭდად, მეორეს [ე. ი. ვახტანგს] —თარგმანი ტექსტისა“¹⁵.

¹⁴ ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 367.

¹⁵ კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 100; მისივე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957, გვ. 21.

რა თქმა უნდა, ვახტანგი ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამართვას მარტო მიქაელის ანაბარა არ დატოვებდა. ტექსტთან დაკავშირებულ ყოველგვარ საკითხს მიქელი ვახტანგს შეუთანხმებდა. მაგრამ მდგომარეობა შეცვლილა შემდეგში. 1712 წ. 23 აპრილს ვახტანგი იძულებული შეიქნა სპარსეთში წასულიყო. ამ დროს მას ვეფხისტყაოსნის ტექსტი და კომენტარი სტამბაში გადაცემული არ ჰქონია, რადგანაც ნაშრომი საამისოდ ჯერ კიდევ არ ყოფილა გამზადებული. ვახტანგი ამ გარემოებას დაუფიქრებია, პოემის გამოცემა მისი დაბრუნების დროისათვის რომ გადაედო შეუძლებელი იყო, რადგანაც არაფერ იცოდა როდის და რა უფლებით დაბრუნდებოდა მეფე სპარსეთიდან. ეს გარემოება კი საფრთხის წინაშე აყენებდა ვეფხისტყაოსნის გამოცემის საქმეს, რადგანაც ვახტანგის შემდეგ პოემა, რომელიც რეაქციონერი კლერიკალების აზრით, „არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად“, ხოლო „თუ უყურა მონაზონმა, შეიქნების გაპარსულად“ და რომლის კითხვა „არას არგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად“, მოსალოდნელი იყო აღარ დაებეჭდათ.

ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვა კი ვახტანგს საჭიროდ მიაჩნდა, რადგანაც ამით შეწყდებოდა მისი ხელნაწერებით გავრცელება და პოემის ტექსტიც სტაბილური გახდებოდა. ამას გარდა, ამ გამოცემით უნდა გაფანტულიყო პოემაზე რეაქციონერ კლერიკალების უარყოფითი აზრი¹⁶ და თანაც, ბეჭდვის საშუალებით ვეფხისტყაოსანს უფრო ფართო გავრცელება უნდა ეპოვა, ვიდრე ხელნაწერებით. ამიტომ ვახტანგს ყოველგვარი ზომა მიუღია, რომ ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვა მისი მეფობის პერიოდში მოსწრებულიყო.

მართალია პოემის თავფურცელს აწერია: დაიბეჭდა „საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისსა“ და ქართლის გამგებელი აღნიშნული არ არის, მაგრამ ეს გარემოება არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ ვეფხისტყაოსანი ვახტანგის ქართლში ყოფნის დროს დაიბეჭდა¹⁷. ვახტანგი ქართლის მეფედ გახდა 1711 წ. დეკემბრიდან, ქაიხოსრო მეფის სიკვდილის შემდეგ, ხოლო 1712 წ. 23 აპრილიდან ის სპარსეთში იმყოფებოდა, ქართლის გამგედ კი მისი ძმა სვიმონი იყო. ამიტომ ვახტანგის ოთხი თვის მეფობის განმავლობაში ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვა, მაშინდელი ბეჭდვის პირობების მიხედვით, ძნელი წარმოსადგენია¹⁸. ვეფხისტყაოსანი ვახტანგის ქართლში ყოფნის დროს რომ დაბეჭდილიყო, შეუძ-

¹⁶ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

¹⁷ ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 64.

¹⁸ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 17.

ლებელია მას თავისი კომენტარი არ შეეპირისპირებია პოემის ტექსტისათვის. კომენტარის წერა კი ვახტანგს 1711 წლის დეკემბრამდე აქვს დაწყებული, როდესაც ის ქართლის გამგედ და არა მეფედ ითვლებოდა. „მე ვსწერ ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამასო“ ამბობს ის. მაგრამ მოუცლევლობის გამო, დაწყებული ნაშრომი მას ვერ დაუმთავრებია და პოემის ტექსტიც საბოლოოდ ვერ გადაუმთავლიერებია. ამიტომ ამ საქმის მოგვარება მან, უნდა ვიფიქროთ, დაავალა მიქელს, ვეფხისტყაოსნის ფაქტიურ რედაქტორს. უკანასკნელს ჩქარი ტემპით დაუწყია პოემის ბეჭდვა, დასაწყისი ნაწილის დაბეჭდვა მოუსწრია ვახტანგის საზღვარგარეთ წასვლამდე, ამიტომ არის თავფურცელზე აღნიშნული მხოლოდ მეფე და არაფერია ნათქვამი ქართლის გამგებლის შესახებ. პოემის ბეჭდვა კი მიქელს დაუმთავრებია ვახტანგ VI-ის სპარსეთში ყოფნის დროს, 1712 წლის ბოლოს. /

ტექსტის შესწორება მიქელს ბეჭდვის პროცესშიც უწარმობია, რის გამოც პოემის ნაბეჭდ ცალეებში ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვანაირად დაბეჭდილა, მაგ. ნაბეჭდის ზოგ ცალში წერია, „რა მიიახლის“, ზოგში კი—„რა მიიახლის“ (ყკბ 1, 822), „და დამანთქმელო“—„დადამათქმელო“ (შეზ 4. 997), „გაურბდელი“—„გარდუხდელი“ (სედ 3, 294) და სხვ.¹⁹

სიტყვების გასწორებასთან ერთად მიქელს, სდფიქრებელია, პოემის შედგენილობაზედაც განეგრძო მუშაობა. კომენტარი კი ხელუხლებლად დაუტოვებია, მას ვერ გამოუჩენია იმდენი გამგებლობა, ნდა მხედველობიდან გამორჩა, რომ ვახტანგის კომენტარი პოემის ტექსტისათვის შეეფარდებია²⁰ და მისთვის დამუშავებული სახე მიეცა. ვეფხისტყაოსნის აჩქარებული ბეჭდვის გამო, ტექსტში უამრავი კორექტურული შეცდომა და აშკარა ხარვეზები დარჩა. სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული ა. შანიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სტროფებისათვის ნუმერაცია ბეჭდვის დროს გაუყე-თებიათ, რაც საბეჭდად გამზადებულ დედანს არ ჰქონიაო²¹. ბეჭდვის პროცესშივე უნდა ჰქონდეს „თარგმანს“ დასმული სტროფების აღმნიშვნელი ნუმერაცია, რაც კ. კეკელიძის აზრით, მიქელის კუთ-ვნილებაა და არა ვახტანგისა²².

¹⁹ დაწერილებით იხ. ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 354; 357, 358. შენ.

²⁰ ვახტანგის კომენტარები ტექნიკური ცვლილებით დაბეჭდა ა. შანიძემ (იხ. „მნათობი“, 1936, № 10—11, გვ. 169—223).

²¹ ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 350.

²² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 104, შენ. 3.

ბექდვის დროს ზოგ ადგილს ანაწყობი დაბნევიანთ²³, მაგ. ზოგ ცალში სმთ (249) სტროფის პირველ ტაქტში დაბექდილია „მაგოვხატე“, „გამოვხატეს“ ნაცვლად, რაც ასოების დაბნევის ნიადაგზეა წარმოშობილი. ზოგი ასო ბექდვის დროს დაუყევილა. ა. შანიძის დაკვირვებით, „აქა-იქ არ გამოსულა თითო ოროლა ასო ან კიდევ დაზიანებულია სხვა ასოს ფარგლებში შეჭრილი ნაწილები გ ზ შ მ წ ასოებისა: ჩაზნეჟილა და არ გამოსულა, ან სულ მოტეხია და გადავარდნილა. დაზიანება ზოგჯერ უმნიშვნელოა, ზოგჯერ კი ხელს უშლის სიტყვის სწორად გაგებას“²⁴.

კორექტურული შეცდომებიც, როგორც აღვნიშნეთ, ბლომდაა გაპარული, რაც მე-19 საუკუნის მოღვაწეებსაც არა ერთხელ აღუნიშნავთ, ასეთებია: სიტყვების ფორმათა ნაირსახეობა (მსგავსი—მზგავსი, ჩაღანა—ჩაგანა და სხვ.), მარცვალთა მეტნაკლებობა (კაცის—კაცისა, უმა 2, 441; შინა—შინა, ჩაა I, 1061; ვითა—ვით, შხ. 3, 907 და სხვ.), მორფოლოგიურად შეუფერებელი ფორმები და სინტაქსურად გაუმართავი ფრაზები. არეულად და ზოგჯერ შეცდომით არის დაბექდილი გვერდების სათვალავი, ადგილი აქვს როგორც აღვნიშნეთ, სტროფების ნუმერაციის გამოტოვებას ანდა განმეორებას, ორი სიტყვის შეერთებას ან ერთი სიტყვის ორად გაკვეთის შემთხვევებს. არარას ვამბობთ პუნქტუაციის დარღვევის შესახებ, რაც თვალსაჩინოდ მოიპოვება ამ გამოცემაში.

ვახტანგისეული გამოცემის ოციოდე ცალს მოუღწევია ჩვენამდე. არც ერთი მათგანი სრული სახით არაა, ამიტომ ვერაზას ვიტყვით იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ამ გამოცემას ბოლოში დართული შეცდომათა გასწორება, რომლის არსებობას ა. შანიძე ვარაუდობს²⁵.

ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა, როგორც აღვნიშნეთ, მდიდრულადაა გაფორმებული. აწყობილია ვახტანგისეული მხედრული შრიფტით. (ანაწყობის ზომა 9/2 X 14). პუნქტუაციისათვის გამოყენებულია ორი და სამი წერტილები, პირველი—სტროფის შუაში, ხოლო მეორე—სტროფის დასასრულს. სტრიქონიდან სტრიქონში სიტყვის გადატანისათვის ნიშანი მიღებული არ არის.

სათაურები და სტროფების დასაწყისი ორი ან ერთი სიტყვა დაბექდილია სინგურით.

²³ შეიძლება ამით იყოს გამოწვეული, რომ ზოგ ადგილას სტროფების ნუმერაცია გამეორებულია და ზოგან კი დაკლებული.

²⁴ ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 366.

²⁵ იქვე, გვ. 344.

სტროფების სათვალავი დანომრილია (ლუწ გვერდზე მარცხნივ და კენტ გვერდზე მარჯვნივ) ქართული ასოებით.

ტექსტში ზოგ შემთხვევაში გვხვდება ო ასოს გადაბმა მოკლე ხაზით შემდეგ ასოებთან: ს, რ, ო, მ, ძ, შ, ლ.

დაქარავემებულია სიტყვა „ღმერთი“ და მისგან წარმოებული სიტყვები: ღმრთისა, ღმერთო, ღმერთმან, საღმრთო და სხვ.

არქაულ ასოებიდან გამოყენებულია კ და ც.

მეოთხე სტროფის დამაკავშირებელი „და“ დაბეჭდილია ლიგატურით. ამავე სახითაა „და“ უმეტეს შემთხვევაში დაბეჭდილი თვით ტექსტშიც.

სათაურების თავზე, სტრიქონის გასწვრივ, დასმულია სხვადასხვა სახის ორნამენტიანი სამკაული.

თავფურცელზე მოთავსებულია ორნამენტიანი ჩარჩო, რომელიც ჰორიზონტალურად ორნამენტით გაყოფილია ორად, პირველ ნახევარში ჩაბეჭდილია: ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი . ა წ ა ხ ა ლ ი და ბ ე ჯ დ უ ლ ი ქ არ თ უ ლ ს ე ნ ა ს ა ზ ე და ე ა მ ს ა ა მ ა ლ ლ ე ბ უ ლ ს ი ა ს ა ქ არ თ ვ ე ლ ო ს მ პ ყ რ ო ბ ე ლ ს ი ა უ ფ ლ ი ს ა უ ფ ლ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ს ა . შ რ ო მ ი თ ა და წ არ ს ა გ ე ბ ე ლ ი თ ა მ ის ვ ე მ პ ყ რ ო ბ ე ლ ს ა თ ა . მეორე ნახევარში: გ ა ი მ ა რ თ ა კ ე ლ ი თ ა კ ე ლ მ წ ი ფ ის კ ა რ ის დ ე კ ა ნ ო ზ ის შ ვ ი ლ ის მი ქ ე ლ ის ა თ ა , ქ ა ლ ა ქ ს ა ტ ფ ი ლ ის ის ა ს ა ქ რ ი ს ტ ე ს ა ქ ე თ ა თ ო ს ა ს ²⁶ შ ვ ი ლ ა ს და თ ო რ მ ე ტ ს ა და ს ა ბ ა მ ი თ გ ა ნ ვ ი დ რ ე ა ქ ა მ ო მ დ ე შ ვ ი ლ ი ა თ ა ს ო რ ა ს ო ც ს ა .

ჩარჩოს ქვემოთ დაბეჭდილია ორი ვინეტი (იხ. ტაბ. I).

თავფურცელის მეორე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატიონთა სამეფო გერბი. ჩასმულია განიერ ფოთლოვან ორნამენტის ჩარჩოში.

გერბს სამი მხრიდან (ზემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ) შემოვლებული აქვს ორნამენტი.

გერბის შუაში დახატულია ქრისტეს კვართი, მის მარცხნივ-დავით წინასწარმეტყველის ქნარი, მარჯვნივ—შურდული, თითოეულ მათგანს თავზე აწერია ხუცური ასომთავრული ასოებით: პირველს—ქკ, მეორეს—დქ, მესამეს—დშ. კვართის ზევით დახატულია: გვირგვინი, სკიპტრა და ხმალი; გერბის გვერდებზე—მოციქულთა სურათები; ქვემოთ—ლომი.

გერბის ზემო და ქვემო მხარეს დაბეჭდილია ხუცური მთავრული ასოები, ზემოთ—წლდპ, ქვემოთ—მგყს, რაც ნიშნავს: წყალობითა ღვთისათა, დავითიან პანკრატონ მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოსი²⁷.

²⁶ ხაზგასმული სიტყვები დაბეჭდილია სინგურით.

²⁷ მ. ბ რ ო ხ ე , ვ ე ფ ხ ის ტ ყ ა ო ს ა ნ ი 1841 წ. გამოცემა, გვ. XII; ა. შ ა ნ ი ძ ე , ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ე უ ლ ი ვ ე ფ ხ ის ტ ყ ა ო ს ა ნ ი , ა ლ დ ე ნ ი ლ ი გამოცემა, 1937, გვ. 407; ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე , პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ ა მ ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი , 1955, გვ. 196.

გაუგებარია, თუ რატომ არის ამ გამოცემაში დაბეჭდილი გიორგი XI-ის გერბი, როდესაც უკანასკნელი 1710 წ. 21 აპრილს ტრაგიკულად გარდაიცვალა.

გერბის შემდეგ დაბეჭდილია უცნობი ავტორის ექვს სტროფიანი ლექსი „ბეჭდის იგავი“, რომელიც გადადის მომდევნო გვერდზე.

ლექსის ხუთი სტროფი ეხება ბაგრატიონთა გერბის ზოგიერთი ნაწილის განმარტებას, მეექვსე კი—თბილისში სტამბის დაარსებას და მის მნიშვნელობას.

„ბეჭდის იგავის“ ბოლოს, ტექსტის გასწვრივ, დაბეჭდილია ორნამენტური ბოლოსართი, შემდეგ კი — მოთავსებულია ვახტანგ მეფის ანდერძი, სადაც აღნიშნულია მისი ღვაწლი თბილისში სტამბის დაარსების საქმეში.

მომდევნო გვერდზე მოთავსებულია მდიდრულად მორთული ვახტანგის პორტრეტი, მის ქვემოთ დაბეჭდილია ყვავილ-ფოთლოვანი ვაზა.

ვახტანგის სურათს, ოთხკუთხიან ჩარჩოში, მოეპოება ხუცური ასომთავრული წარწერა: „მადიდებელი წმიდისა სამებისა ერთარსებისა გვარ-ტომობით დავითიან სოლომონიან პანკრატიონი ძე ძირთაგან კეთილოვანთა ძის ძე მეფეთა განმგებელი ქართლისა ბატონის შვილი ვახტანგ მომღებე ბეჭდისა ამის. უფალო დაიციე ორთავე შინა ცხოვრებასა მეუღლით ძით და ასულით“.

ვეფხისტყაოსანი იბეჭდებოდა ნახევარ თაბახობით ე. ი. 8 გვერდი. სიგნატურა აღნიშნულია ქართული ასოებით.

თუ რამდენი ცალი დაიბეჭდა, ზუსტი ცნობა ამის შესახებ არ მოგვეპოვება. ვორონცოვის ცნობით, ის „რიცხვშეზღუდულ ეგზემპლარად“ ყოფილა დაბეჭდილი²⁸, ს. კაკაბაძის ვარაუდით, უნდა დაბეჭდილიყო არა უმეტეს 150 ცალისა²⁹, ა. შანიძის დაკვირვებით, 400 ცალზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო³⁰, ზ. ჭიჭინაძის ცნობით კი—1200 ცალზე მეტი³¹.

არც წიგნის ფასია ცნობილი³². ვიცით მხოლოდ რომ მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში ის იმდენად ძნელი საშოვნელი ყოფილა, რომ ხუთმეტიდან ოც მანეთამდე ფასოშდა თურმე.

²⁸ А к т ы, ტ. X, გვ. 88.

²⁹ ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. CXLIII.

³⁰ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 395.

³¹ უფრ. „რუსთაველი“, № 2, გვ. 9.

³² ზ. ჭიჭინაძის ცნობით. თითო ცალი 25 მანეთი ღირებულა, რაც საექვოა (იხ. „რუსთაველი“ 1918, № 1, გვ. 9).

ამის შესახებ ევ. ბოლხოვიტინოვი 1802 წელს აღნიშნავდა, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ცალები იშვიათად მოიპოვებაო, ხოლო 1852 წელს

ვახტანგის მიერ გამოცემულმა ვეფხისტყაოსანმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. პოემის მე-18 საუკუნის ხელნაწერები თითქმის ამ გამოცემიდან მომდინარეობენ, ხოლო მე-19 საუკუნის ბეჭდური გამოცემანი ძირითადად ვახტანგის ტექსტს იმეორებენ.

II

არსებობს ცნობა, რომ ვახტანგისეულმა ვეფხისტყაოსანმა თითქოს ფიზიკური განადგურება განიცადა. პირველად ამის შესახებ ლაპარაკობს ევ. ბოლხოვიტინოვი. 1802 წ. პეტერბურგში გამოქვეყნებულ თავის შრომაში, «Историческое изображение Грузии в политическом и учебном состоянии» გვ. 86, ის წერდა: ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა თბილისში ვახტანგ V (sic!) დროს, მაგრამ ეს გამოცემა «вскоре [была] и з т р е б л е н а так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры».

თუ რა იყო მიზეზი ამ გამოცემის განადგურების, ამის შესახებ ევ. ბოლხოვიტინოვს არაფერი აქვს ნათქვამი. მხოლოდ პ. იოსელიანმა აღნიშნა პირველად 1852 წ. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების მიზეზი. მისი ცნობით, ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი კათოლიკოზ ანტონ პირველმა, როგორც ქრისტიანობის ზნეობის შემბლაღავი თხზულება, „შთააყრევინა მტკუარსა შინა და აღუკრძალა კითხუა წიგნისა ქართულთა“²³.

აზრი ვეფხისტყაოსნის განადგურების შესახებ შემდეგში გაიზიარა თ. ჟორდანიამაც, მაგრამ პოემის გამანადგურებლად მას ანტონი კი არ მიაჩნდა, არამედ დომენტი კათოლიკოზი (1704—1724, 1738—1742 წწ.). „ჩვენამდე მოღწეული ცნობით, — წერდა თ. ჟორდანი, — ამ წიგნის [ე. ი. ვეფხისტყაოსნის] დაბეჭდვამ დაჰბადა ცილობა მაშინდელ კათალიკოზს დომენტი მესამეს და ვახტანგს შორის... კათალიკოზი უწოდდა ამ წიგნს ჯოჯოხეთის კარად. განმხრწნელად ზნეობისა, თესლად უსჯულოებისა და თვით რუსთაველს — მქადაგებლად ეშმაკისა, რომლისა გამო სდევნიდნენ დაბეჭდილს შოთას წიგნს, ხევდნენ და სწვავენენ“-ო²⁴.

მეფის ნაცვალ კავკასიაში მ. ვორონოვი 29 სექტემბერს ნიკოლოზ პირველს წერდა: ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი დღეს რამდენიმე ხელნაწერის გარდა, თითქმის აღარავის არ გააჩნიაო (АКТЫ, ტ. X, გვ. 881).

²³ ტ. გაბაშვილი, მიმოხილუა წმიდათა და სხუთთა აღმოსაელებთისა ადგილთა, 1852, გვ. 154, შენ. 90.

²⁴ თ. ჟორდანი, მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი, „ივერია“ 1884, № 2, გვ. 48, შენ. 1.

მხ ორ ცნობათა შორის ყველაზე უფრო განმტკიცდა პ. იოსელიანის ცნობა ისე, რომ ბოლოდრომდის ეპიკი კი არავის შეჰქონდა მის სისწორეში. პირიქით, ზოგიერთებმა (ზ. ჭიჭინაძე³⁵, დ. ბაქრაძემ³⁶ და სხვ.) პ. იოსელიანის ცნობა უფრო განავრცეს და ხელი შეუწყვეს მის ფართო პოპულარიზაციას.

არც პ. იოსელიანი და არც თ. ყორღანია არ უჩვენებენ წყაროს, თუ საიდან გაიგეს მათ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების ამბავი. საფიქრებელია, პ. იოსელიანის წყაროს ამ შემთხვევაში შეადგენდა მეფე გიორგი XIII, რომელიც ანტონს თურმე „მოიხსენიებდა არაკეთილად, რადგან ვერ სცნო ღირსება შოთასი, რადგანაც დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისავე დროსა შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა“³⁷.

ცნობა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების შესახებ შესაძლებელია სიმართლეს არ იყოს მოკლებული, მაგრამ ძნელია გაზიარება იმ აზრისა, თითქოს ვეფხისტყაოსანი გაანადგურა ანტონ კათოლიკოზმა, „ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა“.

ანტონ პირველს არ შეიძლება ასეთი მტრული დამოკიდებულება გამოეჩინა ვეფხისტყაოსნისადმი. ის იყო თავის დროის კულტურტრეგერი, რომელიც კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, „საქართველოში დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის შემოტანისათვის იმასაც კი არ მოერიდა, რომ მართლმადიდებლობისათვის ელაღატნა, კათოლიკობა მიეღო და სამშობლო (ერთხნობით მაინც) დაეკარგა. ასეთი ადამიანი ამგვარ ბარბაროსობას და ველურობას ვერ გამოიჩენდა“³⁸. ამას გარდა, ანტონი შოთა რუსთველზე დიდი წარმოდგენის იყო: „შოთა ბრძენ იყო“, — ამბობს ის, — „სიბრძნის მოყუარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენისა. ლუთისმეტყველიცა მაღალ, უცხო საკვირველ, პიტიკოს მესტიხე“³⁹. ანტონი რომ დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა შოთასი, ჩანს მისი

³⁵ ზ. მთაწმინდელი, შოთა რუსთაველი, 1881, გვ. 34; მისივე ვეფხისტყაოსნის ცენზორი და მისი დენა, ჟურნ. „რუსთაველი“, 1918, № 1.

³⁶ დ. ბაკრაძე, Археологические путешествия по Гурии и Абхазии, 1878, გვ. 8.

³⁷ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მცამეტისა, 1936, გვ. 181.

³⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958.

³⁹ 126 შენ.

³⁹ ანტონ კათოლიკოზი, წყობილიტყვაობა, პ. იოსელიანის გამოცემა, 1853, § 802.

გრამატიკიდანაც, სადაც შოთა წარმოდგენილია როგორც სამაგალითო პოეტი: „მას ენება გალობად შაირნი შოთასნი“, ამბობს ანტონი⁴⁰. ის რომ სიძულვილით ყოფილიყო განწყობილი ვეფხისტყაოსნისადმი, მის ავტორს ასეთი ქება-დიდებათ არ მოიხსენიებდა და პოემის პოპულარიზაციას არ შეუწყობდა ხელს⁴¹. თანაც, თუ ანტონს პოემა მკითხველთათვის მავნებელ თხზულებად მიაჩნდა, მაშინ მას ხელნაწერი ცალეზიც უნდა გაენადგურებინა, მაგრამ ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს გიორგი მეფეს და არც პ. იოსელიანს; ისინი მხოლოდ ნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის განადგურებას მიაწერენ მას⁴².

იმის დასამტკიცებლად, რომ ანტონს თითქოს სძულდა რუსთველი, იმოწმებენ ანტონისავე სიტყვებს, რომელიც ზემომოყვანილ ციტატას ერთვის. აღნიშნავს რა ანტონი რუსთველის დიდ პოეტობას, დასძენს: „ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე“-ო⁴³, მაგრამ ამ გამოთქმით ანტონს სრულებითაც არ სურს რუსთველის დამდაბლება და მისდამი გულისწყრომის გამოთქმა. პირიქით, ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ისეთი პოეტი, როგორც შოთა იყო, „ამაოდ დაჰშურა“. ეს კი, კ. კეკელიძის შენიშვნით, „შოთას განქიქება-გაკიცხვა კი არ არის, არამედ ისეთი გულისტკივილი, რომელსაც იჩენენ, მაგალითად, ფეშანგი ფაშვიბერტყაძე და თეიმურაზ II, როდესაც რუსთველს უსაყვედურებენ, რომ ის „დაჰშურა“, თავისი ნიჭი და ენერჯია მოანდომა ფანტასტიკური, არარსებული პირების (ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები) ქებას და არა ისტორიულის ნამდვილისას. ანტონი [კი] ისტორიული პირების მაგიერ გულისხმობს სარწმუნოებრივ-რელიგიურ თემატიკას... საყვედურის თქმა არამტყუ სხვებისადმი, არამედ თავისთავისადმი, საეკლესიო ლექსების მაგიერ საეროს თქმისათვის, ტრაფარეტული ამბავია აღორძინების ხანაში“⁴⁴.

ვერც დომენტი კათოლიკოსს მივიჩნევთ ვეფხისტყაოსნის „ფიზიკურ“ გამანადგურებლად. დომენტი კათოლიკოზი, ვახტანგ VI-ის ძმა, იყო უაღრესად განათლებული პიროვნება და მწერლობის დი-

⁴⁰ ანტონ კათოლიკოზი, გრამატიკა, გვ. 241.

⁴¹ პ. იოსელიანს ახალგაზრდობაში შეხვედრია ისეთი პირები, რომელთათვისაც ანტონ კათოლიკოსს ვეფხისტყაოსნის შინაარსი უამბნია. (გაზ. Кавказ, 1870 г. № 13)

⁴² თ. უორდანიაც მხოლოდ ნაბეჭდი ცალეზის განადგურებას მიაწერს დომენტი კათოლიკოსს (იხ. დასახ. წერილი).

⁴³ წყობილსიტყვაობა, § 802.

⁴⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 125, შენ. 3.

დი მოამაგე⁴⁵. თუ პოემაში ის „ზნეობის გამბრწნელ“ ელემენტებს ხედავდა და მის ავტორს ეშმაკის მოციქულად, ხოლო პოემას „თეს-
ლად უსჯულოებისად“, აღიარებდა, მაშინ დომენტის შექმლო პოემა
აეკრძალა სანამ ის სტამბაში გაიგზავნებოდა, მით უმეტეს, რომ ვე-
ფხისტყაოსნის გამოცემის სამზადისი, როგორც აღენიშნეთ, დიდი
ხნიდან წარმოებდა, რაც მისთვის უცნობი არ შეიძლება ყოფილიყო.

3. იოსელიანმა ანტონ კათოლიკოსის მიერ ვეფხისტყაოსნის
დევნის მიზეზი იმდროინდელი ისტორიულ-პოლიტიკური ვითარე-
ბით ახსნა. ამის შესახებ 1870 წ. «Кавказ»-ის 13 №-ში ის წერდა
«После Шах-Аббаса I, разорившего Грузию за сношения с
православною Россиею при Годунове, цари и народ грузин-
ский являются ослабленными. В видах покорения царства, по-
литика шаха имела целию уничтожить религию Христа и рас-
пространением исламизма приковать к Персии и царей и на-
род... Цари [Грузии] принуждены были для блага народа воз-
лагать на себя знаки инвеституры, как цепи рабства, при-
нимая веру и имя магометанских властителей. Такое печаль-
ное состояние, продолжавшееся около 160 лет, довело народ
до нравственного падения. Святители церкви, и только святи-
тели, как стражи церкви Христовой, защитили его от погине-
ли. Потрясенная нравственность, как укоренившаяся болезнь,
с трудом исправлялась. Обычай, нравы, музыка персов, из-
гнавшая чистоту христианского учения, потребовала жертвы,
и католикос Антоний в начале XVIII века запретил чтения
Руставели, увлекавшего народ к поэзии персидской, тонам
музы Лидийской. Народ искал в нем меду и находил отраву».

3. იოსელიანის ეს აზრი შემდეგში გაიზიარა ალ. ხახანაშვილმა⁴⁶
და ბოლო დროს ტ. რუხაძემაც⁴⁷, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი
ამ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებას უფრო შორიდან, XIII
საუკ. იწყებს.

ასეთი შეხედულება საფუძველს მოკლებულია. მართლაც, თუ
ვეფხისტყაოსნის განადგურება სპარსულ-კულტურულ სამყაროს-
თან კავშირის გამო მოხდა, მაშინ რატომ არ განიცადა ასეთივე ბე-

⁴⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. II, 1958,
გვ. 534. გვ. 485; А. Хаханов, Очерки по истории груз. словесности.
III, гв. 325—326, Е. Такашвили, Описание, гв. 592—596, ი. ტლა-
შაძე, კათოლიკოს—ბაქარიანი, თბილისი, 1897წ. Иоселиани, Описание
древностей г. Тифлиса гв. 181.

⁴⁶ А. Хаханов, Грузинский поэт XII века Ш. Руставели и его
поэма «Барсова кожа» ЖМНП, 1895, № 12, гв. 206—207.

⁴⁷ ტ. რუხაძე, ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-იდე-
ური მოტივები, ა. ს. პუშკინის სახ. სამსწავლებლო ინსტიტუტის შრომები,
ტ. I, გვ. 79—88, 1941.

დი იმ თხზულებებმა, რომლებიც სპარსული წარმოშობისა იყვნენ? მაგალითად, „ვისრამიანმა“, „ოსებ-ზილიზანიანმა“, „ლეილ-მეჯნუნიანმა“, „ბარამგურიანმა“ და სხვა? რატომ მარტო ვეფხისტყაოსანს დაატყდა ასეთი ბედი, როდესაც მისი სპარსული წარმოშობა არც კი იყო ყველას მიერ გაზიარებული? ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართველები სპარსული იდეოლოგიის შიშით არ შებრძოლებიან „მაჰმადიანურ აღმოსავლეთიდან მომდინარე სამიჯნურო ძეგლებს“⁴⁸, პირიქით, როგორც „კლასიკურს“, ისე „აღორძინების“ ხანაშიაც, საქართველოს კარები ღია იყო ასეთი თხზულებებისათვის.

მართალია, „აღორძინების“ ხანის მწერლები ხშირად ხმარობენ საგმირო-სამიჯნურო თხზულებების მიმართ ასეთ გამოთქმებს: „წიგნები ლაყაბიანი, სიტყვა-უქმი, ზღაპრად შეთხზული, უსარგებლო-თქმული“ და სხვ., მაგრამ ასეთი ეპითეტები მარტო სპარსული წარმოშობის თხზულებებისადმი კი არაა მიმართული და ისიც მათდამი სიძულვილით გამოწვეული, არამედ ყველა იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომლებიც ისტორიული სიუჟეტების ნაცვლად ფანტასმაგორულ ამბებს გადმოგვცემენ. „აღორძინების“ პერიოდში „ფანტასტიკის მაგიერ ლიტერატურა თხოულობდა მართლის თქმას, ის ზოგიერთი პოეტის პირით (ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, არჩილი, თეიმურაზ II), ჰგომბს სპარსულ ნაჭორ ამბებს და მწერლებს, რომელნიც დროსა და ენერგიას ხარჯავდნენ ისეთ პირთა და ამბავთა შესაქმნად, რომელნიც არ ყოფილან და არ მომხდარან ნამდვილად“⁴⁹.

ვეფხისტყაოსნის განადგურების მიზეზის შესახებ ახალი მოსაზრება წამოაყენა კ. კეკელიძემ. ის უარყოფს ტრადიციულ შეხედულებას, რომ ანტონ კათოლიკოზმა დასწვა თუ მტკვარში ჩაყარა 1712 წ. დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ცალები. პოემის განადგურება მას ფაქტად მიაჩნია, მაგრამ ეს, მისი აზრით, შესაძლებელია მომხდარიყო ეკონომიურ ნიადაგზე და არა ანტონის, არამედ „იმ პირთა მიერ, რომელნიც წიგნების, კერძოდ ვეფხისტყაოსნის, გადაწერით ცხოვრების სახსარს პოულობდნენ, [რადგანაც] დაბეჭდილმა წიგნმა მათ ლუკმა გამოაცალაო“⁵⁰.

ეკონომიურ ნიადაგზე რომ ჩვენში წინაღობდნენ ბეჭდვის საქმეს, ისე როგორც რუსეთში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

⁴⁸ ტ. რუხაძე, ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური იდეური მოტივები, ა. ს. პუშკინის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 83.

⁴⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II; 1958, გვ. 317.

⁵⁰ იქვე, გვ. 126, შენ.

⁵¹ ოლანდ იქ ამ მიზნით წიგნებს კი არ ანადგურებდნენ, არამედ მანქანა-იარაღებს.

ჰქონდა ამას ადგილი⁵¹, მართალია, დამოწმებული არაა, მაგრამ შესაძლებლობაც არაა გამორიცხული. წიგნების გაღწერა, მათი დასურათება და სხვ. საქმიანობა, ყველას არ შეეძლო. ეს საქმე განსაკუთრებულ პირთა პროფესიას წარმოადგენდა, რომლებიც ამ ხელობით საზრდოობდნენ. როცა ბექდვას დაიწყებდნენ, ცხადია, ხელნაწერი წიგნები მნიშვნელობას დაკარგავდნენ, და ამიტომ, შესაძლებელია, ისეთი თხზულების დაბეჭდვას, როგორც ვეფხისტყაოსანია, მართლაც გამოეწვია ერთგვარი გულისწყრომა გადამწერთა წრეებში, მაგრამ ამ მიზნით რომ პოემა მოესპოთ, ძნელი დასაჯერებელია. საქართველოში სტამბის დაარსებას ისეთი გავლენა არ მოუხდენია გადამწერთა მდგომარეობაზე, რომ მათ ასეთი საქმე ჩაედინათ. თანაც, ეკონომიური მიზეზით უნდა გაენადგურებინათ მანქანა-იარაღები, რომელთა მეოხებითაც იბეჭდებოდა წიგნები, რომ ამით მოესპოთ ბექდვის საქმე, თორემ ცალკე ნაბეჭდი წიგნების განადგურებით, ბექდვის საქმე არ მოისპობოდა და მიზანიც მიუღწეველი დარჩებოდა. ასე იქცეოდნენ სხვა ქვეყნებში და ასე უნდა მოქცეულიყვნენ ჩვენშიც. ზოდესაც მოსკოვში პირველად ჩამოყალიბდა სტამბა. გადამწერლებმა ღამით შენობას ცეცხლი გაუჩინეს და მთლიანად დაწვეს. არის ცნობა, რომ მბეჭდავი ბათლომე გოტანე (XV საუკ.) ამის გამო დაახრჩესო⁵².

წიგნზე მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო ჩვენში, რომ პ. გუგუშვილის სიტყვით, მიუხედავად სტამბების მუშაობისა, მოთხოვნილება მაინც ვერ ყოფილა დაკმაყოფილებული, ამიტომ თხზულება მისი დაბეჭდვის წელსვე თუ არა, მომდევნო წელს მაინც ხელნაწერების საშუალებით იწყებდა გავრცელებას⁵³.

ვეფხისტყაოსანზე მოთხოვნილება კი, ყველა წიგნზე მეტი იყო, რისთვისაც ნაბეჭდ ცალებს არ შეეძლო დიდხანს შეეჩერებინა ხელნაწერი ცალების მოთხოვნა, მით უმეტეს, თუ ის მართლა „რიცხვ-შებლულულ“ ეგზემპლარად იყო დაბეჭდილი. ამიტომ პოემის დაბეჭდვას გადამწერთა მდგომარეობაზე გავლენა უნდა მოეხდინა მისი გამოქვეყნების პირველ წლებში, როდესაც ხელნაწერი ცალების გავრცელებას ნაწილობრივ მაინც შეაჩერებდა ნაბეჭდი ცალები. 40—50 წლის შემდეგ კი⁵⁴ ეკონომიურ ნიადაგზე პოემის განადგურება საფიქრებელი არ არის, მით უმეტეს, რომ ამ დროს ის ისედაც ფართოდ ვრცელდებოდა ხელნაწერების საშუალებით. ისე რომ არსებული მოსაზრებებით, ვეფხისტყაოსნის განადგურება საფიქრებ-

⁵¹ „Иван Федоров“, გვ. 59, 97.

⁵² პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 44.

⁵⁴ ანტონ პირველი კათოლიკოსობდა პირველად 1744—1755 წწ., მეორედ 1762—1788 წწ.

ლი არ არის. პოემამ თუ ფიზიკური განადგურება განიცადა. ამის მიზეზი უდავოდ სხვა რამ უნდა ყოფილიყო.

ვეფხისტყაოსანს, როგორც უაღრესად საერო მსოფლმხედველობის მატარებელ თხზულებას, საზოგადოების ყველა ფენა დადებითად როდი აფასებდა. კერძოდ, კლერიკალური წრის რეაქციონულ ნაწილს პოემის წინააღმდეგ იდეური ბრძოლაც კი უწარმოებია. ეს გასაკვირიც არაა, რადგანაც ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ძირითადად გაშლილია მიჯნურობის ფონზე. სამიჯნურო თხზულება კი, კლერიკალების თვალსაზრისით, საღვთო ფონზე უნდა ყოფილიყო გაშლილი. „რომელნი ხადით მიბაძვითა უწინარეს გამომეტყველთა საღმრთოთა სამიჯნუროთასა, ნეტარ ხართ და კეთილ გეყოს თქვენ! და რომელნი იურვით მსოფლიოჲსა ამის საშვეებლად ნასიტყუსა კეკლუცთა ზედან ყმა-ქალთა მიჯნურობასა, არა სარგებელ გეყოს სახსრად სულისათვის“—ო. ეუბნებოდა თავისი დროის საზოგადოებას მწერალი ონანა მდივანი (გარდაიც. 1726 წ.)⁵⁵. მამუკა ბარათაშვილიც, 1713 წ. დაწერილ „ჭაშნიკში“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „თუ [ვისმეს] სააშიყო ლექსი უნდა, [სთქვას] ღვთის სააშიყო ეკლესიათა წმიდათა... და თუ ქალის აშიყობაზე გინდა, ცოლქმრობის სიყვარულზედ თქვი და იმის გზებზე, როგორც პავლე დიდი მოციქული ისწავლება“—ო⁵⁶. ვეფხისტყაოსანი კი ყოველივე ამას მოკლებულია. ამიტომ კლერიკალურმა კრიტიკამ ეს თხზულება საზოგადოების გამრყენელ და მეძაობის მქადაგებელ ნაწარმოებად აღიარა.

უარყოფითი შეხედულების ყოფილან ვეფხისტყაოსანზე არა მარტო ვახტანგ მეფის დროს, არამედ უფრო ადრეც, მაგ., არჩილ მეფე შოთას შემდეგს ათქმევიანებს:

თუმცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა. ვერ კპოვებენ ვერსად ნაყის,
სადმე კპოონ ავად თქმული, ანუ წყალი ვინც დანაყის?⁵⁷

საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის ცნობაც, რომელიც მას „ძველ ხელნაწერიდან“ ამოუწერია: „ოდეს განვრცელდა ღვარძლით სავსე წიგ-

⁵⁵ Е. Такайшвили, Описание, I, გვ. 524.

⁵⁶ მ. ბარათაშვილი, „ჭაშნიკი“, გ. ლეონიძის გამოცემა, გვ. 2.

⁵⁷ „არჩილიანი“, ტ. 2, სტროფი 200, აღ. ბარამიძის და ნ. ბენიშვილის რედაქციით.

უარყოფითი წარმოდგენის იყო კლერიკალურ, კრიტიკა არა მარტო ვეფხისტყაოსნის, არამედ სხვა სამიჯნურო თხზულებების მიმართაც; მაგ., ეისრაშიანის შესახებ ისინი მკითხველებს ურჩევენ:

სიტყვას ვიტყვი მეტად მზრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს,
მოკახსენებ ბრძენსა—ქვიანს, არ გამხილებ გიჟს-ბნელიანს:
ეს ლმერთი სწამს აღამიანს, ნუ ჩაზედავს ვისრაშიანს,
დაუბნელებს ღლესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს.

(Е. Такайшвили, 'Описание I, გვ. 293).

ნი ვეფხისტყაოსანი, ამის გამო შოთა რუსთაველი არცხვინა იოანე კათოლიკოზმან. მტერმან იუკადრისა, კათოლიკოზმან არა მიჰხედნა და ზეგარდმო მალლისა ნიჭითა, სიტყვითა წმიდითა და გონებრივითა სამღრთოის ძალითა ამხილებდა შოთა რუსთაველს. რათა არ აღმოსცენდნენ მიმბაძნი ლექსისა მის უბოროტესისა და არა დაითესოს თესლი უბოროტესი მის და განმრყენელი ქრისტიანობისა ამისა⁵⁸. ეს ცნობა ზ. ჭიჭინაძეს, მისივე განცხადებით, ამოუწერია არსენ ბერის თხზულებიდან. „ცხოვრება იოანე კათოლიკოზისა“⁵⁹. მართალია, არსენ ბერის ასეთ თხზულებას ჩვენ არ ვიცნობთ, მაგრამ, ეს ცნობა ზ. ჭიჭინაძის მოგონილადაც არ შეიძლება ჩაითვალოს; ის უდავოდ რომელიდაც ხელნაწერიდან აქვს მას ამოწერილი. სხვა საკითხია, „კლასიკური“ ხანიდან მომდინარეობს ეს ცნობა, თუ „აღორძინების“ ხანაში შეიქმნა ისე, როგორც სხვა ლეგენდები ვეფხისტყაოსნის დევნისა და განადგურების შესახებ. როგორც უნდა იყოს, ესეც ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის გამოძახილია.

მაგრამ ერთია იდეური ბრძოლის წარმოება თხზულების წინააღმდეგ და მეორეა მისი „ფიზიკურად“ განადგურება.

არც ერთი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება XVIII საუკუნემდის, რომელიც ადასტურებდეს, რომ პოემას „ფიზიკური“ განადგურება განეკადრეს ცხ.განმე, და, ვფიქრობთ, ასეთი რამ არასოდეს არ ნუცდებია.

ცნობა ვეფხისტყაოსნის „ფიზიკურად“ განადგურების შესახებ ექება მხოლოდ ვახტანგისეულ გამოცემას და არა ხელნაწერ ცალეებს. ეს ცნობა კი მომდინარეობს გიორგი მეფისაგან, რომელსაც იმ პერიოდში უხდებოდა ცხოვრება (1746—1800 წ.), როდესაც პოემის პირველი გამოცემის ცალები მოუსპიათ. ამიტომ, გიორგი მეფის ცნობა, ვეფხისტყაოსნის განადგურების შესახებ, შეიძლება შექმარებდეს მოკლებულიც არ იყოს. ხოლო პოემის განადგურების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო შემდეგი გარემოება.

როგორც აღვნიშნეთ, კლერიკალური წრის რეაქციონური ფრთა ვეფხისტყაოსანს იდეურად ებრძოდა, როგორც სამეძაო თხზულებას. პოემის ასეთმა უმართებულო შეფასებამ ვახტანგ მეფე აიძულა ახლადგამოცემულ ვეფხისტყაოსნისათვის სპეციალური ახსნა-განმარტებანი დაერთო. მე მიტომ ვწერ ამ თარგმანსო, — ამბობს

⁵⁸ ზ. მთაწმინდელი, შოთა რუსთაველი, 1884, გვ. 46.

⁵⁹ რომელიც მას პირველად უნახავს იერომონახ ნიკონ ჯობინაშვილთან. ხოლო უკანასკნელის გარდაცვლის შემდეგ ხელნაწერი დაკარგულა. ზ. ჭიჭინაძეს ბევრი უძებნია, მაგრამ ვეღარ მიუვლევია მისთვის. ხელნაწერი კი, მისივე ცნობით, XVII საუკ. ყოფილა.

ვახტანგი, — რომ „უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსკვა-
ლვითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორსა და ბრძენ მეცნიერისა
კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსათა“. ამის გამო, — განაგრძობს
ვახტანგი,—ვეფხისტყაოსანი ასე „ვთარგმნე ვითა მას მთქმელსა
[ე. ი. რუსთველს] ეთქვა“ და თუ ვინმე ჩემი თარგმანის შესახებ,
„ბრძანებს არა ესე არსო, მე უგბილობაში ჩამომირთმევია“, რადგან
„ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესე ვითარი მეცნიერი
კაცი [რუსთველი] არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად, რადგან
ქრისტიანი იყო... რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი
მეძაობის სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და
როგორ არ უწყენდა. და მეორედ—ორი კათალიკოზი, რამთონი სამ-
ლდელო წმინდა და ღირსნი კაცნი იყუნენ და ამთონი უდაბნო აშე-
ნებული იყო. ისინი თუმცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნე-
ვინებდნენ და ნათქუამს დაუხვეველს როდის გაუშვებდნო“.

თავის „თარგმანში“ კი ვახტანგმა სცადა დაემტკიცებინა, რომ
პოემა არაა სამეძაო თხზულება, არამედ ის ცოლ-ქმრული სიყვარუ-
ლის ამსახველი ნაწარმოებიაო. მაგ., პოემის რწა, 153 სტროფით⁶⁰
ავთანდილი ესაუბრება შერმადინს, თინათინმა მიბრძანა უცხო
ყმის მოძებნა და ასეთი პირობა დამიდო:

მომხიდე, სრულ-ექმნა მაშინდა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მიხდა უშენოდ, მომხედეს ხისაცა რგულისა!

და ასკვნის: „მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისაო“. ვახ-
ტანგი აღტაცებული მიუთითებს მკითხველს: გასინჯეთ, სიძვაზედ
„როგორ შორს არის, ყოვლგან ქმრობას ამბობსო“.

შემდეგ: ავთანდილი უყვება რა ტარიელს თავისი მიჯნუ-
რის დავალებას, ამბობს: თინათინმა უცხო ყმის მოსაძებნად

სამ წლამდის მითხრა დადენა უმისოდ ცრემლთა მილისა,
არ გივირს, გავჯელ ვერ-ქვრება მისისა მე ღიმილისა?!
(სპმ, 290)

ვახტანგი სამართლიანად შენიშნავს, აქ სიძვაზე სრულებით არაა
საუბარი, არამედ „ცოლ-ქმრობისა და ბატონობის რიგისათვის ეუბ-
ნებისო“.

⁶⁰ ქართული ანბანით აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამო-
ცემის სტროფები, არაბული ციფრებით კი—პოემის 1937 წ. გამოცემის
სტროფები.

ავთანდილის ნათქვამს:

რათგან თავია სიცრუევე ყოვლისა უბედობისა.
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.
(ლპ, 790)

ვახტანგი შენიშნავს: „მეცნიერნო, აქ გაშინჯეთ, რასაც ამბობს მართებულად და კაის საქმით ამბობს, თვარ სიცრუევისა და მეძაობისათვის, არა უთქვამს რაო

რუსთველი წერს:

ფატმან, ცოლი უსენისი, გაეგება კართა წინა.
მხიარულად უსალამა, სიხარული დაიჩინა;
ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდეს და დასხდეს შინა;
ფატმან ხათუნს მოსლვა მიიბი, შე-ვით-ვატყუე, არ ეწყინა.
(ჩძვ, 1076)

ეტყობა, ფატმანის ამ მოქმედებას სამეძაოდ განმარტავდნენ ვახტანგის დროს და ამიტომ უკანასკნელი წერს: ეს სამეძაო არ არისო და მიუთითებს 1081-ე(ჩპა, 1091) სტროფზე. სადაც რუსთველი ამბობს, ავთანდილმა ფატმანის სამიჯნურო წიგნი რომ წაიკითხა, მაშინ „ესეგვარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინაო“. ფატმანის მოქმედება ვახტანგს გარყვნილებად მიაჩნია, გარყვნილება ეს არისო ამბობს ის და ამიტომ რუსთველიც ფატმანს ამ საქციელისათვის აუგად იხსენიებსო.

რუსთველის ნათქვამზე:

მის მთვარისა სადაობა კლა გაამბო, საქმე კვლავი:
აწ უწინა ესე ვითხრა, რას მექადდა ისი კაცი:
მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.
კაცსა დასვრის უგულობა და ღიაცსა ბოზი ნაცი. (ჩრქდ. 1204)

ვახტანგი ნიშნის მოგებით წერს: „რუსთველისათვის ამ წიგნის დაწერა“ რომ სამეძაოდ „დაგიწამებიათ, იმას სამეძაოდ კი არ დაუწერია“ მეძაობაცა „და მისი მღევარიც ნამეტნავად გაულანძღავს, დედაკაცის“ სიძვა „სახელდობით დაუწერია და კაცისა უგულობაც ისივე არისო“.

ერთი სიტყვით, ვახტანგი ყოველ ფეხის გადადგმაზე მიუთითებს მკითხველს, რომ რუსთველს თავის პოემაში „სამეძაოდ“ არა რა უთქვამს, რომ ის მეძაობას სასტიკად კიცხავს და ცოლ-ქმართ

სიყვარულს ქადაგებს. ამ უკანასკნელის თვალთახედვით განმარტავს ის ვეფხისტყაოსნის სხვა სტროფებსაც: 712 (მათ მიჰხვდა ლხინი ყოველი, ღბ), 832-ე (რა მიიხალს დაბნელდა, ყკბ), 835-ე (ტირს იტყვის დაღვა კეშანი, ყკე), 838-ე (ამას მოსთქმიდის იწვოდის. ყკწ), 1472-ე (აწ მითხარ. ჩემგან რა გინდა, ჩუმაბ) და სხვ.

ვახტანგი თითქოს კიდევაც გრძნობდა, რომ მისი განმარტებანი უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ამიტომ წერს: „რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რა, და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ... მე ასე მიგხვდი და მითქუამს“... ხოლო ვინც ვეფხისტყაოსანს სამეძაოდ სთვლის, „მე უგბილობაში ჩამომირთმევიანო“.

ვახტანგის მიზანია დაამტკიცოს, რომ ვეფხისტყაოსანი არ ეწინააღმდეგება ქრისტიანობას; პირიქით, ის ქრისტიანიზმის დამცველია და საამისოდ რუსთველის ნათქვამს პარალელებსაც კი უძებნის ბიბლიაში და კერძოდ „ახალი აღთქმის“ წიგნებში. ასე მაგ., რუსთველის აზრს: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“ (იშ, 11), ვახტანგი პარალელს უძებნის საღმრთო წერილში, იოანე ნათლისმცემლის ნათქვამში და პავლეს სიტყვებში⁶¹.

რუსთველის ნათქვამში „ხამს, მეღექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს“ (ყე, 18). ვახტანგის აზრით, ავტორი ესაია წინასწარმეტყველის აზრს იცავს, რომელსაც უთქვამს: „ვა მათვიინ, რომელნი წერენ სიტყუესაო“.

ვეფხისტყაოსანში ნათქვამია: „შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესანდობლად“ (სმდ, 246), ამაზე ვახტანგი წერს: რუსთველი „შვიდ გზის შენდობას ისრაელთაგან მოწმობს ძველის რჯულისას და მერმე რომ ქრისტეს პეტრემ ჰკითხა თვითან სამეოცდა შვიდ გზის უბრძანაო“⁶².

ნესტან-დარეჯანის ტარიელისადმი ნათქვამს: „ღიაცურად რად მოვლორდი“ (ფიზ. 524) ვახტანგი პარალელს პოულობს სოლომონ ბრძენის სწავლაში, რომელსაც უთქვამს: „დედაკაცი მაცდური არიისო“.

„წავიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ“ (ღბა, 791), ამის პარალელს ვახტანგი „ახალ აღთქმაში“ ნახულობს, ის წერს: „ამას პეტრესა და იოვანეს და იაკობს, ძმა უფლისას მოწმობს, ისინი ბძანებენ—სიყვარული ღმერთი არიისო, ვისაც კაცი არ უყვარს, ღმერთი არ ეყვარება და ის მოუყვანიანო“.

⁶¹ პავლე მოციქული ამბობს: თვითელი ადამიანი უნდა დარჩეს იმ წოდებაში, რომელშიც ის მოწოდებულია (I. კორინ. VII, 20).

⁶² ვახტანგი ამ შემთხვევაში ეყვარება მათეს სახარებას, თავი XVIII, 21—22, შეად. ლუკა XVII, 4.

რუსთველის ნათქვამში: „მეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“ (ლუკ, 803), ვახტანგი ხედავს იოანე ოქროპირის მოქცევების ანალოგიას⁶³.

საღმრთო და საერო ნათქვამად აქვს განმარტებული ვახტანგს პოემის შემდეგი სტროფები: 736-ე (ყველასავე მართლად გითხრობ, ლკვ), 777-ე (სამი არის მოყვრისაგან, ღაზ), 784-ე (თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ, ღოდ) და სხვ.

ვახტანგმა თავის თხზულებაში ვერ დაიცვა ზომიერება, მის ზრომას აწკარად ახასიათებს ტენდენციურობა. მან რუსთველის პოემაში დაინახა ის, რაც აზრდაც არ მოსვლია მის ავტორს. ვახტანგის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ რუსთველის „მიჯნურობა“ მან პირდაპირი მნიშვნელობით კი არ გაიგო, როგორც ავტორს აქვს წარმოდგენილი, არამედ ალევორიულად, „საღმრთო მიჯნურობად“ და აქედან გამომდინარე, მან ყალბად განმარტა პოემის მთელი რიგი სტროფები, რასაც არ შეიძლება გულისწყრომა არ გამოეწვია ისედაც აღრენილ კლერიკალურ წრეში⁶⁴. ასე მაგ., რუსთველი ავლებს რა პარალელს მიჯნურობასა და სიძვეს შუა—ამბობს:

მიჯნურობა სხვა რაშეა, არ სიძვისა დასადარი:

იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უნის დიდი მზღვარი,

ნურვინ გარეთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!

(თ, 24)

ამ სტროფის განმარტებისას ვახტანგი წერს: „თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას [ავტორს]. ქალის მიჯნურობასა და სიძვესში რა დიდი მზღვარი ძესო“, მაგრამ მისი აზრით, რუსთველი აქ „სამღვრთოს მიჯნურობისათვის ამბობს“... და ეხვეწება მკითხველებს, „ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურვინ გახდიო, რომ იმაზე არ მითქვამსო“. ცხადია, ვახტანგს ყალბად აქვს ეს ადგილად განმარტებული. აქ რუსთველი მკითხველს სწორედ „საერო მიჯნურობაზე“ ესაუბრება და არა „საღმრთოზე“. ის აფრთხილებს მკითხველს, რომ მიჯნურობა სიძვის, მრუშობის მაგვარი, არ არის, მიჯნუ-

⁶³ თუმცა მას შეეძლო დაემოწმებინა სახარების შემდეგი ადგილი. „წარედ და განჰყიდე მონაგები შენი, და მეც გლახაკთა“, ანდა: „ყოველი რაიცა გაქუს, განჰყიდე და მეც გლახაკთა“ (ლუკა XVIII 22, მათე XIX 21).

⁶⁴ კლერიკალურ წრედ ჩვენ არ ვგულისხმობთ მხოლოდ სამღვდელობას. ამ წრეში შედიოდნენ საერო პირებიც, რომლებიც კლერიკალური აზროვნებით იყვნენ გამსჭვალულნი. სასულიერო წრიდანაც გამოიყოფოდა პირნი, რომლებიც შოთას ქმნილებას კი არ სდევნიდნენ, არამედ ეთაყვანებოდნენ მას. ისინი, ვარდა იმისა რომ პოემის გადაწერაში იღებდნენ მონაწილეობას და ამით ხელს უწყობდნენ მის პოპულარიზაციას, გაგრძელებებსაც კი უწერდნენ მას. ცნობილია, რომ სასულიერო პირმა, იოსებ თბილელმა (XVII ს.), სტროფები და მთელი თავებიც კი ჩაურთო პოემას ანდერძების სახით.

რობა სხვა არის და სიძვეა კიდევ სხვა, მათ შორის დიდი სხვაობა არის და ერთმანეთში ნუ აურევთო.

რუსთველი მიჯნურის შემდეგ დახასიათებას იძლევა:

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალოება,
ენა, გონება, დათმობა, მძლეოთა მეზრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სკირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა. (მ, 23)

ყოველივე ეს, ვახტანგის აზრით, რუსთველს „საეროდ არ უთქვამს“, არამედ „სამღდელოს კაცზედ უთქუიშს... სამღდელო კაცი წირვის იარაღის გაწყობითა, სულიერად ქცევითა და მადლით, ერის კაცს ასრე უნდა ეჩვენოს ტურფად და მზეებრ განბრყინებულნი და სასუფეველის მიჯნურნიც ხომ სამღდელონი არიანო“. რუსთველი აქ, ვახტანგის აზრით, „მადლით სიმდიდრეს“ უბნობს, ნიყმედ რომე ვაეკაცურად გარჯის შეძლება ჰქონდეს, ასე მოცლას ეუბნება. სოფლის ზრუნვა სასუფეველის მეტი არა ჰქონდეს რა. ენა ქადაგებისა გძელი და კარგი ჰქონდეს, გონება, კეთილის გონებისა, სამღვრთა წერილთა სმენისა მოთმინება ჰქონდეს“, ეშმაკს ერეგოდეს, „თუ სამღვდელოს ესეები არა სკირსო, — ამბობს ვახტანგი, — მაშინ „სასუფეველის ტრფიალების და მიჯნურობის წესი დიად აკლდებაო“. ნამდვილად კი, რუსთველი ამ სტროფში, როგორც აღვნიშნეთ, იძლევა ნამდვილი მიჯნურის დახასიათებას, რომლის შესახებაც მეორე ადგილას წერს:

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,...
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს, თუნდა ქუში. (ი. 25)

ვახტანგს აქაც „სადმრთო მიჯნურობაზე ჰგონია საუბარი, ასე რომ არ იყოს და ქალის მიჯნურობაზე ეთქვა ავტორსო, — ამბობს ის, — ნაშინ „ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაცი, მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ქელი ეყრებაო“. ნამდვილად კი, რუსთველს აქ „ქალის მიჯნურობა“ აქვს მხედველობაში და არა „სასუფეველის მიჯნურობა“. ავტორს კარგ მიჯნურად ის მიიჩნია, რომელაც, მიუხედავად ხანგრძლივობისა და მდგომარეობისა, არ მეძაობს და გულს ყოველთვის „ერთს დააჯერებს“.

ყალბია აგრეთვე ვახტანგის განმარტება ამავე სტროფის მესამე ტაეპის „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს თუნდა ქუშის“ შესახებ, რომ თითქოს რუსთაველი აქ პავლე მოციქულივით ამბობდეს: „თუ ვინმე ქალწულად დადგება ის სჯობსო, თვარემ ხურვებას ქორწინება სჯობსო“. არავითარი ამის მსგავსი აქ არაა ნათქვამი. რუსთველს აღნიშნული აქვს მხოლოდ ის, რომ კარგმა მიჯნურმა გუ-

ლი ერთს უნდა დააჯეროს წყრომა და დაღვრემილობაც რომ შეხვდეს მისგანო.

მე-13 (იგ, 28) სტროფში რუსთველი ამბობს, მიჯნური

ხამს, თავისსა ხეაშიადსა არვისთანა ამელავენებდეს,
არ ბელითად „ჰაი“ ზმიდეს, მოყვარესა აყიენებდეს,
არსით უჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის კირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს.

ყოველივე ეს ვახტანგს ისე გაუგია, თითქოს რუსთველი აქ ამბობდეს, კაცი ხეაშიადს „მოდღრის მეტთან არვისთან ლაპარაკობდეს... და არც ცუდად ამას იქმოდეს, რომ კაცსა და თავის ამხანაგს ავს კმას არ უყრიდესო“. ვახტანგის აზრით, რუსთველი ამ შემთხვევაში ისე მსჯელობს, როგორც საჩარება გეასწავლის: „რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასაო“. და ბოლოს იმ აზრს გამოსთქვამს, რომ „რაც კაცს კირი დაემართოს და გაისარჯოს, სიხარულად უნდა უჩნდეს და ქრისტესთვის, როგორც წმინდა მოწამენი ცეცხლს იკიდებდენ, ისე სხვაც ცეცხლს მოიღებდენო“. როგორც ვხედავთ, განმარტება აქაც ტენდენციურია, საღმრთოს მხარეზე გადახრილი.

მე-18 (იწ, 11) სტროფის ბოლო ტაეპს:

კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს,

ვახტანგი ისე ხსნის, რომ თითქოს ავტორს ამ სიტყვებით მიზნად ჰქონდა ეთქვა, „მიჯნური რომ სამღვდელონი არიან მიჯნურობდეთ და გიყუარდესთ და სამღრთოს სიბრძნეს იკითხვიდეთ და თარგმნიდეთ. სამღვთო საქმე არცა ვისგან იზრახოს და დაიწუნოს და არც სხვას სოფლის საქმესა თუ უსჯულოთ სჯულს შეუღაროს და შეუწონოსო“. ნამდვილად კი, რუსთველი აქ საუბრობს მიჯნურობის თვისებაზე, რომ მიჯნურს მიჯნურობა უნდა უყვარდეს და ამიტომ ის არც სხვისგან უნდა იძრახოდეს და არც სხვას უძრახოდესო.

რუსთველის თქმაში, „მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა“ (ლ, 30), ვახტანგის აზრით, რუსთველს აქ „საყვარლად“ ქრისტე ჰყავს წარმოდგენილი. „საყუარელი ქრისტეს ჰქვია-ნო“; ამბობს ის და აქედან გამომდინარე სასულიერო თვალთახედვით მარტავს მთელ სტროფს. ნამდვილად კი, „საყუარლად“ შოთას გამიჯნურებული ადამიანი ჰყავს წარმოდგენილი.

ტარიელი მოიგონებს რა თავის დაკარგულ ნესტან-ღარეჯანს —

მოსთქვამს: ჰაი, საყვარლო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,
იმედო და სიოცხლეო, გონებაო, სულო, გულო. (ტე, 309).

აქ ვახტანგს „საყვარლად“ ნესტან-დარეჯანი კი არ ჰყავს წარმოდგენილი, როგორც რუსთველს, არამედ ქრისტე. იგი წერს: „ამას რუსთველი თვითან მოსთქვამს: ჰი, ჰი საყვარელო ჩემო ქრისტევე, ჩემთვის ცოდვით დაკარგულო და კიდევ იმედო და უკვდავმყოფელო, გონებავ და სულო გულოო“—აშკარაა, განმარტება აქაც ტენდენციურია.

ყალბად აქვს განმარტებული ვახტანგს ვეფხისტყაოსნის შემდეგი ადგილიც: თინათინს

მამისა ტახტსა საჭდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწვრთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევესებოდა“.
(მზ, 47)

ამ სტროფში ვახტანგს ყურადღება მიუქცევია მესამე ტაეპზე და ის ისე გაუგია, თითქოს რუსთველს „მამა ყოველთაში“ ღმერთი ყავდეს წარმოდგენილი, „ძისაში“—ქრისტე. ნამდვილად კი, აკ. შანიძის სამართლიანი შენიშვნით⁶⁵, აქ არც მამადმერთზეა საუბარი და არც ძე — ქრისტეზე. ავტორი გარკვევით ამბობს, რომ მეფე-მამა შვილისაგან შეინაცვლებათ.

ჩვენ აქ ზოგი რამ აღვნიშნეთ ვახტანგის მცდარი განმარტებიდან. როგორც ჩანს, ის ვეფხისტყაოსნის სხვა სტროფებშიც ნახულობდა თურმე „საღმრთო“ აზრებს, მაგრამ ყველა ისინი არ აღუწესხავს თავის თხზულებაში, „ამიტომ აღარ გამოვეკიდეო, ამბობს ის, — რომე ვეგება ზოგიერთს კაცს ავად ჩამოერთმიაო“ (ყკზ). საერთოდ კი, ვახტანგის აზრით, ვისაც სმენა აქვს, ადვილად მიხვდება, რომ ვეფხისტყაოსანი, სწავთოც არის და საეროც „რომელიც უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა—გულს უსრულსა“.

ვახტანგის კომენტარებმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საზოგადოების ერთი ფენა იზიარებდა მის მოსაზრებას და ვეფხისტყაოსანში „საღმრთო და საერო“ ამბებს ხედავდა. მაგ. თეიმურაზ მეორის (1700—1762 წ.) აზრითაც ვეფხისტყაოსანი საღმრთო და საერო შინაარსის მატარებელი პოემაა და როგორც ასეთი, ის ორივესათვის „მოიხმარების“⁶⁶. მამუკა ბარათაშვილიც არ იზიარებდა იმ აზრს, რომ ვეფხისტყაოსანი სამეძაო ანუ, როგორც თვითონ აღნიშნავს, „ცუდ სააშიყო“ თხზულება იყოს. მისი აზრით, პოემა, როგორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის მატარებელია. მართალია, რუსთველმა ცოლქმრობის სიყვარულზე სთქვა, მაგრამ სთქვა ისე, როგორც პავლე

⁶⁵ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, გვ. 377.

⁶⁶ თეიმურაზ II, თხზულებანი, გ. ჭაკობიას რედაქციით, გვ. 123.

მოციქული გვასწავლის ე. ი. საღვთოდ, რაც მამუეკას დებულებით, თვით ვეფხისტყაოსნითვე მტკიცდება. მისი აზრით, რუსთველი სასტიკად გმობს მეძავ დედაკაცებს ფატმანის სახით, როცა ამბობს:

კაცსა დასერის უგულობა და ღიაცსა ბოზი ნაი⁶⁷.

თეიმურაზ ბაგრატიონიც (1782—1846) ურჩევს საზოგადოებას ვეფხისტყაოსნის კითხვას, როგორც „ფრიაღითა ხელოვნებითა შეწყობილ“ თხზულებას და „ზნეობათა შინა ქართველთა ფრიად სახმარ“ წიგნს⁶⁸. ერთ-ერთი უცნობი პოეტი სპეციალურად შეხება ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანს და საბოლოოდ ისიც ვახტანგის აზრს მიმხრობია. თავის ვრცელ ლექსში, მიუხედავად იმისა, რომ ის არ სწყალობს საერო ხასიათის ლიტერატურას, მაინც ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ რუსთველის ნაწარმოები ზოგიერთებს „სამეძაოდ“ აუხსნიათ. და ისიც, ვახტანგ მეფესავით, ამტკიცებს. რომ ასეთი შეხედულება ყალბია, რომ რუსთველი „საღვთო ზედა მიჯნურობდა“: რომ ის თამარზე ვერ იტყოდა ურიგოს და ვერ დასწერდა მასზედ „სააშვიკო მიჯნურობაზე“ [ე. ი. ხორციელ მიჯნურობაზე], ვინაიდან თამარს უკვე ქმარი ჰყავდაო. ავტორის თეორიით,

კაცი უნდა ღმერთს ესაუდეს, სიყვარული ღვთისა ჰქონდეს,
მისი იყოს მიქებარი, საღვთოზედა მიჯნურობდეს.

და რუსთველის პოეზია, მისი აზრით, სწორედ, „საღვთონედა მიჯნურობაა“, რომელიც „უგბილთა და უსწავლელთა ძნელადაც გამოსაცნობია“, რომ მის კეთილ „ნამუშავეკს სააშვიკო არა ჰქვია“ და რაც მას უთქვამს, ყველაფერი სწორიაო. ამიტომ ავტორი მოწინააღმდეგეებს მიმართავს, შოთას ნათქვამს ავად ნუ იხსენიებთ, და ვინც რუსთველის კეთილ ნათქვამს ავად სცნობს, მას შეხედება „ჯოჯონხეთსა შიგან მალვა“⁶⁹.

ასე თანდათანობით იკიდებდა ფეხს ფართო საზოგადოებაში ვახტანგის ყალბი აზრები. ამ გარემოებისათვის კი არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია ულტრაკლერიკალურ წრეს და არ აღემაღლა ხმა მის წინააღმდეგ⁷⁰. ის ვერ მოითმენდა იმას, რომ ვახტანგმა თა-

⁶⁷ „კაშნიკი“, გ. ლეონიძის რედ., გვ. 1—2.

⁶⁸ Е. Т а к а й ш в и л и, Описание, II, გვ. 588, 590.

⁶⁹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S № 4014.

⁷⁰ მართლაც, იმ დოკუმენტურ ცნობებში, სადაც ვეფხისტყაოსნისადმი გულსწყრომაა გამოთქმული, უპირველეს ყოვლისა მახვილი ვახტანგის კომენტარებისაკენ არის მიმართული. მაგ., კლერიკალური წრის წარმომადგენელი ტ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი პირდაპირ ამბობს, ვეფხისტყაოსნის ლექსები „უწინარეს ჩუენთა უმეცარება სამღვრთოდ თარგმნესო“ (იხ. ტ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მიმოხილვა წმ. ადგილთა გვ. 14); მიზანში ამ შემთხვევაში, უდავოდ ვახტანგია ამოღებული.

ვის კომენტარებში პოემის ფანტასტიკურ-ზღაპრულ ამბებს საღმ-
 რთო წერილის სანქცია მისცა, სამეძაოდ მიჩნეული თხზულება საღმ-
 რთო წერილის წიგნებს ამოუყენა გვერდში და ის ქრისტიანული
 მორალის მქადაგებლად გამოაცხადა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს
 წრე აუმხედრდა ამ კომენტარებს და გაანადგურა ის⁷¹. კო-
 მენტარების განადგურება კი, თავისთავად ცხადია, გამოიწვევდა
 თვით პოემის განადგურებასაც, რადგანაც პოემა და კომენტარი ერთ
 წიგნად იყო დაბეჭდილი. ასე რომ ვეფხისტყაოსნის პირ-
 ველი გამოცემის განადგურების მიზეზი არის
 ვახტანგის კომენტარები და არა პოემა, მისი
 „ცუდი“ აზრები.

ასეთი უნდა ყოფილიყო, ჩვენი მოსაზრებით, პოემის პირვე-
 ლი გამოცემის განადგურების მიზეზი. ანალოგიური მდგომარეობა
 შექმნილა XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც, როდესაც დასმულა
 საკითხი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის განწეორებით
 დაბეჭდვის შესახებ.

III

1826 წ. პეტერბურგში განუზრახავთ ვახტანგისეული ვეფხის-
 ტყაოსნის გადაბეჭდვა⁷². ამ მიზნით საცენზურო კომიტეტში წარუდ-
 გენიათ ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი და უთხო-
 ვნიათ მისი გამოცემის ნებართვა.

საცენზურო კომიტეტში ქართული ენის მცოდნე არ აღმოჩენი-
 ლა, რომ თხზულება განეხილა, ამიტომ კომიტეტს იმავე წლის აპ-
 რილის 12-ს (№ 37-ით) პოემა წარუდგენია პეტერბურგის სამოსწაუ-
 ლო ოლქის მზრუნველისათვის. უკანასკნელს საქმის ვითარების შე-
 სახებ უცნობებია განათლების მინისტრისათვის.

⁷¹ რა თქმა უნდა, პოემის განადგურება მისი დაბეჭდვისთანავე არ მოხდებოდა. ვახტანგის შრომას ავტორის სიცოცხლეში ასეთ რამეს ვერ გაუბედავდნენ; მეორე მხრით მასზე უარყოფითი წარმოდგენა თანდათანობით უნდა მომწიფებულიყო. ამიტომ შეუძლებელი არაა პოემას დაგვიანებით განეცადა განადგურება. ზ. კიკინაძეს ვეფხისტყაოსნის განადგურების თარიღად სხვადასხვა დროს ნაჩვენები აქვს 1768 წ. 23 მაისი, 1769 და 1770 წწ. (იხ. ზ. მთაწმიძე დელი, შოთა რუსთველი, გვ. 54, უძრნ. „რუსთაველი“, № 1, გვ. 9, № 2, გვ. 10).

⁷² დოკუმენტები დატულია ლენინგრადის ცენტრარქივში — საცენზურო კომიტეტის ფონდი, საქმე № 206 959, ფურც. 6—19. საქმეებიდან არ ჩანს. ვინ განიზრახა ეს გამოცემა, საფიქრებელია, ქართველი ბატონიშვილები ყოფილიყვნენ.

განათლების სამინისტროს საკითხი შეუთანხმებია საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველთან და მზრუნველისათვის უცნობებია. რომ ასეთი წიგნების განხილვა შეიძლება დაეკისროს სააზიო დეპარტამენტთან არსებული ქართული ენის თარჯიმანსო. მზრუნველს ყველაფერი ეს უცნობებია საცენზურო კომიტეტისათვის იმავე წლის ივნისის 26-ს (№ 785), ხოლო უკანასკნელს 23 სექტემბერს ვახტანგის გამოცემული ვეფხისტყაოსანი წარუდგენია განაახილველად საგარეო საქმეთა კოლეგიის სააზიო დეპარტამენტში და უკითხავს. შეიძლება თუ არა გაიცეს მისი დაბეჭდვის ნებართვაო.

საგარეო საქმეთა კოლეგიის სააზიო დეპარტამენტს თხზულება გადაუცია ქართული ენის თარჯიმანისათვის. პიროვნება დასახელებული არ არის.

თარჯიმანს კარგი შეფასება მიუცია პოემისათვის. ამ მიზნით თავისი მოხსენების დასაწყისშივე, მას მოყვანილი აქვს ამონაწერები ევ. ბოლხოვიტინოვის შრომის — «Историческое изображение Грузии» (СПб 1802 წ.) 86-ე გვერდიდან, რომელსაც თავის მხრით უმატებს: «Книга сия, не смотря на романическое ея содержание... включает в себе многия замысловатая и нравоучительная изречения о разных предметах, в общежитии случающихся, раскрашенные пиитическим воображением и приведенная весьма кстати по воспеваемому предмету, которая между грузинами наизусть повторяются в роде пословиц, а занимающие[с]я литературою часто заимствуют из одной мысли и самая выражения, как из творения единственного и образцового в своем роде на грузинском языке, ибо расположение повествований, плавность и ясность выражений, игра слов в размере стихов и частота языка, соединены в ней весьма удачно с чрезвычайным и даже неподражаемым искусством.

Сообразив правила, изложенныя в данном мне уставе о цензуре⁷³, Высочайшее подтвержденном в 10-й день июня 1826 года, я полагаю: как книга сия давно уже обращается в руках народа, то и не может быть препятствия одобрить ее к напечатанию. тем более. что подобных романических сочинений много издается и на европейских языках, по одобрению цензоров».

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის საწინააღმდეგო თარჯიმანს არაფერი ჰქონია. ცხადია, ამის შემდეგ არც ცენზურა დააბრკოლებდა მის დაბეჭდვას, მაგრამ საქმე დაუბრკოლებია ვახტანგის კომენტარებს, რომლებიც თან ერთვის მის მიერ დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანს. აი, ამ კომენტარების მიმართ გაუმახვილებია ყურადღება თარჯიმანს. იგი წერს: «Однакоже при всей неопытности моей

⁷³ კურსივი ყველგან თარჯიმანისაა.

ვ ცენზურირებულ კნიგ, ობჟანკნობიუ პოჩიტაიუ, ია ოსოვანიი § 173, ონოი ოსტავა, პრეძსტავიუ ნა რაზმოსტრენიე სლედუიუშე ზამეჩანიე მოე ნაშეტ პრეპეჩატანიი ვ კონცე სეი კნიგი პრეიბავლენიი ნა 32-ხ ლისტაჲ, სდელანიი პერვუი იზდატელე ონოი ვ პეჩატე, ვუშეპომჟნუტუი ცარემ ვაჲტანგომ.

ამის შემდეგ თარჯიმანს აღნიშნული აქვს ვახტანგის ღვაწლი თბილისში სტამბის ჩამოყალიბების საქმეში, ხაზს უსვამს მის კანონებს და აღნიშნავს, ისინი ახლაც ნებადართულია მთავრობის მიერ საქართველოში სახმარადო. ამასთანავე იმასაც აღნიშნავს, თუ რამ აიძულა ვახტანგი აღნიშნული კომენტარები დაერთო პოემისათვის, რისთვისაც მას გადაუთარგმნია კომენტარების შესავალი ნაწილის სათანადო ადგილები და სხვ. ბოლოს იმასაც შენიშნავს, რომ ვახტანგის მიერ ეს თხზულება უფრო სასულიერო-დამრიგებლობითი სახით არის წარმოდგენილი. ეს იქიდან ჩანს, რომ ავტორს თავისი აზრის დასამტკიცებლად საღმრთო წერილიდან მოჰყავს ციტატები. «Но, — ამბობს თარჯიმანი, — сия благонамеренная цель царя Вахтанга, т. е. применение текстов из св. писания к таким местам, где оригинал совсем удален от них, по моему мнению, послужила поводом от одной крайности к другой, а именно к суеверным впечатлениям в неученых читателях, кои, как полагают должно, самую басню почитая чрез то как бы заимствованною из св. писания, носят имена упоминаемых в оной баснословных лиц, чрезмерными иперболами выхваляемых. Как бы то ни было, но смешивать вымышленные деяния человеческия с высокими истинами нашей православной веры, казалось бы неприличным».

საამისოდ ის მიუთითებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის 183-ე და 305-ე სტროფების განმარტებებზე, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, თავის მოხსენებაში თარჯიმანი მაინც აღნიშნავს შემდეგს: «А как в Грузии довольно у многих имеются печатные и рукописные экземпляры сей книги, то с одной стороны, чтобы запрещением более не раздражить суеверие, а с другой—дабы сообразно с § 3.159,160 и проч. Цензурного устава оградить святыню от суеверных об ней понятий, то остается один способ —издать ее в печать без таковых примечаний, исключая немногих таких мест, где в оригинале говорится явно о божественных предметах, и где оныя необходимы, поместив их в кратком особом предисловии». თარჯიმანს ამოუწერია ვეფხისტყაოსნიდან ის ადგილები, რომლებიც, მისი აზრით, საჭიროებენ შენიშვნებს. ასეთად დასახელებული აქვს მას 302-ე სტროფი (ყმასა უთხრა ვისცა კაცმან). იძლევა რა თარჯიმანი ამ სტროფის თარგმანს და მასზე ვახტანგის კომენტარს⁷⁴, დას-

⁷⁴ რომელშიც ხაზგასმულია შემდეგი სიტყვები: „თუ ღმთი ვაცს არ წასწყემნდს, მეორეს რა შიში ექნება“.

დენს: «Но здесь баснословный Тариел говорит :сие в изступлении, воображая, что, если он для удовлетворения любопытства Автандила начнет рассказывать ему нещастныя свои приключения, то от горестного воспоминания умрет».

ამის შემდეგ თარჯიმანი ყურადღებას ამახვილებს ვეფხისტყაოსნის 455-ე სტროფზე (ვერა შევიგენ რა იყო), რომლის შინაარსის გადმოცემისას ხაზს უსვამს სიტყვებს: „უკ-რდის, ღ-თისა თქვის მან სასწაულად“ და აღნიშნავს, ამაზე შენიშვნები არ არის გაკეთებულბო, „ჩემი აზრით—ამბობს ის,— «следовало бы заметить, что автор привычное бы назвал чудом натуры», თარჯიმანი ეხება აგრეთვე 826-ე (იტყვის ჰე მზეო) და 827-ე (ვის ხატად ღ-თისად იტყვიან) სტროფებს. მოცემული აქვს ამ სტროფების და მათზე ვახტანგის კომენტარების თარჯიმანი და ბოლოს გამოთქმული აქვს თავისი მოსაზრება მათ შესახებ. მისი აზრით, აქ უბრალოდ შეიძლება შეინიშნოს: «Автор, как христианин видимое солнце выхваляет тем, что мы иногда имя сие приписываем самому Христу, единственному единого бога».

ყურადღებას აპყრობს თარჯიმანი აგრეთვე 1035-ე სტროფის მეოთხე ტაეპს „მართლად იტყვის მოციქული. შიში შეიქს სიყვარულსა“ და წერს: «Сего текста ни в каком апостоле не находится и замечания не сделано. По моему мнению надобно бы заметить, что напротив I. соборн. посл. Иоан. 4 гл. в 18 ст. сказано: страха нет в любви, но совершенная любовь изгоняет страх».

ამ ადგილების გარდა.—ასკვნის თარჯიმანი. — ავტორი არსად არ ეყრდნობა საღმრთო წერილს, და აქაც რომ არ დაყრდნობოდა, მაშინ რა თქმა უნდა, შენიშვნებიც არ იქნებოდა საჭირო.

ამის შემდეგ თარჯიმანი ვეფხისტყაოსნის ცნობებს უპირისპირებს ერთმანეთს და თავისებურ ახსნა-განმარტებას იძლევა მათზე. პოემის მეშვიდე სტროფის შესახებ წერს: „მეშვიდე სტროფში ამბობს, ტარიელისთანა არავინ დაბადებულაო, 202 სტროფშიც აღნიშნულია: „ჯერ მიაი მზგავსი შეენება კაცთაგან უნახავია“, 862-ში: „ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მისებრივ არვინ შობილა“ და ასკვნის: «К сим последним двум стихам следовало бы присовокупить тоже замечание ц. Вахтанга, а для вящшого уменьшения к баснословным лицам уважения, сослаться на 921-й стих оригинала, где автор первого своего героя Тариела называет ослом: и на 926-й и 1309-й в коих он Автандила заставляет лаять, как пса».

რაც შეეხება ძველი სიტყვების განმარტებას, რომელიც ვახტანგის კომენტარებშია მოცემული, თარჯიმანს მიზანშეწონილად უცნია ამ განმარტების დაბეჭდვა წიგნის სქოლიოებში.

თარჯიმანს აღნიშნული აქვს ისიც, რომ ნაბეჭდ ვეფხისტყაოსანში მას ბლომად შეუნიშნავს გრამატიკული და განსაკუთრებით მართლწერის შეცდომები. ამ შეცდომების გასწორება მას კიდევაც უცდია, მაგრამ მთლიანად ვერ მოუხერხებია, რადგანაც წიგნის სიძველის გამო, ფურცლების აშიები უკიდურესობამდის ყოფილა გაცვეთილი და მელანიც ჟონავდა. ხოლო თუ მმართველობა ინებებდა პოემის დაბეჭდვას, მაშინ გასწორების მოვალეობა უნდა დაკისრებოდა სპეციალურ კორექტორს⁷⁵.

მაგრამ ამ შენიშვნებითაც არ დაკმაყოფილებულა თარჯიმანი. თავისი მოხსენებით დასასრულს საცენზურო კომიტეტს ურჩევს, რომ რაკი ვახტანგის კომენტარებში სასულიერო შინაარსის ადგილები მოიპოვებოდა, ამიტომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მმართველობისათვის „для выяснения в том удостоверения. на основании § 104 Устава о цензуре, § поручить рассмотрение одного духовной оцине, знающей грузинский язык“.

საგარეო საქმეთა კოლეგიის სააზიო დეპარტამენტს თარჯიმნის აღნიშნული შენიშვნები, ფურცლებად აკინძული პოემა და ვახტანგის კომენტარები სათანადო მიმართვით (№ 158) წარუდგენია საცენზურო კომიტეტისათვის 1827 წ.⁷⁶ თებერვლის 4-ს. უკანასკნელს საკითხი განუხილავს იმავე წლის 8 თებერვალს და მთლიანად მიუღია თარჯიმანის შენიშვნები, დადგენილებაში ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი: «Объявить издателю одного [г. о. ვეფხისტყაოსნისა], когда он явится в Главный Цензурный Комитет о сделанном г. переводчиком Азиатского Департамента отзыве о припечатанных в конце оной книги прибавлений, сделанном царем Вахтангом, с тем, что—не угодно ли ему будет, или напечатать стихотворение «Барсова-кожа» без оных прибавлений, поместив из них в кратком особом предисловии, только необходимых на те места, где в оригинале говорится о божественных предметах, а объяснения старинных слов напечатать под полями самой книги в приличных местах; или же не пожелает ли он, чтоб в сем прибавлении сделано было отношение в Духовную Цензуру для поручения одного для разсмо-

⁷⁵ საცენზურო კომიტეტში წარდგენილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი დაშლილი ყოფილა. თარჯიმანს ჩამოუშორებია მისთვის ვახტანგის კომენტარები, ცალკე აუკინძავს პოემა და ისე დაუბრუნებია უკან.

⁷⁶ დედანში შეცდომით 1826 წელია ნაჩვენები.

ტრენია ოსობე, ზნაოუჲე გრუზიისკიი იაზუკი. რაბნუი ობრაბო პოჲსაბუი გ. იაზდაბუი ნა ვიდა ი ობ ობზუიბე გ. პერეობდიკა აზიატსკოი დეპარტამენა სტოპოსიტელნო ნაოდიასიხსა ვ კიბე «ბარსოვა-კოჲა» ოშიბოკ პროტივ პრავილ გრამმატიკესკიხს ი პროტივ პრავოპისანიი».

თუ როგორი მსვლელობა მიეცა შემდეგში საქმეს, დოკუმენტებიდან არ ჩანს. ერთი კი ცხადია, გამომცემლობა არ დათანხმებია ცენზურას, და, როგორც ასეთი, მისი კეთილი განზრახვა, ვახტანგი-სეული ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესახებ, ვერ შესრულებულა.

IV

ახლა გამორკვეული უნდა იქნეს ვინაობა იმ თარჯიმანისა, რომელსაც ასეთი „კეთილი“ საქმე ჩაუდენია.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის თარჯიმნად სააზიო დეპარტამენტში საფიქრებელი არაა რამდენიმე თანამშრომლის ყოლა, რადგანაც იმდენი სამუშაო აქ არ იქნებოდა, რომ ერთი თანამშრომელი ვერ ათავებოდა მას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტის თარჯიმნად იმ პერიოდში, როდესაც ვეფხისტყაოსნის აკრძალვა მოხდა, ჩანს ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი (1788—1847), პროფ. დავით ჩუბინაშვილის ბიძა, პიროვნება განათლებული და ქართული კულტურის დიდი მოამბე.

ნიკოლოზი მიჩნეული ყოფილა რუსულ-ქართული ენების კარგ მცოდნედ და ამიტომ გენერალ ა. პ. ერმოლოვს, ჯერ კიდევ 1821 წ. 29 ნოემბერს, დაუნიშნავს იმ კომისიის წევრად, რომელსაც დავალებული ჰქონდა ვახტანგ მეფის კანონების რუსულად გადათარგმნა. ნიკოლოზ ჩუბინაშვილს ეს დავალება ჩინებულად შეუსრულებია, რისთვისაც იაგუნდის ბეჭდით დაუჭილდოებიათ.

ქართულ-რუსული ენების კარგმა ცოდნამ და საქმისადმი მუყაითობამ ხელი შეუწყო ნ. ჩუბინაშვილს დაენიშნათ იგი 1825 წ. 8 აგვისტოს სააზიო დეპარტამენტში თარჯიმნად, რაც, როგორც თვითონ აღნიშნავს, მისი მეცადინეობის გარეშე მომხდარა⁷⁷.

ნიკოლოზ ჩუბინაშვილი ცნობილია აგრეთვე როგორც სახელმძღვანელოების ავტორი, გრამატიკოს-ლექსიკოლოგი და არქეოლოგი.

⁷⁷ А. Ц а г а р е л и, Сведения, III, 83. LXIII—LXVII.

მან პირველმა იმოგზაურა აღმოსავლეთში, ძველი საქართველოს კულტურის ცენტრებში, 1845 წ. და შეძლებისდაგვარად პირველმა აღწერა ჭვარის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერები⁷⁸. მანვე საჭიროდ სცნო და საკითხიც აღძრა სამეცნიერო აკადემიის წინაშე, რათა ათონის ივერიის მონასტერში დაცულ ღირსშესანიშნავ ქართულ ხელნაწერთა პირები გადმოღებულიყო და სხვ.

ასეთი პიროვნებისაგან ვახტანგის კომენტარებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, მისი აკრძალვის ხაზით, ერთი შეხედვით არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ნიკოლოზ ჩუბინაშვილს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ეს იყო ხანა იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა, რომელმაც უსასტიკესი ცენზურა შემოიღო რუსეთში და რომელსაც მისი სიმკაცრის გამო „პალკინიც“ კი შეარქვეს.

1826 წელს შემუშავებული საცენზურო წესდება, რომლის ავტორთაგანი იყო მაშინდელი განათლების მინისტრი, უკიდურესი რეაქციონერი, ა. ს. შიშკოვი (ამიტომ მას შიშკოვის წესდებასაც უწოდებდნენ) და რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ნიკოლოზ ჩუბინაშვილს, სრულიად სპობდა ბეჭდვითი საქმიანობის ყოველგვარ შესაძლებლობას, გარდა ოფიციალურისა⁷⁹.

ასეთ პირობებში ნიკ. ჩუბინაშვილს არ შეეძლო დაბეჭდვის სანქცია მიეცა ვახტანგის ტენდენციური კომენტარებისათვის და ამით თავისი თავი საფრთხეში ჩაეგდო. ამიტომაც, რომ ის, მიუხედავად ვახტანგისადმი დიდი სიმპატიისა, თავს იკავებს უკანასკნელის თხზულების დაბეჭდვის ნებართვისაგან და თავიდან იშორებს პასუხისმგებლობას.

V

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გამოცემის შემდეგ პოემის ბეჭდვის საქმე დიდხანს შეჩერდა. მოთხოვნილება კი დიდი იყო. ჯერ ერთი, პირველნაბეჭდი ცალები უკვე აღარ იშოვებოდა და პოემა ისევ ხელნაწერთა საშუალებით ვრცელდებოდა. თანაც, 1712 წ. გამოცემა მკითხველთა ახალ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა: მასში ამჩნევდნენ ხარვეზებს, ორთოგრაფიულ და გრამატიკულ შეცდომებს. თითქმის არც კი იზიარებდნენ ვახტანგის კომენტარებს, რომელიც ერთვის პოემის პირველ გამოცემას და სხვ. ყოველივე ეს მკვეთრად აყენებდა საკითხს ვეფხისტყაოსნის ხელახალი გამოცემისათვის. ეს საქმე კი ითავა თეიმურაზ ბაგრატიონმა.

⁷⁸ А. Сагарели, Сведения, III, гл. 44—52, კერძოდ, მან პირველმა მოგვცა ცნობები გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ ხელნაწერის შესახებ.

⁷⁹ Горев, Цензура, БСЭ, т. 61, гл. 464.

თეიმურაზ ბაგრატიონი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეცამეტის შვილი.

1810 წლის 16 ოქტომბერს ის გადასახლდა რუსეთში და საცხოვრებლად დამკვიდრდა პეტერბურგში. ამ დროიდან იწყება თეიმურაზის ნაყოფიერი ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობა. იქ შეუდგა იგი საქართველოს წარსულის შესახებ მასალების დაგროვებას, ხელი მიჰყო უცხო ენებიდან თარგმნას და ლიტერატურული მეცნიერული შრომების წერას. საამისოდ მას ხელს უწყობდა საფუძვლიანი მომზადება და უცხო ენების ცოდნაც (თეიმურაზმა იცოდა რუსული, სომხური, ფრანგული, ბერძნული და სპარსული ენები).

1821 წელს პარიზში დაარსდა „ზიური საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო აღმოსავლეთი ქვეყნების შესწავლა. ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული იყო ამ საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი მარი ბროსე⁸⁰. ბროსემ წერილობითი კავშირი დაამყარა პარიზიდან როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მყოფ ისტორიკოსებთან.

მარი ბროსეს კავშირი თეიმურაზთან თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში 1830 წლიდან მაინც ფაქტია.

⁸⁰ მ ა რ ი ბ რ ო ს ე (1802—1880) ეროვნებით ფრანგი, ერთი პირველი ევროპელი მკვლევართაგანი იყო, რომელმაც განსაკუთრებული სიყვარულითა და თავდადებათ მოჰკიდა ხელი საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეს. ამ მიზნით მან ახალკაზრდობაშივე შეისწავლა ქართული ენა. რამაც საშუალება მისცა უშუალოდ გაეცნობოდა ქართულ საისტორიო წყაროებს.

თავისი კვლევა-ძიება მ. ბროსემ უფრო გააღრმავა 1837 წლიდან, როდესაც ის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით, პარიზიდან გადმოვიდა პეტერბურგში. აქედან ბროსეს მიმოწერა ჰქონდა საქართველოში მყოფ ისტორიკოსებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. რომელთაგან იღებდა ცნობებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

1847 წ. მიწურულში მ. ბროსე. არქეოლოგიური მოგზაურობის მიზნით. ჩამოვიდა თბილისში და იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სხვ.), სადაც შეკრიბა მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, აღწერა ძველი ეკლესია-მონასტრები და მათში დატული სიძველენი. მთელი ეს მასალა, სათანადო კომენტარებით, დაბეჭდა ფრანგულად თავის წიგნში „Voyage archéologique“, I—III, 1850 წ.

ამ მოგზაურობის დროს მ. ბროსეს საშუალება მიეცა უშუალოდ გაეცნობოდა და დაეკავშირებოდა ქართველ მოღვაწეებს და დაემყარებინა მათთან საქმიანი ურთიერთობა.

მ. ბროსე დიდი ინტერესით აღევნებდა თვალყურს საქართველოში იმ დროს წარმოებულ სამეცნიერო მუშაობას და მასში აღფრთოვანებას იწვევდა, თუ კი ეინმე ქართველთაგანი ამ მიმართულებით წარმართავდა მუშაობას, ამდევდა მათ მითითებას სიძველეთა აღსაწერად, ეპიგრაფიკული მასალების სწორად ამოკითხვისათვის და სხვა.

თეიმურაზი დიდ დახმარებას უწევდა მარი ბროსეს სამეცნიერო საკითხების ახსნა-განმარტებაში, მის მიერ მიწოდებულ ცნობებს მ. ბროსე ხშირად აქვეყნებდა კომენტარებით აღნიშნული საზოგადოების ორგანოში. „ახიური საზოგადოება“ ავალებდა თეიმურაზს ზოგიერთი თხზულების რედაქტირებას, რასაც ის ხალისით ასრულებდა.

მ. ბროსე დაინტერესებული იყო ვეფხისტყაოსნის საკითხებით. მან გადმოწერა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული პოემის ორი ხელნაწერი (ერთი მათგანი 1828 წელს) და შეუდარა იმავე ბიბლიოთეკაში დაცულ ვეფხისტყაოსნის სხვა ნუსხებს. ერთ-ერთი მათგანისათვის აშიაზე მიუწერია ვარიანტული წაკითხვები და პოემის ფრანგული პროზაული თარგმანი.

ვეფხისტყაოსნის დასაწყისი სტროფების ფრანგული თარგმანი და პოემის მოკლე შინაარსი მან დაბეჭდა პარიზში 1830 წ. ჟურნ. „Nouveau Journal Asiatique“-ში, (373—394). ამ გამოცემით აღფრთოვანებული თეიმურაზი 1831 წ. 15 დეკემბერს მ. ბროსეს სწერდა: „ვიხილე ჟურნალსა თქვენ მიერ წარმოვლენილსა დიდისა მის და სახელოვანისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოტტა რუსთაველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციულს ენაზე, ვაშა! ვაშა!“.

ამის შემდეგ მ. ბროსემ არაერთხელ მიმართა თეიმურაზს კონსულტაციისათვის ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე. ერთ-ერთი წერილით ბროსე სთხოვდა თეიმურაზს გაეგზავნა მისთვის პოემის 1712 წლის გამოცემა, რაზედაც 1833 წ. 9 ოქტომბერს თეიმურაზი პასუხობდა, მე თვითონ ვეძებე ვახტანგ მეფის გამოცემული ვეფხისტყაოსანი, „თქვენთვის მინდოდა წარმომეგზავნა, მაგრამ აქ ჯერ ვერსადა ვპოვე. თუმცა ერთი ექვშემპლარი მე მაქვს ჩემსთვის, რომელსაც აქ ჩვენს სახლშიაც ხშირად კითხულობენ. დიდის სიხარულით გამოვიმეტებდი, რომ გამომეგზავნა, მაგრამ ასე დაქველდებული არის, რომ თითქმის უფრო მეტი ფურცლები დახეულია და ზოგჯერ დაკარგული ფურცლები ხელით არის ჩაწერილი. და ვახტანგ მეფისაგან განმარტებაცა სრულად არ არის, ფურცლები აკლია. კიდევაც ვეძებ, თუ ვიშოვნე გამოვგზავნი, მაგრამ სწორეთ კი არ ვიცი მეშოვება თუ არაო“.

ამავე წერილით თეიმურაზი სთხოვს ბროსეს ცალკე წიგნად გამოეცა პარიზში ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტი¹. „დიდად კმაყო-

¹ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, სოლ. ყუბანეი-წვილის რედაქციით, 1964, გვ. 26.

ფილება იქნებოდა ჩვენის ქართველებისათვის, — სწერს თეიმურაზი, — რომ ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდოს ერთს წიგნათ, კიდევ იყიდინა და კარგს ფასათაც გავიდოდა. და ეგების ეცადნეთ კარგის ასოებით, კარგს ქალღმერთს მოამზადოთ და დაიბეჭდოს. მომწერეთ მე თითო ექვშემპლარი მანდ როგორ დაჭდება, რა ერთი ფასი წავა და მეც მოგწერ როგორც გაიყიდება. „მეაზიელის საზოგადოების“ ფულით რომ დაიბეჭდოს და ისევ საზოგადოებისათვის გაიყიდოს, სარგებლობა იქმნება და თუ საკუთრად თავის ფულით ვინმე დაბეჭდოს და არას წარაგებს, კიდევ მოიგებს“.

ამასთან ერთად თეიმურაზი ატყობინებდა მ. ბროსეს: თუ შენსადილო იქნეს ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვა, „მხოლოდ ლექსების გასწორებისათვის, რომ ტყუილები არ ჩაიწეროს... შეიძლება მე მიჩვენოთ, ორიგინალს ერთს თვეზედ მეტი არ დააგვიანდება. მე იმავ ორიგინალში გავასწორებ და ვახტანგ მეფის სტამბისას შევამოწმებ“, რადგანაც „თითო ოროლს ალავს ვახტანგ მეფის სტამბაშიაც არის მესტამბისაგან შეცთომა“. მართალია ბევრი არ არის, მაგრამ რაც არის „იმასაც გავისწორებთ და სამს თვეზედ მისვლითა და მოსვლით მანდავ მოგივათა ორიგინალი. ვახტანგ მეფისაგან განმარტებულსაც ზედავ მოვაწერინებ და ისე დაბეჭდეთ. რომ ხალხში გამოვიდეს, კარგი რამ იყოს“⁸².

თეიმურაზ ბაგრატიონი ურჩევს მ. ბროსეს, თუ ვეფხისტყაოსანი დაბეჭდოთ, „მარტო მხედრულის ასოებით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩაატანთ ამისათვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხისტყაოსანსა და იმათში ხუცური ბევრმა არ იცის, მარტო მხედრული წიგნი იციანო“⁸³.

მ. ბროსე თანაგრძნობით შეხვდა თეიმურაზის წინადადებას. მაგრამ ვეფხისტყაოსნის გამოცემა საფრანგეთში ვერ მოხერხდა⁸⁴. შემდეგ ბროსე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს და 1837 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა პეტერბურგში. აქ თეიმურაზი და ბროსე უშუალოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შეუდგნენ ვეფხისტყაოსნის გამოცემის სამზადისს. შეადგინეს სარედაქციო-საგამომცემლო კომისია, რომელშიც შედიოდნენ მ. ბროსე.

⁸² თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, 1964, გვ. 26.

⁸³ იქვე, გვ. 27.

⁸⁴ კობახიძის ცნობით, „ვეფხისტყაოსნის გამოცემა ლითოგრაფიულად ბროსეს ჭერ კიდევ 1834 წელს განუზრახავს პარიზში ყოფნის დროს და სანიმუშო ფურცელი თეიმურაზ ბაგრატიონისათვისაც გამოუგზავნია. მაგრამ უკანასკნელს არ ურჩევია ასეთი გამოცემა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1937, № 234, გვ. 4). არ ვიცი რა საბუთზეა დამყარებული აღნიშნული ცნობა.

ზ. ფალავანდიშვილი⁸⁵ და დავ. ჩუბინაშვილი⁸⁶. ტექსტის დამზადება-გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თ. ბაგრატიონი და გ. ავალიშვილი⁸⁷.

⁸⁵ ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი ზაქარია მიხეილის ძე—მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი მოღვაწეთაგანია. დაიბადა ის თბილისში 1817 წ. სწავლობდა ჭერ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. შემდეგ პირველ გიმნაზიაში. კურსის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვში, ლახარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში. ზ. ფალავანდიშვილი სტუდენტობის დროიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ლიტერატურის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი იყო ბრისესი, რომელსაც სისტემატურად აწვდიდა მისთვის საჭირო ცნობებს ქართული კულტურის ყველა დარგიდან.

ზ. ფალავანდიშვილი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა 1841 წ. და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორთაგანი თბილისში ბიბლიოთეკისა და ქართული გაზეთის „კავკასიის მხარეთა უწყებანის“ დაარსებისა. აღნიშნულ რედაქციაში მას ქართული ენის მთარგმნელის თანამდებობა ეკირა, კარგად ფლობდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. განზრახული ჰქონდა ვეფხისტყაოსნის გადართგმნა რუსულ ენაზე, მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო და განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. გარდაიცვალა უეცრად 1845 წ. 10 ივნისს. დასაფლავებულია თბილისში, მთაწმინდის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. (იხ. სოლ. ც ა ი შ ვ ი ლ ი, „ზაქარია ფალავანდიშვილი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, გვ. 4; ი. ე ნ ი კ ო ლ ო ფ ა ვ შ ვ ი ლ ი, „ზ. ფალავანდიშვილის უცნობი წერილი“, „მნათობი“, 1955, № 6, გვ. 152—154).

⁸⁶ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი დავით იესეს ძე—ქართული ლიტერატურის მკვლევარი. ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ლექსიკოგრაფი, დაიბადა თბილისში 1814 წ. დედ-მამა ადრე გარდაეცვალა, ამიტომ ბავშვზე მზრუნველობა იკისრა მისმა ბიძამ, ნ. ჩუბინაშვილმა, რომელიც პეტერბურგში მსახურობდა სააზიო დეპარტამენტში ქართული ენის თარგმნად. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, დ. ჩუბინაშვილი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. კურსის დამთავრების შემდეგ, 1840 წ. 13 მაისს დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში ბიძის ადგილას. 1844 წ. 25 დეკემბერს მიიწვიეს ქართული ენის მასწავლებლად პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1855 წ. 24 აგვისტოს დაამტკიცეს ექსტრაორდინარულ პროფესორად ქართული ენის ახლად ჩამოყალიბებულ კათედრაზე, 1861 წ. 20 მარტიდან კი — ორდინარულ პროფესორად. 1870 წ. 17 აგვისტოდან მიენიჭა დამსახურებული ორდინარული პროფესორის წოდება. უნივერსიტეტიდან განთავისუფლდა პენსიაში გასვლის გამო 1871 წ. 15 ნოემბერს. გარდაიცვალა 1891 წ. 15 ივნისს. დასაფლავებულია ლენინგრადში, ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე.

⁸⁷ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გიორგი ივანეს ძე — პოეტი კალიგრაფი, მემუარისტი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1769 წ. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მე-18 საუკ. მიწურულში. ახალგაზრდობაშივე მიიღო შესაფერისი სწავლა-განათლება. კარგად იცოდა რუსული, თათრული და სომხური ენები. ბოლო დროს გ. ავალიშვილი საცხოვრებლად დამკვიდრდა მოსკოვში და უბოძეს „ღეისტიტიკის“ სტატიის სოვეტნიკის“ ჩინი.

1791 წ. იმოგზაურა მაშინდელ სპარსეთის აზერბაიჯანში, 1819—1820 წლებში—აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში. უკანასკნელი მოგზაურობა მან კიდევაც

შეიძუშავეს გამოცემის გეგმა, ანუ „პროგრამა“. როგორც ისინი უწოდებდნენ. ამ პროგრამით გამომცემლები იუწყებოდნენ, რომ ვეფხისტყაოსანი, ცნობილი ქართული თხზულება, დაწერილი თამარ მეფის დროს, მხოლოდ ერთხელ არის დაბეჭდილი თბილისში ვახტანგ VI-ის მიერ 1712 წ. ეს გამოცემა მთლიანად გაიყიდა, ამას გარდა, ბევრი მათგანი დაიკარგა ალა-შაჰმად-ხანის შემოსევის დროს 1795 წელსო. ამიტომ ეს გამოცემა ან მისგან გადაწერილი ცალი ახლა ძალიან ძვირად, თუთხმეტ ან ოც მანეთად, იყიდებაო. წიგნის ასეთი გაძვირება იმით ყოფილა გამოწვეული, რომ „საქართველოსა შინა ყოველთა ჰსურთ ქონება თვისისა „ტარიელისა“, რომელსა იკითხვენ ნიადაგ, სწავლობენ ზეპირად და წარმოთქვენ მისგან შაირთა ოდეს უნდათ მოხსენება რომლისამე კეთილშობილურის გრძნობისა, მალღლის ჰაზრისა ანუ სახელოვანის მოქმედებისა“. ამ გარემოებამ გვაიძულაო, —აცხადებენ გამომცემლები, — რომ „ახლად აღბეჭდოთ ვეფხისტყაოსანი, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, გარნა მცირედ განმართული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ძველთა ხელწერილთა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა ანუ რუსეთსა შინა, და მით მივაახლოვებთ ნამდვილსა“. ამ გამოცემას „უფ. ბროსსე, ვითა ზედამხედველი აღბეჭდვისა, მოუმატებს ქართულად წინასიტყვაობას, სადაც წარმოადგენს სალიტერატურო უწყებასა წიგნისა ამისა და აჩვენებს ღირსებასა მისსა. დიდხნის განხილვა რუსთაველის შრომისა შემძლებელ ჰყოფს მას დართვად რომელთამე შენიშნულებათა“⁸⁸.

როგორც გამომცემლები იუწყებოდნენ, პოემის ახალ გამოცემას საფუძვლად უნდა დადებოდა ვახტანგისეული გამოცემის ტექსტი, ამიტომ საჭირო გახდა აღნიშნული გამოცემის სრული ცალის

აღწერა: „მოგზაურობაჲ თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა. უკუნ-ქეცვაჲ იერუსალიმით თბილისადმივე კიპრის ჰალაკისა, მცირე აზიისა და ანატოლიის ძალით“.

გ. ავალიშვილმა რუსულიდან ქართულად თარგმნა სემაროკოვის რამოდენიმე კომედია, ამას გარდა—კრილოვის რჩეული არაკები, დერკავინის „ღმერთი“ და სხვ. უწერია მას ორიგინალური ლექსები და თითქოს პიესებიც. გ. ავალიშვილი გარდაიცვალა 1850 წ. 30 ივნისს. დასაფლავებულია ვსესეიატსკოეში (მოსკოვი. იხ. ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1939, გვ. 164—173).

⁸⁸ სსრ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორი, P 19, № 95; ი. მეგრელიძე, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის პროგრამა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 34 (1463), 20 VIII; მისივე, Из истории русствелологии, Жур. „Литературная Грузия“, 1964, № 12, стр. 69—70.

გამოძებნა. ამ საკითხზე ზ. ფალავანდიშვილს მოსკოვში უცნობებია თავის ნათლიისათვის, ცნობილ მწიგნობარ გ. ავალიშვილისათვის. უკანასკნელს ჰქონია ვახტანგის გამოცემის ერთი ცალი, რომელსაც მხოლოდ სამი ფურცელი ჰქვია (1, 115, 116). დანაკლისი ფურცლები გადმოუწერიათ სხვა ცალიდან, რის შემდეგ გ. ავალიშვილს ტექსტი გაუსწორებია იმ სახით, როგორც მას ჰქონდა წარმოდგენილი პოემის ახალი გამოცემა.

1840 წ. 24 ოქტომბერს შესწორებული ცალი ზ. ფალავანდიშვილს გაუგზავნია პეტერბურგში და თან უცნობებია: „რომელიცა მაქვნდა მე დაბეჭდილი იგი [იგულისხმება ვეფხისტყაოსანი], ვითარცა შემეძლო ასო ანუ სად მეტი ჰქონდა, ანუ ნაკლები, ანუ ასო თავქუე მჯდომი, ანუ ვინისა და წილ უნი, ანუ ანისა წილ ინი და ესე ვითარნი ვჰშალე და შესაბამისნი ასონი და[ვ]უსხი, რომლისაცა შაირნი, ანუ ლექსნი არიან პყრობილ“.

ამას გარდა, გ. ავალიშვილს სტროფებში მე-4 ტაეპის დამაკავშირებელი „და“ წაუშლია, რადგანაც მისი ცნობით, „უსწავლელნი ანუ გამოუცდელნი მკითხველნი კითხვასა შინა კითხულობენ ამ ღონს ანათაც და მით უკარგავენ ლექსთა შევნიერებასაო“. ამიტომ „მე წავშალე იგინი ყოველგან, რადგანაც არა რაჟსა ჰნიშვნენ იგინი, ვითარ-ოდენ ყოვლისა ლექსისა განსხვავებასა დაბოლოებასა და მეორისა სხვისა დაწყებასა და ესრეთ უმჯობეს არსო“.

შემდეგ გ. ავალიშვილი ურჩევდა ზ. ფალავანდიშვილს, „თუ ამჯობინოთ, ყოვლისა ლექსისა ბოლოს ასოები, ვითარცა არს ვეფხისტყაოსანსა შინა, ვითარცა ესე: „რომელმან შეჰქმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერი თ ა“, ეს ორი ასო თანი და ანი ერთად იყოს, ვითარცა ესე: „ძლიერითა“.

დასაპრულს სთხოვდა ზ. ფალავანდიშვილს გულდასმით წაეკითხა მის მიერ ნასწორები ცალი, „მგონია ბევრგან ჰპოვო ჩემგან ანუ ცუდად გასწორებული და ანუ გაუსწორებელად დარჩომილი, ვერ შენიშვნისა ძლით ჩემისა“ და გაასწორეო⁸⁹.

გ. ავალიშვილის ნასწორები ვეფხისტყაოსნის ეგზემპლარი უჩვენებიათ თეიმურაზ ბაგრატიონისათვის. უკანასკნელს პოემის ბოლო სტროფისათვის მიუწერია: „ეს ლექსიც (ამირან დარეჯანისძე) რუსთაველისაგან არს თქმული, ნამდვილ საუწყებელ არს ესეო“ (ფ. 138).

კომისიის წინაშე მთავარი იყო ვეფხისტყაოსნის სტროფთა რაოდენობის გარკვევა. ამ საკითხით მ. ბროსე დიდი ხანია იყო დაინ-

⁸⁹ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადო-განყოფილების ხელნაწერთა სექტორი, H 21.

ტერესებული და პარიზში ყოფნისას ცნობებიანათვის არაერთხელ მიუმართავს თ. ბაგრატიონისათვის. უკანასკნელს 1834 წ. 17 ოქტომბერს პეტერბურგიდან ბროსესთვის უცნობებია: „სრული ვეფხისტყაოსანი არის რიცხვით ათასხუთას ოთხმოცდა ცხრა (ოთხტაეპოვანი) სტიხი, როგორათაც ვახტანგ მეფისა დაბეჭდულს ვეფხისტყაოსანში იხილვება, ისინი არიან ნამდვილ შოტთა რუსთაველის შემთხუღნი სტიხნი, რომელიც იმ სტრზნე დასრულდება: ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონ[ელსა]“. ამრიგად, თემურაზი დიდ ნდობას უცხადებდა ვახტანგისეულ გამოცემას, რომელიც მას პომემის კანონიკურ ტექსტად მიაჩნდა, მაგრამ ამასთან ერთად მოითხოვდა ახალ გამოცემაში ვახტანგისეულ ტექსტს დამატებოდა ოთხი სტროფი (169, 217, 699 და 736) იმიტომ, რომ ისინი ძალიან გვანან ვეფხისტყაოსნის სტროფებს და თანაც „ჩემის ოსტატის დავით ალექსიშვილისაგან გაგვიგონია და ჩემს ვეფხისტყაოსანზედ აწერია, ვითომ ეს შემდგომი ლექსები ვეფხისტყაოსნისა შოტთა რუსთაველის ნათქომი იყოს“, მაგრამ „დაბეჭდვაში დარჩომოდესთ დ ველარ ჩაეტანებინოსთ“.

აღნიშნული სტროფები, თ. ბაგრატიონის აზრით, პომეაში შემდეგნაირად უნდა განლაგებულიყო: ვახტანგის 114-ე (168)⁹⁰ სტროფს (მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი) უნდა მიყოლოდა ვეფხისტყაოსნის 1956 წლის გამოცემის 169-ე სტროფი (თუ ყოფილა იგი მოყმე, ხორციელი ხმელთა მვლელად); 150-ე (216) სტროფს (უბრძანა: აპა შერმადინ, ამად მე შენგან მრცხვენინან) — 217 სტროფი (მოუკლივარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა); 545-ე (698)⁹¹ სტროფს (მაედანს დავდგით კარვები წითლისა ატლასებისა)— 699 სტროფი (მე დავშვრი, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა); 576-ე⁹² (735) სტროფს (მეტმა ზარმა გამაშმაგ მომიკიდა ცხრო და თრთოლა)— 736-ე სტროფი (შევე, ფიცხლად შევეკაზმე, ცხენზე შევჯე შეკაზმული).

„ეს ზემო ლექსები ძალიან მსგავსი არის რუსთაველის სტიხებისა და იმ ადგილებშიაც ეტყობა, საცა უნდა ჩაიწეროს, რომ აკლია ეს სტიხებია“—ასკენის თ. ბაგრატიონი. ამას გარდა, თემურაზის აზრით, 887-ე სტროფი (ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა) უნდა იყოს 845-ე სტროფის (სმა გარდახდა, თავის-თავის გაიყარნეს მსმელნი შინა) შემდეგ და არა 886-ე სტროფის (ინადი-

⁹⁰ ფრჩხილებში ჩასმულია ვეფხისტყაოსნის 1956 წ. გამოცემის შესატყვისო სტროფები.

⁹¹ შეცდომით აქვს აღნიშნული 546.

⁹² შეცდომით აღნიშნული აქვს 566.

რეს, შემოიქცეს მხიარულნი მინდორს სრულნი) მიყოლებით, როგორც ვახტანგისეულ გამოცემაში⁹³.

ეტყობა, თეიმურაზი ამ აზრზე დარჩენილა ბოლო დრომდე, ყოველ შემთხვევაში მისი მოსაზრება 1840 წელს კომისიას გაუზიარებია გარდა 887-ე სტროფის ადგილმდებარეობისა. დასახელებული სტროფი მე-17 საუკუნის ზოგ სელნაწერში 845-ის შემდეგაა მოთავსებული, ზოგში კი ორივე ადგილას (845-ე, 886-ე). თეიმურაზის მოსაზრება ამ სტროფის ადგილმდებარეობის შესახებ კომისიას არ მიუღია და დაუტოვებია იმ ადგილას, სადაც ვახტანგს დაუბეჭდავს ე. ი. 886-ე სტროფის მიყოლებით.

თ. ბაგრატიონის დამატებული სტროფები შემდეგში ვეფხისტყაოსნის ძირითად სტროფებად აღიარეს პოემის ტექსტის დამდგენმა კომისიებმა (1888 და 1937 წწ.) და კერძო გამომცემლებმა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს 169-ე სტროფი (თუ ყოფილა იგი მოყმე), რომელიც პოემის 1937 წ. გამოცემაში არ არის შეტანილი.

როგორც აღვნიშნეთ, 1841 წ. კომისიამ პოემის მოცულობის შესახებ თეიმურაზის პროექტი მიიღო, მაგრამ კომისია ამით არ დამყოფილებულა. მას ვახტანგისეული გამოცემის ტექსტი შეუღარებია პოემის ვრცელი ტიპის რამოდენიმე ხელნაწერისათვის და დამატებით კიდევ 46 სტროფი შეუტანია ახალ გამოცემაში, ესენია:

რაჲ 230⁹⁴ (განა ჰქნა ლომმან იმედი), რაჲ 233 (მისი ცეცხლი გულსა ჩემსა), როზ 247 (შერმადინ უთხრა: მართალ ხართ), რეე 257 (იგი პირად შვისა მგზავსი), ს 277 (ჩვენ ასრე მყოფნი არ ვარგვართ), სიგ 292 (ჩვენი ძმა, გლახ, დაკოდილი), სკბ 301 (აწ იმა ყმისა საკრავად), სმბ 325 (ყმა ეტყვის: ხედავ, სისხლისა), სპდ 377 (მისი მძებნელი იყომცა), ტვ 399 (მოსრულვარ, შენად შეყრამდინ), ტი 403 (ასმათ უთხრა, ლომო ცრემლით), ტია 404 (მეხვეწებოდა,

⁹³ გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი, „ლიტერატურული მიებანი“ V, გვ. 191—194.

⁹⁴ ქართული ასოებით აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის სტროფები, არაბული ციფრებით კი — პოემის 1956 წ. გამოცემის სტროფები.

ბროსეს შეცდომით აქვს ნაჩვენები მის მიერ დამატებული სტროფების რაოდენობა და ნუმერაცია, მაგ. ჩამატებულად აქვს მას აღნიშნული უკთ (429: წა შეეზი ხატაელთა) სტროფი. ნამდვილად კი ეს სტროფი მოიპოვება ვახტანგისეულ ჯამოცემაშიც და აღნიშნულია უთ (409) ნუმერაციით. ამას გარდა, მის მიერ ჩამატებულ სტროფებიდან შეცდომით არ აღვნიშნავს („ჩვენ ასრე მყოფნი არ ვარგვართ“) ს (200), („ასმათ უთხრა: „ლომო ცრემლით“) ტი (310) და („თავადობა ინდოთა“) ტნ (350) სტროფები. ამრიგად, ბროსემ ვახტანგის გამოცემას დაუმატა არა 48 სტროფი, როგორც ეს ცნობილი იყო, არამედ 50.

ლამოდა), ტლ 437 (ნადიმსა შიგან მოყმენი), ტლგ 439 (წიგნი წიგნსა ეცემოდა), ტმგ 450 (რა მინდორს შეეჯდო), ტნ 458 (პატრონობა ჰინდოთა), ტნგ 459 (ტარიელს თვალნი სისხლისა), ტნე 467 (ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი), ტპზ 503 (შევე, დავჯე ტახტსა ზედა), ტე 509 (ასმათ დგას ჩემთვის), ულ 551 (მოვახსენე, არ მეწყალვის), უნბ 578 (მას კაცსა ამოდ ვეუბენ), ფიშ 645 (რიდენი და ყაბაჩანი), ფეზ 729 (მან უთხრა: წადით დაჰკარგეთ), ქნთ 795 (ვთქვი: რა მქონდა სახლსა ჩემსა), ქოგ 815 (აწ ათია წელიწადი), ლლ 873 (ყმა მხიარული, წყლიანი), ლლზ 880 (საწოლს მჯდომმან პირსა ცემით), ლმდ 888 (ყმამან რაცა არვის უთხრის), ლმე 889 (თქვა: ამა ყამსა). ლპთ 934 (რა გათენდა, შეეკაზმა), ლე 935 (მოახსენა კელა ვაზირმან), ყა 946 (ოდეს ბრძენმან გაიგონოს), ყგ 948 (მან გამისრულა ყველაი). ყლ 976 (ღმერთსა მვედრებდეს მრავალი), ყლა 977 (დამხსნას ბნელი და ნათელი), ყლზ 983 (ყმა შეეკაზმა წასავლად), ყნბ 998 (გაზრდილო, ცეცხლი მედების), შპზ 1139 (იტყვის თუ ჩემი ხელ-მქმნელი), ჩმგ 1198 (ქალაქს შევიდეს, ხმა გაჰხდა), ჩტიე 1465 (შვენებითა არსთა მზე ხარ), ჩტპზ 1497 (ესე სიტყვა მართალია), ჩუკე 1584 (ყოვლგნით მრგვალი; შეუვალი), ჩფლთ 1700 (ავთანდილ იცნეს), ჩფნ 1711 (ფრიდონ წაჰყვა), ჩფგე 1726 (ტარიელ ფრიდონ გაგზავნა).

როგორც ჩანს, კომისიას პირველად განზრახული ჰქონია დაებეჭდა ვეფხისტყაოსნის ყველა სტროფი, ამ მიზნით ინდოხატაელთა და მისი მომდევნო ამბების დაბეჭდვასაც აპირებდნენ, მაგრამ შემდეგში ისინი ზედმეტად მიუჩნევიან და პირვანდელ გადაწყვეტილებასზე ხელი აუღლიათ. ვფიქრობთ, ამ საქმეში, გარკვეული როლი ითამაშა თ. ბაგრატიონმა.

ჯერ კიდევ 1834 წ. თ. ბაგრატიონი ვეფხისტყაოსნის მოცულობის შესახებ მ. ბროსეს ატყობინებდა, ნამდვილი ვეფხისტყაოსანი ვახტანგისეული გამოცემაა ოთხი სტროფის დამატებით. სხვები კი „შოთა რუსთაველისა არ არის ნათქომნი, სულ ტყუილათ არის ჩამატებულიო“. ამავე წერილში თ. ბაგრატიონს ჩამოთვლილი აქვს პოემის ფსევდორუსთველური თავები, ესენია:

- ა. ტარიელისაგან ჰინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა (ტყუილია),
- ბ. ჰინდოეთს მისვლა [და] ხატაველთ დამორჩილება მეორედ,
- გ. შინ მისვლა ტარიელისაგან და ქორწილი მათი,
- დ. ხვარაზმთა მეფისაგან ტარიელის ავადმყოფობის ცნობა, შიგან ჩადგომა,
- ე. ესმა ჰინდოთ მეფესა ხვარაზმელთ მოსვლა, ვაგლახ შენ სოფელო,
- ვ. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილსა და ფრიდონსა თანაჲ

ზ. მისვლა ავთანდილისა და ფრიდონისაგან ტარიელის საშველად,

ყ. ავთანდილისა და ფრიდონისაგან წასვლა და ხვარაზმელთ ომი,

თ. ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცვალებოდა მის ქაშა ნათქვამი,

ი. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა,

ია. ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქვა ქამსა მას სიკვდილისა მისისასა,

იბ. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა,

იგ. მოსვლა ფრიდონისაგან ძმობილთა მისთა ტაგრუცსა.

ეს ზემო ათცამეტი პუნქტი რუსთაველისაგან არ არის თქმული და არც ვეფხისტყაოსანისა არის. ტყუილი არის და ცუდი ლექსებიც არისო — ასკვნის თეიმურაზი.

ვეფხისტყაოსნის ზემოაღნიშნული თავების ავტორად თ. ბაგრატიონი ნანუჩა ციციშვილს ასახელებს. „ციცისშვილი ყოფილა ერთი, ქართლის თავადთაგანიო, — სწერს მ. ბროსეს, — იმას მეტი სახელი ნანუჩა რქმევია. იგი, ნანუჩა ციციშვილი, ვახტანგ მეფეზე უწინ ყოფილა. ვეჭოფ გიორგი მეთორმეტისა ქართლის მეფისა შანავაზ მეფისა, ბახუტაშ შვილის დროსა ყოფილა. იმას მოუგონია და თითონ გაუკეთებია ეგ ლექსები და ვეფხისტყაოსნისათვის შეუერთავს. და ვისაც იმისის ვეფხისტყაოსნიდამ გადმოუწერია, აღარ გაუსინჯავსთ, თუ ველარ გაუშინჯავთ, და ისე შეცდომით ჩაუწერიათ. იქნება რომ ის ნანუჩა ციციშვილი დიახ კარგი კაცი ვინმე იყო! ღმერთმა აცხონოს, მაგრამ დიახ ცუდი პიტიკოსი ბრძანებულა⁹⁵. და რაც რუსთაველს დაუწერია ვეფხისტყაოსნად, ისი კმარა, იმას სხვა დამატებული არა ეჭირება რა.

„ომიანიანი“ ზღაპარიც იმისგანვე არის მოგონილი. ისიც მაგისტანა არა არის რა. არც ტარიელის შვილი ყოფილა ომან თუ სხვა ვანმე და არც არა საჭირო არის. ეს ლექსები სრულად ქართველებისაგან დაწუნებული არს და გარდაადგეთ⁹⁶.

ასეთი იყო 1834 წელს თეიმურაზის აზრი ვეფხისტყაოსნის მოცულობის შესახებ. არსაიდან არ ჩანს, რომ შემდეგში მას თავისი

⁹⁵ თ. ბაგრატიონს სწორად ვერ გაუგია არჩილ მეფის განცხადება ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორის ნანუჩას შესახებ. არჩილი ნანუჩას მიაწერს ვეფხისტყაოსანში ცალკეული სტროფების ჩართვას და არა თავების დაწერას. დღეს უკვე გამოკვლეულია, რომ „ანდერძების“ ავტორი არის არა ნანუჩა. არამედ იოსებ სააკაძე, XVII საუკ. სასულიერო პირი, ისტორიული პოემა „დიდმოუურავიანის“ ავტორი.

⁹⁶ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის

მოსაზრება უარეყოს. ძნელი დასაჯერებელია, რომ კომისიას ანგარიში არ გაეწია თეიმურაზის მოსაზრებისათვის, მაგრამ იმ დროს იმდენად მძლავრად ყოფილა მოთხოვნილება ვრცელი ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვაზე, რომ ბროსე იძულებული გამხდარა ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო. ჩვენ მიერ დაბეჭდილი ახალი სტროფები.— წერს მ. ბროსე — „სწორედ არ ვიცით ვისგან არიან დაწერილნი“, მაგრამ დაბეჭდვით იმიტომ, რომ ისინი „მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ, ძველ ხელნაწერებშია იპოვებოდნენ და ამის გარდა, რაოდენიმე ხელის მომწერმა ამ წიგნზე გვთხოვეს არ დატევება მათიო“ (გვ. XIV). ეს, რა თქმა უნდა, ძალიან უსუსური არგუმენტია იმისათვის, რომ აღნიშნული ჩანართი სტროფები ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში შეტანილიყო. ამიტომაც იყო, რომ ბროსეს სამართლიანად უსაყვედურებდნენ, წარმოდგენილი საბუთებით დასახელებული სტროფები ვეფხისტყაოსანში არ უნდა ჩამატებულიყოვო⁹⁷.

რაც შეეხება „ინდოხატაელთა“ და მის მომდევნო ამბებს, კომისიას, როგორც აღვნიშნეთ, განზრახული ჰქონია მათი ძირითად ტექსტში შეტანა იმავე მოსაზრებით, რითაც ცალკეული სტროფები შეიტანეს, მაგრამ შემდეგ, მათ დაბეჭდვაზე ხელი აუღიათ, ცუდი ლექსები არის და ბევრად ჩამოუვარდებიან რუსთველის პოეტურ სიმშვენიერესო, წერს დ. ჩუბინაშვილი⁹⁸, რასაც ადასტურებს მ. ბროსეც, „რუსთველისა არ იყვნენ და ამას გარდა დიდი განხილვაც უნდოდაო“ (გვ. XIV). საერთოდ კი, მ. ბროსე იმ აზრისა იყო, რომ „თუ კიდევ როდისმე დაიბეჭდება ვეფხისტყაოსანი, ნანუჩას მომატებაც და სხვა რა ეკუთვნის ამ წიგნს, თუ გინდ რუსთველისა არ იყოს. განხილვით უნდა დაიბეჭდოსო“.

ბროსეს განზრახული ჰქონია ვეფხისტყაოსანი დაებეჭდა ვარიანტების თანდართვით. ამ მიზნით მას კიდევაც დაუმუშავებია მის ხელთ არსებული ხელნაწერები, საქართველოში დაცული ნუსხების დამუშავება კი დაუვალებია ზ. ფალავანდიშვილისათვის, რომელიც როგორც აღვნიშნეთ. 1841 წლიდან პეტერბურგიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. სამუშაოდ მას თან წამოუღია დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ფორმები, მაგრამ ზ. ფალავანდიშვილი ამ საქმეს ხალისით არ მოკიდებია და ცდილა როგორმე თავი აერიდებინა. ერთ-ერთ წერილში 1841 წ. ბროსეს ატყობინებდა, რომ დღემდე ვერ გამოგვზავნე ვარიანტები „ტარიელზე“, სხვადასხვა ხელნაწერებიდან ამოღებული, და იქვე დასძენდა, მე ვფიქრობ ესენი საჭირო არ არისო. ბროსე კი დაჟინებით მოითხოვდა ვარიანტების ამოწე-

განყოფილების ხელნაწერთა სექტორი, H-22, ფ. 12რ—14რ.

⁹⁷ ვეფხისტყაოსანი, 1875, გვ. IX.

⁹⁸ ЖМНП 1842, № 8, გვ. 120.

რას, ამიტომ ზ. ფალავანდიშვილი იმავე წლის 8 ივნისს აცნობებდა, ორბელიანები, კავკავაძეები და ბატონიშვილი თეკლე მალე იქნებიან ჩემთან და სხვების დახმარებით წავიკითხავთ და შევუდარებთ ხელნაწერებს დაბეჭდილ ეგზემპლარსო, მაგრამ ეტყობა, ეს საქმე ზ. ფალავანდიშვილს ვერ მოუგვარებია და თავის არიდების მიზნით, ბროსესთვის 16 ივნისს მიუწერია: ჩემი შეხედულება ასეთია, ის ვარიანტები, რომლებიც თქვენ გაქვთ დაბეჭდილ „ტარიელისათვის“ საკმარისია, და ყველა კმაყოფილი იქნება, თუ დაბეჭდავთ ახსნა-განმარტებით⁹⁹.

ადგილობრივ ინტელიგენციას სასურველად მიუჩნევია, ყველა ხელნაწერიდან ამოწერილიყო ვარიანტები და პოემასთან ერთად დაებეჭდათ, რაც ზ. ფალავანდიშვილს ქართველთა აკვიატებულ აზრად მიუჩნევია.

მ. ბროსე არ დათანხმებია ზ. ფალავანდიშვილს და კატეგორიულად მოუთხოვია ვარიანტების ამოწერა, რაზედაც ზ. ფალავანდიშვილი 1841 წ. 25 ივლისს ბროსეს ატყობინებდა, შეუძლებელია და უნაყოფო მისი შედგენაო და ურჩევს ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდოს უვარიანტოთ, რითაც წიგნი შედარებით იაფი დაჯდება, ყოველი ეგზემპლარი სამ მანეთზე მეტი არ ეღირებაო.

საქმე ჭიანჭურდებოდა. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ბეჭდვა კი დასასრულს უახლოვდებოდა. ხელისმომწერლებიც წიგნს მოითხოვდნენ, თანაც იმედი არ იყო ვარიანტების შედგენისა, ამიტომ ბროსე იძულებული გამხდარა პოემა უვარიანტოდ დაებეჭდა.

ტექსტის დადგენისას კომისიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა. ერთ-ერთ მათგანს ვეფხისტყაოსნის ავალიშვილის ცალისათვის თავში (გვ. 1) მიუწერია: „შემწყობისათვის“: 1. ყველგან იყოს ვ [და] ვე, უ და უშჱ მაგიერად. 2. ჰ სრულებით საჭირო არ არის. 3. შემკვრელი არასადა არ იყოს, თუ არა მხოლოდ „შერთულ ლექსებში“. მაგრამ ეს მითითება გამოცემაში მთლიანად არაა გატარებული, გამოცემულ ტექსტში ჰ-ეც გვხვდება, შემკვრელი „და“ და სხვ.

კომისიას ახალ გამოცემულ ტექსტში ბევრი ცვლილება შეუტანია, მაგ., არ დაუნაწევრებია ტაეპების ბოლო სარითმო ასოები, მე-4 ტაეპის დამაკავშირებელი „და“ ლიგატურით არ დაუბეჭდავს, სათაურები, უმეტეს შემთხვევაში, ახალი რედაქციით გაუმართავს, დაუცავს ახალი პუნქტუაცია, შესწორებები შეუტანია ცალკეული სიტყვების წაკითხვებში, როგორცაა მაგ., ვახტანგის გამოცემის

⁹⁹ ზ. ფალავანდიშვილის წერილები დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ბროსეს ფონდი), ამონაწერები მომწოდებ. გ. გიორგაძემ.

„ცრემლსა ვითა მარგალიტსა ტირს (რმ, 140)“ გაუსწორებია: „ცრემლსა ვითა მარგალიტსა ჰყრის“; ცბგერა შეუცვლია „ძს“-თი ისეთ ფორმაში, როგორცაა, დამიც, ძალუც და სხვ.

შეცდომით გაუმართავს რჯვ (166) სტროფის პირველი ტაეპი; „დაჰსწერა, თუ „ჩემნო“, დაზრდილნო ყმანო და ზოგნო ზრდილნო“, რომელიც შემდეგ, როგორც შეცდომა, გასწორებაში აღუნიშნავს და აღუდგენია ვახტანგის ტექსტი, „დაწერა თუ ჩემნო ყმანო დაზრდილნო და ზოგნო ზრდილნო“ (რჯვ) და სხვ.

სტროფების ნუმერაციისათვის გამოყენებულია ქართული ასოები ისე, როგორც 1712 წ. გამოცემაშია აღნიშნული: ლუწ გვ. მარცხნივ, კენტზე—მარჯვნივ.

1841 წ. გამოცემაში არ შეუტანიათ ვახტანგის კომენტარი, რადგანაც ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, აშკარა იყო მისი ტენდენციურობა, რის გამო მას არ იზიარებდნენ. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ვახტანგმა პოემის მიჯნურობა შეცდომით ღვთაებრივ მიჯნურობად განმარტა; ამიტომ ვახტანგის კომენტარებს „ფრიად უშესაბამო და უხამსოს“ უწოდებდნენ¹⁰⁰. „თითოეულმა იცისო, — წერს მ. ბროსე, — რომ ვეფხისტყაოსანი ზღაპარია და არა საღმრთო წერილიო“. ამას გარდა, — აცხადებს ბროსე, — ვახტანგი „მოქმედობასა ვეფხისტყაოსნისასა განჰმარტებს საღმრთოს წერილითაო“ (XII—XIII). ყოველივე ამის გამო ვახტანგის კომენტარები¹⁰¹ აღარ შეიტანეს ახალ გამოცემაში და მის ნაცვლად დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „მცირე ლექსიკონი“ დაურთეს.

გამოცემას თან ერთვის მ. ბროსეს წინასიტყვაობა. დაწერილია ის 1841 წ. 15 აგვისტომდე. ამ წერილში, რომლის დაწერაზე დ. ჩუბინაშვილს ავტორისათვის გულითადი შემწეობა აღმოუჩენია, ბროსე დიდ შეფასებას აძლევს ვეფხისტყაოსანს, ახასიათებს პოემის მთავარ პერსონაჟებს, არჩევს სიუჟეტის საკითხს, „მომქმედნი პირნი ვეფხისტყაოსნისა თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეს თამარ მეფის დროს მომხდართაო“; პოემის გმირების ხასიათი ქართველთა სრულს „ნარაკტერს გამოგვიხატავენო“ (IX). შემდეგ აკრიტიკებს ანტონ პირველისა და ტიმოთე გაბაშვილის შეხედულებებს ვეფხისტყაოსანზე, იხილავს რუსთველის პოე-

¹⁰⁰ ვახტანგის კომენტარების შესახებ, 1840 წ. ოქტომბრის 14-ს, გ. ავალიშვილი ზ. ფალავანდიშვილს სწერდა: „თარგმანსა მისსა ვერ შეეხე. რადგანაც თვით პირველთაგა განმმარტებელთა მისთა ვითარცა ჰსჩანს, არა ყოველი მარაღიად განუმარტებელთა, ვინაითვან შაირთა ანუ ლექსთა შინა მისთა არიან მრავალნი სიტყვანი უცხოთა ენათანი და არა ქართველნი“.

¹⁰¹ კომისიისათვის უთუოდ ცნობილი იყო ვახტანგის კომენტარების მიზეზით 1826 წელს რომ ვერ მოხერხდა ვეფხისტყაოსნის გამოცემა. ამ გამოცემის რეცენზენტი ნ. ჩუბინაშვილი იყო, ბიძა და. ჩუბინაშვილისა.

ტიკის საკითხებს, გადმოცემულია რუსთველის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, დასახელებულია პოემის ინტერპოლატორები, აკრიტიკებს პოემის ვახტანგისეულ გამოცემას და ეხება ახლად დამატებულ სტროფების საკითხს.

პოემას ერთვის ცხრასტროფიანი ლექსი, რომელიც იწყება იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი მიმართვით. შემდეგ გადმოცემულია რუსთველის ბიოგრაფიული ცნობები, ამას მიყვება ავტორის *Pro domo sua* და ბოლოს მოცემულია ცნობები ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის შესახებ. ამ ლექსის ავტორად მ. ბროსე არის დასახელებული: „მე გვარტომობით ფრანკუცი, ბროსეტ მზრუნველ ქართველთ ენის... ესე წიგნი ღვაწლით ჩემით აწ მეორედ დაიბეჭდა... კვლავ ფალავანდოვი ჩემთან და ჩუბინოვიც მღვწელია“ და სხვა. 1937 წ. ა. კობახიძემ პრესაში განაცხადა, რომ ლენინგრადის „საარქივო მასალები სრულად აშუქებენ იმ საკითხსაც, რომ 1841 წლის გამოცემის ის საბოლოო ცხრა გალექსილი ტაეპი. „ღმერთო აღიდგხელმწიფე, იმპერატორი ჩვენია“, რაც ამ [1841 წ.] გამოცემას აქვს დართული, დაუწერია არა ბროსეს, არამედ თეიმურაზ ბატონიშვილს და ამ ტაეპთა ზოგიერთი ულაზათო ლექსი ბროსეს მიერ თეიმურაზ ბატონიშვილის ლექსთა რედაქციის შესწორების ნიადაგზე აღმოცენებულა“¹⁰². სამწუხაროდ, ავტორს ეს მოსაზრება დასაბუთებული არ აქვს და ამიტომ ძნელია თქმა, რამდენად მართალია ის, მაგრამ ერთი კი ცხადია, ამ ლექსის მეხუთე სტროფი არ შეიძლება თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნოდეს. თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით, ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთველი იყო კახეთის რუსთაიდან, „შობილივე რუსთავსა შინა... რომელი იგი იყო ადგილით ჰერეთით... ტვილისიდგან შვიდი მილი“¹⁰³. ლექსში კი წერია: „შოთა იშვა სამესხეთოს დაბასა შინა ქებულიო“. ლექსში გატარებულ აზრს იცავდა დ. ჩუბინაშვილი, რომელსაც, როგორც ჩანს, იზიარებდა მ. ბროსეც.

¹⁰² ვაზ. „კომუნისტი“, 1937. № 234, გვ. 4. ამ ლექსის და ვეფხისტყაოსანში ჩამატებული სტროფების გამო პოლონელმა მწერალმა კაზიმირ ლაფრინსკომ, მ. ბროსე ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორთა ჯგუფში მოაქცია: ვეფხისტყაოსნის „სუბუქად გამოცემა,—წერს ლაფრინსკი,—არაფერ ნაყოფს მოგვიტანს, ამას გვიმტკიცებს თითონ ბროსე, რომელმაც „არა თუ არ გაისარჯა და არ გასწმინდა ვეფხისტყაოსანი სხვა მწერლების ლექსებიდან, რომელიც ჩამატებული არის—იმან შეავსო ახლის მეცადინეობით მოპოვებულის ახლის ლექსებით, რომელიც უშოვნია სხვადასხვა წიგნებითგან, გაუტია სხვის გზასა და თვითონაც ჩაუმატა თავისი შეთხზული ლექსი“ („ცისკარი“, 1870, ივნისი, გვ. 279).

¹⁰³ ვ. თაყაიშვილი, Описание, II, გვ. 586—587, თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის გამოცემა, 1960, გვ. 291.

1841 წ. გამოცემულ ვეფხისტყაოსნის თავფურცელს აწერია: ვეფხვის-ტყაოსანი. რუსულად Барсова кожа, პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულია ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა¹⁰⁴ და დავით ჩუბინოვისათა, სანკტ-პეტერბურს, სტანბაში საკელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა 1841.

გამოცემა დიდი მოკრძალებითაა მიღწენილი თეიმურაზ ბაგრატიონისადმი. ამის შესახებ მე-3 გვ. წერია: „მათს უგანათლებულესობას ბატონი-შვილს თეიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის პატივისცემისა. გულითადის მადლობისა, სამარადისო ერთგულებისა, ნიშნად შევსწირეთ, დამბეჭდველნი ბროსეტ, ზაქ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინოვი“.

ამ სახით დამზადდა აღნიშნული გამოცემა 1840 წელს. პოემა შეიცავს 1637 სტროფს. 1841 წ. 1 თებერვალს წიგნი ჩაბარდა დასაბეჭდად მეცნიერებათა აკადემიის სტამბას. იმავე დღეს მ. ბროსემ ბეჭდვის უზრუნველსაყოფად შეიტანა 175 მანეთი. წიგნი ააწყო სვიმონ ტაბიძემ.

გვეგვით პოემა ხელისმომწერლებს უნდა დარიგებოდა 1841 წ. გაზაფხულზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ბეჭდვის დამთავრება იმავე წლის 30 სექტემბრამდე ვერ მოხერხდა.

შრიფტის უქონლობისა თუ სხვა მიზეზის გამო, წიგნი იბეჭდებოდა ნახევარ თაბახობით და სიგნატურაც ამის მიხედვით აქვს გაკეთებული.

პირველად აიწყო და დაიბეჭდა პოემის ტექსტი და ლექსიკონი (1—238).

წიგნი შეიცავს 15 3/4 თაბახს, ანაწყობის ზომა 6×10.

ტექსტი აწყობილია აკადემიური ციცეროთი, სათაურები კი ვახტანგისეული მუქი ციცეროთი.

სტროფები დანომრილია ქართული ანბანით (პეტიტი აკადემიუ-

¹⁰⁴ 1841 წ. 21 ნოემბერს, პ. იოსელიანს ბროსესთვის უცნობებია: „ზაქარია ფალავანდიშვილი სჯავრობს, რომ არ მოიხსენიეთ იგი თავადად. ეს ლექსი არ უნდა დაგვედოთ — მაგრამ წარსულსა რაღა ემუქლებათ“. ეს ამბავი ბროსეს უცნობებია ზ. ფალავანდიშვილისათვის, უკანასკნელს 1842 წ. 8 იანვარს შემდეგი პასუხი გაუცია: „თქვენ მწერთ, რომ მე თითქოს კმაყოფილი არ ვიყო იმის გამო, რომ წიგნზე ჩემი კეთილშობილური წოდების აღნიშვნა გამოტოვებულია. ღმერთმან დამიფაროს ამისგან. ეს მოგწერათ ჩვენმა პლატონმა, რომელიც თავფურცელზე ჩამოთვლის რა მის ტიტულებს, ქვეყანას თავის საზომით ზომავეს. მე ცოტა რამ მესმის. მე ვუთხარი ჩუბინოვს, რომ საჭირო არ არის-მეთქი გამომეგვლთა გვარების ჩამოთვლა, რადგან საქართველოში ბევრი თვალი და ყური, მაგრამ ცოტა-ჰქუა და გონება“. (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ბროსეს ფონდი № 126).

რი), როკელიც ანაწყობის ზომის გარეშეა¹⁰⁵, დასმულია ისინი ლუწ გვერდზე მარცხნივ, კენტ გვერდზე კი — მარჯვნივ.

ტაბები ერთმანეთისაგან დაშორებულია ჩვეულებრივი შპონით. მეოთხე ტაბის დამაკავშირებელი „და“, გამოყოფილია ტექსტიდან.

სტროფების დასასრულს დასმულია ორი წერტილი, ყოველ თავის და სათაურის დასასრულს — სამი წერტილი სამკუთხედათ. ყველა თავის დასასრულს მოცემულია ბორდიურის დაბოლოვება.

წიგნის პაგინაცია აწყობილია არაბული „ჩვეულებრივი“ რუსული ციფრიდან, დასმულია ის ზემოთ. ლუწ გვერდზე მარცხნივ, ხოლო კენტ გვერდზე მარჯვნივ, სტროფების ნუმერაციის მხარეს.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის წინსართის (თავფურცელი, წინასიტყვაობა) გვერდების პაგინაცია გაკეთებულია ფრჩხილებში რომაული ციფრებით.

კოლონტიტულში მარცხნივ დაბეჭდილია: ვეფხვის, მარჯვნივ — ტყაოსანი, აწყობილია ვახტანგისეული მუქი 12-ით.

თავფურცელი შეიცავს 12 სტრიქონს, აწყობილია სხვადასხვა შრიფტით: ვახტანგისეული შავი ციცერო, აკადემიური პეტიტ, ვახტანგისეული 10, ვახტანგისეული მუქი ციცერო, აკადემიური 12 და ე. წ. ფერადი მთავრული ასოები (იხ. ტაბ. II).

მე-5 გვერდი, სადაც აღნიშნულია ამ გამოცემის მიძღვნა თეიმურაზ ბაგრატიონისადმი, შეიცავს 12 სტრიქონს, აწყობილია სხვადასხვა შრიფტით: აკადემიური 12, ვახტანგისეული მუქი 12, აკადემიური კორპუსი, აკადემიური პეტიტ, ასომთავრული ხუცური.

„წინასიტყვაობა“ აწყობილია ვახტანგისეული მუქით, წინასიტყვაობის ტექსტი—აკადემიური 12-ით.

ლექსიკონი იწყება ახალი გვერდით, სახელწოდება „მცირე ლექსიკონი“ ტექსტიდან დაშორებულია და ზემოდან დაწეულია 1/2 კვადრატით. დაბეჭდილია ის ორ სვეტად. ანბანები თითოეულ სვეტშია გამოყოფილი. თითოეული ანბანი ძირითად ტექსტიდან გამოყოფილია 2 სტრ., დაბეჭდილია ვახტანგისეული შრიფტით. ასახსნელი სიტყვა აწყობილია დაყოფით აკადემიური 12-ით, ახსნილი—დაუყოფლად, იმავე შრიფტით. ასახსნელი სიტყვების საწყისი ასოები გამოყოფილია ვახტანგისეული შავი ასოებით. სვეტები ერთმანეთისაგან დაშორებულია 1/2 შავი ხაზით.

39-ე გვ. სეთ-ს შემდეგ სტროფების ნუმერაცია უნდა აღნიშნულიყო ტ—ასოთი, ამის ნაცვლად შეცდომით სეთ-სთვის მიუყოლე-

¹⁰⁵ სათვალავის რიგითი ნუმერაცია ყოველთვის არაა დატული, არც: შემთხვევები მათი გამორჩენისა და განმეორებებისა, აქა-იქ გვხვდება კორექტურული შეცდომებიც.

ბიათ სრ, სრა, სრბ, სრგ, სრდ, ნაცვლად ტ, ტა, ტბ, ტგ, ტდ-სა. ეს შეცდომა ბექდვის დროს შეუმჩნეველად და 40-ე გვერდიდან კიდევაც გაუსწორებიათ, მაგრამ გაუგებარია, თუ რატომ არ გაასწორეს 39-ე გვერდზე.

წიგნს ბოლოში დართული აქვს ერთი ფურცელი, რომლის პირველ გვერდზე მოთავსებულია რფე (166) სტროფის პირველი ტაეპის კორექტურული შეცდომების გასწორება, გარეკანის I და IV გვ. ჩასმულია ორხაზოვან სტამბურ ორნამენტთან ჩარჩოში, რომლის კუთხეები და შუა ნაწილი შეერთებულია ბორდიურებით. IV გვ. შუა ადგილას დხხატულია არფა, რომელსაც მარჯვენა ხელით უკრავს აღმაფრენ მდგომარეობაში მყოფი ქალი. უკანასკნელის მარცხენა ხელი მზადყოფნაშია არფისთვის. არფის ძირს გამოსახულია მცენარის ფოთლები. IV გვ. ძირს, ჩარჩოს ხაზებს შორის, აკადემიური პეტიტით, დაბეჭდილია წიგნის ფასი სიტყვებით: „ფასი სამი მანეთი“. გარეკანის ტექსტი და თავფურცლის ერთი და იგივეა, პირველში არ არის აღნიშნული მხოლოდ თუ რომელ სტამბაში დაიბეჭდა წიგნი, გამომცემლების ვინაობის წარწერაც სხვანაირად არის განლაგებული და საპაუზო ხაზი გარეკანზე უფრო მკირეა, ვიდრე თავფურცელზე.

წიგნი დაიბეჭდა 1200 ცალი, გვ. XIV, 239. სასტამბო ხარჯებს შეადგენდა 313 მანეთი და 88 კაპიკი¹⁰⁶.

ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემამ რუსთველოლოგიაში პროგრესული როლი ითამაშა. მან შეარყია ვახტანგისეული პოემის გამოცემის მოცულობა და დააყენა საკითხი ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნულმა გამოცემამ ვერ შესწყვიტა პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებით გავრცელება. ორიოდ ნუსხა მოგვეპოვება, რომელიც 1841 წ. გამოცემიდან მომდინარეობს.

VI

ვეფხისტყაოსნის რამოდენიმე ცალი ჩაუსვამთ მაგარ ყდაში. საპატივემლო პირთათვის მისართმევად¹⁰⁷.

¹⁰⁶ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 2, საქმე № 196.

¹⁰⁷ 1841 წ. 26 სექტემბერს ზ. ფალაენდიშვილი სთხოვდა ბროსეს მისთვის ყდაში ჩაესვა „ტარიელის“ სამი წიგნი. ერთი არც ძალიან მდიდრულად, მაგრამ ღამაზათ მოოქრული ორნამენტებით, როგორც ეხლა ინგლისურ ყდაზე აკეთებენო და რომელიც შეიძლება 10—15 მანეთი დაჯდესო. მეორე ყდა წიგნისა

ზ. ფალავანდიშვილი ერთ-ერთ წერილში ბროსეს ატყობინებდა, „თუ თქვენ ვერცხლის ყდაზე გექნებათ ილუსტრაცია „ტარიელიდან“ აღებული, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ რადგან ეს ძვირია, თქვენ შეგიძლიათ დაკმაყოფილდეთ მხოლოდ სატიტულო წარწერით... მითხრეს, რაკი ყდები თბილისში არ იშოვება, ამიტომ მანდ გააკეთებინეთ და ამას მოემატება ფანი 25 კაპიკო“.

ჩასვეს თუ არა მთელი ტირაჟი მაგარ ყდაში, არ ვიცით. წინასწარი გამოანგარიშებით, წიგნი ბაზარზე უნდა გაყიდულიყო 2 მან. 37 კაპიკად, ნამდვილად კი იყიდებოდა 3 მანეთად.

როგორც აღვნიშნეთ, პოემის ამ გამოცემაზე ჩაუტარებიათ ხელისმომწერა. ხელისმომწერლებზე წიგნი უნდა გაყიდულიყო ორ მანეთად, ხოლო ბაზარზე, როგორც აღვნიშნეთ, ორ მანეთად და 87 კაპიკად.

ხელისმომწერლებს რომ წარმოდგენა ჰქონოდათ ვეჟურისტკოსნის ახალ გამოცემაზე, ამიტომ პროგრამა იმ შრიფტით და სომის დაუბეჭდავთ, რა სახითაც უნდა დაბეჭდილიყო პოემა, „წიგნი ესე [ე. ი. ვეფხისტყაოსანი] აღიბეჭდების ამავე ასოებითა და იქნება ამავე ტანისა, როგორც ეს პროღრამმააო“, აცხადებდნენ გამომცემლები. პროგრამისათვის კი დაურთავს ცალკე ფურცელი, რომლის ერთ გვერდზე იმავე შრიფტით დაბეჭდილია პოემის დასაწყისი სტროფები.

ეს პროგრამა დაუბეჭდავთ და გაუფრცელებიათ ქართულ რუსულ ენებზე. ხელისმომწერა ჩატარებულა პეტერბურგში, მოსკოვში და თბილისში. მოსკოვში ამ საქმეს ხელმძღვანელობდა გ. ავალიშვილი, საქართველოში კი ზ. ფალავანდიშვილი.

პეტერბურგიდან თბილისში წიგნების ფოსტით გადმოჰიწდვას ძალზე აგვიანდებოდა და თანაც ძვირიც ჯდებოდა, ამიტომ ამ საქმისათვის უმთავრესად იყენებდნენ ვაჭრებს, რომლებსაც თბილისსა და პეტერბურგში მიმოსვლა ჰქონდათ, აგრეთვე სამხედრო სამინისტროს მიერ თბილისში გამოგზავნილ შიკრიკებს და ზოგჯერ ამიერკავკასიაში ფულის გამოგზავნისას წიგნებსაც თან აყოლებდნენ¹⁰⁶.

შეიძლება დაჭდეს ერთი მანეთით. ეს ორი წიგნი ზ. ფალავანდიშვილს უნდა მიეროშია თავისი ბიძისათვის და ძალუასათვის. შესაძებ—მაგარ ყდაში ჩასმული, თავისთვის უნდოდა.

¹⁰⁶ წიგნების გაგზავნის შესახებ 1842 წ. 4 მაისს ზ. ფალავანდიშვილი მ. ბროსეს სწერდა: „მირჩიე როგორ მოვიქცეთ წიგნების გაგზავნის საკითხზე: ფოსტით ძალიან ძვირია, ასევე ტრანსპორტითაც, რომელიც გრძელდება დაახლოებით 5 თვე. შეუწუხდით და გავვიგეთ თბილისისაკენ ვინ მოემგზავრება; მათ შორის მე ვიყნობ ახალგაზრდა თავად ბებუთოვს, კარგი ყმაწვილია, რომელიც მინდოდა ერთზე წარმოედგინა თქვენთვის. როგორც მამამისმა მითხრა, ის ამ თვეში უნდა წამოვიდეს. მისი აყვავებული ქონება საშუალებას მისცემს წამოვიდეს დიდკაყურად, როგორც ვფიქრობთ, მისთვის ადვილი იქნება თან წამო-

თუ რამდენი წიგნი გავრცელდა საქართველოში. ამას შესახებ ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება. ზ. ფალავანდიშვილის მიერ ბროსესადმი მიწერილ წერილებში დაცული ცნობების მიხედვით, 1842—1843 წლებში თბილისში მიღებული ჩანს 455 წიგნი, რომელთა ნაწილი გასასყიდად გაუგზავნიათ ქუთაისში, თელავში, გორში, გური-აში და სხვა ადგილებში. 40 ცალი წიგნი შეუძენია თბილისის გიმნაზიას, რომელსაც ამ დროს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. სამაჰი მანეთის წიგნი უყიდია თბილისის ქართველ ახალგაზრდობის საზოგადოების მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკას¹⁰⁹.

წიგნი თანდათან ვრცელდებოდა მასაში ისე, რომ 1845 წელს ტირაჟის ნახევარი თითქმის გაყიდული იყო.

VII

ვეფხისტყაოსნის ბროსესეული გამოცემის შემდეგ. პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილების საფუძველზე (1844 წ., 24 VII). აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შემოიღეს ქართული, სომხური და თათრული ენების სწავლება. ამის გამო, უნივერსიტეტმა დაიწყო აღნიშნულ საგნებში სახელმძღვანელოების გამოცემა. ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენა 1845 წ. 24 იანვარს დაევალა ამავე საგნის მასწავლებელს დავ. ჩუბინაშვილს. მან იმავე წელს შეადგინა „ქართული ქრისტიანობა“ და წარუდგინა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს, რომელმაც წიგნი განსახილველად გადასცა მეცნიერებათა აკადემიას. უკანასკნელმა განიხილა ეს სახელმძღვანელო, დადებითი შეფასება მისცა მას და მ. ბროსეს შენიშვნების თანდართვით დაუბრუნა უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის რექტორმა პლეტნევმა აღნიშნული ნაშრომი ჩააბარა ავტორს 1845 წ. 21 დეკემბერს და მოსთხოვა მისი გასწორება მ. ბროსეს შენიშვნების მიხედვით და შემდეგ ხელახლა წარდგენა უნივერსიტეტის საბჭოსათვის. ამასთან ერთად, დ. ჩუბინაშვილს

იღოს საკმაო რაოდენობის წიგნები. თუ თქვენ მას იცნობთ, ჩემს მაგიერ უთხარით, ჩუბინოვი მას კარგად იცნობს. მე აქ ყველას ვეუბნები, რომ „ტარიელის“ დაბეჭდვა დაგვიჯდა 750 მანეთი ვერცხლით“ (№ 127).

¹⁰⁹ იგულისხმება ის ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსდა ორმოციანი წლების დასაწყისში თბილისში დ. ყიფიანის ინიციატივით. ამ ბიბლიოთეკის დაარსების საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ ზ. ფალავანდიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, ზ. ორბელიანი, ლ. მელიქიშვილი და სხვ. (იხ. ტ. ხუნიდაძე. ცარიზმის პოლიტიკისათვის ბიბლიოთეკების მიმართ საქართველოში, „ბიბლიოგრაფიის შოამბე“, 1948, № 4—5, გვ. 268).

უნივერსიტეტის საბუღალთოს უნდა წარედგინა ხარჯთაღრიცხვა ქრესტომათიის 600 ცალის დაბეჭდვის შესახებ¹¹⁰.

„ქართული ქრისტომათია“, რომელშიც უნდა მოთავსებულიყო „გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან“, გამოიკეპოდა ორ ნაწილად. მეორე ნაწილში, სხვა მასალებთან ერთად, უნდა დაბეჭდილიყო ვეფხისტყაოსანის ც. რაკი ამ დროს პოემის ბროსესული გამოცემის ტირაჟი მთლიანად გაყიდული არ იყო, ამიტომ დ. ჩუბინაშვილმა ისარგებლა ამ შემთხვევით და აღნიშნული გამოცემის დარჩენილი ცალები გამოიყენა ქრესტომათიისათვის. ამის გამო მან პირველ რიგში საკუთარი ხარჯით გამოსცა სახელმძღვანელოს II ნაწილი 600 ცალის რაოდენობით.

დ. ჩუბინაშვილს ქრესტომათიისათვის რომ ვეფხისტყაოსნის ბროსესული გამოცემა აქვს გამოყენებული, ჩანს შემდეგიდან: 1841 წ. გამოცემაში რგვ (166) სტროფის პირველ ტაეპში იკითხება „დაზრდილნო ყმანო“, „ყმანო დაზრდილნო“-ს ნაცვლად. ეს შეცდომა გამოცემლების მიერ საგანგებოდაა აღნიშნული წიგნის ბოლოს, სადაც მითითებულია, თუ როგორ უნდა გასწორდეს აღნიშნული ადგილი. 1846 წ. გამოცემაში კი ზემოთ აღნიშნულ ტაეპზე გასწორებული არაა. პოემის ტექსტი რომ ახლად აწყობილიყო. ეს შეცდომა გასწორებული იქნებოდა ისე, როგორ 1860 წლის გამოცემაში (იხ. სტრ. 164).

1841 წ. გამოცემაში ორჯერაა ნაჩვენები სტროფების ნუმერაციები: ჩტმე, ჩტმვ, ჩტმზ (გვ. 184—185), ასევეა ეს ნუმერაციები დაბეჭდილი 1846 წლის გამოცემაშიც.

1841 წ. გამოცემის 39-ე გვერდზე შეცდომითაა სტროფები დანომრილი (სრ-სრდ, ნაცვლად ტ-ტდ), ეს შეცდომა გვხვდება 1841 წ. გამოცემაშიც.

1841 წ. გამოცემაში შეცდომითაა დაბეჭდილი „მის მოყმისა“ (გვ. 30 სტრფ. სლბ, 232) ნაცვლად „მის მოყმისა“, ეს შეცდომა განმეორებულია 1846 წ. გამოცემაშიც.

ვეფხისტყაოსნის ორივე გამოცემაში (1841 და 1846 წწ.) სტროფების ნუმერაცია ზოგ შემთხვევაში არაა თავის ადგილას, სტროფების დასაწყის ტაეპთან დასმული (იხ. გვ. 80, 106 და სხვ.).

ჩსმთ (1249) სტროფის პირველი ტაეპის დასაწყისში ორივე გამოცემაში შეცდომით არის დაბეჭდილი მძიმე (გვ. 172).

ასეთივე შეცდომით არის მძიმე დასმული ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემის ერთ სათაურში სიტყვის „დარეჯანისა“ რ--ს თავზე, რომელიც გადასულა დ. ჩუბინაშვილის გამოცემაშიც (გვ. 162).

¹¹⁰ Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, выпуск III. 1894, стр. LXXII—LXXIII.

სტროფის ნუმერაციად ორივე გამოცემაში შეცდომით დაბეჭდილია დქი ნაცვლად ქიდ-ისა (გვ. 80).

კორექტურული შეცდომებიც ორივე გამოცემაში ერთნაირია: მაგ., მეფენ (ჩსკგ), ავთანრილ (ჩტეე), შის (სლბ), ასმით (რპ) და სხვ. ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის 1846 და 1841 წწ. გამოცემანი ერთმანეთისაგან არაფრით არ განირჩევიან.

მხედველობაში არ ვიღებთ ორივე გამოცემის ანაწყობის ზომას, შრიფტს და გვერდებზე სტროფების რაოდენობათა ერთიანობას.

ამრიგად, დ. ჩუბინაშვილს ქრესტომათიისათვის გამოყენებული აქვს ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემის ნაბეჭდი ფორმები და არა აწყობილი შრიფტი. პოემის აწყობილი ტექსტი რომ გამოყენებინა, შეუძლებელია კორექტურა გამომცემელს არ წაეკითხა და ახალ შესწორებებთან ერთად, არ შეემჩნია და არ გაესწორებინა ზემოთ აღნიშნული შეცდომები. თანაც მოსალოდნელი არაა შეენახათ 1841 წელს აწყობილი შრიფტი. რადგანაც პოემის ახლო მომავალში გამოცემა განზრახული არ იყო. ასევე ძნელი დასაჯერებელია, რომ ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბას აწყობილი ქართული შრიფტი უმოქმედოდ გაეჩერებინა.

დ. ჩუბინაშვილის ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისათვის მოუხსნია დასაწყისი ნაწილი (თავფურცელი, მ. ბროსეს წინასიტყვაობა) და მის ნაცვლად ახალი თავფურცელი შეუდგენია, რომლის შემდეგ რუსულ ენაზე დაუბეჭდავს თავისი წერილი ვეფხისტყაოსნის შესახებ და პოემის გ. ბარტდინსკის რუსული თარგმანის ნაწყვეტები. აღნიშნული ნაწილის გვერდები წიგნში დანომრილია რომაული ციფრებით.

ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემა თავდება 223 გვერდით. ამ გვერდზე მოთავსებულია პოემის ბოლო ორი სტროფი, „ესე ასეთი სოფელი არ ვისგან მისიანდობელი“ (ჩქლე 1636), „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“ (ჩქლზ 1637) და აგრეთვე ცხრა ტაეპიანი ლექსი „ღმერთო, ადიდე ხელმწიფე“. უკანასკნელი ლექსი დ. ჩუბინაშვილს არ გამოადგებოდა ქრესტომათიისათვის, ამიტომ აღნიშნული გვერდი მას ხელახლა აუწყვია. ახლადაწყობილ ვეფხისტყაოსნის ზემოთ აღნიშნულ ორ სტროფში გაუსწორებია პუნქტუაცია და მოუხსნია სტროფების ნუმერაცია. ხოლო ტექსტის დასასრულს დასმული ხაზი შეუცვლია მომცროთი, მის ქვემოთ კი მიუწერია: „დასასრული ვეფხისტყაოსნისა“ და ამ სახით დაუბეჭდავს ეს ფურცელი ქრესტომათიისათვის დამატებულ შემდეგ მასალებთან ერთად: „ნარას სოფელს ნუზალა საყდარზე დაწერილი ლექსი“, „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღუთის-მშობელს

დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა“, „იამბიკო ესე თქმული რუსთველის მიერ, ზედა-წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ლჷთის-მშობლისასა“.

რადგანაც ახლად დამატებული ფურცელი 27-ე თაბახის ნახევრით თავდება. ამიტომ ეს ფურცელი (გვ. 223—224) დ. ჩუბინაშვილს ცალკე დაუბეჭდავს, ხოლო ქრესტომათიის სხვა მასალა (გვ. 225—246)—ცალკე, ნახევარ თაბახობით (28—30 უკანასკნელი თაბახიდან ორი გვერდია)¹¹¹.

ასე რომ დ. ჩუბინაშვილის 1846 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანი, უკანასკნელი ორი სტროფის გამოკლებით, ახალს არაფერს შეიცავს, ის 1841 წლის გამოცემის ტირაჟიდანაა შესული ქრესტომათიაში. ამიტომაცაა, რომ ქრესტომათიის მეორე ნაწილი, რომლის დაბეჭდვის ნებართვა უნივერსიტეტის საბჭოსაგან 1846 წ. 8 ოქტომბერს გაიცა, მალე, იმავე წელს დაბეჭდეს და ბაზარზე გამოიტანეს.

წიგნს თავფურცელზე აწერია: ქართული ქრისტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ. Грузинская хрестоматия, составленная Д. Чубиновым, часть вторая, стихотворения, Санкт-Петербург, типография императорской Академии Наук, 1846».

გამოცემა მიძღვნილია პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისადმი.

ქრესტომათიის ორივე ნაწილზე გაწეული ხარჯების დასაფარავად პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა იშუამდგომლა განათლების მინისტრის წინაშე, რომ უნივერსიტეტს მისცემოდა პირველი ნაწილისათვის 860 მან და 62 კაპ., ხოლო დ. ჩუბინაშვილს, მეორე ნაწილის გამოცემისათვის, 310 მან და 50 კაპ.

განათლების მინისტრის შუამდგომლობის საფუძველზე კავკასიის სამოსწავლო კომიტეტის თავმჯდომარემ გაწეული ხარჯები გაიღო და ნება დართო უნივერსიტეტს წიგნის ორივე ნაწილი გაეყიდა 2 მან. 25 კაპ. იმ პირობით, რომ მიღებული თანხა უნივერსიტეტს მოეხმარა ამიერკავკასიის სტუდენტებისათვის სხვა სახელმძღვანელოების გამოსაცემად¹¹².

¹¹¹ როგორც აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემის სტროფების დასასრულს დამტულია ორი წერტილი. თავების დასასრულს კი — სამი წერტილი. წიგნში ერთნაირობის დაცვის მიზნით, დ. ჩუბინაშვილს აღნიშნული წესი დაუცავს ქრესტომათიის სხვა მასალების პუბლიკაციის დროსაც.

¹¹² ЦГИАЛ, ფონდი 733, ანაწერი 82, საქ. 1857, № 125642, ფ. 1, 4. ქრესტომათიისა და ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსკონის შედგენისა და გამოცემისათვის დ. ჩუბინაშვილი დააჯილდოვეს 1847 წ. 3 თებერვალს წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით. 1848 წ. 4 მარტს ქრესტომათიის ერთი ცალი წარუდგინეს

წიგნები გამოიგზავნა თბილისშიც. იყიდებოდა ა. ენფიანჯიან-
ციის წიგნის მაღაზიაში. უკანასკნელი პირველ ხანებში ნაწილ-ნაწი-
ლობრივ და ისიც მცირე რაოდენობით იძენდა ამ გამოცემას, მაგ-
რამ რადგანაც წიგნზე დიდი მოთხოვნა იყო, ამიტომ 1857 წ. მაღა-
ზიის გამგემ სთხოვა პეტერბურგის უნივერსიტეტის მმართველო-
ბას, რომ მისთვის ფასდაკლებით დაეთმოთ გამოცემის მთელი ტი-
რაჟი. ამ საქმის შესახებ გაიმართა მიწერ-მოწერა პეტერბურგის
უნივერსიტეტის, განათლების სამინისტროსა და პეტერბურგის სა-
მოსწავლო ოლქის მზრუნველს შორის¹¹³ და საბოლოოდ გადაწყდა
დაკმაყოფილებულიყო წიგნის მაღაზიის გამგის თხოვნა. ამ დროს
(1857 წ. 18 ივლისი) უნივერსიტეტს გაუყიდველი აღმოაჩნდა 250
ცალი წიგნი. აქედან ყოველი შემთხვევისათვის დაიტოვა 20 ცალი,
ხოლო დანარჩენი, 25 კაპიკის ფასდაკლებით, გადასცა თბილისში
ა. ენფიანჯიანციის წიგნის მაღაზიას.

VIII

ვეფხისტყაოსნის 1846 წ. გამოცემის შემდეგ, პოემის დაბეჭდვა
სცადეს თბილისში. ამ საქმეს ხელი მოკიდა „ცისკრის“ რედაქციამ.
უკანასკნელი შეუდგა ვეფხისტყაოსნის გამოცემის სამზადისს 1857
წელს. ეს გამოცემა უნდა დაბეჭდილიყო ჯვარის მონასტრის (პა-
ლესტინა) ფრესკიდან გადმოღებული რუსთველის სურათით და ავ-
ტორის ბიოგრაფიული ცნობების თან დართვით.

წიგნზე გამოცხადდა ხელის მოწერა, ეგზემპლარის ღირებულე-
ბა განისაზღვრებოდა 3 მანეთით. უნდა დაბეჭდილიყო იმდენი ცა-
ლი, რამდენიც ხელისმომწერი ეყოლებოდათ. ხელის მოწერა უნდა
ჩატარებულყო მაისიდან 1 აგვისტომდე¹¹⁴, მაგრამ, სხვადასხვა
მიზეზის გამო, ეს გამოცემა ვერ განხორციელდა.

პოემის მორიგი გამოცემა ისევ პეტერბურგში დაიბეჭდა.

IX

პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ ქართული ქრესტომათიის
რეალიზაციის შემდეგ 1857 წ. დ. ჩუბინაშვილი შეუდგა აღნიშნული
ქრესტომათიის მეორე გამოცემის სამზადისს. ამ მიზნით მან 1858 წ.

იმპერატორს, რომელმაც კმაყოფილებით მიიღო ის, ხოლო განათლების მინის-
ტრისაგან ავტორმა მადლობა დაიმსახურა.

¹¹³ ЦГИАЛ. ფონდი, 733, ანაწერი 82, საქ. 1857, № 125642.

¹¹⁴ ჟურნ. „ცისკარი“, 1857, V. გვ. 52; გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, რუსთველოლო-
გიური ლიტერატურა, 1957, გვ. 37.

დასაწყისში პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნული იყო ქრესტომათიის აუცილებელი საჭიროება ქართული ენის შესწავლისათვის. რადგანაც მის მიერ გამოცემული ქრესტომათიიდან იმ დროს რამოდენიმე ცალი იყო დარჩენილი, ამიტომ დ. ჩუბინაშვილი სთხოვდა მზრუნველს, გაყიდული წიგნებიდან მიღებული თანხა გადაეცემა მას ქრესტომათიის მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემის საჭიროებისათვის, რომლის პირველი და მეორე ნაწილის ღირებულება უნდა ყოფილიყო სამ-სამი მანეთი.

საქმის შესწავლიდან გამოიჩვენა, რომ ამ დროს უნივერსიტეტს დარჩენილი ჰქონია 20 ცალი წიგნი, ხოლო გაყიდული თანხის რაოდენობას შეადგენდა 742 მან და 30 კაპ.

პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა იშუამდგომლა განათლების სამინისტროს წინაშე და სთხოვა დ. ჩუბინაშვილს მიეცემა დასახელებული თანხა იმ პირობით, რომ ქრესტომათიის მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემის თითო ცალი გაყიდულიყო 3 მანეთად, ხოლო მიღებულ თანხაში უნივერსიტეტისათვის წიგნის დაბეჭდვისთანავე მიეცა 250 ცალი. წიგნები უნდა გამოეცემულიყო სამი წლის განმავლობაში, ფულის მიღების დღიდან.

განათლების სამინისტრომ დააკმაყოფილა (1858 წ. 20 აპრილი) ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა, რის შემდეგ დ. ჩუბინაშვილი შეუდგა ქრესტომათიის გამოცემის საქმეს.

ქრესტომათიის მეორე ნაწილში ახლა მან მხოლოდ ვეფხისტყაოსანი და შ. რუსთველის სახელით ცნობილი ლექსები დაბეჭდა.

ვეფხისტაოსნის ტექსტი დ. ჩუბინაშვილს ახლად დაუმუშავებია. 1841 წ. გამოცემაში დამატებული 50 სტროფიდან ამ გამოცემაში მან მხოლოდ ექვსი დაუტოვა: „თუ ყოფილა იგი მოყმე, ხორციელი ხმელთა მვლელად“ (რიგ, 113), „მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა“ (რნა, 151), „წიგნი წიგნსა ეცემოდა, დედოფალი ოდეს შობდა“ (ტლგ, 320), „ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი, ხე ალვა დარიგებითა“ (ტნე, 339), „მე დავშვერ, ვითა წესია საურავ გარდახდილისა“ (ფჟთ, 548) და „შევკელ ფიცხლავ შევეკაზმე, ცხენსა შევკე შეკაზმული“ (ქბ, 580)¹¹⁵.

პოემა სულ 1593 სტროფითაა წარმოდგენილი. ტექსტიც გაუსწორებია: მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ ტაეპს გარეთ არ გამოუტანია. წინა გამოცემის სათაურებიდან ზოგი ამოღებულია (იხ. გვ. 111=124, 112=125, 117=130, 123=137, 146=162, 150=165.

¹¹⁵ თეიმურაზ ბაგრატიონის ჩანართი სტროფები, (169, 217, 699, 736) ამ გამოცემაში დ. ჩუბინაშვილს ყველა გადმოუტანია.

181=196 და სხვ.), ზოგი გაერთიანებულია (იხ. გვ. 180, 181=196, 197; 185=200, 203 და სხვ.) და ზოგიც ახლებურადაა რედაქტირებული (იხ. გვ. 139=153). სტროფები არაბული ციფრით დაუნომრავს და პუნქტუაციაც შეუსწორებია.

პოემის ბოლოს დაურთავს ვრცელი ლექსიკონი ანუ „განმარტება როშელთამე სიტყვათა და ფრაზთა ხმარებულთა ვეფხვისტყაოსნის ლექსთა შინა“. შედგენილია ის ტაეპების მიხედვით და არა აღფავიტის.

ამ წიგნის გამოცემა დაგვიანებულა, რადგანაც დ. ჩუბინაშვილზე გაცემული თანხა ქრესტომათიის ორივე ნაწილის გამოსაცემად საკმარისი არ აღმოჩენილა. ამის გამო 1860 წ. 29 იანვარს დ. ჩუბინაშვილს 'პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე შეუტანია განცხადება, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელია გამოიკეს ანთოლოგია, რისთვისაც უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ მის გამოსაცემად 200 მანეთი უნივერსიტეტის უხალხო ფონდიდანო.

დ. ჩუბინაშვილის თხოვნის შესახებ ფაკულტეტმა შუამდგომლობა აღძრა უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე. უკანასკნელმა საკითხი განიხილა 1860 წ. 18 თებერვალს და დ. ჩუბინაშვილს საშტატო თანხიდან მისცეს 180 მანეთი, რადგანაც უნივერსიტეტის შესაძლებლობა მეტის საშუალებას არ იძლეოდა. ამის შემდეგ დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა აღნიშნული წიგნის მეორე ნაწილი, რომლის დაბეჭდვის ნებართვა ცენზურისაგან მიიღო 1860 წ. 10 მარტს.

პოემის ტექსტი აწყობილია 6×10 აკადემიური ციკეროთი. სათაურები—გოგებაშვილის 16-ით. პოემის დასაწყისში დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დაწეულია 2 კვ. ანუ 8 სტრიქონით. მის შემდეგ არის ფიგურული ბოლოსართი. შემდეგ „წინასიტყვაობა“ (გოგებაშვილის 16-ით) და მის ქვემოთ ისევ ფიგურული ბოლოსართი.

სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია 6 პუნქტით. სტროფების ნუმერაციის ციფრი დაბეჭდილია ჩონჩხი 12-ით და ნაწილობრივ გამოტანილია სტროფის გარეთ.

კოლონიციფრი დაბმულია გვერდის კუთხეში, ლუწ გვერდზე—მარცხნივ; კენტ გვ.—მარჯვნივ, აწყობილია ისინი აკადემიური 12-ით.

პოემის თავები მიყოლებითაა დაბეჭდილი, ყოველი თავის ბოლოში დაბეჭდილია ფიგურული ბოლოსართი.

შმუცტიტულზე დაბეჭდილია ლექსი გვარიშვილობაზე („ფი-

ლოსოფოსნი შემოპკრბენ“), რომელიც რუსთველისად არის აღნიშნული¹¹⁶.

შმუცტიტულის ტექსტის ასაწყობად გამოყენებულია სხვადასხვა სახის შრიფტი: გოგებაშვილი 16, აკადემიური 12 თეთრი, ვახტანგისეული მუქი, ვახტანგისეული თეთრი, ვახტანგისეული 10 და მუქი აკადემიური (იხ. ტაბ. III).

შმუცტიტულის მეორე გვ. ცენზურის ვიზა, აწყობილია პეტიტით, ხელმოწერა ცენზორის გვარი—კურსივი პეტიტით, ტიტული და თავფურცელი (გვ. 1—4) დაბეჭდილია ცალკე.

პოემის ტექსტი მოთავსებულია 1—207 გვ., მას მიყვება ლექსიკონი (გვ. 207—243), რომლის ასახსნელი სიტყვა დაყოფილია. ტექსტი აწყობილია ვახტანგისეულ 10-ით.

სტროფების ნუმერაციის აღმნიშვნელი ციფრების გარკვეული ნაწილი გამოტანილია გარეთ, ნაწილი კი ტექსტშია ჩართული. ტექსტი შეწეულია $\frac{1}{2}$ კვადრატით. ამხსნელი სიტყვები აწყობილია დაყოფილად იმავე შრიფტით, რომლითაც ასახსნელი სიტყვებია.

პოემის ტექსტის ბოლოში დაბეჭდილია სიტყვა „დასასრული“ (აწყობილია იგი შავი აკადემიურით). მის შემდეგ დასმულია ფიგურული ბოლოსართი, რაც, სპეციალისტების აზრით, ტექნიკურად გაუმართლებელია. ამის შემდეგ მოცემულია ლექსიკონის სათაური, რომელიც აწყობილია გოგებაშვილის 16-ით. სათაურს ქვემოთ დასმულია $\frac{1}{2}$ კვ. წმინდა ხაზი.

ლექსიკონის შემდეგ დაბეჭდილია ლექსები „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღვთისმშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად ჰსთქვა შოთთა რუსთველმან“ (გვ. 243—244), „იამბიკო ესე თქმული შოთთა რუსთველის მიერ ზედა წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღვთისმშობლისა“ (გვ. 244). აწყობილია ისინი თავიანთი სათაურებით იმ შრიფტებით, რომლითაც დაბეჭდილია პოემის ტექსტი და სათაურები.

სიგნატურა მოცემულია ყოველ მე-13 გვერდზე, ჩანს წიგნი აბეჭდებოდა თორმეტ გვერდობით.

დ. ჩუბინაშვილის ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა, სხვებთან შედარებით, უფრო კარგია, როგორც მოცულობით, ისე ტექნიკური გაფორმებით, ამიტომ მომდევნო გამოცემებს ერთხანს ძირითადად ეს ტექსტი დაედო საფუძვლად.

¹¹⁶ თავფურცელზე წერია: ქართული ქრისტომატია. ან გამოწერილი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან. ნაწილი მეორე, ქართული ლექსები ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან. სანკტ-პეტერბურღს. სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა, 1860 წელსა“.

დავ. ჩუბინაშვილის გამოცემით დამთავრდა პეტერბურგში ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორია. ამის შემდეგ პოემის გამოცემა განახლდა საქართველოში, რომლის ინიციატორები იყვნენ გაზ. „დროების“ რედაქტორი გ. წერეთელი¹⁷ და დავ. ყიფიანი¹⁸.

ეს პირები თბილისში შეუდგნენ ვეფხისტყაოსნის გამოცემის სამზადისს 1866 წელს. მათი მიზანი იყო ახალი გამოცემა ყოფილიყო რაც შეიძლება იაფფასიანი, რომ ფართო მასას პოემის შეძენის შესაძლებლობა მიეცემოდა. ვეფხისტყაოსნის სახალხო გამოცემის ისტორიაც ამ ხნიდან იწყება.

1866 წლის 27 ნოემბერს საცენზურო კომიტეტმა (ცენზორი ყაითმაზოვი)¹⁹ გასცა წიგნის დაბეჭდვის ნებართვა, ხოლო იმავე წლის დეკემბრის დასაწყისში შეუდგნენ აწყობას, რამაც თითქმის ერთ წელს გასტანა, ყოველ შემთხვევაში წიგნი ბაზარზე 1867 წლის სექტემბრამდე არ გამოსულა. გავრცელების ნებართვა კი მიიღო 1867 წ. 4 სექტემბერს*.

¹⁷ წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842—1900)—ცნობილი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე.

უნაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1862 წელს. თანამშრომლობდა „ციცქარში“, „საქართველოს მოამბეში“ და სხვ. პერიოდულ გამოცემებში. 1866 წ. გამოსცა გაზეთი „დროება“, რომელსაც რედაქტორობდა 1869 წლამდე. 1868—1873 წწ. რედაქტორობდა „სასაფლო გაზეთს“, 1871—1873 წწ.—ურნ. „კარებულს“, 1893 წ. დააარსა ურნ. „ჯვარი“, რომელიც გამოდიოდა 1903 წლამდე. გ. წერეთლის კალამს ეკუთვნის მრავალი ბელეტრისტული, პუბლიცისტური, პოლიტიკური, ეკონომიური, არქეოლოგიური და ფოლკლორული წერილები.

¹⁸ ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე — თერგდალეულთა ჭგუფის თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიბადა 1835 წ. სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, კურსის დამთავრების შემდეგ 1856 წ. სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების (1861 წ.) შემდეგ დაბრუნდა საშობლოში, სადაც ღიღბანს ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1877 წლიდან კი მსახურობდა თბილისში ნოტარიუსად. გარდაიცვალა სოფ. ქვიშხეთში 1892 წ.

დ. ყიფიანი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სამოციან წლებში, თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“, „დროებაში“ და სხვ. პერიოდულ გამოცემებში. წერდა წერილებს „ქართულის“ ფსევდონიმით. ინგლისურიდან თარგმნა შექპლირის „დიდი ალიაქოთი არაფრისათვის“ და ეორე სანდის რამოდენიმე ნაწერი (იხ. კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1, 1959, გვ. 240—244).

¹⁹ ყაითმაზოვი—ყაითმაზაშვილი ივანე ლაზარეს ძე, 1851—1875 წლებში მუშაობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში აღმოსავლური ენების ცენზორად.

* საცენზურო კომიტეტმა ამ გამოცემის საგანდებულო ცალი შეკენი-

პოემის ტექსტი გადმობეჭდილია დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემიდან შემდეგი ცვლილების შეტანით: ამოღებულია სამი სტროფი 301-ე (406: კაცმან ვით პოვოს, ღმრთისაგან რაცა არ დანაბადია), 302-ე (407: მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთი მზითა) და 434-ე (580: მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილნი შეუთვალე). შემეცირებულია სათაურების ჩაოდენობა (შდ. გვ. 24—22). სტროფები არაა დანომრილი¹²¹ და ზოგი სათაურიც გასწორებულია (შდ. 54—48, 55—49, 56—50, 58,—52)¹²¹.

ეს გამოცემა შეიცავს 1590 სტროფს. ზოგ ადგილას სტროფი გვერდიდან გვერდში გადადის (იხ. გვ. 54, 112—118, 157).

პოემის ტექსტს ბოლოში დართული აქვს „მოკლე განსამარტებელი ლექსიკონი“, რომელსაც წინ მიუძღვის გამომცემელთა შენიშვნა. გამომცემლებს სასურველად მიუჩნევიათ ისეთი ლექსიკონი დაებეჭდათ, როგორც დავ. ჩუბინაშვილის 1860 წლის გამოცემას აქვს, მაგრამ გაუთვალისწინებიათ ის გარემოება, რომ ასეთი ლექსიკონის დართვით წიგნის მოცულობა გაიზარდებოდა, რაც თავისთავად გამოიწვევდა ფასის გადიდებასაც, თანაც გამოცემის მიზანდასახულობაც არ მოითხოვდა ამ სახის ლექსიკონის დართვას, ამიტომ პირვანდელ განზრახვაზე ხელი აუღიათ და ვეფხისტყაოსნის „სწორი აზრის მისახვედრის გასაადვილებლად“ შეუდგენიათ „უხმარისა და გაუგებარის“ სიტყვების მოკლე ლექსიკონი, რასაც საფუძვლად დაედებია დავ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები, რომლებიც დართული აქვს პოემის 1841 და 1860 წ. გამოცემებს. აღნიშნულ ლექსიკონებიდან სიტყვები „მარტო პირველ სახეობის ფორმებში“ აუღიათ და ისე დაუბეჭდავთ.

ლექსიკონი დაბეჭდილია ორ სვეტად, ახალი გვერდიდან, საკუთარი პაგინაციით (1—11).

წიგნის ანაწყობის ზომა არის $5\frac{1}{2} \times 9$. გვ. I, 232, I—II. პოემის ტექსტი აწყობილია ვენური კორპუსი წვრილით, სათაურები—12 ციცერო ვენური. „წინასიტყვაობა“ დაბეჭდილია 2 კვ. დაწევით, ტექსტიდან — $\frac{1}{2}$ კვ., სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია თითო სტრიქონით. „წინასიტყვაობის“ გარკვეულ სათაურები მარცხნივ დანომრილია რომაული ციფრებით. მათი რიგითი ნუმერაცია ზოგჯერ დარღვეულია (იხ. გვ. 13, 160—163, 192).

რებათა აკადემიას გაუზავნა 1867 წ. 19 ოქტომბერს (იხ. საქართველოს ენატორაქცი, ფონდი 114, № 6, ფ. 20, 7 ფ. 6).

¹²¹ კორექტურული შეცდომები ორივე გამოცემაში ერთნაირია, მაგ. ჩანჩაგირისა (შდ. გვ. ჩუბ. 144, ამ გამოცემის 163).

¹²² პირველად დასახელებულია 1867 წლის გამოცემა, მეორედ დ. ჩუბინაშვილის 1860 წლის გამოცემა.

გარეკანი და თავფურცელი აწყობილია ერთნაირი შრიტტით, რომლისთვისაც გამოყენებულია 20-იანი შავი მთავრული, 12 ვენური, 12 შავი მთავრული, ვენური 10 და 12 ჩვეულებრივი (იხ. ტაბ. IV), ცენზურის ვიზა (რუსულად)—კორპუსი კურსივი.

ლექსიკონის ასახსნელი სიტყვა — ციცერო ვენური, ა ხ ს ნ ი - ლ ი — იგივეა რაც პოემის ტექსტი. ტაეპების დასაწყისი ასოები, საკუთარი სახელების, წერტილისა და ორი წერტილის შემდეგ ნახ- მარია მხედრული ასომთავრული შავი ანბანი. მე-4 ტაეპის დამაკავ- შირებელი „და“ სტროფს გარეთ არის გამოტანილი. გარეკანი ჩას- მულია წვრილ ორხაზიან სწორ ჩარჩოში, რომელსაც კუთხეებში ჩართული აქვს ბორდიური.

თაბახის აღმნიშვნელი ციფრი დასაწყისში შეცდომით ორი გვე- რდით წინაა ნაჩვენები. ამას გარდა, წიგნის ზოგი ნაწილი დაბეჭდი- ლია ნახევარ თაბახობით და სიგნატურაც ამის მიხედვით აქვს გაკე- თებული (იხ. გვ. 79—86, 103, 111).

კოლონიტურები მოთავსებულია ტირეებს შუა, აწყობილია ცი- ცეროთი.

საერთოდ, გამოცემა დიდი გულმოდგინებით არის შესრულე- ბული. გამომცემლებს „იმდენი ყურადღება უღევნებიათ ბეჭდვის დროს, რომ ბევრგან დედნის ნამდვილი აღუდგენიათ, თუ დამახინ- ჯებული ადგილების ვასწორებით, თუ საფუძვლიანად ორთოგრა- ფიული ნიშნების დასმით“ და გეარიანი ლექსიკონიც აქვს დართუ- ლიო, — აღნიშნავენ ამ გამოცემის შესახებ ვეფხისტყაოსნის 1875 წლის გამომცემლები.

გამომცემლები წიგნზე აღნიშნული არ არიან, მაგრამ ვეფხის- ტყაოსნის 1875 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ გ. წე- რეთელი და დავ. ყიფიანი ყოფილან.

უცნობია თუ რამდენი ცალი დაიბეჭდა ეს გამოცემა, საარქივო დოკუმენტებში ამის შესახებ ცნობას ვერ მივაკვლიეთ.

დაბეჭდილია თბილისში მელიქიშვილისა და ამხ. სტამბაში.

წიგნი იყიდებოდა 50 კაპიკად თბილისში ალადათოვისა, ბერენ- შტამისა და ენფიანჩიანცის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე მელიქი- შვილისა და ამხ. სტამბაში. ქუთაისში—გ. კალანდარიშვილთან და ხელთუფლიშვილის წიგნის მაღაზიაში¹²².

¹²² გაზ. „ღრობა“, 1867, №№ 40, 41, 44 და სხვ.

ვეფხისტყაოსნის გ. წერეთლისა და დავ. ყიფიანის გამოცემის ხუთი წლის შემდეგ ა. კალანდაძე¹²³ თავისი ამხანაგობით შეუდგა პოემის ახალი გამოცემის მზადებას. 1873 წელს მან საცენზურო კომიტეტისაგან გამოითხოვა აწყობის ნებართვა, რომელიც მიიღო იმავე წლის 26 ოქტომბერს. ნებართვის მიღების შემდეგ ა. კალანდაძემ დაიწყო წიგნის აწყობა. ამის შესახებ 2 ნომბრის „დროებამ“ (№ 43) საზოგადოებას კიდევაც აუწყა, რომ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ვეფხისტყაოსანი ახლად გამოცემულიო, მაგრამ ამ გამოცემას ერთ წელზე მეტი მაინც დააგვიანდა. 1874 წ. ნომბერში ისე მოგვარდა საქმე, რომ გამომცემლობა ფიქრობდა დეკემბერში წიგნი ბაზარზე იქნებოდა, მაგრამ ეს განზრახვა 1875 წლამდე მაინც ვერ განხორციელდა. ამის მიზეზი იყო გამომცემელთა ეკონომიური სივიწროვე. თანაც გამომცემლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება წიგნი იაფი დამჯდარიყო, ისე რომ ბაზარზე 30—40 კაპ. მეტად არ უნდა გაყიდულიყო.

ვიდრე ეს გამოცემა გამოვიდოდა, თბილისში რამოდენიმე პირმა განიზრახა ვეფხისტყაოსნის უფრო იაფფასიანი გამოცემა, რაც აბაზზე ნაკლები თუ არა, მეტი მაინც არ უნდა ღირებულიყო. ამ განზრახვას სიხარულით შეხვდა ვაზ. „დროება“, „რალა თქმა უნდა, —აცხადებდა ვაზეთი, — რომ ასეთი იაფი სახალხო გამოცემა ჩვენი უკვდავი პოემისა ძალიან კარგი და სასარგებლო საქმე იქნებაო“¹²⁴. მაგრამ ვეფხისტყაოსნის აბაზიან გამოცემას ექვის თვალთ შეხვდა საზოგადოება და ცნობა ბოროტ განზრახვით შეთხზულ კორალ მიიღეს, რომ ამ ხმებით ხელი შეეშალათ კალანდაძის გამოცემისათვის.

¹²³ კალანდაძე არსენ ივანეს ძე დაიბადა გურიაში. ბავშვობისას ჩამოიყვანეს თბილისში და შევირდად მისცეს კავკასიის მთავარმართებლის სტამბაში. ამ მან კარგად შეისწავლა პოლიგრაფიული საქმე და თანაც გაეცნო ქართულ მოღვ-წივებს. პ. უმიკაშვილის ჩაგონებით, მან 1873 წლიდან ხელი მიჰყო იაფფასიანი წიგნების ბეჭდვას და გავრცელებას. 1875 წ. თბილისში გახსნა წიგნის მაღაზია, საიდანაც გადიოდა მთავრობისათვის მიუღებელი წიგნებიც. ამის გამო არსენ კალანდაძე დააპატიმრეს და მაღაზია დაუკეტეს. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ არსენ კალანდაძემ განაგრძო წიგნების ბეჭდვა. 1880 წ. გრ. ჩარკვიანთან ერთად გახსნა სტამბა. შემდეგ გამოეყო მას და საკუთარი სტამბა გაიჩინა. 1880 წ. საკხოვრებლად გადავიდა გორში, სადაც შექმნა პირველი სტამბა და წიგნის მაღაზია ქართლში. გარდაიცვალა გორში 1913 წ. (იხ. ზ. კიკინაძე, ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა, 1627—1913 წ., 23. 196—178).

¹²⁴ ვაზ. „დროება“, 1875, № 10, გვ. 2.

ამ ცნობით აღშფოთებული პ. წულუკიძე გაზ. „დროების“ რედაქტორს სწერს: ვეფხისტყაოსნის აბაზიანი გამოცემით მოხარული ვარ, ძალიან დიდი სარგებლობა მოგველის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი შრიფტის ზომას, ქალაქის სიძვირეს და სხვ. შეუძლებელია ასეთი ვეფხისტყაოსნის გამოცემაო. წერილის ავტორი უსაყვედურებს რედაქციას, რომ მან, სანამ „სიზმარს“ გამოაცხადებდა, მანემდის რატომ არაფერი სთქვა იმის შესახებ, რომ „ამ ცოტა ხანში ჩვენს საზოგადოებას შეუძლიან ექვეს შაურათ ან ორ აბაზათ იყიდოს ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა“, რომელიც ყველა არსებულ გამოცემას სჯობნის და მომავალშიაც შეიძლება ბევრს აჯობოსო. რედაქციამ რატომ სიამოვნებით არ შეატყობინა საზოგადოებას. რომ ამ გამოცემას ეწევა ა. კალანდაძე და ამხანაგობა, რომლებიც ამ საქმისათვის „არ იშურებენ ოფლით მოპოვებულ ფულს“. პ. წულუკიძის აზრით, „დროების“ რედაქციას ეს ცრუ ცნობა შეიძლება ბოროტმა ვინმემ აცნობა, რომ ამით კალანდაძისა და ამხანაგობის გამოცემული ვეფხისტყაოსანი არ გაიყიდოსო, მაგრამ „არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ უბრალო ხმა“ „დროების“ რედაქციას მოუფიქრებლად, შეუმოწმებლად, გამოეცხადებოდა. მე კიო, — წერს პ. წულუკიძე, — „გარეშე პირი ვარ ყველა გამოცემებთან, მაგრამ გულმოდგინეთ თვალყურს ვადევნებ როგორც ჩვენს ლიტერატურას, ყველა ჩვენს გამოცემლებს. აგრეთვე ჩვენს სასტამბოებსაც ხეირიანად ვიცნობ და მიტომაც ძრიელ გაკვირვებული ვარ“ ვეფხისტყაოსნის აბაზიანი გამოცემის ცნობითო.

ამასაც ვიტყვი, — ასკენის ავტორი, — რომ „ვინ სულელი და მეტად ზოიყვი იქნება, რომ ესლა გამოსცეს ვეფხისტყაოსანი, თუ გინდ სამ კაპიკათ ღირებული, როდესაც ა. კალანდაძისა და ამხანაგობის¹²⁵ გამოცემა არ გაყიდულაო? „საძრახისი არ იქნება განა ამნაირი შეჯიბრება? ამისხენით უფალო რედაქტორო, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი საქმის გარემოება“⁹¹²⁰.

ამ საკითხზე იმავე გაზეთის ნომერშივე „დროების“ რედაქტორმა ს. მესხმა პ. წულუკიძეს გასცა პასუხი. ს. მესხი დიდ თანაგრძნობას უცხადებს იაფფასიანი წიგნების გამომცემლებს და ამბობს, რაც უფრო იაფი იქნება ასეთი გამოცემა, მით უფრო სასიხარულოა, მაგრამ საწყენი არ უნდა დარჩეს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე თხზულება სხვადასხვა პირმა რომ გამოსცეს. რაც შეეხება ვეფხისტყაოსნის აბაზიან გამოცემას, ამაზე ს. მესხი შემდეგს წერს: „ჩვენ იმისთვის არ დაგვიბუქდავს ეს პატარა შენიშვნა. რომ ზემოხსენე-

¹²⁵ ვეფხისტყაოსნის 1875 წ. გამოცემაში ა. კალანდაძისთან ერთად მონაწილეობას იღებდა ექვთიმე ხელაძე.

¹²⁶ გაზ. „დროება“, 1875, № 13, გვ. 3—4.

ბულ პირებისაგან [ივულისხმება კალანდაძის და ამხ.] გამოცემული ვეფხისტყაოსნის გაყიდვა ჩაეშალათ. ჩვენგან ნახსენები გამოცემა შეიძლება ერთს წელიწადზე ადრეც არ გამოვიდეს... და დარწმუნებული იყავით. ეს ბოროტი ჯანზრახვა რომ გვქონოდა. მაინც არ აგვისრულდებოდა, რადგან ვისაც ჰსურს ყიდვა, ორი შაურის მოსაგებად ერთს წელიწადს არ მოუცდის, რომ ახალი გამოცემა იყიდოს. შესაძლებელია თუ არა ვეფხისტყაოსნის ერთაბაზიანი გამოცემა, ამაზე ბაასს არ დავიწყებთ, როცა გამოვა, მაშინ დავრწმუნდებით სიზმარში ვნახეთ თუ ცხადათ“¹²⁷.

ს. მესხის მოსაზრება ვეფხისტყაოსნის აბაზიანი გამოცემის შესახებ მართლაც სიზმარი გამოდგა. ასეთი ვეფხისტყაოსანი არ გამოსულა და მართალი აღმოჩნდა პ. წულუკიძე, რომელიც ეპკვის თვალთ შეხვდა აღნიშნულ ცნობას.

ამ ამბების ორი თვის შემდეგ ბაზარზე გამოვიდა არსენ კალანდაძის გამოცემული ვეფხისტყაოსანი.

ვეფხისტყაოსნის 1875 წ. გამომცემელნი ახალგაზრდა ასოთამწყობნი იყვნენ, რომლებსაც იმდენი მომზადება არ ჰქონდათ, რომ პოემის ტექსტი კრიტიკულად გადაესინჯათ და ისე გამოეცათ. ამიტომ ამ საქმეში მათ დახმარება აღმოუჩინეს პ. უმიკაშვილმა¹²⁸, კ. ლორთქიფანიძემ¹²⁹ და სხვ. მათ ითავეს ვეფხისტყაოსნის ტექსტის შერჩევა და გამოსაცემად მომზადება. ამ მხრივ ყველაზე მეტი შრომა გასწია კ. ლორთქიფანიძემ, რომლის რედაქტორობითაც დამზადდა ეს გამოცემა¹³⁰.

რედაქტორს ვეფხისტყაოსნის არსებული გამოცემები შეუდარებია ვახტანგისეულ გამოცემასთან და უპირატესობა უკანასკნელისათვის მიუცია. ვახტანგის გამოცემა ახლად გამოცემულ ვეფხისტყაოსნებზე „უფრო სწორი არისო“, აცხადებენ გამომცემლები და იქვე შენიშნავენ. მართალია ის „სტამბის შეცთომებით. საყსეა. მაგრამ ეს დიდი ნაკლულოვანება არ არის, რადგანაც ამგვარი შეცდომები ადვილი გასასწორებელიაო“. ყოველივე ამის გამო „ცხლანდელუ

¹²⁷ გაზ. „დროება“. 1875, № 13, გვ. 4.

¹²⁸ უმიკაშვილი პეტრე (1838—1904)—ლიტერატორი. მთარგმნელი. ქართული ხალხური სიტყვიერების შემკრები და გამომცემელი. მწერლობა დაიწყო 1861 წლიდან. 1874—1880 წლებში რედაქტორობდა სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიურ „სასოფლო გაზეთს“.

¹²⁹ ლორთქიფანიძე კირილე (1839—1918) — საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და გამომცემელი. წერდა თომა კარგარეთელის ფსევდონიმითაც.

¹³⁰ ეურნ. „ივერია“, 1883, № 7—8, გვ. 143 შნ., ზ. კიკინაძე, „შოთა რუსთაველი“, 1889, გვ. 65.

მეექვსედ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი, ვახტანგის დაბეჭდილთან შევასწოროთო“.

„დროებაში“ არაერთხელ განაცხადა, რომ არსენ კალანდაძის გამოცემული ვეფხისტყაოსანი არის „ვახტანგ მეფისაგან დაბეჭდილს ვეფხისტყაოსანთან შესწორებულო“¹³¹. მაგრამ, როგორც ირკვევა, საქმე მთლად ასე არ არის.

ა. კალანდაძის გამოცემული ვეფხისტყაოსანი არ მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან, ის 1867 წელს დაბეჭდილ ტექსტიდანაა გადმობეჭდილი, რა თქმა უნდა, ზოგიერთი ადგილის ვასწორებით. რომ ეს ასეა, ჩანს შემდეგიდან: ამ გამოცემას, ისე როგორც წინა (1867 წ.) გამოცემას, აკლია დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემის 301-ე (406), 302-ე (407) და 434-ე (580) სტროფები¹³². ეს სტროფები კი მოიპოვება ვახტანგის გამოცემაში (ტ. 300. ტა, 301, ულბ, 432)*. 1875 წლის გამოცემის ტექსტი რომ ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობდეს, მაშინ აღნიშნული სტროფები აქაც იქნებოდა, თუ ამოიღებდნენ, მიზეზს მაინც აღნიშნავდნენ.

ამას გარდა, დ. ჩუბინაშვილის ექვსი ჩანართი სტროფი. რომელიც ვახტანგის გამოცემაში არაა, 1867 და 1875 წლების გამოცემაში შეტანილია, ესეც იმის დამამტკიცებელია. რომ 1875 წ. გამოცემა არ მომდინარეობს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნიდან, ის გადმობეჭდილია 1867 წ. გამოცემიდან, რომლიდანაც რატომღაც არ დაუბეჭდავთ მხოლოდ ერთი სტროფი „შეკრეს წიფელი ასი ათასი“ (940). აღარ მივყვებით სიტყვების გასწორებას და კორექტურულ შეცდომების აღნუსხვას, რაც ორივე გამოცემაში ერთნაირია, მაგ. მოსჯობდა 79 (მოჰსჯობდა, ჩუბ. 607).. დარეჯანის (დარეჯნის. გვ. 80), წაგიკითხავ (წარგიკითხავ, გვ. 101=115), იგი „იგის“ ნაცვლად (გვ. 11=13), ხადუმმან (ხათუმმან. გვ. 169=190) და სხვ.

ორივე გამოცემაში სათაურები, „წინასიტყვაობის“ გამოკლებით, დანაშრულია რომაული ციფრებით. სათაურების ტექსტი კი ვადმობეჭდილია დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემიდან. რომელთაგან ზოგი ახლებურად არის რედაქტირებული (შდ. გვ. 49=44. 171=172. 177=179, 180=181, 184=185 და სხვ.).

პოემის ზოგიერთი დასათაურება „სარჩევში“ შეცვლილი სახით არის დაბეჭდილი, მაგ. „სარჩევში“ წერია: წიგნი ავთანდილისა ყმათა თანა, ტექსტში (გვ. 22) კი „თანას“ ნაცვლად წერია: „შიმართ“. გამოცემაში გაპარულია კორექტურული შეცდომები. რომელთაგან 40 გასწორება თან ერთვის წიგნს (გვ. XI—XII).

¹³¹ ვახ. „დროება“, 1874, №№ 448, 449, 451 და სხვ.

¹³² იხ. აქვე გვ. 176—235.

* არაბული ციფრებით აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის 1950 წ. გამოცემა.

წიგნი შეიცავს 1589 სტროფს; XII, 220, გვ., ტექსტი აწყობილია 5×9, უშპონოთ, აკადემიური თორმეტით.

სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია 4 პუნქტით.

მეოთხე ტაქსის დამაკავშირებელი „და“ ლიგატურაა და გატანილია სტროფებს გარეთ.

სათაურები დაბეჭდილია გოგებაშვილის 16-ით.

„გამომცემლობისაგან“ და „სარჩევის“ პაგინაციას სწორი ხაზი აქვს ქვემოთ გასმული, კოლონციფრს კი—ტალღისებური.

პოემის ზოგ თავს ბოლოში დასმული აქვს მოკლე სხვადასხვა სახის ხაზი.

უკანასკნელი სტროფები („ქართველთა ღმრთისა და ვითის“ და „ამირან დარეჯანისძე“) წინა სტროფებიდან გამოყოფილია წმინდა 1/2 კვ. ხაზით. რაც გაიჟეორეს მომდევნო გამომცემლებმაც.

„სიტყვების განმარტება“ იწყება 207-ე გვერდიდან. დაწეულია 1/2 კვ.

ტექსტსა და დასათაურებას შორის გავლებულია პროპორციულად ნახევრად შავი 1 კვადრატის ხაზი.

ლექსიკონი აწყობილია 2 სვეტად. სვეტთა შორის არის გამყოფი ხაზი, რომელიც არ არის დაშორებული არც ერთი მხრიდან, რაც აწყობის ნაკლს შეადგენს.

თავფურცელზე პოემისა და ავტორის სახელწოდება გაფორმებულია მხატვრის მიერ (იხ. ტაბ. V). დანარჩენი ნაწილების ასაწყობად გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: 12 ვენური, გოგებაშვილის 16, ვახტანგისეული 12, აკადემიური 12, ციცერო 12, ცენზურის ვიზა (რუსულად)—კურსივი ათი, სტამბა (რუსულად) — 8 კაპიტელი.

„გამომცემლობისაგან“ დაწეულია ქვემოთ ერთი ციცეროთი, დაშორებულია ტექსტს ზემოდან 12 პუნქტით, ქვემოდან კი — 10.

„გამომცემლობისაგან“, „შეცდომათა შორის გასწორება“ და „სარჩევი“—რომაული პაგინაციითაა, რომელიც აწყობილია რუსული ციფრის რომაულით. წიგნის დანარჩენი ნაწილის გვერდები პაგინაციაქმნილია არაბული ციფრებით და აწყობილია კორპუსით.

„წინასიტყვაობა“ კი აწყობილია გოგებაშვილის 16-ით, დაწეულია 1 კვ. და 3 ციცეროთი.

„წინასიტყვაობასა“ და პოემის პირველ სტროფს შორის ჩასმულია პროპორციულად დაშორებული 1/2 კვ. წმინდა ხაზი.

განსამარტავი სიტყვები აწყობილია გაშლით, აკადემიური თორმეტით. ახსნილი ნაწილი კი დაბეჭდილია ჩვეულებრივად იმავე შრიფტით.

პოემის ტექსტისა და ლექსიკონის დასასრულს დასმულია ბოლოსართი ბორდიური.

წიგნი დაბეჭდილია ფინურ თხელ ქაღალდზე. თაბახი შეიცავს 32 გვ.

პოემის ტექსტი ცალკეა დაბეჭდილი, დანარჩენი ნაწილი: „გამომცემლობისაგან“, „უმთავრესი შეცდომები“ და „სარჩევი“ კი ცალკე.

გამომცემლებს განზრახული ჰქონიათ ვეფხისტყაოსანი დაებეჭდათ ავტორის სურათით. ყდაზე და თავფურცელზე აღნიშნულიც არის „ავტორის სურათითო“, მაგრამ ეს განზრახვა, რაღაც მიზეზის გამო, სისრულეში ვერ მოუყვანიათ. შესაძლებელია სურათის დაბეჭდვა წიგნის საგრძნობ გაძვირებას იწვევდა და ამას მოერიდნენ.

წიგნი დაიბეჭდა თბილისში მთავარმართებლის სტამბაში. ცენზურისაგან გავრცელების ნებართვა გაიცა 1875 წ. 20 მარტს. დაბეჭდა 2400 ცალი. ფასი 50 კაპიკი. ცენზორი დ. ბაქრაძე¹³³.

XII

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ქართველმა ახალგაზრდებმა ქუთაისში დააარსეს გაზეთი „შრომა“. გაზეთთან ერთად გადაწყვიტეს ახალი შრიფტის შემოღება, რომლის ინიციატორი იყო კ. ლორთქიფანიძე. 1881 წ. მან შექმნა ახალი შრიფტი (ვგ. 12). რითაც დაიწყეს გაზეთის ზოგიერთი ნაწილის. განსაკუთრებით მოწინავეები ბეჭდვა. იმ მიზნით, რომ ეს შრიფტი დამკვიდრებულიყო ქართულ საშრიფტო მეურნეობაში, გადაწყვიტეს გაზეთთან ერთად ამ შრიფტით დაებეჭდათ იაფფასიანი სახალხო წიგნებიც. პირველ რიგში ვეფხისტყაოსანი, როგორც ყველაზე უფრო პოპულარული ნაწარმოები. ამ მიზნით სტამბის მეპატრონე პეტრე წულუკიძე 1882. წ. შეუღდა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის სამზადისს¹³⁴. ამის შე-

¹³³ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 114, საქ. № 240, ფ. 3.

ბაქრაძე დიმიტრი (1827–1890) ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა ქართულ-რუსულ პერიოდულ გამოცემებში („ცისკარი“, „მნათობი“, „დროება“, „იქილი“, „Современник“ და სხვა), სადაც ბეჭდავდა პუბლიცისტურ, საისტორიო და საარქეოლოგიო ხასიათის ნაშრომებს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ვრცელი მონოგრაფიული ნაშრომი საქართველოს ისტორიიდან.

საქენზურო კომიტეტში მსახურობდა 1873–1879 წლებში, ქართული ენის უკაცროსი ცენზორის თანამდებობაზე და ცდილობდა ცენზურის შეტევისაგან დაეცა ქართული გამოცემანი (იხ. მ. დუმბაძე, „დიმიტრი ბაქრაძე“).

¹³⁴ წულუკიძე პეტრე გიორგის ძე (1851–1937) იყო თავისი დროის ცნობილი აკრონომი და საზოგადო მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება მი-

სახეზე გაზ. „დროება“ 1882 წ. წერდა: „ჩვენ გვაუწყებენ ქუთაისი-
დამ. რომ თ. პ. წულუკიძის სატამბა ჰბეჭდავს ახალ გამოცემას ვე-
ფხისტყაოსნისას კირილეს შრიფტის მერვე ნომრით, ასე რომ თითო
ეგზემპლარი ამ დიდებული პოემისა ავტორის სურათით (რომელიც
შევეთილი აქვს ძმ. კილაძეების ფოტოგრაფიას), უნდა ეიროს
არა უძვირეს 20—35 კაპ.“¹³⁵.

ეს იმ დროს იყო, როდესაც თბილისში ვეფხისტყაოსნის ქართ-
ველიშვილისეული გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისია მუშო-
ბას ამთავრებდა, ამიტომ ზემოთ მოყვანილ ცნობას გაზეთი დასძენს:
„სასურველი იქნებოდა მხოლოდ, რომ ბ-ნს გამოცემელს ეს გამო-
ცემა გადმოებეჭდა იმ ეგზემპლარიდამ, რომელიც შესწორებულია
ესეუ უკეთ ვსთქვათ, მალე იქნება შესწორებული ტფილისში საგან-
გებოდ ამისთვის შემდგარის რედაქციისაგანაო“.

პრაქტიკულად ამ საქმეს პ. წულუკიძე შეუღდა 1882 წ. მიწუ-
რულში. ამ წლის 29 დეკემბერს მან საცენზურო კომიტეტს
მიმართა თხოვნით, სადაც ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესახებ წერ-
და: «Прошу почтительнейше разрешить мне печатать в моей
типографии в количестве 1200 экземпляров сочинение Руста-
вели «Барсова кожа» и разрешительное свидетельство выслать
как только возможно в скором времени, а по отпечатании их
не замедлю представить тринадцать отпечатанных экземпля-
ров для получения Вашего разрешения на выпуск их в свет»¹³⁶.

ეს თხოვნა საცენზურო კომიტეტმა მიიღო 1883 წ. 15 იანვარს
და იმავე თვის 26-ს ქუთაისის სამოქალაქო პოლიციას აცნობა:
«Цензурный комитет покорнейше просит объявить ему [г. ი.
პ. წულუკიძეს], что для просимого им напечатания сочинение

ილო იზერგეთის სასწავლებელში, საშუალო—ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.
კურსის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა დაწესებულებაში (ივანო-
ვის სახელობის ბიბლიოთეკა, მისიილოვის საადვილიამულო ბანკი და სხვ.) და
ენაოდა კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. უმაღლესი განათლების მი-
საღებად გაემგზავრა საფრანგეთში, საიდანაც სამშობლოში დაბრუნდა 1886 წ.
მანკობლად და შეუღდა მოღვაწეობას სოფლის მეურნეობის დარგში. სისტემა-
ტურად თანამშრომლობდა ქართულ-რუსულ პერიოდულ გამოცემებში, სადაც
აქვეყნებდა წერილებს სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე. 1909—
1917 წწ. იყო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მმართველი. 1912 წლი-
დან — „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორ—გამომცემელი, 1921 წლიდან მუშაობდა
თბილისში მიწათმოქმედების კომისარიატის ერთ-ერთ განყოფილებაში (იხ.
თ. ჩხეიძე — ქართველი აგრონომები, 1962, გვ. 39—46).

ტამბა გამართული ჰქონდა ქუთაისში, ყოფ. თავადის ქუჩაზე, არჯევანიძის
სახლში.

¹³⁵ გაზ. „დროება“ 1882 წ. 13 ივლისი, № 144, გვ. 3.

¹³⁶ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 114, საქ. № 565.

под названием «Барсова кожа» должен быть представлен в цензур подлинный экземпляр той книги, которая будет возвращена ему с цензурным разрешением для напечатания согласно цензурным правилам»¹³⁷.

თანახმად ამ მოთხოვნისა, პ. წულუკიძემ წარადგინა საცენზურო კომიტეტში დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი, ამის შესახებ საცენზურო კომიტეტის საქმეებში დაცული შემდეგი ცნობა: «Печатный экзем. книги вѣфѣхистѣяосани, тѣжѣული შოთა რუსთაველისაგან თანარ დედოფლის დროს, ს.-პეტერბურლის სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა 1860 წელსა. Барсова кожа соч. Шота Руставели, во времена царицы Тамары, С.-Петербург, в типографии академии наук 1860 г. с дозволен. цензуры 10 марта 1860 г. ст. 244, представлено от содержат. типографии в Кутаиси кн. Цулукидзе через редакци газеты «Шрома» князь Димит. Даднани»¹³⁸.

ცენზორმა ისარლოვნა* აწყობის ნებართვა გასცა 1883 წ. 14 თებერვალს და ყოველგვარი საბუთები ფოსტით გაუგზავნეს ქუთაისში პ. წულუკიძეს.

პ. წულუკიძე საბუთების მიღების შემდეგ შეუდგა პოემის აწყობას. თუ რომელ თვეს დაიწყო წიგნის ბეჭდვა არ ვიცით, ივლისში კი წიგნი უკვე გამოსული ყოფილა¹³⁹. პოემის ტირაჟის ნაწილი უნდა დაბეჭდილიყო ავტორის სურათით, რომლის ღირებულება განისაზღვრებოდა 50 კაპ. უსურათო ვეფხისტყაოსნის ფასი კი 37 კაპ. იყო. ვინც ასოებით შეიძენდა ამ გამოცემას გამომცემელი „მყიდველებს წესიერ პატივს“ ჰპირდებოდა¹⁴⁰.

პ. წულუკიძე არ აღნიშნავს თუ რომელ გამოცემიდან გადაბეჭდა მან ვეფხისტყაოსნის ტექსტი, რაზედაც მართებულად უსაყვედურებდა პ. უმიკაშვილი, „ყოველთვის საჭიროა, — შენიშნავდა პ. უმიკაშვილი, — რომელსამე მწერლის და მეტადრე გამოჩენილი მწერლის თხზულების გამოცემაში მოხსენებული იყოს საიღამ გადმობეჭდილა ან რა ცვლილება შემოტანილა. ეს ნაკლულოვანება ხშირად ემართება ჩვენს გამომცემლებს და სასურველია ავიტინოთო“.

პ. უმიკაშვილის აზრით, პ. წულუკიძის გამოცემული ვეფხისტყაოსანი ა. კალანდაძის გამოცემიდან არის გადმობეჭდილი ცოტა-

¹³⁷ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 114, საქმე № 555, ფ. 3.

¹³⁸ იქვე, საქ. № 537, ფ. 24; დიპ. დადიანი იყო გაზ. „შრომას“ რედაქტორი.

* ისარლოვნა — ისარლიშვილი ლუკა სტეფანეს ძე (1814—1892), ლიტერატორი, 1881—1888 წლებში მუშაობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის მდივნად და ცენზორად.

¹³⁹ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 114, საქ. 568, ფ. 7.

¹⁴⁰ გაზ. „ღროება“, 1883, №№ 254, 264 და სხვ.

ადენი შეცვლით¹⁴¹. ეს მოსაზრება, რომელიც შემდეგ სხვებმაც გაიზიარეს¹⁴², მთლად სწორი არაა. მართალია პ. წულუკიძემ საცენზურო კომიტეტში აწყობის ნებართვის მისაღებად პოემის 1860 წ. გამოცემა წარადგინა, მაგრამ მის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი არ არის არც 1860 წლის გამოცემის განმეორება და არც 1875 წლისა. პ. წულუკიძის გამოცემა ზემოთ აღნიშნული ორი გამოცემის (1875, 1860) მიხედვით დამუშავებულ ტექსტს წარმოადგენს. ამას ამტკიცებს შემდეგი მაგალითები: 1860 წ. და 1883 წ. გამოცემებში დაბეჭდილია ორი (301—302) სტროფი, „კაცმან ვით ჰპოვოს. ღვთისაგან რაც არა დანაბადია“ და „მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთი მზითა“), რომლებიც არ მოიპოვება ა. კალანდაძის 1875 წ. გამოცემაში (გვ. 39). 1960 წ. გამოცემაში დაბეჭდილია 434-ე (მე დილასა მოციქულსა სიტყვა ტკბილი შევუთვალე) და 765-ე (შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან) სტროფები, რომლებიც არ მოიპოვება 1875 და 1883 წლების გამოცემებში. შემდეგ, 1860 წ. გამოცემაში წერია: „აქა წიგნი ავთანდილისა ყმათა მიმართ“ (გვ. 22), 1875 და 1883 წწ. გამოცემებში (გვ. 22, 19), ამ სათაურს აკლია სიტყვა „აქა“. 1860 წ. გამოცემაში დასათაურებულია: „წიგნი ტარიელისა ხატაველთა თანა მიწერილი და კაცის გაგზავნა“ (გვ. 50), 1875 და 1883 წწ. გამოცემებში კი ამ სათაურიდან ამოღებულია „და კაცის გაგზავნა“ (გვ. 50, 44). 1860 წ. გამოცემაში დაბეჭდილია: „წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფისადმი, ოდეს გაიმარჯვა ხატაველთა ზედა“ (გვ. 60), 1875 და 1883 წწ. გამოცემებში ამ სათაურის სიტყვა „მეფისადმი“ შეცვლილია „მეფის წინაშედ“ (გვ. 59, 53). 1860 წ. გამოცემის სათაური: „წასვლა ავთანდილისა გულანშაროით და ტარიელის შეყრა“ (გვ. 172), 1875 და 1883 წწ. გამოცემაში ასე იკითხება: „ავთანდილისაგან გულანშაროთ წასვლა და ტარიელის შეყრა“ (გვ. 171, 152). 1860 წ. გამოცემაში დაბეჭდილია: „თათბირი ფრიდონისა, ავთანდილისა და ტარიელისა ქაჯეთის ციხის აღებაზე“ (გვ. 180), 1875 და 1883 წწ. გამოცემაში „ციხის აღებაზე“ გადაკეთებულია „ციხეს რომ მოადგეს“ (გვ. 180, 160). 1860 წ. გამოცემით იკითხება: „მისვლა ტარიელისა ზღვათა მეფისას და ფრიდონისას“ (გვ. 185), 1875 და 1883 წწ. გამოცემაში კი — „ტარიელისაგან ზღვათა მეფისასა და ფრიდონისას მისვლა“ (გვ. 184, 164).

არის საწინააღმდეგო შემთხვევაც, მაგ. 1875 წ. გამოცემაში დაბეჭდილია: „წიგნი ფატმანისა ავთანდილთან სამიჯნუროდ მიწერი-

¹⁴¹ „ივერია“, 1883, № 6—7, გვ. 143.

¹⁴² შ. ადენიშვილი, ვეფხისტყაოსნის გამოცემები, კრებ. „რუსთაველ სკოლაში“, 1937, გვ. 306.

ლი (გვ. 140), 1860 და 1883 წწ. გამოცემებში „ავთანდილთა“ შეცვლილია „ავთანდილისადმი“ (გვ. 140, 124). 1875 წ. გამოცემის დასათაურებაა: „წიგნი ავთანდილისაგან ფატმანთან პასუხად მიწერილი“ (გვ. 141), 1860 და 1883 წწ. გამოცემებში „ფატმანთან“ გადაკეთებულია „ფატმანისადმი“ (გვ. 142, 125). 1860 და 1883 წწ. გამოცემებში პოემის პროლოგი დასათაურებულია ასე: „წინასიტყვაობა რუსთველისა“, 1875 წ. გამოცემაში კი — „წინასიტყვაობა“. ერთი სიტყვით, პ. წულუკიძეს ორივე გამოცემით (1867, 1875 წ.) უსარგებელია თავისი გამოცემისათვის, რომელიც 1591 სტროფს შეიცავს.

ტექსტზე მუშაობა, საფიქრებელია, კ. ლორთქიფანიძეს ჩაეტარებინოს. ის გარდა იმისა, რომ თავისი შრიფტის პოპულარიზაციით იყო გატაცებული, ამავე დროს დაინტერესებული იყო ვეფხისტყაოსნის აღდგენილი ტექსტის გამოცემით. როგორც აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოემის 1875 წლის გამოცემის ტექსტის დადგენაში.

წიგნის ანაწყოების ზომა არის $5 \times 8 \frac{1}{4}$. შეიცავს 183 გვ., ფასი 35 კაპიკი.

გარეკანი და თავფურცლის წარწერები ერთნაირია (იხ. ტაბ. VI), განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გარეკანის ტექსტი ჩასმულია ორ წვრილხაზიან აშიაში. ტექსტისათვის ორივეში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: ლორთქიფანიძის 12, ვახტანგისეული 24-იანი შავი, შავი მთავრული 12, პეტრიტი რუსული გარნიტურიდან შავი განიერი.

პოემის ტექსტი დაბეჭდილია ლორთქიფანიძის შრიფტით, უშპონოთ. სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია თითო შპონით. სათაურები აწყობილია ლორთქიფანიძის ციციერთი.

გამოცემაში უარყოფილია სტროფების ნუმერაცია, მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ შეტანილია ტექსტში. დიალოგის შემცველი სტროფების დასაწყისი ტაეპები ჩასმულია წინწყლებში, თუმცა სიზუსტე ამ მხრივ მთლიანად არ არის დაცული. პოემის თავების ბოლოს დაბეჭდილია ბორდიურის ხაზები. 1587 (2121)—1588 (2122) და 1590 (2125) და 1591 (2126) სტროფებს შორის გავლებულია წვრილი მოკლე ხაზები.

კოლონციფრი დასმულია გვ. შუა ადგილას, აწყობილია იგი პეტრიტით, ქვემოთ გავლებული აქვს ტალღისებური მოკლე ხაზი.

ამ გამოცემაში დაბეჭდილია ვეფხისტყაოსნის მხოლოდ ტექსტი და ისიც, როგორც აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძის შრიფტით, რაც შეუჩვეველი თვალისათვის ძნელი საკითხავი იყო. ამის გამო, ეს გამოცემა უარყოფითად იქნა შეფასებული. „კარგია კიდევ, — წერ-

და ამ გამოცემის შესახებ გაზ. „დროება“, — [რომ] ვეფხისტყაოსანი ისე გავრცელებულია ხალხში, რომ ეს გარემოება არას ავნებს მას, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ახალი რამ რომ გამოეცათ ამ შრიფტით. ხალხს ან ებრაული წიგნი ეგონებოდა, ან ბერძნული და იქნება შიგაც არ ჩაეხედნა. ვაი კორექტორის ბრალი! არა ერთი წყვილი თვალი დაზიანდებოდა ამ პატარა წიგნის ბეჭდვის დროს“¹⁴³.
პ. უმიკაშვილმა კი კატეგორიულად განაცხადა: „მეტი ღონე არ არის ამ შრიფტს თავი უნდა დავანებოთ, თორემ დაჟინება ჩვენ შეგვრჩება და წიგნების გავრცელებას და კითხვას კი, სხვა სიძნელესთან, ესეც დაემატება“¹⁴⁴.

ამას გარდა, რეცენზენტი ნაკლად უთვლიდა გამომცემელს, რომ მან პომეს არ დაურთო „მცირედი ლექსიკონი“ რომლის საშუალებით მკითხველს გაუადვილდებოდა ვეფხისტყაოსნის „საყვარელი ლექსების კითხვა“. რეცენზენტს საჭიროდ მიაჩნდა აგრეთვე პომეს წინ დართოდა გამომცემლის წინასიტყვაობა, სადაც რუსთველისა და მისი თხზულების ღირსებაზე უნდა ყოფილიყო ცნობები მოცემული. ეს კი აუცილებელი იყო, რადგანაც „ამ გვარი წინდართული წერილი მკითხველს ღონისძიებას აძლევს უფრო ღირსეულის ცნობიერებით და შეგნებით წაიკითხოს თხზულება და მომეტებული სარგებლობა გამოიტანოს“¹⁴⁵.

დასასრულს რეცენზენტი აღნიშნავს იმ გაუგებრობას, რაც „დროებამაც“ შენიშნა: ვეფხისტყაოსნის ყდაზე არის განცხადება: „ფაი სურათით ათი შაური“. პ. უმიკაშვილი წერს, რომ „ქალაქში მიღებულ წიგნს სურათი არ აქვსო“ და კითხულობს: „არ ვიცი თუ ეს შეცდომაა თუ არა, — და ასევე, — თუ ეს ასე არის, რა საჭიროა ამისთანა განცხადება, რა საჭირო იყო მეექვსე გამოცემის შეცდომის განახლება“. საზოგადოდ, — ამბობს წერილის ავტორი — „თუმცა დიდის სიამოვნებით ვეგებებით [ქუთაისში] დაწყებულ წიგნების ბეჭდვას, მაგრამ ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე უნდა ვსთქვათ, მოხსენებულ ნაკლულოვანებათა გამო, რომ ყველა წინათ გამოცემულს დაუვარდება ღირსებით“, ავტორი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ასეთი მარცხი „რაღა ამ უკვდავ თხზულებას დაემართა პირველად ქუთაისში გამოსვლაზე“¹⁴⁶.

¹⁴³ გაზ. „დროება“. 1883. № 130, გვ. 2.

¹⁴⁴ ეურნ. „ივერია“, 1883, № 7—8, გვ. 152.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 143—144.

¹⁴⁶ ეურნ. „ივერია“, 1883, № 7—8, გვ. 152—153.

კ. მუხეციანი ასრით, პ. უმიკაშვილს თითქოს აღნიშნული პქონდეს, რომ ვეფხისტყაოსნის 1883 წ. გამოცემა კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა და საამისოდ იმონებს პ. უმიკაშვილის რეცენზიიდან (ეურნ. „ივერია“,

გაფორმების მხრივ კი, პ. წულუკიძის გამოცემა დადებითად შეფასდა. „გამოცემა ძალიან სუფთა და ლაზათიანია,—წერდა „დროება“, — კორექტურული შეცდომებიც ცოტაა (რასაც დიდი გავლენა აქვს ამისთანა გამოცემაში)“¹⁴⁷. წიგნი „იშვიათი სიფაქიზით და სილამაზით არის დაბეჭდილი, ეკადრებოდა კიდევ, რომ ქუთაისში პირველად დაბეჭდილს გარეგანი სილამაზე არ ჰკლებოდაო“, — წერდა პ. უმიკაშვილი¹⁴⁸.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, ეს გამოცემა მაინც სასწრაფოდ გავრცელდა და საკურო გახდა პოემის ხელახალი გამოცემა.

XIII

1886 წელს ვეფხისტყაოსნის გამოცემის სამზადისს შედგომია ზ. ჭიჭინაძე. აღნიშნული წლის 30 იანვარს საცენზურო კომიტეტისა-

1883 წ. № 7—8) შემდეგ აღიკვლია: ვეფხისტყაოსნის „ტექსტის რედაქციაზე მოკლედ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს მეშვიდე გამოცემა მეექვსელამ არის გადმობეჭდილი ცოტაოდენის შეცვლით. ეს გამოცემა კი ორივე ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა [ხზი კ. მეძველიასია]. იგი შეთანხმებულია, როგორც ნათქვამია გამომცემელთაგან, ვახტანგის დაბეჭდილთან“. მართლაც, — ასკენის კ. მეძველია — კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგის გამოცემასთან შედარებამ დაადარებულა პეტრე უმიკაშვილის მოსაზრება“ (იხ. კ. მეძველია, ვეფხისტყაოსნის 1883 წლის გამოცემის შესახებ, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ., № 34 (1463), 20 VIII, გვ. 2).

კ. მეძველიას აღნიშნული ციტატა სწორად არ აქვს მოყვანილი. იგი წარმოადგენს პ. უმიკაშვილის ორ სხვადასხვა საკითხზე მოცემულ ცნობის არასწორ კომპილაციას, რის გამოც პ. უმიკაშვილს ისეთი რამე მიეწერება, რაც მას არ უთქვამს. კ. მეძველიას მიერ ზემოთ მოყვანილ ციტატიდან სიტყვებამდე „ეს გამოცემა“, ამოწერილია პ. უმიკაშვილის რეცენზიის ძირითადი ტექსტიდან, რომლის შემდეგ საუბარია პოემის არა 1883 წ. გამოცემის წყაროზე და რედაქტორზე, არამედ სულ სხვა რამეზე. წერილის სქოლიოში კი (ვვ. 143) პ. უმიკაშვილი ჩამოთვლის რა პოემის 1883 წლის წინა გამოცემებს წერს: ვეფხისტყაოსნისა „მეექვსედ [გამოცემულია] არსენ კალანდაძის და ექვთიმე ხელაძისაგან ტფილისის 1875 წ. ეს გამოცემა კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა. იგი შეთანხმებულია, როგორც ნათქვამია გამომცემელთაგან, ვახტანგის დაბეჭდილთან“. როგორც ვხედავთ, აქ პ. უმიკაშვილს საუბარი აქვს პოემის 1875 წ. გამოცემულ ტექსტზე და არა პ. წულუკიძის 1883 წ. გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე; რომ ეს ასეა, ჩანს შემდეგიდანაც: პ. უმიკაშვილის ცნობით, კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემული ტექსტი „შეთანხმებულია, როგორც ნათქვამია გამომცემელთაგან, ვახტანგის დაბეჭდილთან“. პოემის 1883 წ. გამოცემა მართო ტექსტს შიციავს. მის „გამომცემელთაგან“ არავითარი ცნობა არ აქვს დართული. 1875 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში კი ყველაფერი ისეა აღნიშნული, როგორც პ. უმიკაშვილს აქვს მითითებული.

¹⁴⁷ ვახ. „დროება“, 1883, № 130, გვ. 2.

¹⁴⁸ უერნ. „ივერია“. 1883, № 7—8, გვ. 142.

გან გამოუთხოვია სათანადო ნებართვა, რაც 31 იანვარს ცენზორ ლ. ისარლოვისაგან კიდევაც მიუღია¹⁴⁹.

შემდეგში ამ განზრახვაზე ზ. ჭიჭინაძეს ხელი აუღია და წერაკითხვის საზოგადოების გამგეობისათვის მიუმართავს, რომ უკანასკნელს ეკისრა პოემის ახალი გამოცემა. საამისოდ მას საზოგადოების გამგეობისათვის შემდეგი მოხსენებითი ბარათი წარუდგენია: „ვეფხვისტყაოსანი, — წერს აღნიშნულ მოხსენებაში ზ. ჭიჭინაძე, — ისეა დღეს მოფენილი საქართველოს ერში, რომ ყოველს კაცს თითქმის სამხვთო ვალათ გადაქცევა მისი წაკითხვა და გაცნობა. ამ წიგნის მსურველს დღეს მთელ საქართველოში განურჩევლად შეხვედებით როგორც განათლებულ და შეძლებულ, ისე ღარიბ ხალხში და აგრეთვე სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლეებში.

ტფილისის სხვადასხვა წიგნთმალაზიებში თითქმის მუდამდღე თხოულობენ ამ წიგნს, კვირაობით იარმუკაში ხომ მობეზრებული ვართ როგორც მე, ისე სხვა ბუკინისტებიც. მაგრამ ამ ერთადერთ წიგნს, რომლის მოპოვება არსებობის პურსავით სალოცველ გამხდარა, ხალხი ვერსად ვერ პოულობს სასყიდლათ. ამ გვარ ხალხის მოთხოვნილებას მე მივაქციე ყურადღება და გადავსწყვიტე წიგნის გამოცემა, მაგრამ დავაკვირდი რა მრავალთ მკითხველთა ვინაობას და შეძლებას, მე დავრწმუნდი, რომ წიგნის გამოცემა ჩემგან შეუძლებელია და ეს იმისთვის, რომ, რადგან წიგნი-ერთი ცოტა უნდა გამოვცე და მეორე ისიც ვალით — ამიტომ წიგნი სამ აბაზ ნაკლებ არ გაიყიდება და ეგრეთი დიდი ფასი, რასაკვირველია, ბევრ მსურველთათვის საძნელო დარჩება. ამისთვისო, — წერს ზ. ჭიჭინაძე, — მივმართე „წერაკითხვის სამმართველოს“ და ვსთხოვე, რომ მან მიაქციოს ყურადღება ქართველ დაბალ ხალხის მოთხოვნილებას და ვეფხვისტყაოსანი ცალკე გამოსცეს, რომლის ეგზემპლიარი 30 კ. არ აღემატოს. და რომ შეიძლება ამნაირი ფასით გამოცემა, ამის ანგარიშს აქვე წარმოვადგენ“.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „ვეფხვისტყაოსანი არის სულ შვიდი თაბახი, ჩვეულებრივ ზომით თუ დაიბეჭდა, როგორც 1875 [წლის გამოცემა] იყო. აღამეცკის სტამბაში თაბახის ამოწყობა და დაბეჭდვა [ღირს] 11 მან. ხოლო 1200 წიგნი ორი „ზაოდის“ 15 მ. დაჯდება. სამი „ზაოდი“ 3 600 წიგნი 20 მან. დაჯდება. სულ შვიდი თაბახი იზამს 140 მ. ეხლა ვინაგარიშით, თუ რამდენის მოუნდება ქალაქი. 1200 ეგ. 17 ოზმა ნახევარი. ოზმა ღირს 5 მ., 17 ოზმა კი 87.50 კ. ეღირება. ორ „ზაოდს“ ე. ი. 2400 ეგ. მოუნდება 35 ოზმა 174 მანეთის ქალაქი, 3 600 ეგ. მოუნდება სულ 262 მ. 50 კ. ქა-

¹⁴⁹ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 114, საქ. 750 ფ. 3.

დალდი. 3 600 ეგ. მეყდე (переплетчик) წაიღებს 30 მ., ფერადი ქალაღდი 7 მ., ცენზურებისათვის მარკა 60 კ., „აბოლოჩკას“ დასაბეჭდი 6 მან. სულ რომ ვიანგარიშით 3 600 ეგ. ეღირება 446,10 კ. ასთე, რომ თითო წიგნი ჯდება არა უმეტეს 13 კ.

თუ „საზოგადოების“ ნება იქნება, მევე წარმოვადგენ ვეფხვისტყაოსანს ცენზორის ხელის მოწერილს, რომლისთვისაც მარკის ფასი უნდა დამიბრუნოთ. გავახსენებ „საზოგადოებას“,—აქენის ზ. ჭიჭინაძე. — რომ ამ წიგნის გამოცემით ის დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს და ამასთანავე თვითონაც საკმარისი მოგება დარჩება სხვადასხვა წიგნის გამოსაცემად, რადგანაც ვეფხვისტყაოსანი ყოველწლივ შკოლებში და ხალხში 800 ეგზ. მეტი გაიყიდება. ამის თქმას ის მამედვინებს, რომ 1870 წ. შემდეგ ოთხი¹⁵⁰ სხვადასხვა გამოცემა გასაღდა და დღეს არ მოიპოვება¹⁵¹.

ზ. ჭიჭინაძის ეს მოხსენება ზაინტერესოა: პოემის გამოცემის გაანგარიშებასთან ერთად, მისგან ვგებულობთ, თუ რამდენად დიდად გაზრდილა მოსახლეობაში მოთხოვნილება ვეფხვისტყაოსანზე.

როგორც საქმეებიდან ჩანს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ზ. ჭიჭინაძის მოხსენება შეუწყნარებია და მისგან მოუთხოვია ცენზურისაგან ნებადართული ვეფხვისტყაოსნის წარდგენა. ამის შესახებ გაზ. „ივერია“ 1886 წ. 22 მარტს (№ 65, გვ. 4) აცხადებდა: „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გადაუწყვეტია გამოსცეს ვეფხვისტყაოსანი, პატარა გამოცემად, როგორც აქამდე გამოდიოდა, უსურათებოდ, დაბალის ხალხისთვის და სკოლებში სახმარებლად, ამ გამოცემის თადარიგს უკვე შესდგომიანო“.

ამავე საკითხზე ჟურნ. „თეატრი“. იმავე წლის 12 აპრილს, წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამას წინეთ ერთ ყმაწვილ კაცს ვრცელი მოხსენება წარუდგენია წერა-კითხვის სამმართველოში, რომ საზოგადოებამ თავისი ხარჯით გამოსცეს იეფად და სახალხოდ ჩვენი უკვდავი შოთა რუსთველის ვეფხვისტყაოსანი... საზოგადოების უმეტესის ხმის რჩევით ხსენებული მოხსენება უკვე შეუწყნარებიათ და ვეფხვისტყაოსნის გამოცემაც გადაუწყვეტიათ. იმედია, — ასკვნის რედაქცია,—რომ ეს გამოცემა მალე გამოვა, რომელსაც არა უმეტეს 40 კაპ. დაუნიშვნენ და მით დააკმაყოფილებენ ერთადერთ მოთხოვნილებას ქართველ დაბალ ხალხისაო“.

ზ. ჭიჭინაძის წარუდგენია ვეფხვისტყაოსნის ცენზურის მიერ ნე-

¹⁵⁰ შეცდომაა, 1870—1886 წწ. ორჯერ გამოიცა ვეფხვისტყაოსანი, 1875 წ. ტფილისში და 1883 წ. ქუთაისში.

¹⁵¹ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 229, საქ. № 114, ფ. 8.

ბადართული ეგზემპლარი, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას გამოცემაზე უარი უთქვამს ალბათ იმის გამო, რომ ამ დროს მზად იყო კომისიის მიერ დამუშავებული პოემის ტექსტი და მის გამოცემაზე ზრუნავდნენ. ამ საქმის შესახებ უფრო „თეატრი“ 1887 წ. 1 იანვრის ნომერში აცხადებდა: „ჩვენ ნამდვილად შევიტყუეთ, რომ ხსენებულს საზოგადოებას დაპირება უარუყვია და ვეფხვისტყაოსანს აღარ გამოსცემენ, რადგანაც „რობინზონ კრუზო“ დაბეჭდეს და სხვა ბევრს ამისთანების ბეჭდვასაც აპირებენო“. ამ ცნობას რედაქცია დასძენს: „პირნათლად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ წერა-კითხვის სამმართველო ვერც „რაბინონთ“ და ვერც სხვა ათი ამისთანა გამოცემით ვერ მოიგებდა იმდენს, რამდენსაც ვეფხვისტყაოსნის ახალი გამოცემა მოაგებინებდაო“.

რაკი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ უარი განაცხადა ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე. ამიტომ 1886 წ. 11 ნოემბერს ზ. ჭიჭინაძემ უკან გამოითხოვა ცენზურაში გატარებული ვეფხისტყაოსნის თავისი ეგზემპლარი¹² და წამოწყებული საქმეც უშედეგოდ დამთავრდა.

XIV

ზ. ჭიჭინაძის შემდეგ ვეფხისტყაოსნის გამოცემის საქმეს თბილისში ხელი მოკიდა გრ. ჩარკვიანმა. მან 1887 წ. გამოსცა პოემის მერვე გამოცემა. საცენზურო კომიტეტს ნებართვის მისაღებად მიმართა 1887 წ. 19 მარტს, იმავე თვის 22-ს ცენზორმა ლ. ისარლოვმა გასცა სათანადო ნებართვა.

როგორც გამომცემლის „შენიშვნებიდან“ ჩანს და საკითხის შესწავლიდანაც გამოირკვა, ეს გამოცემა ჩარკვიანს გადმოუბეჭდავს არსენ კალანდაძის (1875 წ.) გამოცემიდან, რადგანაც არსებული გამოცემებიდან, ყველაზე უნაკლოდ ის მიუჩნევია. განსხვავება ისაა, რომ კალანდაძის გამოცემას ახლავს პოემის წინა გამოცემათა მოკლე მიმოხილვა, ჩარკვიანისას კი, ამის ნაცვლად გამოცემათა სია აქვს დართული. ამას გარდა, კალანდაძის გამოცემაში გაპარული კორექტურული შეცდომებიდან ზოგი რამ ჩარკვიანს გაუწივრებია, მაგრამ შევიდამდის უმთავრესი შეცდომა მასაც გაპარვია, რაც წიგნის ბოლოში კიდევაც აღუნიშნავს.

¹² საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 229, საქ. № 105, ფ. 16.

გამოცემას თან ერთვის პოემის ავტორის სურათი (21×15). დახატულია ის ოქონელის¹⁵³ მიერ. მასვე ეკუთვნის ავტორისა და პოემის სახელწოდების დახატვა, წიგნის მაღაზიის მარჯის დასურათება და ყოველი თავის ტექსტის დასაწყისი პირველი ასოს დახატვა. მათი ხეზე ამოჭრა კი ეკუთვნის გრ. ტატიშვილს.

პოემა დაბეჭდილია 'სუფთად, კარგ ქაღალდზე. ყველა თავი ახალი გვერდით იწყება, რომელსაც ბოლოში დართული აქვს ბორდიური, ტეხილი ან სწორი ხაზი.

ანაწყობის ზომა 6×10, გვ. 11, 272, I, სტროფი 1589.

პოემა აწყობილია აკადემიური 12-ით. თითოეული თავის ტექსტის დასაწყისი ასო — 24 თხელი განიერით, სათაურები — გოგებაშვილის 16.

ავტორისა და პოემის სახელწოდების გარდა, თავფურცელზე გამოყენებულია შემდეგი სახის შრიფტები: ვახტანგისეული 10, 12 ჩვეულებრივი 12 ვახტანგისეული მუქი, და გოგებაშვილის 16 (იხ. ტაბ. VII).

შმუტტიტულზე დაბეჭდილია პოემის სახელწოდება 20 შავით. მეხუთე გვერდზე მოთავსებულია „შენიშვნა“, აწყობილია ის 10 მთავრული შავით. შენიშვნის ტექსტი—12 ვენურით, სარჩევის — ვახტანგისეული კორპუსით.

¹⁵³ ოქონელი — ვასილ ივანეს ძე გოლოვნი. უკრაინელი, დაიბადა 1861 წ. ქ. გორში. მამა იყო ჩერნიოვოვის გუბერნიიდან, დედა ეკატერინე გაბრიელის ასული ცხინვალელი ქართველი პალი იყო. პირველდაწყებითი განათლება ვასილმა მიიღო გორის სახელოსნო სანაჯვლებელში, უმაღლესი—პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. ფსევდონიმი „ოქონელი“ მან დაირქვა სოფ. ოქონიდან, რომლის ხშირი სტუმარი იყო მხატვარი. (იხ. დ. ბაბუნაშვილი, ვასილ გოლოვნი — ოქონელი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, № 2, გვ. 63—64).

შ. რუსთველის პორტრეტი ცალკე სახითაც იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა. ამის შესახებ მოგვეპოვება რამოდენიმე ცნობა, რომლებიც ამოწერეთ ოცდაათი წლის წინათ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საცენზურო კომიტეტის საქმეებიდან. ამ ცნობების მიხედვით, შ. რუსთველის პორტრეტი თბილისში დაბეჭდილა: 1876 წ. ივლისში მუნტოვის ლითოგრაფიაში. იმავე წლის 13 აგვისტოს კონსტანტინე მესხს საცენზურო კომიტეტისაგან მიუღია შ. რუსთველის პორტრეტის გამოცემის ნებართვა. 1887 წ. მესხიევის სტამბაში დაბეჭდილა 580 ცალი, (ცენზურის ნებართვა 1887 წ. 11 სექტემბერი). 1895 წ. გ. დემუროვის ლითოგრაფიაში უბრალო ქაღალდზე დაუბეჭდიათ 2000 ცალი (გავრცელების ნება მიიღო იმავე წლის 22 აპრილს). 1895 წ. გამოუცია თოიძეს, ცენზურისაგან ნებართვა გაიცემულია 1895 წ. 11 აგვისტოს, დაიბეჭდა იმავე წლის 23 აგვისტოს (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქმეები: 263, ფ. 13: №833. ფ. 57: № 829, ფ. 268; №1294, ფ. 288; № 1294, ფ. 5, 288; № 328, ფ. 6--9).

სიტყვების განმარტება აწყობილია ორ სვეტად, შუაში გავლებული აქვს ხაზი ისე, როგორც ა. კალანდაძის გამოცემაშია.

ალფავიტური დაჯგუფებანი სათანადო ასოთი არაა გამოყოფილი, მის ნაცვლად ალფავიტის პირველი ასოა დახატული და საგანგებოდ გამოიყოფა.

ასახსნელი სიტყვები აწყობილია შავი აკადემიურით, ახსნილი — თეთრი აკადემიურით, საწყისი ასოები — 16 შავი ვახტანგურით.

მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ დაბეჭდილია ლიგატურით და გამოტანილია გარეთ.

გვერდების ნუმერაციას ქვემოთ მოკლე თხელი ხაზი აქვს გასმული.

თავები რომაული ციფრითაა დანომრილი სათაურის თავზე და ზომაც (16 შავი ე. წ. ინგლისური გარნ.) შეფარდებულია გამოცემათან.

ტექსტი იბეჭდებოდა თითო თაბახობით.

1841 წლიდან მოყოლებული ყველა გამოცემაში პოემის ავტორად აღნიშნულია შოთა რუსთველი, ამ გამოცემაში კი პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთველი, რაც შემდეგ კიდევაც დაკანონდა.

ეს გამოცემა დაიბეჭდა 1200 ცალი. ფასი ერთი მანეთი. წიგნი თითქმის მზად იყო აპრილის შუა რიცხვებში და თვის ბოლოსათვის ფიქრობდნენ ბაზარზე გამოეტანათ, მაგრამ იენისამდის ეს საქმე ვერ მოხერხდა. 5 იენისს კი გაიცა საცენზურო კომიტეტისაგან გავრცელების ნებართვა¹⁵⁴ და წიგნიც გაშვებული იქნა ბაზარზე.

ეურნ. „მწყემსი“ ამ გამოცემის შესახებ წერდა: „წიგნი ძალიან კარგად არის გამოცემული, მაგრამ ერთი მანეთი ფასი ისეთ წიგნზე, რომელიც ასე გავრცელებულია და რომელიც ასეთ საყვარელ საკითხავ წიგნს შეადგენს ჩვენი ხალხისათვის, ძალიან ძვირად მიგვაჩნიაო“, მაგრამ სიძვირის მიუხედავად, როგორც ჩანს, წიგნი მაინც მალე გავრცელებულა. მომდევნო წელს კი კვლავ დაიბეჭდა ვეფხისტყაოსანი, რომელიც გ. ქართველიშვილის გამოცემით არის ცნობილი.

XV

ქართველიშვილის გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე დიდი მუშაობა ჩატარდა როგორც ტექსტის დადგენის საქმეში, ისე გაფორმების მხრივაც. ამ საქმის ინიციატორი იყო იონა მეუნარგია (1850—1919). უკანასკნელმა 1876—1878 წლები გაატარა საფრანგეთში.

¹⁵⁴ საქართველოს ცენტრარქივი, ფ. 114, საქ. 829, ფ. 172.

პარიზში ყოფნისას ის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გაეცნო ფრანგულ ლიტერატურაში საქართველოზე დაცულ ცნობებს და ქართულ ხელნაწერებს, რაც სხვადასხვა დროს იყო საქართველოდან გატანილი და ამ ბიბლიოთეკაში მოთავსებული¹⁵⁵. ამ დროს ი. მეუნარგიას შეუსწავლია აღნიშნულ ბიბლიოთეკაში დაცული ვეფხისტყაოსნის ნუსხებიც. მისი ყურადღება მიუპყრია P-10 ხელნაწერ კრებულს. სადაც მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის ვრცელი ტიპის ხელნაწერი. გადაწერილია ის 1702 წ. 15 იანვარს. ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარებით, ამ ხელნაწერში აღმოჩენილა 369 ზედმეტი სტროფი. ეს ზედმეტი სტროფები ი. მეუნარგიას. გადმოუწერია და 1880 წ. რატომღაც „Одъор“-ის¹⁵⁶ რედაქციისათვის წარუდგენია.

ამ დროს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე გამოცემა არსებობდა. ყველა გამოცემა სტროფული მოცულობით და ცალკეული ადგილების წაკითხვით სხვადასხვანაირი იყო. ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა პოემის ხელნაწერებშიც. ამას გარდა, არც ერთი ხელნაწერი XVII საუკუნეზე ადრინდელი არ ჩანდა. ყოველივე ამან დაბადა აზრი, რომ გამოცემულიყო ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტი, რისთვისაც საჭირო იყო პირველ რიგში პოემის ხელნაწერების დაგროვება და რუსთველის ეპოქასთან მიახლოებული ხელნაწერის ხელში ჩაგდება. ასეთი ხელნაწერის ძებნა კი უნდა დაწყებულიყო საქართველოში.

1878 წ. მიწურულში ი. მეუნარგია დაბრუნდა სამშობლოში. 1879 წელს მას ირჩევენ ახლად დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად. ამ თანამდებობის გამოყენება სცადა მან ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა დაგროვებისათვის, რომ შემდეგ ნაბეჭდი და ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ერთმანეთისათვის შეედარებინათ და ამ გზით დაედგინათ და დაე-ბეჭდათ პოემის ახალი კრიტიკული ტექსტი.

1880 წ. კიდევაც შედგა ამ საქმის საინიციატივო ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ რ. ერისთავი, ი. მეუნარგია, და ი. გოგებაშვილი. ამავე წლის 15 ნოემბერს გაზ. „დროების“ საშუალებით კომისიამ გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება და თავისი სამოქმედო პროგრამა:

„შვიდ საუკუნეში, რომელიც გასულია რუსთაველის დროებიდან. ვეფხისტყაოსანი ბევრის გადაწერ-გადმოწერით, ჩამატებით, გამოკლებით ისე შეცვლილია, რომ გვგონია, რუსთაველის გენიამ სამჭერ უარპყოს პოემის ავტორობა, სანამ ერთი გამოცემა გაიყიდე-

¹⁵⁵ ი. მეუნარგიას ავტობიოგრაფიიდან, „მნათობი“, 1955, № 2 გვ. 186.

¹⁵⁶ გაზ. „Одъор“, 1880, № 535.

ბოდეს. ამიტომ ქართული ლიტერატურის მოყვარულთ ვალაია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, აღადგინონ ნამდვილი პოემა დიდის პოეტისა ისეთისავე მეცადინეობით და მოწიწებით, რა მეცადინეობითაც სხვა ხალხები ეპყრობიან თავიანთ საუკეთესო პოეტების მანუსკრიპტებს.

ეს აზრი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენამდისაც გაუწევიათ ამგვარი შრომა და ბევრსა ცდილან პოემის აღდგენაზე, მაგრამ ვერ შესძლებიათ ეშოვნათ ყველა ხელთნაწერი ვეფხვისტყაოსნების, საიღამაც უნდა ესარგებლნათ და ამის გამო ყველა შეცდომაც ვერ აუცდენიათ წიგნისთვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არც აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს ვეფხვისტყაოსანში, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა. შევთანხმდეთ ვეფხვისტყაოსანი სხვადასხვა ვარიანტებთან. რაც აკლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია — გამოვაკლოთ (ხელთ გვაქვს ხუთი ხელნაწერი ვარიანტი, კიდევ ველით რამდენსა-მეს).

ბ. დავსხათ პოემაში, თავსთავის აღგილზე, მართლწერის ნიშნები. ამ ნიშნების შეცდომას ბევრი ზიანი მოაქვს მკითხველისთვის, რადგანაც მისი გონება ირყვნება გაუგებარი პაზრების ზეპირებით.

გ. თუ შესაძლებელი იქნება: შევიტყოთ ვინ არიან იმ დამატებათა ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილნი; მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე; შევადგინოთ საზოგადო შენიშვნა ვეფხვისტყაოსანზე და შევკრიბოთ ცნობა იმაზე, თუ ვის რა გვარი ვეფხვისტყაოსანი აქვს ამჟამად.

ამ მიზნის მისაღწევნელად ჩვენ საზოგადოებისაგან ვითხოვთ:

ა. ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში (საცა უნდა მოხდეს ვეფხვისტყაოსნის რედაქცია) ხელთნაწერი ვეფხვისტყაოსანი, რომელიც, შემდეგ შესწორებისა, დაუბრუნდება პატრონს უკლებლათ და ყოვლის მიზეზის გარეშე.

ბ. თბილისში მყოფთ ამ საქმის თანამგრძობელთა ვსთხოვთ მობრძანდნენ საზოგადოების კანცელარიაში და მიიღონ მონაწილეობა რედაქციის შრომაში, რადგანაც, — აცხადებს კომისია, — „ესეთ დიდ პასუხისგებას, როგორც არის ვეფხვისტყაოსნის ხელის

ხლება, ჩვენ მარტო ვერ ვიღებთ ჩვენს თავზე. გვინდა რომ ამ საქმეში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფასს ნაციონალურ სიმდიდრეს“¹⁵⁸.

საქმის მოთავეებს განზრახული ჰქონიათ მთლიანი ვეფხისტყაოსანი 25 სხდომის განმავლობაში დაემუშაებინათ. სხდომა დაინიშნებოდა ყოველ მესამე დღეს და მათი საქმიანობა სისტემატურად გაშუქდებოდა გაზ. „დროებაში“.

მეორე დღეს გაზ. „დროებამ“ ამ მოწოდებას მოწინავე წერილი უძღვნა. წერილის ავტორი ხაზს უსვამს წარსულში ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას. ძველთაგანვეო,—წერს „დროება“ — „ორი ძვირფასი, წმინდა, ჭირში და ლხინში მანუგეშებელი წიგნი ჰქონიათ ჩვენ წინაპრებს; ეს ორი წიგნი იყო სახარება და ვეფხისტყაოსანი. ერთში იხატებოდა ჩვენი რჯული, სარწმუნოება, მეორეში—ჩვენი ერობა, ქართველობა. ამ ორი წიგნით გამხნევებულან, როდესაც გარეშე ანუ შინაგანი განსაცდელი მიადგებოდათ... ვეფხისტყაოსანი უნდა მიგვაჩნდეს საუკეთესო ძეგლად ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, ჩვენის წარსულ ლიტერატურის და საერო ცხოვრების დიდებისა. ამისთანა წიგნი ყველა ქართველს მუდამ თვალწინ უნდა ჰქონდეს, მუდამ წინ უნდა ედვას, როგორც წმინდა ნაწილებს, ისე უნდა ეპყრობოდეს“...

მაგრამ მარტო წარსულით არ ამოიწურება ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა. ავტორის აზრით, ის დიდია დღესაც. „როცა რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით ამჟამად. — აცხადებს გაზეთი, — როდესაც ერს თავისი ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, რაც გვარტომობის დამამყარებელია, გულგრილად შესცქერის,— ამისთანა დროს ძველ მწერლობის გახსენებას, ძველ მამაპაპეულ ნანგრევთა ნაშთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. ყველა ეს ამხნევებს, თავის თვალში ამადლებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერგიას უმატებს ამგვარ ერსა.

ჩვენის აზრით, — ასკვნის გაზეთი, — სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის კარგად გამოცემას, აღდგენას და იმის დამწერის გაცნობას“¹⁵⁹.

ასეთი გულთბილი გამოხმაურების მიუხედავად, პირველ ხანებში კერძო პირები ადვილად მაინც არ იძლეოდნენ პოემის ხელნაწერებს. ვეფხისტყაოსანს, როგორც ძველ განძს, თავიანთი ოჯახე-

¹⁵⁸ გაზ. „დროება“, 1880, № 241.

¹⁵⁹ იქვე, № 242.

ბიდან ვერ ელევდნენ, თუ გინდ დროებით. ამიტომ პირველ საორ-
ჯანიზაციო სხდომაზე, რომელიც შედგა 1880 წ. 24 ნოემბერს, სალ.
ნ საათზე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელა-
რიაში (საპიორნის ქ. № 41), 8 ხელნაწერს ძლივს მოუყარეს თავი.
ამის გამო, პ. უმიკაშვილის წინადადებით, სხდომა იძულებული გახ-
და მუშაობის დაწყება გადაედო, სანამ ხელნაწერთა რიცხვი არ გა-
დიდდებოდა. ამავე სხდომაზე დასახელებული იყვნენ ის პირები,
რომელთანაც ეკულებოდათ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი. კომისიამ
გადაწყვიტა — წერილობით მიემართათ აღნიშნულ პირთათვის, რომ
მათ დროებით სახმარათ დაეთმოთ პოემის ხელნაწერი. ამ საქმის მე-
თაურად კრებამ აირჩია გრ. ორბელიანი, რომელმაც დავალება სია-
მოვნებით მიიღო.

ამავე სხდომაზე ილია ჭავჭავაძემ და სხვებმაც გამოსთქვეს აზ-
რი, რომ კრებას „შემოეფარგლა შრომის მოედანი“. ვ. მიქელაძისა
და პ. უმიკაშვილის აზრი იყო აღდგენილ ტექსტს კომენტარიც და-
ართოდა. გ. წერეთლის აზრით კი, უმჯობესი იქნებოდა საქმეში მო-
ნაწილე პირები ჯგუფებად დაყოფილიყვნენ და თითოეულ მათგანს
დასამუშავებლად აეღო ვეფხისტყაოსნის გარკვეული საკითხი: ზოგს
ლექსიკონის შედგენა, ზოგს გაუგებარი აზრის ახსნა, ზოგს პოემის
ისტორიული ნაწილის გარჩევა და სხვ.

გრ. ორბელიანი. ილ. ჭავჭავაძე და დამსწრეთა უმრავლესობა
იმ აზრისა იყო, რომ ვეფხისტყაოსანი გამოცემულიყო ისე, როგორც
ამდენხანს იბეჭდებოდა, ოღონდ ტექსტი იქნებოდა აღდგენილი, და-
ერთვოდა სიტყვების ახსნა და წინასიტყვაობა, სადაც მოყვანილი
იქნებოდა ცნობები რუსთველზე და მის პოემაზე.

საბოლოოდ მაინც იმ აზრს დაადგნენ, რომ შრომის პროგრამა
მერე, როცა ვეფხისტყაოსნის კითხვას შეუდგებოდნენ, მაშინ დაესა-
ხათ, რადგანაც მუშაობის პროცესში უფრო გამოვლინდებოდა რა
სახის სამუშაოები იქნებოდა შესასრულებელი.

კომისიამ, დავალების თანახმად, მთავარი ყურადღება მიაპყრო
ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა დაგროვების საქმეს. ამ მიზნით გა-
მოიყენეს გრ. ორბელიანის ავტორიტეტი. მისი სახელით დასწერეს
სპეციალური წერილი, რომელშიდაც ეწერა: „ქართულის გაზეთით
მოხსენებული გეჟნებათ, რომ არის სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდი-
ლი ვეფხისტყაოსანი სხვადასხვა ხელნაწერ ვეფხისტყაოსნებთან.
ამისთვის მოწვეულნი არიან ქართულის მცოდნე პირნი და აგრეთვე
ყოველივე. ვისაც ექნება ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, ათხოვოს
წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა.

მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლო საქმეში და
უპორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ, ან თუ შოვნა შეგეძლოსთ,

დროებით გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელთნაწერი ვეფხვისტყაოსნისა.

ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა, თქვენი წიგნი უნაკლოდ მოგერთმევათ.

თქვენის გულითად პატივისმცემელი თავადი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. 30 ნოემბრის, 1880 წ.

ადრესი: «Тифлис, в канцелярию Общества распространения грамотности. На Соперной ул. № 41»¹⁶⁰.

ეს წერილი დაეგზავნა ოცამდე პირს, ვისთანაც ეგულებოდათ ვეფხვისტყაოსნის ხელნაწერი, მაგრამ ზოგ მათგანს არ აღმოაჩნდა, ზოგი კიდევ წამოწყებულ საქმეს პირველად ზერელედ შეხვდა და პოემის ხელნაწერის თხოვებისაგან თავს იკავებდა. მაგრამ ამ მხრივაც დიდი საქმე გააკეთა გაზ. „დროებამ“. უკანასკნელი სისტემატურად ბეჭდავდა იმ პირთა სიას, ვისთანაც პოემის ხელნაწერს მიაკვლევდა. „ჩვენ მივიღეთ თ. გრ. დ. გურიელისაგან შემდეგი შენიშვნა — აცხადებს „დროება“, — მე როგორც მახსოვს ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დანაშთი მამიდგან ერთი კარგი ვეფხვისტყაოსანი რუსთველისა. ხელნაწერი და შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელნიც უნდა იყოს, ჩემის აზრით, პირველი ანუ სისწორით გადმოწერილი. დღეს ის, როგორც მე ვიცი. აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს. ამისთვის არ იქნება ურიგო, რომ ვეფხვისტყაოსნის რედაქციამ იმას მიმართოს თხოვნით, რომ გამოგზავნოს და იმედია უარს არ იტყვის“. „სრული იმედი გვაქვს, — წერს დ. წ.—რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარება შეეძლება, ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს მოუწყობს იმას და ამნაირად მძიმე ტვირთს შეუშუსბუტებეს. ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამგვარი საქმე უკისრიათ“ და რწმუნას გამოსთქვამს, რომ პ. წერეთლისა დიდი კმაყოფილებით ათხოვებს რედაქციას თავის ვეფხვისტყაოსანს¹⁶¹.

ცოტა ხნის შემდეგ, იგივე გაზეთი ამავე საკითხზე წერდა: „ქუთაისიდან გვაცნობებენ, რომ თ. პელაგია წერეთლისას თავისი ვეფხვისტყაოსანი ბატ. დ. ი. ყიფიანისათვის მიუცია ამ უკვდავი პოემის რედაქციისათვის გადასაცემად¹⁶²“. „ჩვენ გვითხრეს სანდოკაცებმა, — წერს გაზეთი, — რომ საჩხერის მცხოვრებელს თ. ა. დავითის ძე წერეთელს აქვს ხელნაწერი ვეფხვისტყაოსანი. რომელიც

¹⁶⁰ „კომუნისტური განათლება“, 1937, № 11--12 გვ. 126.

¹⁶¹ გაზ. „დროება“, 1880, № 259.

¹⁶² იქვე, № 270.

ღირსებით და სიძველით თურმე სჯობია თ. პელაგია წერეთლის ვეფხისტყაოსანს. მიგვიქცევია ამაზე პოემის რედაქციის ყურადღება¹⁶³.

ვეფხისტყაოსნის რედაქციაც სისტემატურად აქვეყნებდა გაზ. „დროებაში“ განცხადებებს და სთხოვდა მაზრის უფროსებს, ეპარქიების მმართველებს, მაზრისა და გუბერნიის მარშლებს და ქართული მწიგნობრობის მოყვარულებს, რომ მათ ეშოვნათ და დროებით გამოეგზავნათ წ.-კ. საზოგადოების მისამართით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, რომელიც მუშაობის დამთავრების შემდეგ პატრონებს უკან დაუბრუნდებოდათ.

კომისიის ასეთმა მოქმედებამ დადებითი შედეგი გამოიღო. ფართო საზოგადოებამ მის მოწოდებას მხარი დაუჭირა და ვისაც კი პოემის ხელნაწერი გააჩნდა, სიამოვნებით უთმობდა ტექსტის დამდგენ კომისიას. საქმე ისე მოეწყო, რომ 1881 წლის 28 იანვარს კომისიას ხელთ ჰქონდა 19 ხელნაწერი. და ხუთს კიდევ მოელოდა.

მაგრამ მარტო ხელნაწერთა დაგროვებით არ მთავრდებოდა ეს დიდი საქმე. საქირო იყო საზოგადოების ამ საქმით დაინტერესება და რედაქციის მუშაობაში მათი პრაქტიკულად ჩაბმა. ამ მიზნით, ვეფხისტყაოსნის რედაქცია გაზ. „დროების“ საშუალებით სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს სხდომების დანიშვნის შესახებ და დაინტერესებულ პირთ მოუწოდებდა დასწრებას და მონაწილეობის მიღებას. ამ მხრივაც საქმე კარგად მოგვარდა.

რედაქციის პირველ გაფართოებულ სხდომას, რომელიც შედგა 1881 წ. 6 თებერვალს, საღ. 8 საათზე, თბილისის საადგილმამულო ბანკის შენობაში (დღევანდელი კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა), დიდძალი ხალხი დაესწრო როგორც ქალი, ისე კაცი. მათ შორის გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ნ. დადიანი, რ. ერისთავი, დ. ჯორჯაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, დ. დადიანი, არქიმანდრიტი გრიგოლი, პ. უმიკაშვილი, ი. მაჩაბელი, ვ. მიქელაძე, თ. ყორანია, გ. წერეთელი, ვ. თულაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი და ყურნ. „იმედის“ რედაქტორი მ. გურგენიძე, ქალთაგან დაესწრო და ვარიანტების კითხვაში მონაწილეობა მიიღო: ოლ. ჭავჭავაძისამ, ქეთ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, ნინო ორბელიანისამ, ეკატ. გაბაშვილისამ და ა. შაიშმელოვისამ.

სხდომას ესწრებოდა აგრეთვე დიდძალი ახალგაზრდობა, რომელთა შორის იყვნენ მოსწავლენიც.

სხდომის დარბაზიც შესაფერისად იყო მორთული: ქართული ბანკის დიდ დარბაზში დადგმული იყო მწკრივად რამოდენიმე მაგიდა,

¹⁶³ გაზ. „დროება“, 188, № 270.

რომლებზედაც ელაგა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და ნაბეჭდი ცალეები¹⁶⁴. თავმჯდომარის უკან კედელზე გაკრული იყო რუსთველის სურათი, რომელიც დაეხატა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მოწაფე მირიანაშვილს.

ამ სხდომაზე რედაქციას ხელთ ჰქონდა 22 ხელნაწერი, რომლებიც შემდეგ პირთა კუთვნილებას შეადგენდა: ელისაბედ ქავთარაძისას, დავით თუმანიშვილის, ალ. თუმანიშვილის, კოსტ. მამაცაშვილის, გიორგი მუხრანსკის, ზ. ჭიჭინაძის (3 ცალი), ალექსანდრა მელიქიშვილის, დიმ. ბაქრაძის, ეფრემ მარჯანიძის, ბეჟან წერეთლის მემკვიდრეთა, ნესტორ წერეთლის, იოსებ მერკვილაძის, ნ. კორინთელისას, რ. ერისთავის, გ. თუმანიშვილის, ალალ თუთაევის, პ. უმიკაშვილის და კეზელის. ამას გარდა, ი. მეუნარგიამ წარმოადგინა დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ერთი ცალი, რომელიც მის მიერ შედარებული იყო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ორ ხელნაწერთან. ამ ხელნაწერებიდან, ი. მეუნარგიას ცნობით, „უძველესი ეგზემპლარი არის ნ. კორინთელისა, ის ეკუთვნის 1646 წელს¹⁶⁵. შემდეგ მოდის თ. ბეჟან წერეთლის მემკვიდრეთა ეგზემპლარი 1671 წლისა¹⁶⁶; ამ დროისვე უნდა იყოს ბატ. კეზელის ვეფხისტყაოსანი¹⁶⁷. თ. ნესტორ წერეთლის ეგზემპლარი¹⁶⁸ და მერკვილაძისა არიან მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დაწერილი, როგორცა სჩანს ნაწერის ხასიათიდან. სხვა წიგნები არიან დაწერილნი იმ საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნეში“. ასე რომ კომისიის განზრახვა, თბილისში მოემწყვდიათ უძველესი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, განუზოროციელებელი დარჩა, რადგანაც მე-17 საუკ. აღრინდელი ნუსხა, არსად არ აღმოჩნდა. რაც შეეხება ცნობილ ხელნაწერების ღირსებას, ამის შესახებ ი. მეუნარგიამ სხდომას შემდეგი აცნობა: „ერთის გადათვალეობით შევნიშნე, რომ ეს ხელნაწერები არიან გადმოწერილნი: სამი—ნანუჩა ციციშვილისაგან გადაკეთებულის პოემიდან¹⁶⁹; ოთხი—ლარაძის მიერ არტანუჯით კერძო ნაპოვნი წიგნიდან¹⁷⁰; ხუთიოდე გადმოწერილია დაბეჭდილის წიგნიდან და დანარჩენი კი სულ სხვადასხვა გვარისანია“.

164 ი. მანსვეტაშვილი, მცირეოდენი შენიშვნა ვეფხისტყაოსნის თაობაზე „მნათობი“, 1937, № 12, გვ. 121.

165 H 599.

166 H 757.

167 H 740.

168 S 5006.

169 ივულისხმება ვრცელი ტიპის ხელნაწერები.

170 არტანუჯული ნუსხებია: S 4732, Q 376, H 1205, H 302, S 1586, H 933, S 2781, S 2686.

ხელთნაწერი ვეფხისტყაოსნის გარდა, კომისიას ხელთ ჰქონდა პოემის ნაბეჭდი ცალებიც: ეახტანგის (1712 წ.), ბროსეს, (1841 წ.), დ. ჩუბინაშვილის (1860 წ.), ყიფიანის (1867 წ.) და არსენ კალანდაძის (1875 წ.); ამას გარდა პ. კარბელაშვილის მიერ გამოქვეყნებული პოემის, 1860 წ. გამოცემასთან შეპირისპირებით დამატებული თავები და ცალკეული სტროფები, რომლებიც დაბეჭდილი იყო 1880 წ. ეუზ. „ივერიაში“ (III, გვ. 3—53).

ა. მეუნარგიას ამ საინფორმაციო მოხსენების შემდეგ, ღაისკა საკითხი, თუ როგორ უნდა ეწარმოებინა სარედაქციო კომისიას მუშაობა.

სხდომის თავჯდომარემ გრიგოლ ორბელიანმა სთქვა: „რადგანაც ვახტანგს, როგორც მეფეს, შეეძლო უკეთესი ვეფხისტყაოსნები ეშოვა და უკეთესი ვარიანტებიდამ დაებეჭდა პირველი გამოცემა პოემისა, ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს ვახტანგის ვარიანტს“.

ილია ჭავჭავაძე არ დაეთანხმა ამ აზრს და განაცხადა: „პირდაპირ კითხვას შევუდგეთ და თითონ კითხვა დაგვანახებს, რა ფასი რომელ გამოცემას ექნება“.

გ. იოსელიანმა განაცხადა: „სანამ კითხვას შევუდგებოდეთ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რისთვის ვკითხულობთ ხელთნაწერებს, რა უნდა გვქონდეს ჩვენ მიზნად“.

ამაზე ი. მეუნარგიამ უპასუხა: „ჩვენი მიზანი არის რუსთველის ნამდვილი ტექსტის აღდგენა, ამ ვარიანტების შემწეობით“.

გ. იოსელიანმა მიზანშეწონილად სცნო, ძირითად ტექსტთან ერთად დაბეჭდილიყო ვარიანტებიც, როგორც ლიტერატურული მასალა.

პ. უმიკაშვილმა საჭიროდ სცნო ახლად დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანს მცირე ლექსიკონი და პოემის განმარტება დართვოდა.

საუბარმა გასტანა ათის ნახევრამდის, შემდეგ სხდომამ დაიწყო ვეფხისტყაოსნის კითხვა. პოემის 22 ხელთნაწერი დაუბრუნეს დამსწრეებს და დაიწყეს კითხვა. რაფ. ერისთავი ხმამაღლა კითხულობდა ბროსეს გამოცემას, სხვები კი თვალს ადევნებდნენ ხელთნაწერებს „პირველი წერაქვი რედაქციისა, — წერს იონა მეუნარგია, — მოხვდა ასო მ-ს. ნაცვლად ვეფხისტყაოსნისა. როგორც ხელნაწერებიდამ აღმოჩნდა, უნდა იყოს ვეფხისტყაოსანი. ეს აზრი დაიცვა გრ. ორბელიანმა და სხვებმაც მხარი დაუჭირეს“¹⁷¹.

¹⁷¹ ზ. ჰიჭინაძის ცნობით, ვეფხისტყაოსნიდან მეორე ვინი პირველად დ. ბაქრაძეს ამოუგდია ერთი ძველი არტაანული ვეფხისტყაოსნის მიხედვით (ზ. ჰიჭინაძე, დიმიტრი ბაქრაძე, 1891 წ., გვ. 38).

ამ სხდომაზე განიხილეს პოემის შესავალი, რომელიც 31 სტროფისაგან შედგება¹⁷². აღნიშნულ სტროფებში შეიტანეს 12 შესწორება¹⁷³.

კომისიამ უარყო მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“, იმ მოტივით, რომ „ამ კავშირით რუსთველის თექვსმეტმარცვლიან ლექსს მეოთხე ტაეპში ემატება მეჩვიდმეტე მარცვალი, თანაც ზოგ ვეფხისტყაოსანში ეს კავშირი გამოტოვებული იყო“¹⁷⁴.

ამავე სხდომაზე კომისიამ დაადგინა, რომ სიტყვების განმარტება და ვარიანტები დაიბეჭდოს სქოლიოში, ან წიგნის ბოლოში¹⁷⁶.

მეორე სხდომასაც, 13 თებერვალს, დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის — აკაკი წერეთელიც. მართალია ის პირველ სხდომას არ ესწრებოდა, მაგრამ რაკი სხდომის ანგარიში „დროებაში“ გამოქვეყნდა, ამიტომ საქმის კურსში იყო და ზოგიერთ შესწორებაზე შენიშვნები გააკეთა. მაგ. აკაკის აზრით, რედაქციას ტყუილად უნებებია, რომ „მათა“¹⁷⁶ საქებრათ“-ს მაგიერ „მათად“¹⁷⁷ საქებრათ“ რომ მიუღია. რედაქციისაგან მიღებული ტაეპი „მას ვით შევკადრო არ ვიცი, შესხმა ხოტბისას“, აკაკის აზრით, უსაფუძვლოა. უნდა დარჩენილიყო ის ვარიანტი, რომელიც დაბეჭდილია, მხოლოდ იმ ანსხვავებით, რომ „მას არა ვიცი შევკადროს“ მაგიერ უნდა დარჩეულიყო „მასა რა ვიცი შევკადრო“.

აკაკის შენიშვნებმა ვერ დაარწმუნა რედაქცია, თანაც აკაკის შენიშვნები ბლომად ჰქონდა და ამიტომ სხდომამ გადაწყვიტა ასეთი

¹⁷² მძიმის წინა ანბანი და ციფრი აღნიშნავს სტროფს, მომდევნო—ტაეპს. პირველად დასახელებულია ნაბეჭდი ტექსტი, — შემდეგ, კომისიის მიერ შესწორებული ტექსტი.

ვეფხისტყაოსნის ბროსეუელ გამოცემასთან შეპირისპირებით გაზ. „დროებაში“ ზოგჯერ პირველად ვარიანტებია დაბეჭდილი, შემდეგ კი ძირითადი ტექსტი, რაც ჩვენს გამოცემაში გასწორებულია. ასეთი გადაადგილება ყველგან აღნიშნული გვაქვს *-ით.

კომისიის მუშაობის ანგარიშები გაზ. „დროებაში“ ქვეყნდებოდა სათაურით „ვეფხისტყაოსანი“, ცნობები კი იბეჭდებოდა „ახალ ამბებში“. ასეთ შემთხვევაში ქვემოთ დასახელებული გვაქვს მხოლოდ გაზეთი და მისი №-ი.

¹⁷³ ესენია: ვ 3, 2 არა ვიცი შევკადრო—ვით შევკადრო არ ვიცი. ე 5,1 მათა საქებრად—მათად საქებრათ. ვ 6,2 შენგნით—შენგან. თ 9,4 გესმისთ—გესმას. ია 11,1 მიჯნურნი ნუ უხმობთ—მიჯნური ნუ უხმობს. იე 15,3 მიჯნურთათვის—მიჯნურობით. იმ 18,4 უწონებდეს—უწუნობდეს. კ 20,3 მელექსეთა—მელექსესა. ქე 25,3 აბრკობდეს—აბრკმებდეს. კვ 26,2 ეს მიჩანს—ესე მიჩნს. კზ 27,4 თობათა—თობამცა, კთ 29,1 არაბულითა—არაბულისა.

¹⁷⁴ ივლისისმება პოემის არტანუჯული ნუსხები, გარდა H 933 და 305 ხელნაწერებისა.

¹⁷⁵ გაზ. „დროება“ 1881, № 31, გვ. 3—4.

¹⁷⁶ გაზ. „დროებაში“: მისდა.

¹⁷⁷ გაზ. „დროებაში“: მისად.

შენიშვნები მოესმინათ, როდესაც რედაქცია მთლიანად დაამთავრებდა მუშაობას და უკანასკნელად კიდევ გადახედავდა ტექსტს.

ამ სხდომაზე ვეფხისტყაოსანს კითხულობდა ილია ჭავჭავაძე. წაიკითხა ერთი თავი: „ამბავი არაბთა როსტევეან მეფისა“¹⁷⁸.

სიტყვების განმარტებისას ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ „რუსთველის ფრაზაში: „ენა ბევრათ ასული“, სიტყვა ასული წარმოდგება სიტყვიდამ ააიო“, ი. მაჩაბლის აზრით კი, „აქ ასული ნიშნავს მაღლათ ასულს, კარგათ მოლაპარაკე ენას“. ეს აზრი სხდომის უმრავლესობამ გაიზიარა.

მბ 42-ე და ოზ 77-ე სტროფების მე-2 და მე-4 ტაეპები: „ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სკირს მისო ქალისა“ და „ავთანდილის შემხედველთა, ჰგავს ალვან, ედემს იახეს“ გაუგებარი დარჩა როგორც გრამატიკულად, ისე აზრობრივადაც.

მშ 46-ე სტროფის მე-3 ტაეპი: „აქათგან ესე სამეფო მართ შენია მონღობილი“—დაწუნებული იქნა, „როგორც სუსტი ცეზურის ზხრით“.

კომისიის მორიგ სხდომას (24 II საღ. 8 ს.) თავმჯდომარეობდა რ. ერისთავი. პირველად მოისმინეს დ. ი. ყიფიანის შენიშვნები რედაქციის მიერ პირველ სხდომაზე დადგენილ ტექსტის შესახებ. მისი აზრით, მე-5 (ე) სტროფში სიტყვა „საქებრათ“ უნდა იწერებოდეს „საქებრად“, მართლწერაში ზმნის-ზედას დაჰყვება დ და არა ო. მე-18 (იშ) სტროფში უნდა იყოს „უწუნებდეს“ და არა „უწუნობდეს“¹⁷⁹. 29-ე (კთ) სტროფში უნდა იყოს „არაბულითა ენითა“, რადგანაც ამას მოითხოვს კანკლედობის კანონი“.

¹⁷⁸ ძირითად ტექსტში შეიტანეს შემდეგი შესწორებანი: ლდ 34,4 დაისხნა—დაისხნა*. ლე 35,1 კითხავ—კითხავთ*. ლვ 36,1 გარდაესულეარ—გარდასულეარ. ლზ 37,1 ვეზირთა—ვაზირთა; 3 სული—სუნი. ლშ 38,1: ბძანებ—ბძაძანებ; 3 ვანლაშეცა—ვალანაშეცა. მ 40,2 მჯობი—მსგავსი; მსგავსი—მჯობი. მა 41,1 ჰქონდა—ქონდის. მბ 42,2 მისო ქალისა—მის სოქალისა. მე 46,1 მეფეთა—მეფემან; 3 ტებლთა—მათთა. მთ 49,1 სწორედ—სწორად. ნზ 57,4 ჰსთქვეს—თქვეს*. ნშ 58,3 რაცა—რამეცა; 4 რასათვისცა—რასათვისმცა. ა 60,1 გეციინის—გიციინის; 4 ყოლაშეცა—ყოლემეცა, აა 61,2 ბრძანებანი—წყალობანი. ავ 63,3 მგვანდა — მგვანდეს. აზ 64,3 გამომკრალთ—გამომკრთალსა. აე 65,3 გასწყრეო—გაწყრეო*. აზ 67,2 სპანია—ყმანია. ო 70,1 ბრძანებს—ბრძანა. ოა 71,2 მრავალი—ნადირთა. ობ 72,4 აწვეულა—იწვეულა. ოვ 76,2 მიესროდეს—მიისროდეს; მიასხმიდეს—მოასხმიდეს; 4 წაღმა ბიჯსა—ბიჯსა წაღმა. ოშ 78,2 პირსა—იქით*. ოთ 79,4 უბრძანა—ბრძანა*. პ 80,4 ვისგან—მისგან. პბ 82,1 უჩანს: ვით—უჩინს ვითა.

ს ქ ო ლ ი ო ს ა თ ვ ი ს : ლვ 33,3 მისთა—მისად, ლვ 36,3 იგი—მისი. ლზ 37,2 უბრძანა—ბრძანა*. პ 80,4 ვისგან—მისგან. პბ 82,1 უჩანს ვით—უჩინს ვითა. მხედელეთა, მზ 47,3 მამე ყოველი—მამის მცენებანი. მვ 53,1 სივაყისა—სიყრმიდამე. პა 81,3 შეუტყორცია—შეუტყოცია. პგ 83,1 ხეთასა—ტყეთასა.

¹⁷⁹ შესწორება ეხება ვახტანგისეულ გამოცემას.

ამის შემდეგ აკაკი წერეთელმაც მოახსენა სხდომას თავისი აზრი წინა სხდომაზე დადგენილი ტექსტის შესახებ. „რო ჩაუფიქრდიო,—სიტყვა აკაკიმ, — 76-ე სტროფში „მიესროდეს“ ტყუილათ გადავასწორეთ „მიისროდეს“-ათ. „მიისროდეს“ ნიშნავს უნიშნოთ სროლას; „მიესროდეს“—ნიშანში დამიზნულ სროლას. ეგრეთვე 46-ე სტროფში „დაატკობდეს ტბილთა ხმათა“, ტყუილათ გადაგვისწორებია „დაატკობდეს მათთა ხმათა“-თ, რადგანაც „ტბილთა“ აქ არ ნიშნავს მომღერლების ხმას, არამედ საკრავებისას“.

ამ შენიშვნების გარშემო ბაასმა დიდხანს გასტანა. ბოლოს სხდომამ მიიღო დ. ი. ყიფიანის პირველი შენიშვნა, სხვები კი უარყო.

შენიშვნების შესახებ ახლაც ის აზრი გამოითქვა, რაც წინა სხდომაზე, რომ ასეთი შენიშვნები ბოლოს ყოფილიყო მოსმენილი.

ამის შემდეგ შეუდგნენ ვეფხისტყაოსნის ტექსტის განხილვას¹⁸⁰. „საზოგადოდ გვეგონა, რომ ამას იქით უფრო ბევრის გაკეთებას მოვასწრებდით ვინემ პირველს ორს სხდომაში,—წერს ი. მეუნარგია, — მაგრამ ამ სადამომ ცოტა არ იყოს დაგვაფიქრა: ერთობ დიდი დრო უნდება ბევრს, ერთის შეხედვით უმნიშვნელო, კითხვას. მგონი, ნახევარი საათი მეტი ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ უნდა გაიგოს კაცმა და როგორ უნდა იწერებოდეს 103-ე [რკ] სტროფის შემდეგი ტაეპი: „უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამითა“. რა არის აქ „ამითა“? საზოგადო ჰაზრი იყო, რომ „ამითა“ არის ორი სიტყვა: ერთი ა, რომელიც ნიშნავს არის და მეორე მითა. მაგრამ რომელი ა იყო ზმნა-შესმენილი, თავში უზის ამითა-ს თუ ბოლოში, და, ყოველ შემთხვევაში, როგორ უნდა იწერებოდეს ეს შესმენილი: ცალკე. თუ სხვა სიტყვასთან შეერთებით?! ბევრის ლაპარაკის შემდეგ ეს კითხვა გახსნილათ დაარჩინენ და მომავალში კიდევ დაუბრუნდება სხდომა ამ საგანს. თითქმის ამდენივე დრო მოუწდა 106-ე [რკ] სტროფში სიტყვების „მელი მე მოყვანებასა“-ს განხილვას. „მელი მე მოყვანებასა“, თუ „მოელი მოყვანებასა“, თუ „რად მელი მოყვანებასა?“, რომელი უკეთესი იყო ამ სამ ვარიანტში?! ესეც ისე გაუთავებლათ დარჩა, როგორც „ამითა“ და გაწვრდება მომავალში“.

ქვ 93-ე სტროფი (თვალთა ხელნი უკუივლო) ზოგინ აზრით, ფსევდორუსთველისად იყო მიჩნეული, მაგრამ კომისიამ „ხელთაწერების შემწვობით, აზრით და ლექსის სიმდიდრით“ ის რუსთვე-

¹⁸⁰ ამ სხდომამ ტექსტში შემდეგი ცვლილება მოახდინა: ჰვ 86,1 მოვიდა—წავიდა. პმ 88,2 ძახილსა—ზახილისა. ქ 90,3 შემიწუხდა—შემიძრწუნდა. ქა 91,2 მისი—მისისა:4 იქი—იქა*. ქვ 93,2 მოიმაგრა—მოიმაგრენა. ქვ 96,1 შექსხდენ—უქსხდეს. რა 101,3 დაჭრილი—დარჭილი*. რე 106,1 მოვიდა—მივიდა.

ლის კუთვნილებად მიიღო. ედ 94-ე სტროფი (მონათა ხელი გამართ-
ვის) ა. წერეთელმა ფსევდორუსთველისად მიიჩნია, მაგრამ მის ამო-
ლებაზე მაინც თავი შეიკავა. ფსევდორუსთველისად იქნა ცნობილი
ერთი სტროფი: „როსტან მონა გაუგზავნა: „ნახე ვინ ზის წყლისა
პირსა“, რომელიც დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანში შეტანილი არ არის,
მაგრამ ზოგიერთ ხელნაწერში მოთავსებულია ბროსეს გამოცემის
85-ე და 86-ე სტროფებს შორის¹⁸¹.

ამით დამთავრდა ამ საღამოს სხდომა¹⁸². სხვადასხვა საკითხზე
ბაასისა და მუშაობის აღრე შეწყვეტის გამო, მოასწრეს მხოლოდ
86—106 სტროფების განხილვა.

კომისიის მეოთხე სხდომა შედგა 27 თებერვალს საღ. 7 ს. 30 წ.
ამ სხდომას პირველად ესწრებოდნენ ვახ. ორბელიანი და დავ. ერის-
თავი. განიხილეს 108—128 სტროფები¹⁸³.

განზრახვა იყო რიგ 113-ე [169] სტროფი (თუ ყოფილა იგი მო-
ყმე) ამოვლით პოემიდან, რადგანაც ზოგ ხელნაწერში ის არ აღმო-
ჩენილა, თანაც ერთი ხელნაწერი [H 757] ამ სტროფს ნანუჩა ციცი-
შვილისად აღიარებს და ბროსესაც აღნიშნული სტროფი რუსთვე-
ლის კუთვნილებად არ მიუჩნევია. „მაგრამ ბოლოს, რო ჩავედით რიგ
118-ე [175] სტროფში (მეფე ბრძანებს: მართალ იყო ასული და
ჩემი ძეო),—წერს ი. მეუნარგია —, ნ. ტ. დადიანმა შენიშნა, რომ
ამ სტროფს ხსენებულ 113-ე [169] სტროფთან (თუ ყოფილა იგი მო-
ყმე) კავშირი აქვს და თუ ის სტროფი გამოტოვებული იქნებოდა,
მაშინ არც ეს სტროფი იქნებოდა სრულათ გასაგები. სხდომამ ამა-
ზე იარალი დაჰყარა და სქოლიოში ჩაგდებული სტროფი ისევ ძირი-
თად ტექსტში ამოიყვანა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც

¹⁸¹ იხ. ვეფხისტყაოსანი, სოლ. ყუბანეიშვილის გამოცემა, 1956, სტროფი 123.

¹⁸² გაზ. „დროება“, 1881, № 42.

¹⁸³ პოემის ტექსტში შემდეგი ცვლილება მოხდა: რმ 109,2 სიციულე—სიბა-
ლე, რი 110,4 ჭერთო—ჭერთი; რაა—არა. რაა 111,4 ველარამან—ველარავინ.
რიგ 116,2 კვლადია—კვლავ დია. რიგ 118,2 ვინმე—რამე, ამ სიტყვის შესწორე-
ბის წინააღმდეგი იყვნენ რ. ერისთავი, გ. იოსელიანი და პ. უმიკაშვილი, რადგან-
აც ისინი ამ ფრაზაში ხედავდნენ: „ვინმე ეშმაკის სიციულეს და სიბილწეს“. მო-
წინააღმდეგეები კი — „რამე ეშმაკულ სიციულეს და სიბილწეს“. რკა 121,3 ნახ-
ვა—შეყრა. რკვ 12,1 გაცრციელსა—გაძრციელსა; 2 ფასისა—ფასის; საპირონი—ვა-
საპირონი. რკვ 125,4 რაცა გეკვირვების—რამცა გეკურნების. რკზ 127,4 გენუ-
კე—გენუკვი. რკმ 128,1 საუბარსა—ნაუბარსა; 3 თვალთა—თვალთაა.

ს ქ ო ლ ი ო ს ა თ ვ ი ს მ ი ი ღ ე ს : რია 111,3 მინეტარნეს—მანეტარნეს. რით
119,4 სხვაპა—სხვატა. რკა 121,3 არ—ჭერ. რკდ 124,3 სელნი დაუდგნა—სელი
დაუდგა. რკვ 125,4 გეკვირვების—გეკურნების („დროებაში“: მეკურნების—გ-
წადების და გეკვირვების). რკვ 126,4 გითბრობ პირველ ხელამე, სენი მე მკირს
—გითბრა პირველად მე, სენი მქმნია, რკმ 128 გული შენი—გულის პირზე.

ხელნაწილებიდან აღმოჩნდა და პაზრობა ახლო არის, წინ დაი-
ბეჭდება 114-ე სტროფი (მე ამას ვარჩევ, მეფე ხარ) და მერე
იმას მოჰყვება 113-ე“.

დიდი კამათი გამოიწვია რკმ 128 [188] სტროფის მე-3 ტაქსის
აღდგენამ: „ვიცი რომე გაუწყვეტლად თვალთა დაწვი გისეტყვია“;
თ ვ ა ლ თ ა დაწვი, უნდოდა თუ თ ვ ა ლ თ ა თ დაწვი, თუ თ ვ ა-
ლ თ ა ცრემლი? ყველა ამ ვარიანტებს ყავდა უკანასკნელ თორმეტ-
თორმეტი საკუთარი მოციქულები, — წერს ი. მეუნარგია, — და
ყველა თორმეტი თავისებურად ქადაგებდა. ამ ქადაგებამ ისე გარ-
თო რედაქცია, რომ თუ არა შუა ღამე, სხდომა კიდეც გაგრძელდე-
ბოდაო“¹⁸⁴.

კომისიის გადაწყვეტილება კი ამ საკითხზე არ ჩანს.

კომისიის მუშაობა ჭიანჭურვებოდა, ამიტომ კრებამ დაადგინა
კვირაში ერთი ნაცვლად შეკრებილიყვენ ორჯერ: სამშაბათობით
და პარასკევობით. შემდეგში წლის განმავლობაში ამ დღეებში იმა-
რთებოდა კომისიის სხდომები ბანკის შენობაში.

კომისიის მორიგი სხდომა შედგა 3 მარტს საღ. რვის ნახევრი-
დან და გასტანა 12 საათამდის. გაარჩიეს 129—147 სტროფები¹⁸⁵.

კომისიამ დიდხანს იმსჯელა რღვ 136-ე (199) სტროფის ტაქსთა
მაჯამურ სარიტორი სიტყვის „ასადაგეს“ შესახებ. მან გადაშინჯა ვე-
ფხისტყოსნის გამოცემები და ეს სიტყვა ყველგან არასწორად და-
ბეჭდილად სცნო. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა:
„პირველი ტაქსი უნდა იწერებოდეს: საუბარი ას ა დაგეს, ე. ი.
საუბარი გააუბრალოეს, სადათ აქციესო. მეორე ტაქსში უნდა იყოს:
გიშერი ას ა და გ ე ს, ე. ი. ასად გახადესო, მესამე ტაქსში უნდა
იყოს: ხელი ა სად ა გ ე ს, მეოთხეში: გული ჩემი ას ა და გ ე ს.
მესამე ტაქსის აზრი თავისთავად ცხადია, მეოთხეში კი ას ა და-
გ ე ს ნიშნავს დასწევს.

¹⁸⁴ გაზ. „დროება“, 1881, № 44, გვ. 3—4.

¹⁸⁵ ძ ი რ ი თ ა დ ტექსტში გასწორდა: რკთ 129, 2 არვინა—არავინ; 4 წა და
—წადი“. რღ 130, 3 აგრე—შოგა; 4 შემიყარე—შემეყარე. რღა 131,4 დაუფრ-
პკენელი—უფურჩენელი. რღზ 137, 1 ვერა ჰსძლებდა—ვერ გასძლებდა“. („დრო-
ებაში“: ვერ გასძლებდა—ვერ სძლებდა). რღმ 138, 4 ხამს—ხამსა*; მოყვარის-
თვის—მოყვოისათვის. რმბ 142,3 ქმნილთა—ქმნილნი. რმდ 144,1 რამე—მრავ-
ლად. რმე 145,3 დღე—დღეს. რმგ 146, 4 მისცილდება თინათინ მისი მას ეის-
გან ჰსწევას ალი—მისცილდების თინათინ რა გინდ გზა ჰქონდეს საელი. რმზ
147, 2 მოეგებნეს—მიეგებნეს.

ს ქ ო ლ ი ო ს ა თ ვ ი ს შ ი ი დ ე ს: რღ 130, 2 შეპირებება—შეპირებას.
რღე 135,2 გასაღდეს და—გაახლეს, გაერთდენ და, რო 140,2 ჰყრის—სწვიმს,
აფრქვევს. რმგ 143,2 გამდრეკელობა—გარღუხდელიობა. რმე 145,4 ლბილი—ჩვეი-
ლი, ტბილი. რმზ 147,2 ძღვენსა—ძღვენს; იეფოსა—არ იეფოსა.

განუმარტებელი დარჩა რმე 145-ე (211) სტროფის შესამე ტაე-
ყმა აღსდგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი¹⁸⁶.

სხდომის გაგრძელება შედგა 6 მარტს 8 ს., თავმჯდომარეობდა
ნ. ტ. დადიანი, კითხულობდა ი. მაჩაბელი. განიხილეს 148-დან 165
სტროფის ჩათვლით¹⁸⁷.

კომისიამ ძირითად ტექსტიდან ამოიღო და სქოლიოში გადაი-
ტანა რნა 151(217) (მოუკლავარ თინათინის სიყვარულსა) რა 160,
(230: განა აქვს ლომსა იმედი), რიგ 163 (233: მისი ცეცხლი გულსა
ჩემსა) და როზ 177 (247: შერმადინ თქვა, დიდებულნო) სტროფები
იმ მოტივით, რომ ისინი H 757 ხელნაწერში ნანუჩა ციციშვილის
კუთვნილებად არის აღნიშნული. ამას გარდა, ზოგი მათგანი არ მოი-
პოვება ვახტანგის გამოცემაში და ზოგიერთ ხელნაწერში¹⁸⁸.

კომისიის მორიგ სხდომას 10 მარტს, პირველად დაესწრნენ
ნ. ა. აბაშიძისა, ა. ი. ერისთავისა და გ. გვათუა. განიხილეს 179—210
სტროფები¹⁸⁹.

¹⁸⁶ ვახ. „დროება“, 1881, № 48.

¹⁸⁷ ძირითად ტექსტში გასწორდა: რმე 148,2 ვარეთ—ვარე. რმთ 149,
4 გაუცხადა—განუცხადა. რნბ 152,3 მამხედების—მომხედებსცა; 4 მომცა წამალი
ველისა აქამდის დადაგულისა—მომცა წალი გულისა აქამდის დაკარგულისა*.
რნდ 154,2 გნუკე—გნუკე. რნგ 155,3 ძღვენსა კსძღვნობდი—ზღვენსა კზღენი-
დი. რნვ 156,3 დასქნახე—დასქნა ხე. რნზ 157,1 სასურველია—სასურვალა; 3 მო-
ხუდათქო—მიხუდა-თქვა; 4 რვალია—თვალია, რნშ 158,2 მახსენებდე—მახსენებდი.
რნთ 159,2 თვალთა—თვალთათ; ცხელნი ცრემლნი—ცხელი ცრემლი; 4 დასდ-
გები—დადგები. რაა 161,1 ჩემდა—ჩემად :2 რაგვარა—რა გვარად. რაბ 162,2 ეე-
ლთა—ველად: 3 უსასყიდლო—უსასყიდლოდ. რაგ 165,4 გმორჩილობდენ—გმორჩი-
ლობდეს. რაგ 166,1 დაზრდილნო—გამზრდელნო. რაშ 168,1 თავისა ზე სამ—
თავსა ზესამე. კომისიამ მეორედ იმსჯელა ამ შესწორების შესახებ და ეარიანტებ-
ში ვადაიტანა ნაბეჭდი ტექსტი: „თავისა ზე სამ“. რობ 172,3 შიგა—შიგან: 4 თი-
ნათინა—თინათინ ა. როვ 173,2 ვინმცა (ამ ტაეში ეს სიტყვა ირჩეარა, ვაერ-
ვეელია თუ რომელ მათგანს შეეხო გასწორება)—ვინცა ცა*. როე 175,1 შენდა
—შენად.

¹⁸⁸ ამ სტროფებს გარდა სქოლიოში შესატანად აღნიშნეს შემდეგი აღ-
გილები: რმე 148,3 ვაზრდილი—გამზრდელი. რმთ 149,4 განუცხადა—გაუცხადა.
რნბ 152,2 ვაქნა—ვყო. რნგ 153,1 მინდა—მმართვეს, რნზ 157,4 ვერცხლი—ვე-
ცხლი: რვალია—თვალია*. რნთ 159,1 მონამან—შერმადინ. რად 164,2 იქნს—ქნნაა.
რობ 172,1 მომხრედ—მემხრედ. როვ 173,3 მისი მკლავი გაუვიდა—იმას ვინმცა
წაუვიდა („დროება“, 1881, № 51).

¹⁸⁹ ძირითად ტექსტში გასწორდა: როთ 179,3 ბალახში—ბადახში.
რპ 180,1 ოთხ-ანით—ოთხ-ხმით*. რპა 181, დანასა—დანასა*. (გაურკვეველია თუ
რომელ ტაეს შეეხო გასწორება). რპვ 183,1 მტირალსა—მტირალი. რპზ 187,2
აზა იშობს—ამად იშობს. რპშ 188,4 კორნიცა—კორადცა. რპთ 189,2 ვსცნა—
ვსცნე. რყა 191,3 კირთა—კირნი; 4 ოდეს—ოდენ. რყმ 193,1 თავსა—თავს: გი-
ჭობს—ის გიჭობს: 3 მზისა—ყმისა. რყდ 194,1 ცათ-ცას: 2 იმ-მის; 4 ცრემლი—
ცრემლნი, რყზ 197,1 მობრუნება—დაბრუნება. რყშ 198,1 კენესითა—კენესით ა

ძირითადი ტექსტიდან ამოიღეს და სქოლიოში გადაიტანეს რეე 195 (257: იგი პირად მსგავსი მზისა) და ს 200 (277: ჩვენ ასრე მყოფნი არ ვარგვართ) სტროფები იმ მოტივით, რომ აღნიშნული სტროფები H 757 ხელნაწერში ფსევდორუსთველისად არის ნაჩვენები და თანაც მათი ლექსთწყობის შესწავლამ კომისია დაარწმუნა, რომ ისინი ინტერპოლატორთა კალამს ეკუთვნის.

ამას გარდა, ამოიღეს ორი ასო (ჰს) ისეთ სიტყვებში, როგორცაა ჰსტევა, ჰსდის და სხ., რადგანაც ეს ასოები ამ სახით, კომისიის აზრით, არ იხმარება პოემის ძველ ხელნაწერებში და „საღმთო წერილშიაც“.

აგრეთვე დაადგინეს, რომ სიტყვები: „თუმცა“ და „მაგრამ“ ყველგან გასწორებულიყო „თუცა“ და „მაგრა“¹⁹⁰.

სარედაქციო კომისიის მორიგ სხდომას (13 მარტს) თავჯდომარეობდა დავ. გიორგის ძე ერისთავი¹⁹¹.

რეთ 199,3 თვარე—თვარა. სა. 201,4 და-რა. სბ 202,3 მოგვიმატენ—მოგვიმატენ; პირით—პირსა. სე 205,3 მოკლავ—მოკვალ: 3 სიტყვანი—სიტყვეთ*. სზ 207, 4 მხეცნი—მხეცი*: მფრინველნი—მფრინველი*. სო 209,2 ცადენით—ცადენით, 4 ცრემლისაც—ცრემლისაცა; დადენით—დენით. სი 210,3 ჩვენებით—ჩვენებით; 4 აგრევე—აგრეთვე*.

¹⁹⁰ ს ქ ო ლ ი ო ს ა თ ვ ი ს შესატანად გასწორდა შემდეგი ადგილები: რპ 180.1 ხმით—ახმით. რპე 185.4 ივანებლა—ივანობლის. რპზ 187.2 ორნიოა—მას ორნილა, ორანილა: ამაღ („დროებაში“: მად) იშობს— არა იშობს. რპთ 189,3 ზერჩეს—მიხვდეს. რყა 191.2 ეზომი სიარული—ეზომნი სიარულნი. რებ 192,2 შეტად—ადრე რეშ 198,4 დააგზო—დააგზნო. რეთ 199,2 რამე—ვინმე: 4 კვლავ—კვლავ. სა 201,3 ძმა—ყმა. სბ 202,3 მოგვიმატენ—მოგვიმატენ; პირათ—პირსა. სზ 207,3 ისი—შოანი. (გაზ. „დროება“ 1881, № 54).

¹⁹¹ გა ს წ ო რ და 211—254 სტროფები. სია 211,3 დავეხსნა („დროებაში“: დავეხსნა)—დავეხსნა. სიბ 212,4 კიღინით—კიდ ენით. სიდ 214,4 ამაყიწა—ამაყი წა. სიე 215,4 მზისა—ყმისა. სიე 216,3 უნდა—მისი. სიზ 217,3 ყოლა არ—ყოლა არა. სიშ 218,1 ჩემისა—ჩემსა; 4 მამერალნი—მამერალი. სით 219,3 ზეზითა—ზეზითა*. სკა 221,1 სადნე—რადნე; 4 ანუ მომკლავს, ანუ მოველავ—ანუ მოველავ. ანუ მომკლავს. სკგ 223,2 არა არს—არ არის; 4 მუნითგან—მუნადა. სკდ 224,4 ჰსდი—ოდნენ („დროებაში“: ჰსდიდა)—დიოდეს. სკე 225,1 საღამოს—საღამო; 2 ჰირსა—ჰირსა; 3 რადენი—რასდენი. სკლ 230,2 აღკაშულება—აქაშულობა. სლბ 232,1 არას—არა. სლდ 233,1 ახლოს—ახლი; 3 სული—სენი; 4 ვაიცისა—ვაიცისა*. სლდ 224,1 შეიარა—შეეარა. სლე 235,2 მას ვამბობინო—ვაამბობინო. სლზ 328,2 ფიცხლავ—ფიცხლავ. სმ 240,3 თხრობასა—მბობასა. სმა 241,1 მენუეავ—მენუევი; 3 იტვი—ვი—მეტყვი. სმგ 243,2 ამბავთა—ამბავსა; 3 ჩემი—ჩემნი. სმდ 244,2 შევეტყვი—ბის—შევეტყობის. სმე 245,3 ზედა—ზედან. სნ 250,4 დავრჩევა—დავრჩევა. სნდ 254,4 სულთა—სულსა.

ფსევდორუსთველისად მიიღეს შემდეგი სტროფები: სიგ 213 (292: ჩვენი ამა გლახ დყოლილი), სკბ 222 (301: შე იმა ყმისა საკრავად) და სმბ 242 (325: ყმა ეტყვის: ხედავ, სისხლისა თვალთა მდის ცრემლთა წალები).

ს ქ ო ლ ი ო შ ი გადატანილი იქნა შემდეგი წაკითხვები: სია 211, 3 დავეხსნა („დროებაში“: დავეხსნა)—დავეხსნა. სიბ 212,1 უფროსსა—უფროსნი; დავეზიდე-

კომისიამ გაასწორა სიშ 218-ე სტროფის მე-4 ტაეპი: „ჩრდილსა გარდასვით, მაშვრალნი მიეცით მოსვენებასა“—„ჩრდილსა გარდასვით მაშვრალი, მიეცით მოსვენებასა“. კომისია ფიქრობდა, „მაშვრალი“ აქ ეკუთვნის მხოლოდ ერთ დაქრილ ძმას და არა სხვებს.

სკა 221-ე სტროფის მე-4 ტაეპი: „ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ. დაიმაღვის მეტის-მეტად“, გასწორდა: „ანუ მოვკლავ, ანუ მომკლავს, დაიმაღვის მეტის-მეტად“, რადგანაც, კომისიის აზრით, „რომ მომკლავს, მერე უფრო დაიმაღება, უფრო გაქრება იმის კვალიო“.

კომენტარები გაუკეთეს: სლბ 232 სტროფის პირველ ტაეპის სიტყვებს: „მეტსა თურე არას ეჯდა“, რაც, კომისიის აზრით, ნიშნავს: „ამაზე მეტს არ იცდიდა—წინაო“. 239-ე სტროფის პირველ ტაეპიდან: „სულე რამც გიყავ“, ნიშნავს: „გაჩუმდი იმაზე, რაც შენ გიყავიო“.

აღნიშნული შესწორებიდან რ. ერისთავი წინააღმდეგი იყო, რომ სკვე 225-ე სტროფის მეორე ტაეპში სიტყვა „პირისა“ რომ „ძირად“ გასწორებულყო და სლდ 234-ე სტროფის პირველ ტაეპში სიტყვა „შეიარა“—„შეეარად“. ამას გარდა, კომისიის ყურადღება მიიპყრო სკშ 228-ე (309) სტროფმა (ყმამან უთხრა: დავო ასმათ), რომელიც ბევრ ხელნაწერში არ აღმოჩენილა¹⁹², მაგრამ რა დასკვნა გამოიტანეს აღნიშნულ სტროფზე, ანგარიშებიდან არ ჩანს¹⁹³.

17 მარტს შედგა კომისიის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა დ. გ. ერისთავი. გაარჩიეს 255—297 სტროფები¹⁹⁴.

ნიშ—არ ეწიღენით. სივ 216,3 უნდა—მისი*. სიზ 217,3 ყოლა არ—ყოლ არა; 4 თქვენსა დასაღრევილოსა—თქვენსავე საღრევილოსა. სიშ 218,1 ჩემის—ჩემსა. სკა 221.4 დაიმაღვის—დაიკარგვის. სკდ 224.2 შეკამაღდა—საკამაღდა. სკე 225.2 პირსა—ძირსა; 3 რადენი—რასდენი. სლა 231,1 უკერის—იტყვის. სმკ 246.3 გაწყინო—მაწყინო. სნზ 247,2 არ მოვკვდები—თვითთა მხედავ. სნ 250,1 იმისი—ამისი; 3 დაუწყო—და იწყო. სნბ 252,2 ენანი—ბაგენი.

¹⁹² იხ. ს.ო.ლ. ყუ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტკაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959. გვ. 38—43.

¹⁹³ ვაზ. „დროება“, 1881, № 57.

¹⁹⁴ ძ ი რ ი თ ა დ ტექსტში შეიტანეს შემდეგი შესწორებანი: სნზ. 257,2 ამა — იმა; 3 სადა მისად—სადამისად; 4 შენი—შენად. სნთ 259,2 შთამოსთესი—ჩამოსთესი სკ 260,3 დაგაბნივე—დაგაბნიე. სსა 261—3 მამისმენ—მომისმენ; რაზომსა—რაზომთა. სსბ 262,4 მიადგა—წაადგა. სსგ 263,1 მომიცადე—მომიციდიე. სსე 265,3 ხარ ეინადგან—ეინადგან ხარ. სსშ 268,1 ამისთანას—ამისთანა; 2 მე მაქანას—მემაქანას; 3 მონატანას—მონატანას; 4 ხანას—ხანსა. სსთ 269,3 შევაწეცე—შეგაწეცნე. სსა 271,3 ვინა—ვინ ა; 4 ვითარ—ვით რა. სსოე 275,1 შეება—გზეება. სსოზ 277,4 მარეკიდა—მარეკი და. სსოშ 278,4 მსთქვა—თქვი. სსპზ 282,1 რადმცა—სადმცა*. სსე 285,2 მემცა—მამცა*. სსპზ 287,3 არათ—არა. სსთ 289,4 მე დარად—მედარათ. სსა 291,1 მობრუნდა—მობრუნდეს. სსდ 294,2 დიდი კამათი გაძიოწეა მე-2 ტაეპის სიტყვა „მკლავ-მაგრება“ „მკლავ-მარგება“-დ გასწორე-

კომისიამ ყალბად სცნო ს.ე. 266-ე სტროფი, რადგანაც ის „არც რითმით, არც ცეზურით და არც პაზრით ვერ უდრის რუსთველის სხვა ნაწერს, ამას გარდა, მის ქვემოთ, ამავე თავში, ისეთივე აზრის ტაეპი უფრო შესაფერ ადგილზე არის“. ამ სტროფის დამკველად გამოვიდნენ რ. ერისთავი და თ. ყორღანია, მაგრამ ვერა რა გააწყვეს¹⁹⁶.

კომისიის მორიგ სხდომაზე, 20 მარტს, გაარჩინეს 298—324 სტროფები¹⁹⁶.

ყალბად იქნა ცნობილი ტე 303 (396: კაცმა ვერ ასწრას თვალი-სა), ტი 310 (403: ასმათ უთხრა, ცრემლით ლომო) და ტია 311 (404: ეხვეწებოდა, ლამოდა) სტროფები, რომლებიც უცვლელად ჩაიტანეს სქოლიოში.

დიდი ყოყმანი გამოიწვია ტე 306-ე (399) სტროფმა (მოვსულვარ შენდა შეყრამდის), მაგრამ ბოლოს ესეც სქოლიოში ჩაიტანეს. კამათი გამოუწვევია აგრეთვე ტა 301-ე (394) სტროფის მესამე ტაეპის (რა მონანი მომწიენით, შესაპყრობლად დაჯულოვნდით) გას-

ბამ. მაგრამ საბოლოოდ მიიღეს გასწორდა. 3 თაჲ ვით—თუ ეთა. სეჲ 296,1 უხრ-მლოდ—უხმლოთ. სეჲ 297, 2 ზნახელი—ნახელი. 4 ჰავს—ჰავე.

ს ქ ო ლ ი ო ს სიტყვებიდან გასწორდა: ანზ 257,2 ამა—იმა¹⁹⁶. სნთ 259,1 პირ-ველისა—პირველისგან. სდა 261,1 ცხარე კამათის უკედეჲ. კომისიამ სიტყვა „დაჰ-მორჩილდები“ გაასწორა „დამორჩილდები“; 4 სოფლისა—თავისა. სდა 264, ხელ-საა—ხელთ არის; 2 ჩემგან—ჩემი. დიღა შეხლა-შემოხლა გამოიწვია ძირითად ტექსტში თუ რა უნდა დაწერილიყო მეოთხე ტაეპში: „თივისა“ თუ „თავისა“. კომისიამ პირილოდ „თავისა“ მიიღო. სეჲ 266,1 არად არა—არასადა. სთ 289-ე სტროფის პირველი ტაეპი: „გამოუგება ტარიელ. ჰმართესთ ორთაჲ მზე დარად“. გასწორდა: „წინ მოეგება ტარიელ მათან სჩანს მზეცა მზედ არად“; 2 ანუ იცით—ვერ მათებარ; უღრუბლოდ—უღრუბლო. სეჲ 291,2 იტირეს—ტიროდეს.

¹⁹⁶ ს ქ ო ლ ი ო ს ა თ ვ ი ს - გასწორდა ამავე სტროფის პირველ ტაეპში, არ-სად არა—არა სადა.

¹⁹⁶ პ ი რ ი თ ა დ ტექსტში გასწორდა: სეთ 299,4 რომელსა—რომელთა. ტ 300,1 ტარიელსაჲ—ტარიელსა. ტა 301,3 რა მონანი მომწიენით, შესაპყრობ-ლად დაჯულოვნდით—რა მონანი შესაპყრობლათ მომწიენით, ვაჯულოვნდით. ტბ 302,4 უჩინოსა—უჩინოს; სხვასმეა—სხვასამეა. ტთ 309,3 ჩემსა—ჩემი¹⁹⁶; ვიამ-ბობს—გაამბო¹⁹⁶. ტიბ 312,1 დაჯალბული—დაალებული. ტიგ 313,2 დანაბალია—დონაბა დია; 4 დანაბალია—და ხაბალია. ტიე 315,4 რად—რაცა. ტიზ 317,2 დარ-ნა-აპყარნა. ტკა 321,1 მეშუდგე—მეშვიდგე; 2 სახელი—სახელად. 3 ჰკადრებდა—ჰკადრებდის; ტკე 323, 3 ესცნო—ეცნა. ტელ 324,2 მფლობელმან—ჰპყრობელმან; 4 მამან და-მამამან.

ს ქ ო ლ ი ო ს ა თ ვ ი ს გასწორდა: სეთ 299,1 შენი—თვალით. ტ 300,1 აეს-სენა—მოკონა; 2 იტყვის—თქვა თუ; 4 მამეგონა—მომავონდა. ტა 301,4 მიიტან-დით—წაიტანდით. ტლ 304,3 მაგრამ—ვიცი. ტე 305,1 უთხრა—ჰკადრა. ტიბ 312,4 დაჯალბული—დასველებული. ტიე 315,3 რად—ვეთ. ტკე 323,4 სამსახურისა—ნამ-სახურისა. ტელ 324,1 ამბისა—საქმისა; 3 მფლობელმან—ჰპყრობელმან; 4 ამამან და—მამამან. (გაზ. „დროება“, 1881, № 63).

წორებამ. ბევრს უნდოდა თურმე გაუსწორებლად დარჩენილიყო, მაგრამ ბოლოს მაინც გაუსწორებიან*.

ტზ 307-ე სტროფის მესამე ტაეპში „იავუნდი ეგრეცა ჰსჯობს ათასჯერცა მინა მინდა“-ში ზოგი ამბობდა, რომ აქ უკანასკნელი სიტყვა ნდობას ნიშნავს. „უმრავლესობა კი ფიქრობდა, „მინდა“ აქ ნიშნავს მინასაგან ნაწარმოებ ზმნას, რომლის პირველი პირი არის ვმინდი. აზრით ზოგი ტარიელს თვლიდა იავუნდათ და ზოგა თინათინს“.

ვეფხისტყაოსნის კომისიის მორიგე (მე-11) სხდომა შედგა 24 მარტს. თავმჯდომარეობდა ნ. ტ. ლადიანი¹⁹⁷. გაარჩიეს 325—372 სტროფები¹⁹⁸.

* არ ჩანს რა სახის წესწორება შეიტანეს აღნიშნულ ტაეპში. ხომ არ იგულისხმება ამავე სტროფის მე-4 ტაეპში შეტანილი შესწორება:

¹⁹⁷ და დ ი ა ნ ი ნიკო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კონსიის მუშაობაში. მისი შესწორებები კომისიას ბევრი გაუზიარებია, მაგრამ ზოგი შეუსწორებელი დაუტოველია. „მახსოვს, — წერს შალვა ლადიანი.— ფრაზა „ლახვარი გულსა ხეული“ მაშას დიდად აღუკვებდა. მაშას აზრით, უნდა ყოფილიყო „ლახვარი, გულს-სახეველი“. ე. ი. გულის სახის მსგავსი, გულის მსგავსად გამოსახული ლახვარი. თორემ უკვე გახეულ გულში ლახვარის დასობა ამ ტაეპისათვის, უაზრობის გარდა, დიდი სისისტიკეც არის და არა ეკონებ ამას რუსთაველი იწებებდაო“. (შ. ლადიანი, „რაც გამაზსენდა“, 1959, 247).

¹⁹⁸ ძ ი რ ი თ ა დ ტექსტში გასწორდა ტყე 325,1 საკარგემო—საკარგეად; დაჰსჯდა—დაჰდეს. ტყე 326,2 ჩემებრივ—ჩემებრი. ტყე 327,3 ვაი—ვაა, ტყე 329,4 არა ჰგაოდის—არ ჰგავიდოდის. ტლგ 333,4 თამაშობდა—თამაშობდა. ტლვ 336,2 დასტურა—დასტურ ა. ტმდ 344,4 ბალახშეულმან—ბალახშეულმან, ტმწ 358,2 შეეხედე—შეეხედენ; 3 მთხოვა—მთხოვნა. ტნთ 359,1 ნათელი—ნათელნი. ტპ 360,2 დიდს ხანს—დიდ ხან; 4 ვაიმე—ვაიმე. ტპა 361,1 მიმდომნი—მიმდომნი. ტპა 3 ვთისა—და ვთისა. ტპე 365,2 ჰქონდათ—ჰქონდა. ტპმ 368,2 ვითა—ვითამე; 4 გაეკურნე—გავარკინე. ტპთ 369,1 მე წამოვე მეფისაგან—ზეწამოვე მეფისასა; 4 ყველანი უჩემობდა—ყველაი უჩემოდა. ტო 370,3 ვნახო—ვნახე. ტოა 371,1 გამოკვდი—ჟამოკვდი.

ს ქ ო ლ ი ო ს ა თ ე ი ს გასწორდა: ტყე 325,1 საკარგეად—საკარგემო; 3 დაჰდეს—დაჰდა. ტყმ 328,2 მზრდიდეს სრულთა—ზრდა დამიწყეს. ტყთ 329,4 არა ჰგაოდის—არ ჰგავიდოდის. ტლგ 333,4 თამაშობდა—თამაშობდა. ტლდ 334,4 ვასკეს—ვასხნეს. ტლვ 336,2 ავთანდილსა—ავთანდილსა; მოაკურა—დააკურა. ტლზ 337,3 მთვარისა მსგავსი, მზისაგან შევენებით არ შეტრობილი—მთვარისა მსგავსი შევენებით, მზისაგან ვერ შეფლობილი. ტლმ 338,2 ვით—თვით; 4 ეთამაშობდი—ვნადირობდი. ტლთ 339,1 სახლი—კოშკი; 3 პირისა—ძირქისა. ტპე 345,3 მტრისა—მისგან. ტპვ 346,2 ვეაბდი—ვაებით. ტპმ 348,1 ავეთი—ავტირდი; 2 მათ—მას; 3 ინდოეთს—ინდოთა. ტპთ 349,4 თაყვანის-ვეც—თაყვანი-მცეს. ტპა 352,3 ხელსა—ხელთსა. ტპვ 356-ე სტროფის სარითმო სიტყვებს დაემატა დონი: ქალისად, აღისად, ვალისად, ხალისად. ტპზ 357,3 ხედედილი—ხედედედი. ტპა 360,2 შეუკრა—შეუპყრა. ტპა 362,1 მთხოვნეს—მიესკენ; 3 ტირილისა თავისა—ტირილას და ვთისა, 4 მომრტყმოდეს ჭალაბნი—მომრტყმოდა ჭალაბი. ტპა 363,2 ზედ დამ-

ყალბ სტროფებად იქნა ცნობილი და სქოლიოში გადაიტანეს: ტლ 330 (437: ნადიმსა შიგან მაყმენი), ტმგ 343 (450: რა მინდორს შეეჯღი), ტნ 350 (458: თავადობა ინდოთა), ტნა 351 (462: აღარ ვიცი დამავიწყდეს), ტნგ 353 (459: ტარიელს თვალნი სისხლისა) და ტნე 355 (467: ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი).

ამ სტროფებიდან, — წერს ი. მეუნარგია, — „არც ერთი არ არის ვახტანგის გამოცემაში გარდა 315-ე სტროფისა (აღარ ვიცი დამავიწყდეს). ბროსეს თუმცა შეუტანი, ისინი ტექსტში. მაგრამ თითონ იხსენიებს წინასიტყვაობაში, რომ ეს ხანები რუსთველის არ უნდა იყვესო. ბეჟან წერეთლის წიგნი¹⁹⁹ პირდაპირ ამბობს, რომ ესენი ნანუჩასი არიანო. თითონ ლექსწყობა და ჩვეულებრივი პოემის კილოც ამ ხანებში ისე არიან შეცვლილნი, რომ უეჭველია ისინი რუსთველის ნაწერნი არ უნდა იყვენენ“, მაგრამ 351-ე (462) სტროფზე „არ შეიძლება იგივე ითქვას. ეს სტროფი ვახტანგსაც აქვს მოყვანილი, ბროსესაც, იმაზე ამ საღამომდის ეკვი არავის არ შემოუტანია და ამ საღამოს კი გამოდგა, რომ ეს სხვა ვიღაცის დაწერილი ყოფილა. მართალია, ეს სტროფი ზოგ ხელნაწერში არ იყო მოყვანილი, და იმგვარ ადგილს არის ჩამატებული; საცა ჩვეულებრივად ნანუჩა, დავით მდივან-ბეგი და ლარაძე უმატებდენ პოემას, მაგრამ ამ ცოტა საბუთებით, მე მგონი დიდი კადნიერებაა ამგვარი ცენზურისაო“. ტლგ 333-ე (439) სტროფი (წიგნი წიგნსა ეცემოდა) დატოვეს ძირითად ტექსტში. თუმცა ის „არც ვახტანგს აქვს დაბეჭდილი, — შენიშნავს ი. მეუნარგია, — და არც ზოგიერთთა ხელნაწერებში მოიპოვებო“²⁰⁰.

მეთორმეტე სხდომაზე (27 მარტს) გააჩიეს 373—415 სტროფები²⁰¹. ფსევდორუსთველისად სცნეს ტპზ 387-ე (503) მიველ დავსჯე ტახტსა ზედა) და ტუ 390-ე (509) (ასმათ დგა ჩემთვის) სტროფები²⁰².

ტიროდეს—ზედა შტიროდეს. ტლდ 364,3 გაეეც—უთხარ. ტდე 365,2 ჰქონდა—ჰქონდათ. ტდე 366,4 მას რომ—რომე. ტღზ 367,1 დარბაზს—ასრე: 3 პაი—პა: პა: ტიშ 368,4 გაეარკინე—გაეიკურნე. ტთმ 369,1 ზე წამოვჯე მეფრასასა—მე წამოვე მეფრისაგან; 4 ყველაი უჩუმოდა—ყველანი უჩუმობდა. ტო 370,3 მომინდა ენახე—მწალიან ენახო. ტოა 371,4 რალას—რასა, არას. ტობ 372,3 საწოლს მეკარე—საწოლის მეკარე.

¹⁹⁹ იგულისხმება II 757 ხელნაწერი.

²⁰⁰ გაზ. „დროება“, 1881, № 65.

²⁰¹ ძ ი რ ი თ ა დ ტექსტში გასწორდა ტობ 377,3 ასმათისა—ასმათისი. ტომ 378,4 მოხვალ—მოვალ*. ტპბ 382,3 ვასსია—ვასცნა: მრავალნი—მრავალი*. ტპე 385,2 შალი—შარლი. ტებ 392,2 უჩეენნე—უჩეენო*: 4 მათი—მათნი. ტტგ 393,1 წინასაც—წინაცა. ტებ 397,4 ვსტყუვი (-დროებაში: ვეტყვი)—ვტყუვი. ტტშ 398,3 გაშიყობდეს—გამიყობდეს, ტტთ 399,2 მზისაც—მზესაცა. უ 400, 4 ხელის—ხელ-

კომისიის მორიგ სხდომას (31 მარტს) თავმჯდომარეობდა დ. ჯ. ერისთავი. სხდომას პირველად დაესწრო ნ. ი. ნიკოლაძე, გაარჩიეს 416—447 სტროფები.

ფსევდორუსთველიანად მიიჩნიეს ულ 430 (551: მოვახსენე არ მეწყალვის) და უნბ 452-ე (578¹) (მას კაცსა დია უმუქრე) სტროფები²⁰³.

ს. უგ 403,1 ჩვენო—ჩვენო, პატრონო—პატრონო; 3 ზედა—ზედან. ულ 404,1 კაცი—კაცი. უე 405,1 პირობა—პირება. უი 410, 3 მოუბნესა—მოიუბნეს.

ს ქ ო ლ ი ო შ ი: ტოვ 373,1 ასმათისი—ასმათისა; 3 ვითამცა ექნ გულისა—ველისა ვითამცა ექნ. ტოლ 374,2 უზრახობასა—უმზრახობასა. ტოვ 375,1 ვამოხდეს და—გამოხდა გლახ; მე—კვლა; 3 დამიწყეს—დაიწყეს. ტოვ 376,3 პირძანა გახსნევ—მიბრძანა გახსნა; 4 ფარვად პატიეთა—ფიროდ თავისა. ტოვ 337,3 შინა—შიგან. ტომ 378,1 მონამან—ასმათის; 2 შევიტყვევ—ჩავხედე; 4 მოხვალ—მოკლ. ტოლ 379,1 ვარქეი თუ—უთხარი; 2 ვარ—ხარ, სრულად—სრულნი; მმონებენ—გმონებენ. ტაპ 381,2 წელთა—წელსა. ტბლ 384,3 მოუხურავს—მოუხურავს; 4 წაიყვანე—შეიყვანე. ტბი 389,1 აღსდებე („დროებაში“: აღვა)—მითხრა, თქვენსა მკრძალსა ჩემგან ცნობა უბნევია.—ადგა, მითხრა, თქვენს კრძალვასა ჩემთვის ლიტყვა უმცნევია; 3 დიდისა—დიდ; 4 გავაგონოს—გამამართოს; უთქმევია—ურქმევია. ტაპ 391,1 ცუცხლი—ალი; ტებ 392,2 უჩვენენ—უჩვენო; 3 ყველანი—ყოველნი. ტვგ 394,4 მანდა—აქა. ტემ 398,1 ესე ჰკრიბდეს—თუცა; 2 საუბარსა—ნაუბარსა. ტეთ 399,2 მხისაცა—მზესაცა²⁰⁴; 4 სინათლე—ნათელი. უა 401,2 რომე ცუცხლი—ცუცხლი რომე. უგ 403,3 ზედა („დროებაში“: ზედანი)—ცხადათ; 4 სახდა—სისლათ²⁰⁵. უე 406,1 მოველ—შეველ: 2 მიეცა—მივეცი; 4 კარსა—კარის. უბ 427,2 მესეა—მესო; 3 ამიჯოლხეა—ამიჯოლხედა. უთ 409,1 ამიჯოლო—აზიდნა. უი 410,3 მოუბნესა—მოიუბნეს²⁰⁶. უია 411,2 ვის წელან გული დარამათა—გულს ღებნი წელან დარამათ: 3 მოგეცა—გლახ მომეც. უიბ 412, 3 სიმძიმითა—სიმძიმითა; დახმე—დახმე. უიე 415,2 ლალი—ლანი; 3 რამ ჩვენ ვართ—ჩვენ ვართ; 4 ვინ არის—ნეტარ ეც; ჩემ ზედა—ჩვენ ზედა.

²⁰³ ვაზ. „დროება“, 1881, № 68.

²⁰⁴ ძირითად ტექსტში გასწორდა: უიე 416,3 ჰპატრონობს—ეპატრონობს. უიბ 417,3 მონასტრბანია—მონასტრბანია. უიმ 418,1 ექმნათ—ექმნა; 4 სიყელი—სიპაღე. უე 420,2 ჭერთათა—ჭერთათა. უეგ 423,1 შემოვლო („დროებაში“: შემოვლო)—შემოვლენ²⁰⁷. უედ 424,2 ზედა—ზედან. უეკ 427,2 უარია—უარეა. 3 იღვემალვა—იღვემალვა; 4 ძელან—ძოლან. უემ 428,1 აქეთ—აქათ; 3 ზენართადა—ზენართათა. ულა 431,2 არა შეიერსა—არ მივიერს; 3 შენთა შუქთა შემომადგა—შენთა შუქთა შემომადგეს. ულდ 434,4 მისი გამყურელი—მისსა გამყურელსა. ულკ 435,3 ხატავეით—ხატავეთს. ულბ 437,2 გითხრობს („დროებაში“: მითხრობს)—მითხრის; 4 მოვახსენეთ („დროებაში“: მოვახსენით)—მოვახსენით. ულთ 439,1 ევერცა—ვერცა; 2 ბრეენი—ბრძენი. უმა 441,4 ცოტათა—ცოტათი. უმგ 443, 4 ასენო—ენა, უმდ 444,3 მოახსენე—მოვახსენე.

ს ქ ო ლ ი ო შ ი: უიე 416,1 ტარიელსა—ტარიერსა; 3 ჰპატრონობს—ეპატრონობს; 4 წიგნსა—კაცსა. უიბ 417,2 მოკრფეს („დროებაში“: მოკრბეს)—მოკრბა; 3 ჩემკენ—ჩემკერს; მონასტრბანია—მონასტრბანია; 4 ერთობ—სრულად. უიმ 412, 4 სიკეთე—სიპაღე²⁰⁸: აბკრისა—აბჟართა. უე 420,1 მიველ—მოველ; 2 საგუბარი—ნავუბრითა. უეა 421,2 მტრად—ღია. უეე 425,3 მივსცენ („დროებაში“: მისცენ)—მივეცი. 426,1 გაგზავნა—გამეგზავნა. უეკ 427,1 მამაკაცის—მამაკაცისა; 2 უარია

უკე 425-ე სტროფის მეორე ტაეპი იკითხება ასე: „შან ბალი-ში დამართებით დასპდვა მას მზედ საქებარსა“, ზოგ ხელნაწერში აღმოჩნდა: „ზედ საქებარსა“, ზოგში კი — „მზედ საქებარსა“. ამის გამო კომისიამ ნახევარ საათზე მეტი იმსჯელა ამ ტაეპის შესახებ, მაგრამ აღნიშნული სიტყვები ვერ ახსნა და საკითხი ღიად დარჩა.

ტექსტის დამდგენ კომისიის მე-14, 15 და 16 სხდომებზე გარჩეული იქნა 450—500 სტროფები²⁰⁴.

გეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მუშაობის ანგარიშები მე-17 სხდომამდის სისტემატურად იბეჭდებოდა გაზ. „დროებაში“. კომისიის განზრახვა იყო ტექსტში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება გაზეთში გამოეჭყეყებინა, რომ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა მასზე თავისი აზრი გამოეთქვა და კომისიას, ტექსტის საბოლოოდ გადახედვის დროს, მიღებული შენიშვნები მხედველობაში მიეღო. „ამიტომ ის ცვლილება, რომელიც მიღებული იქნება ეხლანდელს სხდომებში და გაზეთით გამოცხადდება საყოველთაოდ („დროებაში“: უარეა)—აუგია. უკმ 428,3 ზენართა—ზენაართა*; 4 გიუტრეო—გიტუო. უკთ 429,2 გაგიმარქედეს—გაგემარქოს; 4 გაუყრულად—გულისათვის. ულა 431,1 მე—შენ, არა—არ ვინ (გაუტკეველია თუ რომელ ტაეპს შეუხო გა—წორება, პირველ თუ მეორეს, საფიქრებელია პირველ ეკუთვნიდეს); 3 შენა—შექნი შემომადგეს—შენთა შექთა შემომადგა. ულბ 432,2 ანიო—მანეე. ულვ 433,4 მადგეს—მადგის. ულდ 434,3 ნაჩინის—საჩინისა. ულე 435. არ გაევიდეს—ვერ ეტეოდეს. ულვ 436,2 ხატაეთზედა („დროებაში“: ხატევიბედა) — ვინ ხატაეთზედ: 3 მან მიიხრა მოციქულთა („დროებაში“: მოციქულვება)—მოციქულობა მომართეა ულზ 437,1 საშინელი—უღვეელი; 2 გითხრობს („დროებაში“: მითხრობს)—მითხრეს*; 4 მოგახსენეთ („დროებაში“: მოგახსენით)—მოცაენხენეთ, მოგიძღვენით. ულმ 438,2 ღვთითა—ღვთებ. ულთ 439,4 ღალატად—ღალატით. უმ 440,1 წაიდეო—წახვიდე; 2 გეკიდნენ—გეკიდნენ. უმა 441,3 დაგვიდგანს—დავეიდგნობს; 4 ცოტათა—ცოტათი*. უმბ 442,1 სამასი—სამასნი; 3 მეკვლოს—მეკვლენ. უმგ 443,2 უცხო—ტურფა. უმდ 444,1 ეზომ—ყოელი; 3 მოგახსენე—შეგახსენა, მოახსენე. უმე 445,1 ჩამოგზე—გარდავზე; 2 სალამად—მის ღაძე; 4 ნახეასა—ხილვასა. უმე 446,1 მოგახსენებს—მოგვებების. უმზ 447,2 უქორესწათა—უქორესწყდა (გაზ. „დროება“, 1881, № 71).

²⁰⁴ ძირითად ტექსტში გასწორდა: უნ 450,1 მოგვებების—მოგვებების; 2 ვით—მით; 4 გეუმენ—გეუმდენ. უნა 451,4 მეცა—მემცა. უნგ 453,1 გავენდეე—გავანდეე; 3 თუ გზაცა („დროებაში“: თუცა გზა)—გზა თუცა. უნმ 458,1 ტა—სა—ტანთა. უნთ 459,4 რა თქვენთვის—რა თქვენად. უდა 461,2 მათდა—მათად. უდე 465,1 სალამოს ეამს—სალამო ეამ. უდე 466,2 ეცნოთ („დროებაში“: გცნოთ)—ეცნათ. უთა 471,3 მძებნელთა—მებძოლთა. უთბ 472,1 შემიგნია—შემიგიან. უთდ 474,2 ჩემს წინაშე—ჩემსა წინა; 4 რასამცა ვით—რასმცა ვითა. უთე 475,2 რომრთენეს—მომართენეს*. უთვ 476,4 ცნობასაცა—ცოდნასაცა. უთთ 479,1 სეემცა არს—სეემცა ა. უბ 480,1 ღაიურეე—ღაიურეე; 4 ვყარე („დროებაში“: ვყავრე); 4 ვყავრე, უბე 486,1 შევკადრე—მე ვკადრე; 2 უყავით თქვენცა—თქვენცა უყავით; უბზ 487,1 ხარაჯი—ხარაჯა. უბთ 489,4 ხანია—ეამია. უე 490,1 მიველ—მივე. უემ 498,4 მოვსწყვიდი („დროებაში“: მოვსწყვიტინი)—მოვსწყვიდინი. ღა 501,1 სულელთო—სულეო (გაზ. „დროება“, 1881, № 86).

ოდ. — აცხადებდა რედაქციის მდივანი ი. მეუნარგია, — არ არის კომისიის უკანასკნელი სიტყვა. მთელი პოემის წაკითხვამ და შენიშვნამ, რომელსაც რედაქცია ელის ვეფხისტყაოსნის მოყვარულთა და მკოდნეთაგან, შეიძლება კიდევ შეაცვლევინოს მას თავისი აზრობა“ და მოუწოდებდა მკითხველებს, რათა არ მოეკლოთ თავიანთი რჩევა ამ საქმის მოთავეთათვის.

ამას გარდა, კომისიას განზრახული ჰქონდა სხდომაზე დამსწრე პირთა პრესაში გამოცხადება, რომ საზოგადოებას სკოდნოდა ამ საპასუხისმგებლო მუშაობაში ვინ იღებდა მონაწილეობას. ეს კი საპირო იყო რედაქციის აზრით იმიტომ, რომ „ყოველი ამ საქმის თანამგრძობელი... ყველაზე უწინ იმას ჰკითხავს სხდომაში დამსწრეთა: ვინ და ვინ იყენენ სხდომაზე, ვინ რა სთქვა, ვინ როგორ ილაპარაკა და სხვ. მაგრამ რადგანაც სხდომაში ორთაშუა რიცხვით ოცდაათი კაცი დადის და ყველა იმათი ჩამოთვლა ბევრ ალაგს დაიჭერდა გაზეთში, — წერს ი. მეუნარგია, — მე მხოლოდ იმას ვაქვეყნებ, რომელნიც არ იყენენ ჩამოთვლილი პირველს სხდომაზეთა“²⁰⁵.

გაზ. „დროება“ ამ მხრივ ძალიან გულუხვობას იჩენდა პირველ ხანებში, მაგრამ შემდეგში ვერ შესძლო კომისიის საქმიანობის ფართოდ გაშუქება და თანდათანობით უკლო მასალების ბეჭდვას, მაგ. მე-13 სხდომის შემდეგ გაზეთი ერთ ნომერში (86) შემოკლებით ბეჭდავს მე-14 მე-15 და მე-16 სხდომათა ანგარიშებს.

1881 წლის 28 აპრილს „დროების“ №-ში ი. მეუნარგია აცხადებს, „მცირე ცვლილება უნდა მოვახდინოთ ამ ჩვენს პროტოკოლებში: ეს ცვლილება შეეხება ვარიანტების [იგულისხმება სქოლიოები] ბეჭდვას. ვარიანტები გაზეთსაც ბევრ ადგილს ართმევს და თქვენ მორჩილ მონასაც შრომათ უღირს და სარგებლობაზე კი არავისგან სიტყვაც არა გვსმენია. ამისთვის ეს ვარიანტები მარტო პოემის გამოცემაში იქნება შეტანილი და აქ გაზეთში კი არ დაიბეჭდება“. მაგრამ „თუ საჭიროება მოითხოვს, — აცხადებს რედაქცია, — წიგნის გამოცემის წინათ ცალკე დამატების სახით დაგებულადვე „დროებაში“... მანემდის კი ვარიანტების ბეჭდვას თავს ვანებებთო“²⁰⁶.

მაგრამ ამის შემდეგ არა თუ ვარიანტების, არამედ ძირითადი ტექსტის შესახებაც არაფერი დაბეჭდილა გაზეთში და არც სხვაგან დარჩენილა დოკუმენტები კომისიის მუშაობის შესახებ. შემდეგში გაზ. „დროება“ მხოლოდ ცნობებს ბეჭდავდა კომისიის სხდომების დანიშვნის შესახებ და თუ ვინმე გამოჩენილი პირი ესწრებოდა, მის ვინაობას.

1881 წლის 28 აპრილის შემდეგ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამ-

²⁰⁵ გაზ. „დროება“, 1881, № 57.

²⁰⁶ იქვე, № 86.

დგენ კომისიამ, ზაფხულის მოახლოების გამო, დროებით შეაჩერა მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მან განიხილა პოემის ერთი მესამედი. დანარჩენი ნაწილის განხილვა განზრახული იყო დამთავრებულიყო 1 იანვრამდის.

6 ოქტომბერს კომისიამ განაახლა მუშაობა საადგილმამულო ბანკის შენობაში. ამ სხდომას დაესწრო დ. ჩუბინაშვილიც. რომელმაც ვეფხისტყაოსნის კომისიის საპარგებლოდ 24 ოქტომბერს წაიკითხა ლექცია არწუნის თეატრში თემაზე: „ანტონ კათოლიკოზის ცხოვრება და მოღვაწეობა“²⁰⁷. თბილისში ყოფნისას დ. ჩუბინაშვილი სისტემატურად ესწრებოდა კომისიის სხდომებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მუშაობაში.

20 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო კომისიის მორიგი სხდომა ბანკის შენობაში, მაგრამ ბანკის მცველებმა კომისიის წევრები შენობაში არ შეუშვეს: „ბრძანება გვაქვს. რომ არავინ შეუშვავთ ზალაში“.

ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში. სპეციალური წერილები დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ (№ 222) და „შრომაში“ (№ 11), სადაც ავტორები სასტიკად ილაშქრებდნენ ბანკის დირექციის წინააღმდეგ. სხდომის ჩაშლა კი გაუგებრობის ნიადაგზე მოხდა. ბანკის ადმინისტრაციას მხედველობიდან გამორჩა აღნიშნული სხდომა და წინასწარ არ გააფრთხილა მცველები. ამიტომ ამ საქმეზე აურ-ზაურის ატეხა საჭირო არ იყო. ასე ფიქრობდა ალბათ ბანკის გამგეობაც, როდესაც გაზ. „დროება“ — „შრომას“ გამოლაშქრებებს დუმილით რომ უბასუხა და ვეფხისტყაოსნის კომისიამაც ამ საკითხზე ხმა რომ არ ამოიღო. უკანასკნელი მუშაობას კი ისევ ბანკის შენობაში განაგრძობდა იმ წესით, როგორც ამდენხანს აწარმოებდა.

როგორც ავლნიშნეთ, კომისიას განზრახული ჰქონდა ტექსტზე მუშაობა 1 იანვრისათვის დაემთავრებია, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს: ამიტომ მუშაობა 1882 წ. დასაწყისშიც მიმდინარეობდა. ამის შესახებ გაზ. „დროება“ 1882 წ. 19 იანვარში აცხადებდა: „ვეფხისტყაოსნის კომისიის მუშაობა თავის წესზედ მიდის. კვირაში ერთხელ იკრიბებიან და ხელნაწერ და დაბეჭდილ ვარიანტებს ერთმანეთს ადარებენ და ასწორებენ. იმედი აქვთ, რომ კომისია ამ შრომას თებერვლის დამლევს ანუ მარტის დამდეგს შესრულებს და მერე ამ შესწორებულის ტექსტის ბეჭდვას შეუდგებიან“²⁰⁸. მაგრამ პოემის ტექსტის ბეჭდვა რამოდენიმე წლით გადაიდო, რომლის ერთ-ერთი მიზეზი შემდეგი გარემოება იყო.

²⁰⁷ გაზ. „დროება“. 1881, № 222.

²⁰⁸ იქვე, 1882, № 12, გვ. (19 '1).

1881 წ. ბოლოს საქართველოს ესტუმრა რუსეთის სამეფო კარის მხატვარი მიხაი ზიჩი (1829—1906). მას დავალებული ჰქონდა დაესურათებინა ლერმონტოვის ნაწერები. ამ მიზნით უნდა შეესწავლა ქართველი ტიპები და მასთან ერთად უნდა დაეხატა საქართველოს ბუნების ის ადგილები, რომლებიც მ. ლერმონტოვის თხზულებებთან არის დაკავშირებული²⁰⁹.

მ. ზიჩის სახელი, როგორც მხატვრისა, ქართველებისათვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომ ის დიდი კმაყოფილებით მიიღეს და ყოველმხრივ დახმარებას უწყევდნენ.

თბილისში ყოფნისას მ. ზიჩს ვრცლად გააცნეს ვეფხისტყაოსნის შინაარსი, რამაც მხატვარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან განიზრახა ცოცხალი სურათებით სცენაზე წარმოედგინა პოემის მთელი შინაარსი.

პირველად განზრახული იყო 21 ოქტომბერს ქართულ წარმოდგენაზე ეჩვენებინათ მხოლოდ „ასმათის მიერ ტარიელის კოშკში მიყვანა ნესტანდარეჯანთან“. მაგრამ ერთი სურათის ჩვენება მაყურებელს ვერ მისცემდა პოემაზე სრულ წარმოდგენას და ამიტომ მიზანშეწონილად სცნეს მთლიანი შინაარსი ერთად ყოფილიყო წარმოდგენილი. სურათების დადგმის გაფორმებას შეუდგა მ. ზიჩი. უკანასკნელი პოემის პერსონაჟების განსახიერებისათვის ზალზში დაეძებდა შესაფერ პირებს. აფორმებდა დეკორაციებს, რაშიდაც დახმარებას უწყევდნენ მხატვრები ფილიპოვი, ხოდოროვიჩი, ვოლჩინი და დეკორატორი დეუსტიჩი.

მ. ზიჩს განზრახვა ჰქონდა პოემის მთელი შინაარსი ათ სურათად ეჩვენებინა.

მხატვრის ამ განზრახვას თანაგრძნობით შეხვდა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. მის განხორციელებას სათავეში ჩაუდგა ბარბალე ბარათაშვილისა. ათას მანეთზე მეტი დახარჯეს დეკორაციების დასახატავად და ტანისამოსის შესაძენად.

პირველად ცოცხალი სურათები ნაჩვენები იყო 1882 წ. 6 თებერვალს თბილისის საზაფხულო თეატრში. ამ წარმოდგენაში ასზე მეტი ქალი და კაცი იღებდა მონაწილეობას. ბილეთების სიძვირის მიუხედავად, მაინც დიდიძალი მაყურებელი დაესწრო, ადგილები სრულებით არ იყო ცარიელი და ბევრს ფეხზე დგომაც უხდებოდა.

²⁰⁹ 1837 წ. მ. ლერმონტოვი ცხოვრობდა საქართველოში. პოეტი აქ გაეცნო ლეგენდებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მის პოემა „დემონის“ ახალ რედაქციას.

ნაჩვენები იყო 10 ცოცხალი სურათი. „დროების“ რეცენზენტის ცნობით, ეს სურათები იყო:

თინათინის გამეფება როსტევეან მეფისაგან;

დარბაზობა ფარსადან მეფეთან;

ნესტანდარეჯანი თავის ოთახში ზის, ასმათს შეპყავს ტარიელი;

დავარი ზანგებს აძლევს ნესტანდარეჯანს ზღვაში ჩასაგდებად;

ნადირობა და ტარიელის ნახვა;

ტარიელისა და ავთანდილის გამოქვაბულში გაცნობა, აქვეა ასმათიც;

ფატმანის მიერ ნესტანდარეჯანის დახსნა მეკობრეებისაგან;

ნესტანდარეჯანის წარდგენა გულანშაროს მეფის წინაშე;

ქაჩეთის ციხის აღება და ნესტანდარეჯანის განთავისუფლება;

გულანშაროს მეფესთან ტარიელისა და ნესტანდარეჯანის დაქორწინება.

თინათინის როლს ასრულებდა ს. ჩოლოყაშვილისა, როსტევეანისას—რ. ერისთავი, ფარსადანის—ვ. თარხნიშვილი, ფარსადანის ცოლის—ე. მინკევიჩი, ნესტანდარეჯანის—ნ. ოგლობეო (ორბელიანის ასული), ტარიელის—ბარათაშვილი, დავარის—ა. მესხიშვილი, ავთანდილის—აფხაზი, ფატმანის—ნ. ორბელიანისა, ჰუსეინის—ბ. ბებურიშვილი, გულანშაროს მეფის—კ. გაბაშვილი.

სურათებმა მაყურებლებზე მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და მისი დამდგმელი მ. ზიჩი ტაშის გრიალით არა ერთხელ გამოიწვიეს სცენაზე²¹⁰. გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „თბილისელები არ დაივიწყებენ ამ საღამოს და ქართველი საზოგადოება მადლობას ეტყვის მხატვარს, რომელმაც ასე მშვენივრად უყო ილუსტრაცია უკვდავ პოემასო“. მასთან ერთად მადლობას უცხადებს ბ. ბარათაშვილისას, რომლის ინიციატივითაც მოეწყო ეს საქმე. გაზეთ „დროებაში“ კი ი[ლია] წ[ინამძღვრიშვილი] წერდა: „ზიჩიმ დიდი ღვაწლი დასდო თავის შრომით საქართველოს. იმან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთაველმა მშვენიერის ლექსით გამოხატა... ბევრი სურათები გვიანხავს სცენაზე, მაგრამ ამ სურათებს არა შეედრება რა. ეტყობა, რომ აქ მომქმედი პირი პოეტი მეცნიერი კაცი იყო. თუმცა ამ პოეტმა, მხატვარმა ზიჩიმ, ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა, გააგებინა მას დიდებული რუსთაველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობის გმირნი ვეფხისტყაოსნისა. ზიჩიმ გააცოცხლა ჩვენი მკვიდრნი ქართველნი. ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა—რუსთაველისა, საქართველოსა და იმის შვილების გასაცნობად“²¹¹.

²¹⁰ გაზ. „კავკაზი“, 1882, № 36.

²¹¹ გაზ. „დროება“, 1882, № 27.

21 თებერვალს მეორედ იქნა ნაჩვენები ცოცხალი სურათები ვეფხისტყაოსნიდან, მაგრამ 10-ის ნაცვლად ახლა 11 სურათი უჩვენეს. მეთერთმეტე სურათი იყო ვეფხისტყაოსნის შესავალი, სადაც შ. რუსთველი თავის პოემას თამარ მეფეს მიართმევს ამაღლის თანდასწრებით.

როლებს ასრულებდნენ: თამარ მეფე—მ. იოსელიანის ქალი, შ. რუსთველი—დ. ზ. სარაჯიშვილი. თამარის გვერდით, შ. დადიანის ცნობით, დგანა ანტონ წულუკიძე, თამარის წინ—დიმიტრი წერეთელი²¹².

გაზ. „დროების“ რეცენზენტის აზრით, სურათების ადგილები ვერ იყო შერჩევით წარმოდგენილი, არ იყო შეთანხმებული სცენაზე ავეჯეულობა და სხვა სამკაულის ადგილები, არც ტანსაცმელი შეეფერებოდა ვეფხისტყაოსნის შინაარსს. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მხატვარ ზიჩის კარგად არ აუხსნეს და განუმარტეს ვეფხისტყაოსნის შინაარსი. მიუხედავად ამისა, — აცხადებს რეცენზენტი, — გულითად მადლობას ვწირავ ამ სურათების დამდგენელ მხატვრებს და ბ. ზიჩის ჩვენს საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის.

უარყოფითად იქნა შეფასებული თამარის როლის შემსრულებელიც. „ის ჩახრუხადის პოემის მიხედვით „ნარნარი და შესაწყნარი“ კი არა, მალა მეფის ტახტზე გამოჭიმული იყო ერთი ასეთი „ლოპიანა“ ვინმე, რომ ესკუპა იქიდან და ერთი მუშტი გაექნია, მგონი სულ გარედ გაცვივნულიყვნენ იმის ამაღაც და მთელი მაყურებლებიც“²¹³.

წარმოდგენას უამრავი მაყურებელი დაესწრო; სულ, ამ ორ საღამოს, გაიყიდა 2876 მან. და 70 კ. ბილეთი.

ამ წარმოდგენების შესახებ 1882 წ. 26 თებერვალს ივანე მაჩაბელი თავის ძმას ვასო მაჩაბელს პეტერბურგში ატყობინებდა: „აქაური ახალი ამბები ეს არის: მანდაურმა გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩმა ცხოველი სურათები გამართა ვეფხისტყაოსნიდან ორჯერ. ორჯერვე აუარებელი ხალხი დაესწრო და აღტაცებითაც მიიღო“²¹⁴.

თბილისის ქველმოქმედების საზოგადოების სასარგებლოდ ცოცხალი სურათები ვეფხისტყაოსნიდან მესამედ იქნა ნაჩვენები 17 მარტს. საღამოს ხელმძღვანელობდა ე. ა. გაგარინისა. ყველა მომქმედი პირი, გარდა ერთისა (ნესტანდარეჯანის როლში, გაზ. „დროების“ ცნობით, იყო დ-ისა), ძველები იყვნენ. თეატრი ვერც ახლა იტყვდა მაყურებლებს. წარმოდგენას დაესწრო მთავარმართებელი

²¹² ბ. გორდეზიანი. მ. ა. ზიჩი საქართველოში, 1960, გვ. 42.

²¹³ დუღუკი, გაზ. „დროება“ 1882, № 43, გვ. 2.

²¹⁴ საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელ. № 13731.

დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ალტაცებაში მოიყვანა ცოცხალი სურათების ნახვამ და მადლობა გამოუცხადა მ. ზიჩს²¹⁵.

საქველმოქმედო მიზნით, ვეფხისტყაოსნიდან სურათები ნაჩვენები იყო ორჯერ ზიჩის ხელმძღვანელობით და ნ. წერეთლის თაოსნობით ქ. ქუთაისშიც სააზნაურო სახლის ეზოში. მომქმედი პირები იყვნენ: თამარ მეფე—ნ. ჩოლოყაშვილისა, შ. რუსთველი—მამია გურიელი (თამარ მეფეს მუხლმოდრეკით მიაართმევს თავის ვეფხისტყაოსანს), ნესტანდარეჯანი — ნ. ფალავა, როსტევეანი—ქაიხოსრო ქაჯაია, ფრიდონი—ჯაბა გურიელი, ტარიელი—გ. შერვაშიძე და სხვ.

რაც შეეხება სურათების დადგმას, მაშინდელმა პრესამ უპირატესობა ქუთაისში ნაჩვენებ სურათებს მისცა, რადგანაც მასა ნაკლებად იღებდა მონაწილეობას და ვეფხისტყაოსნის მომქმედი პირები უფრო ნათლად იყვნენ წარმოდგენილი²¹⁶. ამასთან ერთად, რეცენზენტი აღნიშნავს უარყოფით მხარეებსაც. მისი აზრით, არ იყო შესაფერისად მოწყობილი სცენა, შეურჩეველი იყო მონაწილე პირთა ტანისამოსი, „რომელიც ალღახმა უწყის სადაურია და რა ხალხისააო“. მიუხედავად ამისა, სადამოს ხელმძღვანელს ნ. ჩოლოყაშვილისა და მხატვარ მ. ზიჩს მაინც მადლობას უძღვნის: რაც გვიჩვენეს, იმაზე მეტს ვერ მოვთხოვთ²¹⁷.

²¹⁵ გაზ. „დროება“, 1882, № 58.

²¹⁶ „თ. გ. შერვაშიძე ტარიელის სურათად იმისთანა იყო. — წერს რეცენზენტი, — რომ მგონია თვით საფლავიდან აძღვარი შოთაც არ დაიწუნებდა მის იერსა და სახისმეტყველებას. სამს სურათში იყო ტარიელად და სამგანვე უკეთესი იყო. მაგრამ თავისთავად უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა ოდეს „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“ („დროება“, 1882, №115).

²¹⁷ გაზ. „დროება“, 1882, № 58. ამის შემდეგ ვეფხისტყაოსნიდან ცოცხალი სურათების დადგმამ ფართო ხასიათი მიიღო. ის სისტემატურად იდგმებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მაგ. 1883 წ. 3 ივლისს ალ. ყაზბეგის ხელმძღვანელობით დადგეს ბათუმის სცენისმოყვარებმა, რამაც რეცენზენტის ცნობით, კარგად ჩაიარა („დროება“, 1883, № 130). პოემიდან ცოცხალი სურათები იდგმებოდა აგრეთვე რუსეთში, უკრაინაში, ვერმანიაში და სხვა ქვეყნებში. ვეფხისტყაოსნის პიესად გადაკეთებისათვის ხელი მიუყვიათ XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. 1895 წლის 20 მარტს თამაზაშვილს საცენზურო კომიტეტში დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად წარუდგენია ვეფხისტყაოსანი 5 მოქმედებიან დრამად. ნებართვა მიუღია იმავე დღეს (ცენზორი რ. ერისთავი). 1904 წ. 15 ნოემბერს ბობოხიძეს საცენზურო კომიტეტში წარუდგენია „შოთა რუსთაველი“, ტრაგედია 5 მოქმედებად. ნებართვა მიუღია იმავე წლის 17 ნოემბერს (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 115. საქმე № 1144, ფ. 2) პოემის გასცენიურება უცდია ქ. ლორთქიფანიძესაც (იხ. კ. მ. ვ. ვ. ე. ლ. ა. თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 201—202).

ვეფხისტყაოსნიდან ცოცხალი სურათების დადგმამ და მისდამი საზოგადოების თანაგრძნობამ დაბადა აზრი პოემის ილუსტრირებულად დაბეჭდვის შესახებ. ეს საქმე უსასყიდლოდ იკისრა მხატვარმა ზიჩმა, რომელსაც ცოცხალი სურათების ჩანახატები ამ დროს უკვე მრავალ ვარიანტად ჰქონდა გამზადებული. ჯერ კიდევ 1882 წ. 6 თებერვალს ზიჩის მიერ 10 ცოცხალი სურათის დადგმის გამო, გაზ. „დროებაში“ ილია წინამძღვრიშვილი წერდა: „ეს ათი სურათი, დაგვრჩეს ჩვენ საუკუნო სახსოვრად ბ. ზიჩისა. ამ სურათების აღმოხატვა დიდი სასარგებლო საქმე იქნება“²¹⁸, მაგრამ სურათების დაბეჭდვა და მასთან დაკავშირებული ხარჯები დიდ თანხას თხოვლობდა, რომელიც აბრკოლებდა საქმეს. ბოლოს ეს დაბრკოლება გადალახეს: ილუსტრირებული ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის ხარჯები იკისრა კომერსანტმა გ. ქართველიშვილმა (1830—1901).

უკანასკნელი დიდ ქველმოქმედებას ეწეოდა: მან საკუთარი ხარჯით გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, ნაწილი პირველი, 1885 წ., 1883—1885 წლებში აკემდა გაზ. „დროებას“ და სხვ.

ერთ დღეს გ. ქართველიშვილს გაუმართავს წვეულება, რომელზედაც მიპატიებულნი ყოფილან ქართველი მწერლები: საუბარი ჩამოვარდნილა შ. რუსთველზე. ილია ქავჭავაძეს უთქვამს: „ბევრს თავი მოაქვს შოთას თხზულების ცოდნით, მაგრამ ვეჭვ: თუ ვისმე მათგანს წაეკითხოს თავიდან ბოლომდე და შეეძლოს მისი შინაარსის გადმოცემა“. „ჩამოვარდა სიჩუმე, — წერს მ. ჯანაშვილი, — ყველა ერთმანეთის გადახედ-გადმოხედვაში იყო, რომ მასპინძელმა (ქართველიშვილმა) თამადას (ილიას) მიჰმართა სიტყვით, სადაც აღნიშნა, რომ მას მისმა ნათესავმა მ. ჯანაშვილმა უამბო ვეფხისტყაოსნის ილუსტრირებული გამოცემის შესახებ. „მე გადავწყვიტე გავიღო მაგისტრის ფული... ოღონდ ღირსეულად გამოეცით ეგ მართლაც მარგალიტი ობოლიო“. განცხადებამ საერთო აღტაცება და ტაში გამოიწვია. იქვე შეადგინეს კომიტეტი საქმის სისრულეში მოსაყვანად“ (მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 469, გვ. 2).

გაზ. „დროება“ ამ საქმის შესახებ აცხადებდა: „ამბობენ ერთს შეძლებულს პირს ვეფხისტყაოსნის სურათებით გამოცემა განუზრახავსო“, მაგრამ საამისოდ პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა 1884 წ. დასაწყისში. ამის შესახებ იგივე გაზეთი (№ 51, გვ.-1, 7, III) შემდეგ

²¹⁸ ი. წ. „განხორციელებული გმირნი შ. რუსთველის ვეფხისტყაოსნისა“. გაზ. „დროება“, 1882, № 27, 9 II, გვ. 1—2.

ცნობას აქვეყნებს: „ბ. გ. დ. ქართველიშვილმა განიზრახა ჩვენის დიდებულის პოეტის შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანის ჩინებული გამოცემა. წიგნი უნდა იყოს დიდი ფორმატისა, მშვენიერს ქალაღზედ დაბეჭდილი, ძვირფას ინგლისურ ყდაში, ჭურათებითა და ავტორის პორტრეტით შემკული. ამ გამოცემისათვის თადარიგს კიდევ შედგომიან. ტექსტი შესწორებული იქნება იმ ვარიანტებზე, რომელნიც ვეფხისტყაოსნის კომისიამ ამოწერა. სურათების დახატვა უფასოდ უკისრია გამოჩენილს მხატვარს ზიჩის, როგორც ამას პეტერბურგიდამ ტელეგრამით გვაცნობებენ. ეს სურათები შემდეგ საზღვარს გარეთ ამოიჭრებიან. ამავე გამოცემისათვის შეუკვეთნიათ აგრეთვე საგანგებოდ ასომთავრული ასოები მხატვრობით“.

9 მარტის ნომერში გაზ. „დროება“ მოწინავე წერილი უძღვნა ძველი ქართული კლასიკური თხზულებათა გამოცემის მნიშვნელობას²¹⁹. გაზეთი წერს: „ამჟამად იბეჭდება ვისრამიანი და ამასთანავე უნდა. შეუდგენენ შესწორებულის ვეფხისტყაოსნის გამოცემას სურათებით. ეს ორიოდ ფაქტი შეადგენს ფრიალ სასიამოვნო მოვლენას ჩვენის მწერლებისა და საზოგადოებისათვის, რომელთაც არ აქვთ საკმაო საშუალება ჩვენის წარსულის გონებითი ძალისა და ვითარების გაცნობისა და შესწავლისათვის“. წერილის ავტორი სინანულს გამოსთქვამს, ქართველები ძველი მწერლებიდან რუსთაველის მეტს არ იცნობენო. სხვა გამოჩენილი მწერლები კი, რომელთაც დიდა სამსახური გაუწევიათ საქართველოს გონებითი წარმატებისათვის, თითქმის დავიწყებას მიეცნენ სხვადასხვა მიზეზის გამო. ამიტომ ავტორს საჭიროდ მიაჩნია შესწავლა ყოველივე იმისა, რაც ჩვენი ხალხის გენიას შეუქმნია, რომ „შევიგნოთ ჩვენი ვინაობა წარსული, აღვადგინოთ ჩვენი ნამდვილი ისტორია, მწერლობა; შევიტყოთ, თუ რა გონებითი და ზნეობითი ძალა გამოგვიჩენია წარსულში, რითი გვისახელებია თავი, ან რით დაგვიმცირებია ჩვენი ღირსება“. ამ მიზნის მისაღწევად კი წერილის ავტორს აუცილებელ პირობად მიაჩნია ძველი ქართული მწერლების ძეგლების გამოცემა და შესწავლა.

ასე აღფრთოვანებით შეხვდა გაზ. „დროება“ ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ბეჭდვის საქმეს, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა, მაგრამ ყველა როდი თანაუგრძნობდა მას ამ საქმეში. ზემოხსენებული წერილის გამოკვეყნების რამოდენიმე დღის შემდეგ გაზ. „Новое Обозрение“-ში დავით სოსლანმა დაბეჭდა წერილი ქსნის ზეობის შესახებ. ამ წერილში ავტორმა არ თანაუგრძნო ვეფხისტყაოსნის მდიდრული გამოცემის იდეას. „თუ ვეფხისტყაოსანს ოქროს ყლით გამოსაცემენ, ამით პოემა არაფერს მო-

²¹⁹ ძველი ქართული მწერლობის აღდგენა და მნიშვნელობა, გაზ. „დროება“, 1884, № 53, გვ. 1.

იგებს და იმაზე მეტი პოპულარული არ იქნება, რამდენადაც ახლა არისო“²²⁰.

დ. სოსლანის წერილმა უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში. „ღროება“ 20 მარტს დაბეჭდა საპასუხო წერილი, რომლითაც სასტიკად გაილაშქრა დ. სოსლანის წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავდა, რომ ჩვენ სასიამოვნო მოვლენათ ჩავთვალეთ ვეფხისტყაოსნის გამოცემა, რომელიც უნდა დაიბეჭდოს სხვადასხვა ვარიანტებთან შედარება-შესწორების შემდეგ, „შესწორებული პოეპის დაბეჭდვა კი ყველას უნდა მიაჩნდეს განძად მწერლობისათვის“²²¹.

„ღრიების“ საპასუხო წერილის შემდეგ, სიტყვა არავის დაუძრავს მდიდრული ვეფხისტყაოსნის გამოცემის წინააღმდეგ. პირიქით, ყველგან და ყოველთვის ქებადიდებით იხსენიებდნენ როგორც გ. ქართველიშვილს, ისე ამ საქმის ინიციატორებსაც, არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც. მაგ., ქართველიშვილის შესახებ მურიე წერდა: „ძნელად მოსაფიქრებელია, რომ მდიდარმა ქართველმა კომერსანტმა, ახალმა მეცენატმა ათას თუმნამდე გადასდოს ლიტერატურის ნაწარმოებთა დასაბეჭდავად; ამ გვარი ფაქტი ერთადერთია კვაკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზედ ლაპარაკი“²²².

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას ამ დროს მუშაობა დამთავრებული ჰქონდა. საჭირო იყო მხოლოდ ტექსტის საბოლოო რედაქციის გაკეთება და გამოცემის გაფორმების ხელმძღვანელობა. ყოველივე ეს კი დაევალა ახლად არჩეულ „ბეჭდვის კომიტეტს“, რომელშიაც შედიოდნენ ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), ი. შეუნარგია, ივ. მაჩაბელი, რ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი და დ. ბაქრაძე²²³.

კომიტეტმა დაადგინა, მანამ არ დაეწყოთ პოემის ბეჭდვა, სანამ მ. ზიჩის ილუსტრაციები არ იქნებოდა მზად. მხატვარი რომ ღრმად ჩაწვდნოდა ვეფხისტყაოსნის შინაარსს, ამიტომ საჭირო შეიქნა პოემის უცხო ენაზე გადათარგმნა, რასაც დაუინებით მოიზხოვდა

²²⁰ „Новое Обозрение“, 1884, № 74.

²²¹ კიდეც „ახალს მიმოხილვას“, გაზ. „ღროება“, 1884, № 62.

²²² „ქერ არ დაბეჭდილი ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ფრანკუზულს ენაზე ნაზარგმნი იონა შეუნარგიასი“, გაზ. „ღროება“, 1884, № 256.

ი. მ ა ნ ს ე ვ ტ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, გაზ. „Новое Обозрение“ -ს რედაქტორი კ. ბებუთოვი, „კაცი ჰკვიანი, მოსწრებული სიტყვის პატრონი, ასე დაიცინებოდა: „ქართველებს ერთი მდიდარი კაცი ჰყავთ და ისიც უნდათ ვეფხისტყაოში გაახვიონო“, ე. ი. გააღარიბონო (ი. მანსევტაშვილი, მცირეოდენი შენიშვნა ვეფხისტყაოსნის თაობაზე, „მნათობი“, 1937, № 12 გვ. 222).

²²³ ბ. გორდეზიანი, მ. ა. ზიჩი საქართველოში, 1960, გვ. 43.

მ. ზიჩი. კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და ი. მეუნარგიას დაავალა ვეფხისტყაოსანი გადაეთარგმნა ფრანგულ ენაზე. ი. მეუნარგიამ დავალება მიიღო²²⁴. მან ფრანგ ე. მურიესა და გერმანელ ბარონესა ბერტა სუტნერის დახმარებით ფრანგულად თარგმნა ვეფხისტყაოსანი, რომელიც მ. ზიჩს გაეგზავნა პეტერბურგში 1884 წ. დეკემბრის პირველ რიცხვებში. ამავე დროს ზიჩს დაუკავშირეს პეტერბურგში მყოფი ნიკო ნიკოლაძე.

პოემის ფრანგული თარგმანის გაგზავნის რამოდენიმე დღის შემდეგ იონა მეუნარგიამ 1884 წ. 16 დეკემბერს ნ. ნიკოლაძეს პეტერბურგში მისწერა: „ძვირფასო ძმავო ნიკო!... როგორც ეს წიგნი მოგივიდეს, უთუოდ იმ დღესვე ან მეორე დღეს მაინც ზიჩისთან მიდი (Семипудковим переучок). ეს ხუთი დღეა გამოგზავნია მისთვის სურათები და თარგმანი და ცალკე წერილში მივწერეთ, ნიკოლაძე მოვა და თუ რამე საჭირო იქნეს, იმას უთხარით (თუ თქო, არ ვიცი). შენ იცი რასაც ეტყვი თარგმანზე. მე მაგინე რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის.

²²⁴ ვეფხისტყაოსნის ფრანგულად გადათარგმნის იდეა ი. მეუნარგიას საზღვარგარეთ ყოფნის დროს დაებადა. როგორც აღვნიშნეთ, 1876—1878 წლები მან პარიზში გაატარა. ის ლინტურესებულები იყო გაცნობილი პარიზს და პირადად ენახა საფრანგეთის გამოჩენილი მწერლები და მოღვაწეები. ერთ დღეს ალ ზაყაშვილთან ერთად, ი. მეუნარგია ეწვია საფრანგეთის დიდ პოეტს და რომანისტს ეიქტორ ჰიუგოს (1802—1882). შეხვედრისას ე. ჰიუგოს ი. მეუნარგიასათვის ეკითხავს: რუსეთიდან ბრძანდებითო? რაზედაც ი. მეუნარგიას უპასუხნია:

- არა, საქართველოდან.
- ლამაზი ქალებით განთქმულ ქვეყნიდან?
- არა მარტო აქლებით, დიდო პოეტო, სხეებიცა.
- მაგალითად?
- პოეზიით.
- ეინ გვათ გამოჩენილი პოეტი?
- რუსთაველი.
- რა დაწერა?
- საგმირო პოემა ვეფხისტყაოსანი.
- გამოგონია, მხოლოდ შორიდან, საინტერესოა, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა?

- მეთორმეტეში.
- კიდევ უფრო საინტერესოა. უთქვამს ე. ჰიუგოს.

სამწუხაროდ, ამ დიალოგის მხოლოდ მოუვანილი ნაწყვეტია დაცული ი. მეუნარგიას უბის წიგნაკში და არ ვიცით როგორ და რა თემაზე გაგრძელდა საუბარი. ერთი კი ცხადია, ე. ჰიუგოსთან შეხვედრამ ი. მეუნარგია დაარწმუნა, რომ ვეფხისტყაოსანს დასავლეთ ევროპაში არ იცნობდნენ. ამიტომ გადაწყვიტა ი. მეუნარგიამ რუსთაველის ქმნილება ეთარგმნა ფრანგულად (სოლ. ც ა ი შ ვ ი ლ ი, იონა მეუნარგიას წერილები, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947, გვ. 134—135).

უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირია-თქო, მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშაოს-თქო.

ახალი ამბავი დიდი, დიდი ამბავი, ეს გახლავს, რომ გუშინწინ მომივიდა რენანის²²⁵ წერილი. მწერს გამომიგზავნე თარგმანი და მე პარიზის აზიურ საზოგადოებას წარუდგენო. თარგმანს, რასაკვირველია, მე იმას არ გაუგზავნი, რადგანაც მარტში მე თითონ ვაპირებ პარიჟში წასვლას... ზიჩისაც უთხარი ეს ამბავი... ბარონი სუტნერი სამეგრელოში, ჩემს სოფელში, მიმყავს ამ დღესასწაულებზე და იქ გვინდა ერთად და ბეჭითად გადავიკითხოთ და გადავასწოროთ თარგმანი“... წერილის დასასრულს ი. მეუნარგია კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ნ. ნიკოლაძეს სწერს: „შენი ჰირიმე, ნიკოჯან, უთუოდ ძალე შედი ზიჩისთან. უთხარი, სხვათაშორის, რომ გექტოგრაფიის მეღნიტ არის დაწერილი და წყალი არსად დაასხან, თორემ გაფუქდება. ამას გარდა, ზოგიერთი ქართული სიტყვები, რომელნიც გამოხატავენ თანამდებობას, მუსიკის იარაღებს და სხვ., ქართულად არიან ნახსენებნი და შენ განუმარტე. არამც და არამც არ დაიზარო წასვლა“²²⁶.

1885 წ. 9 იანვარს ი. მეუნარგია ნ. ნიკოლაძეს ატყობინებს, რომ ჩემ მიერ ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანის საბოლოო რედაქციის დროს, ერთი შეცდომა შემხვდა, რომელიც უთუოდ უნდა გასწორდეს ზიჩისთვის გაგზავნილ ცალში, „თორემ მხატვრობა ნამდვი-

²²⁵ ერნესტ რენანი (1823—1892) ფრანგი მწერალი და მეცნიერი. მისი ნაშრომები „ცხოვრება იესოსი“ ქართულად სთარგმნა ია ეკალაძემ, გამოსცა იე. სვანიშვილმა და ე. გადილიამ 1906 წ. თბილისში.

ი. მეუნარგიას განზრახული ჰქონდა ფრანგულ თარგმანისათვის წინასიტყვაობა დაეწერინებია ე. რენანისათვის, „ეს კი იცოდე.—სწერს ი. მეუნარგია ნ. ნიკოლაძეს. — რომ მამ, მეგრელი არ ვყოფილარ, თუ წინასიტყვაობა მე არ დაეტუე მას“ [ე. ი. რენანსო]. გაზ. „დროება“ 1884 წ. 3 აგვისტოს ამ საქმის შესახებ თავის მკითხველებს შემდეგი ინფორმაცია მიაწოდა: „ერთი ჩვენი მწერალთაგანი შესდგომია სრულის ვეფხისტყაოსნის თარგმანს ფრანგულ ენაზედ. მეოთხედი კიდევაც გადაუთარგმნია და დანარჩენის გათავების იმედი სექტემბრისათვის აქვს. რაღა თქმა უნდა, — დასძენს გაზეთი, — რომ ფრანგულული თარგმანი დაიბეჭდება კიდევ „ლეგუვეს ან რენანის წინასიტყვაობით“, როგორც გუწერს ამ აზრით გატაცებული მთარგმნელი“.

ი. მეუნარგიას თარგმანის გამოცემა ვერ განხორციელდა. მურიეს უცდია მისი გამოცემა და 1902 წ. 25 იანვარს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის უთხოვნი ამისთვის დაუთმონ მას ქართველიშვილის გამოცემული ვეფხისტყაოსნის სურათების კლიშეები (საქართველოს ცენტრარქივი, ფ. 229, საქ. 862, ფ. 15). მკერამ ეს განზრახვა მურიეს ვერ განუხორციელებია. არც ის ჩანს—მიღებული იყო თუ არა ამ მხრივ შემდეგში რაიმე ღონისძიება.

²²⁶ ზუვდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947, გვ. 146—147.

ლი არ გამოვა. ეს შეცდომა არის იმ სცენაში, როდესაც ტარიელი პირველად დაინახავს ნესტან-დარეჯანსა (მგონი, მეოთხე სცენა). მიდი ზიჩისთან, უთუოდ ნახე წიგნი, გადაშალე თავი, „Ici Tariel devient amoureux (ამის მონახვა შეგიძლია ჩემგან შედგენილი რეკვიზიტით, საცა გვერდები ნაჩვენებია) და ამ თავის მესამე ხანა, რომელიც იწყება ასე: [In mur d'émérades et une rangée d'aloès entouraient ce „bakhtcha“. გადაწერე ასე: „Une rangée d'alva (platane oriental) entourait le Jardin d'un mur d'émérades“.

ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლებოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს მევე გავაწორებ. სხვათა შორის, ზიჩს უთხარი ლაპარაკის დროს, რომ ჩემს თარგმანში, სიტყვა ქართული „ალვა“ ცუდად ვთარგმნე ბროსეს წყალობით: მე მიწერია aloes (რალაცა უხეირო მცენარე) მაშინ, როდესაც უნდა იყოს Platane oriental, მეორე თარგმანში მე ვწერ alva-ს და პლატან შენიშვნაშია ძირს... შენი ჭირიმე, ნიკოჯან, ზიჩისთან უთუოდ მიდი და უთუოდ პასუხი მომწერე“.

P. S. როგორც შევატყვე, ნემეცურ ენაზე²²⁷ უფრო ადვილი სათარგმნი ყოფილა ვეფხისტყაოსანი. ქართული ფრაზა ფრანციულ ენაზე უთუოდ უნდა შეიცვალოს როგორმე და ნემეცურად კი პირდაპირ გადადის²²⁸.

ვეფხისტყაოსნის ფრანგულ თარგმანთან ერთად მ. ზიჩის გაუგზავნეს ფოტოსურათები საქართველოს ბუნებისა, ხელოვნებისა და ხალხისა. პოემის ბეჭდვის კომიტეტისაგან მას დავალებული ჰქონდა 12 ილუსტრაციის დახატვა. ზიჩიც შეუდგა მუშაობას. 1885 წ. აპრილის პირველ რიცხვებში მან კომიტეტს გამოუგზავნა ესკიზები და წერილიც, სადაც სწერდა: „მე თქვენ გიგზავნით არა თორმეტს, არამედ ოცდაათთხმეტ ესკიზს ამოსარჩევად. შენიშნეთ, რაც შესანიშნავია ნომრობით დასწერეთ და საჩქაროდ უკანვე გამომიგზავნეთ, რომ შემეძლოს საქმის მალე დასრულება... მე დიდად მონარული ვიქნები, თუ შევიძლებ თქვენის იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულებას შესაფერად გადმოგცემთ.

²²⁷ იმავე წერილში ი. მუხარგია ნ. ნიკოლაძეს სწერს: „მე სუტნერები. [არტურ სუტნერი და მისი მეუღლე ბერტა ფონ-სუტნერი, ცნობილი რომანისტი] სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელშეწყობილ შეუდექით თარგმანს უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინიღისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვაღვენთ ფრანციულად და მერე იქვე ნემეცურად ვთარგმნით წიგნსა“.

²²⁸ ც ა ი შ ვ ი ლ ი ს ო ლ., იონა მუხარგიას წერილები, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1, 1947, გვ. 147—148. მ. ქ ვ ლ ი ვ ი ძ ე. ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის, 1960, გვ. 63.

კარგი იქნებოდა, რომ ყველა ეს სურათები თქვენს გამოცემაში მოგექციათ ცინკოგრაფიით. ძვირადაც არ დაჯდებოდა: ანგერერი ვენაში და აგრეთვე პარიჟში კვადრატულ სანტიმეტრზე 15 სანტიმს თხოულობენ. მაგრამ მოიქეცით, როგორც თქვენი სურვილი და შეძლება ნებას მოგცემთ. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ თქვენის ჩინებულის აზრის განხორციელება შევიძელ.

მე ჩემის მხრით არა მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვებიც მივეუმატო და პატარა ფორტოგრაფიული ალბომი დავაბეჭდინო დასავლეთ ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველების პოეტის რუსთაველისა უფრო ვრცლად მოიფინება. დასასრულ, გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — ნ ა ზ ა დ და ს ა თ უ თ ა დ²²⁹.

ამ ესკიზების გასაშინჯად მოიწვიეს მცოდნე პირები. კოპიტეტიმა ყველა ესკიზი მოიწონა და გადაწყდა თორმეტის ნაცვლად ტექსტში დაბეჭდილიყო 34 ილუსტრაცია.

გადასაწყვეტი იყო აგრეთვე, თუ რამდენი ცალი უნდა დაბეჭდილიყო ეს გამოცემა. ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა, რომ დაბეჭდილიყო 2200 ცალი, მაგრამ შიშობდნენ, ვაი თუ არ გაიყიდოს ამოდენა გამოცემაო. ილია ჭავჭავაძე კი დაჟინებით მოითხოვდა პოემის დიდი ტირაჟით გამოცემას და მოწინააღმდეგეებს ეუბნებოდა: „ამ წიგნს ძველად მზითევში ატანდნენ და ეხლაც ასე იქნება, თუ კარგად გამოვეცემთ“. ამაზე დავით ერისთავს მოსწრებულად უპასუხნია: „ძველად რა იყო არ ვიცი, მაგრამ ეხლა კი არც ერთი სიძე არ დასჯერდება ამგვარ მზითევსაო“. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა დაბეჭდილიყო 1200 ცალი. ამის მიხედვით გამომცემელმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და მთელი გამოცემის ხარჯები ივარაუდა 10.000 მანეთი, თითო წიგნის ღირებულება 8—12 მანეთამდის.

წიგნი არც ისე იაფი ჯდებოდა, ამიტომ მისი შეძენა რომ ხელმისაწვდომი გამხდარიყო ყველასათვის, გამომცემელმა გამართა წინასწარ ხელისმოწერა. საამისოდ დაამზადა სპეციალური ქვითრები და პრესაშიც გაზოქვეყნა განცხადება²³⁰. ხელისმოწერას აწარმოებდა „დროების“ რედაქცია. ფულის გადახდა შეიძლებოდა სულ მცირე რაოდენობითაც კი, მაგ. ორმოცდაათ კაპიკობით.

გაზ. „დროება“ ვეფხისტყაოსნის ფასის შესახებ წერდა: „ჩვენს საზოგადოებას იქნებ ეუცხოვოს ეს ფასი, — თუმცა ამ ფასად იგი

²²⁹ გაზ. „დროება“, 1885, № 72; გაზ. „ივერია“, 1890, № 10, გვ. 2.

²³⁰ იქვე, № 54, 55, და სხვ.

შეიძენს თავისის დიდებულ დროის მწერლობის ძვირფასს საუნჯეს „ხელიხელსაგომანებელ მარგალიტს“, თუმცა ამ ფასად მას თვალწინ წარმოუდგება სახელგანთქმული მხატვრის ზიჩისაგან გაცხოველებულნი სურათნი თვისის საყვარელის თინათინის, ასმათის, ტარის, ავთანდილის და ამ „მარგალიტის“ სხვა გმირებისა... იქნებ ეუცხოვოს იმიტომ, რომ არ არის დაჩვეული გადიხადოს ასეთი ფასი ერთს წიგნში და რომ ეს არ მოხდეს, აქედანვე მართავს ამ გამოცემაზე ხელისმოწერას გამომცემელი... და შეუიღიან იმ რიგად შეიძინონ იგი, რომ თითქმის ვერც კი გაიგოს.“²³¹.

ამ რიგად დაიწყო ვეფხისტყაოსანზე ხელის მოწერა. მსურველი ბევრი აღმოჩნდა და ყველას აინტერესებდა, თუ როდის იქნებოდა წიგნი მზად. „ჩერ გადაწყვეტით ვერ დავნიშნავთ დროს მის გამოცემისას, —აცხადებს „დროება“ და დასძენს—„ამას კი ვიტყვით, რომ გამომცემელმა მიიღო ყოველივე საშუალება. რომ გამოცემა რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს. მხოლოდ დაბრკოლება სურათებზეა. რა წამს ბ. ზიჩი ხატვას გაათავებს და თავის შრომას გადასცემს ამომპრესს, გამომცემელი მაშინვე ბეჭდვას შეუდგება. ამის გამო შეიძლება წიგნის დასრულებამდე ერთმა წელიწადმა გასტანოს, შეიძლება მეტმა, ან ნაკლებმა“²³².

ამავე დროს კომიტეტმა დაადგინა — ეს გამოცემა გაფორმებულიყო სხვა მხრივაც. დახატულიყო გვერდებისათვის გარშემოვლებული ორნამენტული ჩარჩოები, აგრეთვე სხვადასხვა სახისა და კომპოზიციურად მაღალ დონეზედ შესრულებული სათაური ასოები და ბოლოსართი სურათები. ამ შორთულობის შედგენა და დახატვა დაავალეს ხეზე სურათების ამომპრეს გრიგოლ ტატიშვილს, რომელიც ამ დროს ფოთში მუშაობდა მხატვრად რკინიგზაზე.

გ. ტატიშვილმა²³³ დავალება მიიღო. გადმოვიდა თბილისში და დაბინავდა ბანკის შენობაში. გარკვეული რაოდენობის თანხაც მიიღო და მუშაობასაც შეუდგა. საჭირო მასალად მან გამოიყენა ძველი მონასტრებისა და ციხეების ქართული ჩუქურთმები: მცხეთის, უფლისციხის, ბეთანიის, ქუთაისის, გელათის, საფარის, კაბენის, ახტალის, ფიტარეთის, სამთავისის, ატენის და სხვ. ზოგ ადგილას გ. ტატიშვილი თვითონ მიდიოდა და იღებდა ჩუქურთმებს. მაგრამ უმე-

²³¹ გაზ. „დროება“, 1885, № 58.

²³² იქვე, № 64.

²³³ გ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ცნობილი იყო მეტწოდებულნი სახელით „ფიგარო“ და „უშანგში“, შეხედულებით მოგავგონებდათ „ყარამანინის“ გმირს უშანგშაის. სწავლა არ ჰქონდა მიღებული. მეჩუქურთმობა თავისით ისწავლა.

ტეს შემთხვევაში ის სხვისი ფოტოპირებით და ხელით გადმოღებულებით სარგებლობდა. დიდი დახმარება გაუწია ამ მხრივ გ. ტატიშვილს ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ, აგრეთვე პოეტმა ი. დავითაშვილმა, რომელმაც ცხინვალის ხეობაში გადმოიღო რამდენიმე სახე საბანს მონასტრის ჩუქურთმებისა და გადასცა სახელმძღვანელოდ. გ. ტატიშვილი პრესის საშუალებითაც აცხადებდა, რომ დიდად დაავალებენ ჯერ ქართულ ხელოვნებას და მერმე ჩვენ, თუ აქვთ ვინამს ჩუქურთმების ასლები და გადმოგვცემენ, რომ ამოვარჩიოთ და დავხატოთ უკეთესი სახეები უკვდავი შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსნის მორთულობისათვის!

1886 წლის მარტის ბოლო რიცხვებში ი. მეუნარგია, სამსახურებრივი მოვალებების გამო, პეტერბურგში გაემგზავრა. ამ დროს მ. ზიჩი ახალი დაბრუნებული იყო ვენიდან, სადაც ის ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების ბეჭდვის საქმის მოსაგვარებლად იყო წასული. ზიჩის ვენაში ყოფნის დროს ერთი სურათი („ავთანდილისა და ფატმანის მარტოდ ყოფნა“) კიდევ დაებეჭდათ, რომელიც მან თან წამოიღო. აღნიშნული სურათი ზიჩისაგან მიიღო ი. მეუნარგიამ. უკანასკნელმა კი ჩამოიტანა თბილისში და აპრილის პირველ რიცხვებში გადასცა „ბეჭდვის კომიტეტს“. ილუსტრაცია მოიწონეს. ამავე დროს ვენიდან მოვიდა ვეფხისტყაოსნის მბეჭდავის ანგერერის წერილი, რომელიც ითხოვდა სასწრაფოდ მიეწოდებინათ მისთვის ცნობები წიგნის ფორმატისა და ანაწყობის ზომის შესახებ²³⁴, რომ ილუსტრაციებიც ამ ფორმატისათვის შეეფარდებინა.

ბ. გორდეზიანის ცნობით, ი. მეუნარგიას პეტერბურგში ყოფნის დროს ვეფხისტყაოსნის გამოცემის ყველა საკითხი მოუგვარებია, როგორცაა, მაგ. ახალი შრიფტის, ქალაღდის, ორნამენტების აშოპრის და სხვ.²³⁵.

1886 წ. აპრილში გ. ტატიშვილს ძირითადად უკვე ყველაფერი მზად ჰქონდა. მზად იყო ამავე დროისთვის ქალაღდი, შესწორებული და შემოწმებული ტექსტი, მალე მოელოდნენ ახალ შრიფტს. (გოგებაშვილის კვგ.). მთავარი დაბრკოლება, რომელიც საშუალებას არ იძლეოდა ვეფხისტყაოსნის ბეჭდვას, ეს იყო ილუსტრაციების დაუმზადებლობა. ზიჩის ჯერ კიდევ არ ჰქონდა მთლად დამთავრებული ხატვა, რაც დახატა, ის კი იბეჭდებოდა ვენაში, ანგერერის მიერ.

აპრილის ბოლო რიცხვებში ანგერერმა ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის კომიტეტს თბილისში გამოუგზავნა შავად დაბეჭდილი ოთხი ილუსტრაცია: „1. ტარიელის ნახვა როსტევან მეფისაგან, 2. ავთან-

²³⁴ გაზ. „ივერია“ 1880, № 70, გვ. 2, 75, გვ. 2.

²³⁵ ბ. გორდეზიანი, მ. ა. ზიჩი საქართველოში, 1960, გვ. 50.

დილისა და ფატმანის, როცა მათ ჩაჩნაგირი შეასწრებს, 3. ჩაჩნაგირის მკვლელობა ავთანდილის მიერ, 4. ნესტანდარეჯანის შეპყრობა ქაჯთაგან²⁸⁰, როგორც ჩანს, შემდეგში 34-ის ნაცვლად დაუბეჭდიათ 26 ილუსტრაცია, ესენია:

1. მეფის სასახლე თინათინის გამეფების დღეს. ტახტიდან წამომდგარი თინათინი ასაჩუქრებს ხალხს. თინათინს გვირგვინი ადგას თავზე. ხალხი და ლაშქარი იტაცებს ოქრო-განძეულობას. თინათინის გვერდით დგანან მოხუცი როსტევანი და ავთანდილი.

2. მდინარის პირას ზის ვეფხის ტყაით შემოსილი მოყმე. გვერდით შავი ცხენია გამოსახული. უკან პლანზე როსტევანის ბანაკი მოსჩანს.

3. ამხედრებული ტარიელი მათრახით სცემს როსტევანის მონებს, რომლებმაც მისი შეპყრობა მოინდომეს. მონები თავზარდაცემულნი გარბიან.

4. სამნი ძმანი ხატაელნი მისაწავლიან ავთანდილს ტარიელს გზა-კვალს.

5. ხეზე გასული ავთანდილი ხედავს: გამოქვაბულიდან ვეფხის-ტყოსან მოყმეს მიეგება შავებით შემოსილი ქალი.

6. გამოქვაბულის შესასვლელთან დგანან ტარიელი და ავთანდილი ხელი-ხელ გადაჭდობილი. იქვეა ასმათი.

7. გამოქვაბულში ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის თავგადასავალს. ტარიელი სტირის სასოწარკვეთილი. ავთანდილი მას ამშიდებს. ასმათი მწვადსა წვავს.

8. ტარიელი აძლევს ასმათს მოკლულ ღურაჯებს. ნესტანდარეჯანის ოთახში შემავალი კარის ფარდა გადაწეულია, მოსჩანს ნესტანი და მის გვერდით მდგარი ფარსადანი. ტარიელი „ბნდება“.

9. ხატაეთიდან მობურნებულ ტარიელს ფარსადანის წინაშე მოჰყავს დატყვევებული რამაზ მეფე.

10. ტარიელი ნესტანდარეჯანთან. განრისხებული ნესტანი ტახტზე „მიწოლით“ ზის, ტარიელი მის წინაშე დგას შემკრთალი. უკან პლანზე გამოსახულია ასმათი.

11. ტარიელმა საწოლიდან დაითრია ხვარაზმშას სასიძო და სვეტისაკენ მოიქნია. უკან პლანზე მოსჩანს შეშინებული მცველები ხვარაზმელისა. .

12. დავარის ბრძანებით ზანგი მონები ნავში სვამენ გულშელონებულ ნესტანს.

13. ავთანდილი თინათინთან საწოლ ოთახში, უამბობს ტარიელის თავგადასავალს.

²⁸⁰ გაზ. „ივერია“, 1886, № 93.

14. შამბნარში მოკლულ ლომ-ვეფხვს შუა წევს გულწასული ტარიელი. უკანა პლანზე — ავთანდილია. იგი მოეშურება ძმადნაფიცისაკენ.

15. ავთანდილი მოაგელვებს ცხენს და მღერის. ირგვლივ მის მოსასმენად გამოსულან მხეცნი, ფრინველნი, ქვეწარმავალნი. შორს, სილუეტად მოსჩანს ადამიანებიც.

16. ავთანდილი ფრიდონის სამეფოში, ჰკლავს ორბს. ფრიდონის მოლაშქრენი გაცელებულნი შესცქერიან ავთანდილს.

17. ავთანდილი და ნახევრად შიშველი ფატმანი საწოლზე ნებივრობენ. კარს მომდგარია განრისხებული ჩაჩნაგირი.

18. ავთანდილი ჰკლავს ჩაჩნაგირს.

19. ისევ ავთანდილი და ფატმანი საწოლზე მჯდარნი. ფატმანი უამბობს ავთანდილს ნესტანდარეჯანის ამბავს.

20. ფატმანის მონებმა გამოსტაცეს ნესტანდარეჯანი ზანგებს, მოჰკვარეს ფატმანს. ფატმანი ეგებება მზეთუნახავს.

21. უსენმა წარუდგინა ნესტანი მელიქ-სუხრავეს. მელიქ-სუხრავე და მისი დიდებულები გაცელებულნი არიან ნესტანის მშვენიერებით.

22. როშაქის ლაშქარს ქაჯეთის ციხისაკენ მიჰყავს დატყვევებული ნესტანდარეჯანი.

23. ფატმანის მონა-გრძნეული ბარათით ხელში მიფრინავს ქაჯეთს.

24. გამოქვაბულში არიან ტარიელი, ავთანდილი, ასმათი — განძეულობათა შორის. ავთანდილი კიდობანიდან იღებს საომარ აღჭურვილობას.

25. ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის სამხედრო თათბირი.

26. ნესტანდარეჯანის დახსნა ტყვეობიდან; იწვის ქაჯეთის ციხე. ტარიელი და ნესტანი ერთმანეთს გადაეხვევიან. ავთანდილი და ფრიდონი ესალმებიან მათ²²⁷.

აღნიშნული ილუსტრაციებიდან 1887 წლის მარტში თბილისში მიიღეს დაბეჭდილი მხოლოდ 4, სხვებს კი უახლოეს დროში მოელოდნენ. საქმე ისე მოეწყო, რომ „ბეჭდვის კომიტეტი“ აპრილში წიგნის ბეჭდვის დაწყებას ფიქრობდა, ხოლო მაისში ხელისმომწერლებისათვის დარიგებას.

საზოგადოება მოუთმენლად ელოდა დასურათებული ვეფხის-ტყაოსნის გამოსვლას და ბეჭდვის კომიტეტს შეეკითხვები შეეკითხვებზე მოსდიოდა, თუ როდის იქნებოდა მზად ეს გამოცემა. ამ დროს „დროება“ დახურული იყო, მის ნაცვლად გაზეთი „ივერია“

²²⁷ ილუსტრაციების აღწერილობა მოყვანილია მ. ქელიციძის წიგნიდან: „ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის“. 1960, გვ. 66—67.

გამოდირდა, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ვეფხისტყაოსნის გამოცემის მსვლელობის შესახებ. ბოლოს საქმე ისე მოგვარდა, რომ შესაძლებელი შეიქნა პოემის ტექსტის ბეჭდვის დაწყებაც.

როგორც აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას განზრახული ჰქონდა, პირველი ჩასწორების შემდეგ, ერთხელ კიდევ გადაეშინჯა ტექსტი. სამწუხაროდ, კომისიის მუშაობის ოქმებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მე-16 სხდომის შემდეგ „დროებაში“ შეწყვიტა ანგარიშების გამოქვეყნება. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია დედანი იმ ტექსტისა, რომლიდანაც აიწყო პოემის ქართულიშვილისეული გამოცემა და რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ტექსტზე საბოლოოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ²³⁸.

1884 წელს ი. მეუნარგიას ცენზურაში წარსადგენად აუღია დ. ჩუბინაშვილის 1860 წელს გამოცემული პოემის ცალი და შეუსწორებია კომისიის მიერ საბოლოოდ დადგენილი ტექსტის მიხედვით. ნაბეჭდი ტექსტი ი. მეუნარგიას პირველად ჩაუსწორებია წითელი ფანქრით, მეორედ—ლურჯი ფანქრით. ჩამატებული სტროფები კი ჩაუწერია მელნით. ასეთი შესწორებით წარუდგენია მას პოემის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემის ერთი ცალი საცენზურო კომიტეტში 1884 წ. 10 ოქტომბერს და უთხოვნია ვეფხისტყაოსნის აწყობის ნებართვა. ცენზორ ლ. ისარლოვს იმავე წლის 16 ოქტომბერს გაუცია ნებართვა²³⁹, მაგრამ პოემის ბეჭევა 1887 წლამდე მაინც არ დაწყებულა. ამ ხნის განმავლობაში ტექსტი კიდევ შეუმოწმებიათ და ცენზურაში გატარებულ პოემის ტექსტში უბრალო ფანქრით ახალი შესწორებები შეუტანიათ²⁴⁰.

გ. ქართველიშვილის გამოცემაში კომისიას სათაურები გადმოუბეჭდავს დავ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემიდან, უკანასკნელში კი შავი ფანქრით ნასწორებია შემდეგი ადგილები: საყვარელისადმი—საყვარელსა თანა (გვ. 48). ტარიელს—ტარიელსა (გვ. 52), მაგრამ ეს ადგილები დაბეჭდილია ისე, როგორც დავ. ჩუბინაშვილის აქვს.

არის შემთხვევები, როდესაც ნაბეჭდი ტექსტი განსხვავდება დედნისაგან ანდა გასწორებული დედანი სხვა სახით არის დაბეჭდილი. ეტყობა, ტექსტი სწორდებოდა ბეჭდვის დროსაც.

²³⁸ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 13666.

²³⁹ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქ. 537, ფ. 46.

²⁴⁰ იმის ნათელსაყოფად თუ რა სახის მუშაობა ჩატარებია კომისიას ტექსტის დადგენისათვის, აქვე, 156—174 გვ. დაბეჭდილი გვაქვს ყველა ის ჩასწორება, რაც დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემის საცენზურო კომიტეტში წარდგენილ ცალშია შეტანილი.

კორექტურაში არის გასწორებული დავ. ჩუბინაშვილის გამოცემის შემდეგი ადგილები: წასლვა—ყველგან გასწორებულია ასე: წასვლა, ჩანჩაგირისა (გვ. 144)—ჩაჩნაგირისა (გვ. 250), ციხის აღებაზედ (გვ. 180)—ციხეს რომ მოადგეს (გვ. 313).

ჩუბინაშვილის გამოცემაში უბრალო ფანქრით ჩასწორებულია და დაბეჭდილია: დარეჯნის—დარეჯანის (გვ. 80), ვეზირიხ—ვეზირის (გვ. 94). ამას გარდა ქართველიშვილის გამოცემის სათაურებში უარყოფილია პუნქტუაცია.

საცენზურო ცალში დიალოგის ტაეპების დასაწყისი წინწყლებშია („) ჩასმული წითელი ფანქრით.

ზოგი სტროფი გადახაზულია უბრალო ფანქრით, ხოლო მარცხნივ იმავე ფანქრით შემოხაზულია, მარჯვნივ კი შემოხაზულია ლურჯი ფანქრით და ამავე ფანქრით დასმული აქვს კითხვითი (?) ნიშანი. 657 („რალა გითხარ, მომისმინე“, გვ. 145), 1013 („მოასხნა ოთხი მონანი“, გვ. 224) მარცხნივ შემოხაზულია ლურჯი ფანქრით.

საფიქრებელია უბრალო ფანქრით ჩასწორებანი ივ. მაჩაბელს ეკუთვნოდეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ვეფხისტყაოსნისათვის უკანასკნელი რედაქციის გაკეთება.

რაკი ცენზურაში გატარებულ ტექსტში ახალი შესწორებები შეიტანეს და თანაც 1884 წ. გაცემული ნებართვა ხანდაზმული იყო, ამიტომ ბეჭდვის კომიტეტმა 1887 წ. 28 ივლისს საცენზურო კომიტეტისაგან შემდეგი შინაარსის ახალი ნებართვა მიიღო: «Книгу под заглавием «Барсова кожа» на грузинском языке предвостановительно набрать позволается с представлением корректурных листов цензору Исарлову»²⁴.

ტექსტის აწყობა დაიწყო ცენზურაში გატარებული ცალიდან. უკანასკნელს აჩნია სტამბის მური, ამას გარდა ასოთამწყობს 76 გვ. მიუწერია ციფრი, მისივე ზელით ცენზურის ცალს მიწერილი აქვს: 20-ს-მდე (გვ. 92), ოქ. 1-მდე (გვ. 120), ოქ. 15 (გვ. 158), ნ. 1-მდე (გვ. 188), ნ. 15-დე (გვ. 207). ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ ტექსტის აწყობა დაწყებულია სექტემბერში და დამთავრებულია 15 ნოემბერს. მთელი პოემა აუწყვია გაზ. „ივერიის“ ასოთამწყობს მაქსიმე შარაძეს. ასაწყობი ტექსტი წინასწარ დაუნაწილებიათ გვერდგზის მიხედვით, ისე, როგორც ის დაუბეჭდავთ ქართველიშვილის გამოცემაში: სათაურიან გვერდზე გამონაგარიშებულია 4 სტროფი, უსათაუროში—5. ყოველი თავის დაწყება ნავარაუდევია ახალი გვერდიდან. გვერდების ნუმერაცია კი მიწერილია აშიებზე.

²⁴ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქ. № 820, ფ. 42.

ბექდვის უშუალო ხელმძღვანელობა დაევალა ივ. მაჩაბელს²⁴². ი. მეუნარგია კი ამ პერიოდში თბილისში არ იყო. ის მიწერ-მოწერის საშუალებით შედიოდა საქმის კურსში და იძლეოდა თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. მაგ., 1887 წ. 23 ივნისს ზუგდიდიდან. ივ. მაჩაბელს სწერდა: „მომწერე ვეფხისტყაოსნის საქმე. არამც და არამც არ დაიწყო ბექდვა შემოდგომამდის. მე გამოცდილი ვარ ბექდვაში და ვიცი: ბექდვა მაშინ უნდა დაიწყო კაცმა, როცა ყველაფერი მზად არის, როცა ტიპოგრაფიასთან პირობა გაქვს შეკრული. შტრაფით, რომ არც ის დააგვიანებს ბექდვას და არც შენ, როცა, ერთი სიტყვით, არაფერი დაბრკოლება არ არის რედაქციის მხრით, თორემ შენი მტერი... „დასტურლამალსავეთ“ საქმე მოხდება. მოუშნადებლად რომ დაიწყო საქმე და შენებურად აჩქარდე, კიდეც უარესი. ტექსტს რომ თავი დაეანებოთ, „ზაპიტაიები“ და „ტოჩკები“ არ არის დასმული ჯერ რივიანად. ძნელია და თავ-საქე-ქი ეს საქმე, მაგრამ რაკი ხელი მოჰკიდე, მეტი რა ღონეა, თავში ქვა უნდა იცე, კიდეც იკითხო, ასწორო, ოფლი ღეარო და სულ ყველაფერი რომ დამზადდება, მერე მოჰკიდო ხელი ბექდვას.

აი კიდეც მეორე რჩევა: თუ სხვაფრივ მზათა ხართ, დაბეჭდე ნიმუშად ერთი ფორმა (რვა გვერდი), ვითომ და მართლა გამოსაცემად ბექდავთ, თავის ბორდიურებითა და სხვა ჰანგებით, წმინდათ, ფაქიზად. დაბეჭდე ასე, ოციოდე ეგზემპლიარი; აჩვენე ნაცნობ მეგობრებს, იმათი აზრი მოისმინე, შენც და სხვათაც დააკვირდნენ ამ ზაფხულ (დრო დიდი ოსტატი არის) და ბოლოს ვნახოთ რა გამოვა რისგან. დამიჯერე, ხარჯს ნუ მოერიდები. ამ ფორმის აწყობა ერთ თუმანზე მეტი არ დაგიჯდება და ეს ერთი თუმანი ბევრ ჰკუთას გვასწავლის. ხომ ხელავ, საფრანგეთი 8 მილიონს ხარჯავს სამაგალითო მიზილიზაციისათვის. ვითომ შენ ბულანქე²⁴³ ხარ!“²⁴⁴.

იონა მეუნარგიას რჩევა-დარიგებებს დიდ ანგარიშს უწევდა ივ. მაჩაბელი. უკანასკნელმა ერთ თვეში ამობეჭდა ვეფხისტყაოსნის რამოდენიმე გვერდი და როგორც ნიმუში 27 აგვისტოს გაუგზავნა ი. მეუნარგიას და თან მისწერა: „ძმარ იონა! გიგზავნი [ვეფხისტყაოსნის] ოტტისკს, რასაკვირველია, შავს. შეუდექით ბექდვას. ჯერ

²⁴² მაჩაბელი ივანე (1854—1898) ცნობილი მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა „ივერიაში“ და „დროებაში“. სთარგმნა შექსპირის ტრაგედიები („ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“, „მეფე ლირი“ ი. კავკაძესთან ერთად). 1883—1885 წლებში ი. მაჩაბელი რედაქტორობდა გაზ. „დროებას“.

²⁴³ ბულანქე — ფრანგი გენერალი, საფრანგეთში მონარქისტული მოძრაობის მეთაური ოთხმოცდაათიან წლებში.

²⁴⁴ ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, 1947. გვ. 150.

იბეჭდება უპაობოდ, უკანცოვკებოდ, უბორდიურებოდ, უსათაურებოდ. შემდეგ როცა გათავდება მთელი წიგნი, მაშინ ხელახლად დაუბრუნდებით და ფერადით დავბეჭდავთ ამ მორთულობას წიგნისას. ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა უჭირს რა. ნახავ თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასჭრას! წიგნი 1 იანვრისთვის ვგონებ გამოდის. ბევრი თავში ცემა უნდა: ხელახალი რედაქცია სჭირდება ნიშნებისა და ორთოგრაფიის მხრივ. შეგებრალეები რომ ნახო ჩემი სიტყვების სია, სად, რა. როგორ უნდა იწერებოდეს: შექმნა თუ შექმნა, სდის თუ დის, სულტქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დავიდარაბა. მგონი, რუსთველს ფეხებზე ეკიდა ამისთანა ორთოგრაფია და იქნება ამ საგნის მასწავლებელს ორი შინაურად დაესვა მისთვის და ჩვენ კი თვალსა და გულს ვიწყალებთ.

როგორ მოგეწონა ოტტისკი, მომწერე, მაგრამ გულს კი ნუ გამიხეთქავ. ლულაძის²⁴⁵ შენიშვნები მეყოფა. იმ დღეს ერთი ყოფა დამაწია, როგორ თუ არ იცი „გარტი“²⁴⁶ რა არისო. ერთი ყოფა დამაწია და კი არ ამიხსნა. შენ კი იცი, იონა? თუ იცი, მანდემამ მაინც მიხსენი.

ყველას მოეწონა ეს ოტტისკი. იმედია, შენც მოგეწონება, თუ ეს იმედი ჩვენებურ მოწინავე წერილების იმედს არ ჰგავს²⁴⁷.

ვეფხისტყაოსნის ფერადებიანი ილუსტრაციები იბეჭდებოდა პეტერბურგში ბრეზეს ქრომო-ლითოგრაფიაში.

გ. ტატიშვილის დამზადებული აშეები, სათაური ასოები და ბოლოსართები ამოჭრეს პეტერბურგში ლემანმა და მეიემ. ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა ვასო მაჩაბელი, რომელიც ვანოს დავალებით დაკავშირებული იყო ზიჩთან, ლემან-მეიესთან და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვეფხისტყაოსნისათვის თავსართების, სათაური ასოების, ბოლოსართების და სხვ. დამზადების საქმეში. ამ ნიადაგზე ძმათა შორის სისტემატური მიწერ-მოწერა იყო გამართული. 1887 წ. 12 დეკემბერს ივანე მაჩაბელი თავის ძმას პეტერბურგში შემდეგ დავალებებს აძლევს: „ძვირფასო ძმაო ვასო!... იმედი მაქვს არ დაიზარებ და ერთხელ კიდევ ნახავ ზიჩსა და ლემან-მეის. მიხვალ, შენ რომ აღარ შეგაწუხებოთ, შეგიძლიან უთხრა, პირდაპირ მე მომწერონ ხოლმე წიგნი და პასუხსაც მე მივცემ.

²⁴⁵ ლულაძე ანდრია სოლომონის ძე (1857—1920)—პედაგოგი, საყმაწვილო ქურნალ „ნობათის“ რედაქტორი (1883—1885 წწ.).

²⁴⁶ გარტი — ხმარებიდან გამოსული, გაცვეთილი შრიფტი.

²⁴⁷ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1, 1947, გვ. 221.

ჯერ ზიჩის თაობაზედ: ზიჩის გამოვეუგზავნე ფოტოგრაფიული სურათები ზოგიერთა ძველი მხატვრობისა ვეფხისტყაოსნის პირველი სურათებისათვის. არ ვიცი, მოგივიდათ თუ არა? ამას გარდა, თუმცა კუდს²⁴⁸ არა ეშველება რა, მაგრამ თუ ზიჩს არ დაზარდება, შეიძლება იგივე სურათი ხელმეორედ შევეუკვეთოთ, სრულიად ისე, როგორც არის, მხოლოდ უკუდოდ კი. ხარჯს ზიჩი ნუ მოერიდება ამ საგანზედ. რასაკვირველია, ამას ისე ეტყვი ზიჩს, რომ არ ეწყინოს და, თუ ცოტათიც არის სამძიმოა, მაშინ თავი დაანებოს, რაც არის იგივე დარჩეს.

რაც შეეხება ლემანსა და მეის, მაგათი არ ვიცი კი რომელს უნდა ჰქონდეს ეხლა შეკვეთილი და ჯერედ ჩემთვის გამოუგზავნელი: 8 სათაური ასო, 9 კანცოვკა და 6 ბორდიურა. უნდა შემიტყო ეს, რომელ მათგანს აქვს ან რამდენს იღებენ უქანასკნელს ფასს და როდის გაათავებენ. უნდა უთხრა, რომ რამწამს მორჩებიან საქმეს, მაშინვე მე გამომიგზავნონ და ფულს ვაველბერგის შემწეობით გამოუგზავნი მაშინვე. გეთაყვა, ამ ასოების, კანცოვკების და ბორდიურების ბედი შემიტყ[ვე] და აგრეთვე ამასთან გამოგზავნილი 9 ასო და 3 კანცოვკა, რომელსაც გინდა იმას მიეცი. მგონი, შენი თქმისა არ იყოს, ლემანთანა სჯობს. ესეც უთხარი, რომ ყოველს ასოს, კანცოვკას და ბორდიურს გამოაყოლონ თან *гравнопланетический оттыск*, როგორც ამას წინად გამოატანეს განოგზავნილ ასოებს და კანცოვკებს.

ამასთანავე დაუმატე, რომ არაძც და არამც იმაზე მეტი არ აიღონ, რაც უწინ აიღეს და ხელწერილიც ჩამოართვი, რომ მიიღეს გასაკეთებლად. დააშურებინე... შენი ძმა ვ ა ნ ო.

P. S. ვასო, ერთს ასოს და ერთს კანცოვკას, რომელსაც ამ წერილთან გიგზავნი, ნოლები უსხას: ამ ასოსა და კანცოვკაში ტატიშვილს ჩაუსხამს ასოები გ. ტ. ლემანს უთხარი, ეს ასოები ამოშალოს და კვლავაც ამოშალოს ხოლმე, როცა შეხედება ამისთანა ასოები. აგრეთვე ლემანმა გამოგზავნოს მატრიცები წინად გამოგზავნილის ბორდიურებისა და თვით ორგინალები, რომლიდამაც გადილო, კვლავაც გამოგზავნოს ხოლმე მატრიცები და ორიგინალები²⁴⁹.

10 იანვარს [1888 წ.] ივანე მაჩაბელი ვასო მაჩაბელს ატყობინებს: „ძვირფასო ძმა ვასო! ბევრს გაწუხებ ამ მიწერ-მოწერით, მაგრამ რა ვაეწყობა? შენ რომ არ გამოგერკვია, ძალიან აიწეწებოდა ჩვენი საქმე საბინგუსის ხელში და შენ კი იწერები, ხომ არ გეწყინათ 12 ბოთლი ღვინო რომ გავუგზავნე ზიჩისათ. შენგან არ მიე-

²⁴⁸ საუბარია ტარიელის კაბაზე.

²⁴⁹ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელ. № 13768.

ვირს? გიორგი ქართველიშვილი ისეთი მადლიერია შენი, რომ თორმეტი ბოთლი ღვინო კი არა, ასჯერ უფრო ძვირფასი რომ გაგეგზავნა, არ დაგემღურებოდა, თორემ 12 ბოთლი, აბა, რა სათქმელია!

ეხლა სრულებით ცხადია კანცოვებისა და ასოების საქმე და აი კიდევი გიგზავნი 8 ასოს და 2 კანცოვკას: ამათაც მეის მისცემ და ეტყვი, რომ მიაქციონ ყურადღება იმ შენიშვნებს, რომელიც ზოგიერთ ასოებქვეშ არის მიწერილი. ამას გარდა, იქნება დაყაბულდეს, რომ ზედიზედ ყველა ასო და კანცოვკა როგორც ეს ანი. ისე კვლავ გამოსაგზავნი ექვს-ექვს მანათად გააკეთოს; თუ არ დაყაბულდეს, მაინც გაურიგდი, როგორც ამჯობინო. ამას გარდა, ყოველ ამისთანა კანცოვკას და ასოს გაღვანოპლასტიკური ოტტისკი უნდა (ერთი მანათამდე დაჯდება თითო). ესეც მეის უნდა შეუკვეთო, რომ იზრუნოს და როგორც ხეზედ ამოჭრილი, ისე გაღვანოპლასტიკური ოტტისკები მაგან გამომიგზავნოს ხოლმე, ან თუ იკისრებს—ლემანმა. მაგრამ ისე კი მოაწყე გეთაყვა საქმე, რომ შენის წამოსვლის შემდეგ საქმე აღარ დაბრკოლდეს და მუყაითად იყვენენ.

რაც შეეხება ბორდიურებს, მე უწინ ბორდიურების ნატრიცებზე გწერდი და არა სხვაზედ. ლემანს კიდევი უთხარ მატრიცები გამოგზავნოს იმ ორი პუნცონისა, რომელიც ჩაბარებული გვაქვს სრულობით. ამას გარდა, მეისთვის შეუკვეთნია ექვსი ბორდიურა საბინგუშს. როგორც იწერება, ეს ბორდიურები სულ სხვაფრივ იქნება გაკეთებული, ვიდრე ორი ლემანისაგან ჩამოსხმული. ეს არ ივარგებს. ერთნაირად უნდა გაკეთდეს. ამისთვის უთხარ მეის. თუ შეუძლიან პუნცონების გაკეთება და მატრიცებისა, მაშინ გააკეთოს და ფასი დაგვინიშნოს, თუ არა, ლემანს გადაეცი, რომ უწინდელეზურად გააკეთოს. (უწინ თითო სამ თუმნად გააკეთა). ამისთანავე ორივეს უნდა უთხარა, რომ ორგინალები გამოგვიგზავნონ იმისიც. რაც გაკეთებულია და იმისაც, რასაც შემდეგ გააკეთებენ. თუმცა ფასებსა გწერ, ვასო, შენდა საყურადღებოდ, მაგრამ თუ მეტი გზა არ იქნება. მეტი მიეც, მხოლოდ საქმე კი ნუ დაბრკოლდება.

ზიჩისათვის რომ კუდი²⁵⁰ წაგიშლევინებია, ყველას ძალიან გაგვებარდა.

ვასოჯან, ეს მგონი უკანასკნელად გაწუხებ. ამას იქით მე პირდაპირ ლემანსა და მეის მიეწერ ხოლმე წიგნს, მხოლოდ მეის ადრესი არ ვიცი, თორემ ლამის თავი გამოგილაცო ამდენ ტეხნიკური ტერმინებით... შენი ძმა ვ ა ნ ო²⁵¹.

²⁵⁰ იგულისხმება ტარიელის კაბა.

²⁵¹ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელ. № 13740.

რაკი საქმე ისე მოგვარდა, რომ თითქმის ყველაფერი მზად იყო. ამიტომ წიგნის აწყობასაც შეუდგნენ. გამოცემას ცენზურის ვიზა აწერია 1887 წ. 3 აგვისტო.

„ნოვოე ობოზრენიეში“ წავიკითხე „ვეფხისტყაოსნის ბექდვა, დაიწყესო, — სწერს ი. მეუნარგია ივ. მაჩაბელს სურამუშიდან (სვანეთი) 1887 წ. 19 აგვისტოს, — II В ДИРЖИИ ЧАС! არ იქნება კარგი, რადგანაც ეს პირველი გამოცემა არის „როსკოშისა“, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმე, — ჩვენი თაობის შეცდომებზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის, მაგრამ რაც შეიძლება ცდას ნუ დააქლებ, — გამოცემას შენი სახელი ერქმევა. ჰკითხე ასთა და „სრედნათ“ გამოარჩიე, ასე ჩემო ვანიჩკა“²⁵².

წინასწარი გამოანგარიშებით, თითო წიგნი ეღირებოდა ყლით 12—15 მან. ამას ზედ ერთვოდა გადასაგზავნი ხარჯები. „დროების“ რედაქციის ნაცვლად, ახლა ხელისმოწერას აწარმოებდა ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარია დღის 10—12 საათამდის.

წიგნის ბექდვამ გასტანა 1888 წ. მარტის ბოლომდის. 13 მარტს გაზ. „ივერია“ (№ 54) ამ გამოცემის შესახებ საზოგადოებას შემდეგ ინფორმაციას აწვდიდა: „სურათებიანი, მდიდრულად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი უკვე მზად არის თითქმის და ამ თვის გასულს გამოვა გასასყიდად. ტექსტის ბექდვა სულ გათავებულია, ყდებიც ცალკე მზადდება ტფილისშივე. ჩვენ ვნახეთ ეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი ვეფხისტყაოსანი და უნდა ვსთქვათ, რომ ამისთანა ლამაზსა და კარგს სანახავს იშვიათად შეხვდება კაცი არამც თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც კი. ასომთავრულები მეტად ლამაზები და ხელოვნებით ნაკეთებია, აშიები ქართულის ჩუქქურთმის გემოვნებაზეა შეფარდებული, თითოეულის კარის ბოლოში დახატულია თითო რამ ნახატი, სავსე თავისებურის მშვენიერებითა და სილამაზით. თვითონ ზიჩისაგან ნახატი სურათები ხომ ისეთია, რომ დიდხანს არ გინდა თვალი მოაშორო. ეს წიგნი განძი იქნება სწორედ ყოველ ქართველის ოჯახისათვის და არა გვგონია, ისეთი ქართველო შეგნებული ოჯახი მოიპოვებოდეს, რომ ასეთი სამწიგნობრო სამკაული არ შეიძინოს და ამით არ დაამშვენოს თავისი სახლი. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ეს წიგნი ბლომად არ არის დაბეჭდილი და ვაი თუ ყველა მსურველს არ გასწვდესო“.

ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა დაიბეჭდა თბილისში 1270 ცალი ივანე მარტიროსიანცის სტამბაში (ორბელიანის ქ. 1—2). პოემა შესდგება 1576 სტროფისაგან. გვ. 359, თაბახის რაოდენობა 49.

²⁵² ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები ტ. 1, 1947, 150.

ტექსტი აწყობილია გოგებაშვილის 16-ით, ზომა 15×11. სათაურები — იმავე შრიფტით, მხოლოდ დაყოფით. სტროფები დაშორებულია ერთმანეთისაგან ერთი სტრიქონით, სიზუსტე ამ მხრივ ყველგან დაცული არ არის.

თავფურცლის ტექსტი—ვეფხისტყაოსანი შ. რუსთაველისა — დახატულია; დანარჩენი ნაწილი აწყობილია 1/2 კვ. ჩონჩხით (ამავე შრიფტით არის გამომცემლის ვინაობა დაბეჭდილი ყდაზედაც) და ვახტანგური კორპუსით (იხ. ტაბ. VIII).

ცენზურის ვიზა—ჩვეულებრივი 12-იანი, მის ქვემოთ დაბეჭდილია განცხადება, რომელიც აწყობილია აკადემიური 12-ით. ქვემოთ გავლებული აქვს ტალღისებური ხაზი. სტამბის ფირმა აწყობილია რუსულად 12-იანი.

შმუცტიტულის ტექსტი—შოთა რუსთაველი—და პომეს ტექსტის დასაწყისი (გვ. 1) სათაური—ვეფხისტყაოსანი—დახატულია.

უკანასკნელი (359) გვერდი, სადაც დაბეჭდილია ცნობები პომეს გამომცემაზე, აწყობილია აკადემიური ციცერო 12-ით.

პომეს ტექსტი ჩასმულია აშიებში, სულ გამოყენებულია რვა სახის აშია, ზომა 11×15 კვ. ქვემო აშიების გარედ, შუა ადგილას, ტირებში, პეტიტით დაბეჭდილია ციფრკოლონები.

ტექსტი იბეჭდებოდა ნახევარ თაბახობით. სათაურები, ყოველი სათაურის დასაწყისი სტროფის დახატული პირველი ასო, ბოლოსართები და გვერდების ნუმერაცია დაბეჭდილია ლურჯ ფერში; ტექსტი კი—შავში.

პირველი ილუსტრაცია: „შ. რუსთაველი თამარ მეფეს მიართმევს თავის პომესს“, დაბეჭდილია ფერებში, სხვები კი ერთ შავ ფერშია დაბეჭდილი, ზომა 10 1/2×14 1/2 კვ. თითოეულ მათგანს დაფარებული აქვს თხელი პაპიროსის ქაღალდი.

ტირაჟის ნაწილი ჩასმულია მაგარ ყდაში. ყდები შემოსილია სხვადასხვა ფერის ტვიფრული მატერიით. პირველი გვერდის ტვიფრული ნაწილი თავისი წარწერებით დაბეჭდილია ოქროს ფერში. ყდის შუაში დაბეჭდილია რუსთაველის ტრადიციული პორტრეტი გარშემოვლებულ ორნამენტებით, მის ზემოთ და ქვემოთ ოვალურად დაბეჭდილია ხელით შესრულებული წარწერა: ვეფხისტყაოსანი რუსთაველისა, — ყუაც ტვიფრულია, ხელით დახატული წარწერით: რუსთაველი ვეფხის ტყაოსანი.

ტექსტი დაბეჭდილია № 6 ფინურ ქაღალდზე, ყდის მე-2—3 გვ. და ფორზაცზე გადაკრულია თეთრი მრამორის ქაღალდი.

გავრცელების ნებართვა საცენზურო კომიტეტმა გასცა 7 აპრილს²⁵³.

²⁵³ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 114, საქ. № 892, ფ. 107.

ტექსტს ბოლოში დართული აქვს გამომცემლობისაგან ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ჩაისახა პირველი აზრი სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესახებ, მოკლე ინფორმაცია ტექსტის დამდგენი კომისიის ჩატარებულ მუშაობაზე, მხატვარ ზიჩის, ანგერერის, ბრეზეს, ლეჟანის და მეის ღვაწლი გამოცემის შესახებ. მოცემულია ცნობები, თუ როგორ დაამზადა გ. ტატიშვილმა აშეები, სათაურის ასოები და ბოლოპარტები. დასასრულ აღნიშნულია რომ ბექდვას ხელმძღვანელობდა ივ. მაჩაბელი, რომელსაც ეკუთვნის წიგნის უკანასკნელი რედაქცია. დათარიღებულია ეს წერილი 1888 წ. 20 მარტით.

ვარიანტები, სიტყვათა განმარტებანი და სხვა, რომელთა დაბეჭდვა ტექსტის დამდგენ კომისიას ჰქონდა განზრახული, არცერთი არ შესულა ქართველიშვილისეულ გამოცემაში. სტროფებიც არაა დანომრილი. ყოველივე ამან კი საყვედური გამოიწვია დაინტერესებულ პირთაგან: „კომისიას ცალკეიერი ლიტონი სიტყვით კი არ უნდა ეუწყებინა საზოგადოებისათვის, რომ ესა და ეს ადგილი ვარჩიეთ, ესა და ეს ტაეპი გამოვტოვეთ და სხვ.“²⁵¹ კომისია ვალდებული იყო აღდგენილი ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტები მოეყვანა, როგორც საზოგადოდ ამ გვარს შემთხვევაში მიღებულაო“, — წერდა 1895 წელს საძაგელოვ-ივერიელი. ამასთან ერთად რეცენზენტი უსაყვედურებდა კომისიას იმის შესახებ, რომ მან სტროფები უნომერაციოთ დაბეჭდა, ეს გარემოება კი აძნელებს ამ გამოცემიდან ციტატების მოყვანასო²⁵².

1903 წ. შ. დავითაშვილიც უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ აღნიშნულ გამოცემის ბოლოსიტყვაში აღნიშნულია მხოლოდ ისე, რომ კომისიამ შეამოწმა ვეფხისტყაოსნის ტექსტი ვარიანტებთანო, მაგრამ „როგორ გამოიყენა რედაქტორმა კომისიის შრომა და რა ცვლილება შეიტანა იმან—არ ვიცი, რადგან კომისიის შრომა არ არის გამოქვეყნებულიო“²⁵³.

1888 წ. 17 აპრილისათვის წიგნის რამოდენიმე ცალი იყო მზად,

²⁴⁹ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელ. № 13768. რიშები.

²⁵¹ ვაზ. „ივერია“, 1895, № 95, გვ. 1.

²⁵² შ. დავითაშვილი, უბრალო შეცდომა და მწარე სიმაართე, ვაზ. „ივერია“, 1903, № 231, გვ. 2.

შიო დავითაშვილს რუსულად უთარგმნია ვეფხისტყაოსნის ტექსტი (подстрочный перевод) და 1903 წ. 14 ივლისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისათვის. მიუმართავს თხოვნით, რომელიც სწერს: „მე ესთარგმნე რუსულად ვეფხისტყაოსანი და განვიზრახე ჩემი დიდი ხნის შრომა ცალკე წიგნად დაბეჭდო“ და გთხოვთ ამ გამოცემისთვის მათხოვოთ ვეფხისტყაოსნის გ. ქართველიშვილისეული გამოცემის ილუსტრაციების კლიშეებიო.

რომელთა გაყიდვა კიდევაც დაიწყეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. პოემა გამოშვებული იყო ორი სახით, ყდიანი და უყდო, ყდიანი ღირდა 15 მან. უყდო კი—13 მან. შემდეგ წლებში ფასი დაკლებული იქნა: ყდიანი ვეფხისტყაოსანი ღირდა 10 მან. უყდო—9 მან.

ქართველიშვილი მორიგებული იყო ყდის გასაკეთებლად მკაზმავ ა. აკოფაშვილთან (სასახლის ქუჩა, სათავადაზნაურო ბანკის ქარვასლაში). რომელსაც თითო ყდა უნდა გაეკეთებინა მანეთად. მკაზმავს ორი შეგირდი ჰყავდა. ეს შეგირდები აელ-ნელა იპარავდნენ წიგნებს და იაფ ფასებში ჰყიდდნენ თურმე.

1889 წ. იანვრის დამლევის, შემთხვევით, ვეფხისტყაოსნის ორი ცალი აღმოაჩინეს ვიღაც ხარაზთან და უკანასკნელის საშუალებით კიდევაც მიაკვლიეს ქურდებს²⁵⁷. აკოფაშვილმა საქმე თბილისის ოლქის სასამართლოს გადასცა. უკანასკნელმა საქმე გააჩრია 14 ივნისს. ბრალდებულები გამოტყდნენ დანაშაულში. ერთ მათგანს მიესაჯა ერთი წლით პატიმრობა, მეორეს კი რვა თვით.

ამ საქმეს გამოეხმაურა პრესაც. გაზ. „ივერია“ აღშფოთებით წერდა: „ვინ მოიფიქრებდა, რომ ბიწიერი ხელი შეეხებოდა უდიდესის პოეტის უკვდავ და წმინდა ქნარს!... მაგრამ სადამდე არ მიიყვანს უღირსს კაცს ანგარება და ზნეჩვეულების გახრწნილება. შთამომავლობამ არ დაჰზოგა რა სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გამოსაცემად... და ამავე დრო უკეთურებმა კი შეურაცხჰყვეს პოეტის სახელი და მისი წმინდა ქნარი ვეპილების საყბოდ გაჰხადეს სასამართლოს დარბაზშიო“²⁵⁷.

ილუსტრირებულ ვეფხისტყაოსანზე მოთხოვნილება საზოგადოებაში თანდათანობით იზრდებოდა. ჯერ კიდეც წიგნი სტამბიდან არ იყო გამოტანილი, როდესაც წ. კ. საზოგადოებას (მდივანი ი. მანსვეტაშვილი) სხვადასხვა ადგილებიდან მოდიოდა დაკვეთები: მაგ. სარაყამიშიდან ნათიშვილი იწერებოდა: «За высланные мною (16 р.) и подпоручиком Билашевым (17 р.) с первой почтой в одной псылке на мое имя [вышлите] два экземпляра иллюстрированной поэмы Шота Руставели «Барсова кожа»²⁵⁸.

ს. მგალობლიშვილი გორიდან იწერებოდა: „ვეფხისტყაოსნის შესახებ რომ გწერდი, ერთი სამი ეგზემპლიარი შეინახე, შემომიკვე-

იმავე წლის 15 ივლისს კი თარგმანი წარუდგენია საცენზურო კომიტეტში ობილიისის ერთერთ სტამბაში მისი აწიების ნებართვის მისაღებად. საცენზურო კომიტეტს ნებართვის მოწმობა გაუცია 1903 წ. 19 ივლისს, მაგრამ თარგმანი ცალკე წიგნად არ დაბეჭდილა (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქმე № 1915, ფ. 26; ფონდი 229, საქმე № 8962).

²⁵⁷ გაზ. „ივერია“ 1889, № 124.

²⁵⁸ საქართველოს ცენტრალური არქივი ფონდი 229, საქ. 198, ფ. 1.

თეს²⁵⁹. პროფ. ალ. ცაგარელი პეტერბურგიდან იწერებოდა: „დიდ-
კაცობაში ბევრი არიან მსურველნი გ. ქართველიშვილის მიერ გამო-
ცემული ვეფხისტყაოსნის შექმნისაო“ და იტყობინებოდა ხუთი ცა-
ლის გამოწერას²⁶⁰. ჟურნ. „თეატრი“ 12 ივნისს წერდა: „გასულ პა-
რასკევს გ. ქართველიშვილს მიუღია ბათუმის დამოქნის ჩინოვნიკე-
ბისაგან ოფიციალური თხოვნა, რომელშიდაც აცხადებდნენ სურ-
ვილს ერთად შეისყიდონ ათი ცალი ვეფხისტყაოსანი. ზოგი ნაწილი
ფულაა კიდევ გამოუგზავნიათ. დღე არ გავა სამი და ოთხი
ეგზემპლარი არ გაიყიდოსო“, დასძენს ჟურნალი²⁶¹. ვაზეთებში-
დაც სისტემატურად იბეჭდებოდა განცხადებები იმის შესახებ, თუ
სად და რა პირობებში შეიძლებოდა ვეფხისტყაოსნის შექმნა²⁶².

1888 წ. 28 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა იმპერატორი
ალექსანდრე მესამე თავისი მეუღლით. გ. ქართველიშვილმა განიზ-
რახა დედოფლისათვის მიერთმია ვეფხისტყაოსანი. ი. მეუნარგიამ
კი დედოფლის მისართმევად რუსულ ენაზე დასწერა პოემის ვრცე-
ლი შინაარსი. ეს წიგნაკი დაბეჭდა გ. ქართველიშვილმა. საცენზუ-
რო კომიტეტმა ამ წიგნაკის აწყობის ნებართვა გასცა 19 სექტემ-
ბერს და ისე ჩქარი ტემპით დაიწყეს ბეჭდვა, რომ სექტემბრის ბო-
ლოს უკვე მზად იყო²⁶³.

30 სექტემბერს გ. ქართველიშვილმა და ი. მეუნარგიამ დედო-
ფალს მთავრად პირველმა მისგან გამოცემული ვეფხისტყაოსანი
ხავერდის ყლით, მეორემ მის მიერ შედგენილი პოემის

²⁵⁹ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქ. № 194, ფ. 1,

²⁶⁰ გაზ. „ივერია“, 1889, № 275.

²⁶¹ „თეატრი“ 1888, № 20, გვ. 3—4.

²⁶² გაზ. „ივერია“, 1890, № 19, 53, 66, 100, 186, 162 და სხვ.

²⁶³ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქ. № 890.

ფ. 25. აღნიშნული წიგნი მეორედ დაიბეჭდა 1891 წელს („Барсова кожа Руста
вели в разказе“). ეს გამოცემა ცალკე არ იყიდებოდა, ის დამატების სახით
ეძლეოდა იმ რუსს, რომელიც ქართველიშვილის გამოცემულ ვეფხისტყაოსანს
შეიძენდა. წიგნს ბოლოში დართული აქვს მ. ზიჩის ილუსტრაციების განმარტება.
დაიბეჭდა 500 ცალი. აწყობის ნებართვა გაიცა 1890 წ. 23 ნოემბერს. პაზარზე
გამოვიდა 1891 წ. აპრილში (ფონდი 114, საქმე № 1015, ფ. 470).

გ. ქართველიშვილს სპეციალურად დაუმზადებია ვეფხისტყაოსნის სამი ცალი,
რომელსაც ჰქონია ვერცხლის მომინაქრებული გარეკანი, გვერდებზე მოოქროვე-
ლი აშუაბით. გარეკანზე ოქროს ასოებით ამოჭრილი და ვერცხლის ფიციარზე და-
რული ყოფილა ავტორის ვინაობა და პოემის სახელწოდება. ერთი ცალი გამომცე-
მის დედოფლისათვის მიერთმევია, მეორე ორიენტალისტთა (სტოკოლმში) ყრი-
ლობაზე გაუგზავნია, მესამე კი მაინცის გამოფენაზე წარუდგენია. თითოეული ეგ-
ზემპლარი გამოემკვეთს 325 მანეთი დაჯდომია (იხ. ივ. არჯენიანი იძვ. ვეფხის-
ტყაოსნის უნიკალური გამოცემა, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, № 9, გვ. 2).

შინაარსი რუსულ ენაზე. დედოფალი ალტაცებაში მოვიდა ვეფხის-ტყაოსნის მშვენიერი გამოცემით, მადლობა გადაუხადა ორივეს და საჩუქრად უბოძა იაგუნდითა და ბრილიანტებით შემკული ბეჭდები. ეს საჩუქარი ი. მეუნარგიას თავის ნამსახურობის ნუსხაში ასე აქვს ჩაწერილი: «Не имеющий чина Иона Михайлов Меунаргия... высочайше пожаловал в 1888 г. перстен с драгоценными камнями за поднесение их императорским величеством свое сочинение на русском языке о грузинской поэме «Барсова кожа», о чем из Кабинета его величества выдано удостоверение от 9 ноября 1889 г. № 1308»²⁶⁴.

ამ საჩუქრის გამო მეგობრები ი. მეუნარგიას ხუმრობით „დედოფლის დანიშნულს“ ეძახდნენ.

1889 წ. სექტემბერში სტოკჰოლმში მოწვეული იყო ორიენტალისტთა კონგრესი. კონგრესის თავმჯდომარედ გამოცხადებული იყო შვეციისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ მეორე. კონგრესის პროგრამაში წინასწარ იყო გამოცხადებული, რომ ვინც კონგრესის პრეზიდენტს აღმოსავლეთის რომელიმე მხატვრულ თხზულებას წარუდგენს, გვირგვინოსან პრეზიდენტს დიდად დაავალდებსო. ქართველთა შორის წ.-კ. გამავერცელებელ საზოგადოების გამგეობამ განიზრახა ერთი ცალი ილუსტრირებული ვეფხის-ტყაოსანი გაეგზავნა ორიენტალისტთა კონგრესის თავმჯდომარისათვის. ამ კონგრესზე პეტერბურგის უნივერსიტეტმა თავის წარმომადგენლად გაგზავნა პროფ. ალ. ცაგარელი. წ.-კ.გ. საზოგადოებამ ისარგებლა ამ შემთხვევით და თავისი საჩუქარი კონგრესს ალ. ცაგარელის ხელით გაუგზავნა. აღნიშნული ვეფხისტყაოსნის ეგზემპლარი პროფ. ალ. ცაგარელს წინასწარ უჩვენებია კონგრესის მონაწილე ზოგიერთ მეცნიერისათვის, რომელთაც ძალიან მოსწონებიათ იგი. ამის შემდეგ ალ. ცაგარელმა წიგნი მიართვა ოსკარ მეფეს. მეფესაც ძლიერ მოეწონა და თითქმის მთელი ოცი წუთის განმავლობაში ათვალთვლებდა. როდესაც გაეცნო ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილ პოემის შინაარსს, მეფემ ბრძანა: „საკვირველია, სოლომონის „ქებათა ქებას“ ჰგავსო“. მეფემ დააბარა ალ. ცაგარელს: „გადაეცით ჩემი გულითადი მადლობა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ მშვენიერი და ძვირფასი ძეგლის მორთმევისათვისო“. მეფე ოსკარს მრავალი წიგნი მართვეს კონგრესის წევრებმა, მაგრამ მეფის ბრძანებით, ყველა ისინი გაუნაწილეს უფსალისა და ქრისტიანიის უნივერსიტეტებს. თავისთვის კი რამოდენიმე წიგნი დაიტოვა და მათ შორის ვეფხისტყაოსანი²⁶⁵.

²⁶⁴ ამონაწერი მომაწოდა სოლ. ცაიშვილმა 1943 წელს.

²⁶⁵ ვაზ. „ივერია“ 1889, № 200.

1900 წელს, ქ. მაინცში მოეწყო გუტენბერგის საიუბილეო გამოფენა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ამ საიუბილეო გამოფენაზე გაგზავნა ქართველიშვილის გამოცემული ვეფხისტყაოსანი. მაინცის ქალაქის თავისაგან წ.-კ. გ. საზ. გამგეობას შემდეგი შინაარსის წერილი მოუვიდა: „დიდად პატივცემულო ბატონებო! თქვენ თქვენის უმშვენიერესი საჩუქრით მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტენბერგის დღესასწაულს და გუტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი ხელოვნობის ნიშნად დარჩება სამუდამოდ გუტენბერგის ქალაქში.

ეს მშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენ დიდ გამოფენას დაამშვენებს. შემდეგ კი იგი შეიქნება მშვენიერად გუტენბერგის მუზეუმისა.

ერთხელ კიდევ გიძღვნით უგულთადეს მადლობას ქ. მაინცის და მის დიდებული შვილის მაგიერ.

უგულწრფელესი პატივისცემით მაინცის ქალაქის თავი დოქტორი გასსნერი²⁶⁶.

გ. ქართველიშვილის გამოცემული ვეფხისტყაოსანი გაიგზავნა აგრეთვე პარიზის²⁶⁷ და ლაიფციგის (1914 წ.) საერთაშორისო გამოფენაზედაც და ყველგან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ჩვენში ხშირად იყენებდნენ მის აშიებს გამომცემლები სხვადასხვა შინაარსის წიგნებისათვის, ხოლო ვეფხისტყაოსნის შემდგომი გამოცემები როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. უმეტეს შემთხვევაში, ზიჩის ილუსტრაციებით იბეჭდებოდა. ილუსტრაციებისა და სამკაულების გადაბეჭდვა კი უნებართვოდ აკრძალული იყო. ამიტომ ნებართვის მისაღებად წ.-კ. გ. ს. გამგეობას მიმართავდნენ.

ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული გამოცემის სამკაულებმა იმდენად გაიტაცა საზოგადოება, რომ მას კამფეტისა და პაპიროსის ქაღალდებზედაც კი ბეჭდავდნენ.

1900 წ. გ. ქართველიშვილმა ვეფხისტყაოსნის დარჩენილი ცალები შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

²⁶⁶ გაზ „ივერია“ 1900, № 1040.

²⁶⁷ პარიზის გამოფენის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარემ ჯანდიერმა 1900 წ. თებერვალში წ.-კ. გ. ს. გამგეობას სთხოვა, რომ მას ღრობით დაეთმო გამოფენისათვის ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა კლიშე. საკითხის შესახებ აღნიშნული საზოგადოების გამგეობამ იმავე წლის 22 თებერვალს დაადგინა: „მიეცეს სხვადასხვა კლიშეები 4 თვის ვადით, ჩამოერთვას კომიტეტის თავმჯდომარეს თავად ჯანდიერს პირობა, რომ იგი ვალდებულია დაუბრუნოს მმართველობას დასახელებული კლიშეები სრულად და თუ ვინცემა არ ჩააბარა მმართველობას, იგი ვალდებულია გადაიხადოს ღირებულ ფასი ასი თუმანი“ (საქართველოს ენციკლოპედიური არქივი, ფ. 229, საქ. 769, ფ. 28).

საზოგადოების გამგეობას. მასთან ერთად—ცალკე დაბეჭდილი ილუსტრაციები ვეფხისტყაოსნიდან 2656 ცალი, ილუსტრაციების კლიშეები 27 ცალი და სათაური ასოები. ნაწილი ამ შეწირულებიდან (48 ასო, 46 ბლოსართის კლიშე და 6 აშია) 1889 წ. 22 ივლისს ვ. ქართველიშვილისაგან დროებით წაღებული ჰქონდა გ. ტატიშვილს, რომელმაც გ. ქართველიშვილის მითითებით, გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

XVIII

ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული მდიდრული გამოცემა ძვირად ფასობდა. 13, 15 მანეთის გადახდა ყველასთვის იოლი საქმე არ იყო. წიგნის სიდიდე და სიმძიმე აძნელებდა მის თავისუფლად ხმარებას. პოემაზე მოთხოვნილება კი ძალიან გაიზარდა. ყოველივე ამან გამოიწვია ვეფხისტყაოსნის იაფფასიანი მორიგი გამოცემის საჭიროება. ამ საქმის განხორციელებას ხელი მოკიდეს თბილისში ქართული წიგნის მალაზიის მეპატრონეებმა გრ. ჩარკვიანმა და რ. ფანცხავამ. 1889 წ. მათ პირველად გამოსცეს ჯიბით სატარებელი პატარა ფორმატის ($7\frac{1}{2} \times 4$) ვეფხისტყაოსანი (გვ. 412). დაბეჭდილია ის გრ. ჩარკვიანის სტამბაში. შეიცავს 1589 სტროფს.

პოემის გ. ქართველიშვილის გამოცემის ტექსტის დადგენაზე დიდი მუშაობა ჩატარებულა. კომისიას ყოველგვარი ზომა მიუღია. რომ ტექსტი გაეწმინდა ფსევდორუსთველური სტროფებისაგან. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო ვეფხისტყაოსნის მომდევნო გამოცემებს საფუძვლად 1888 წლის გამოცემა დადებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს; ეს ასე არ მოხდა. 1888 წლის შემდეგ მე-19 საუკუნეში პოემის 7 გამოცემა დაიბეჭდა და არცერთი მათგანი არ წარმოადგენს აღნიშნული გამოცემის ზუსტ გამეორებას. ქართველიშვილისეულ გამოცემაში ამოღებული სტროფები გამომცემლებმა ისევ აღადგინეს და ისევ ვრცელი ტექსტის გამოცემის ბეჭდვას მიჰყვეს ხელი; მაგალითად. ქართველიშვილის გამოცემაში ამოღებული სტროფები: 268 (თავსა უთხრა. მოჰკვე), 270 (მთით ჩამოვიდა ავთანდილ), 309 (ყმამან უთხრა, დაეო ასმათ), 355 (იმა მოყმისა ამბავი), 439 (წიგნი წიგნსა ეცემოდა), 462 (აღარა ვიცი, დამვიწყდეს), 467 (ზღუდელ მოვლიდა ზურმუხტი). 513 (ასმათი მეუბნებოდა უშიშრად), 1151 (მოვიდიან შესამკობლად), 1460 (წადი უსტარო ისწრაფე) და 1488 (შენ, საყვარელო ნუ სკმუნავ), 1890 წლის გამოცემაში ისევ აღდგენილია. ეტყობა, უკანასკნელს საფუძვლად დაედო 1887 წ. გამოცემა.

ვეფხისტყაოსნის 1890 წ. გამოცემა შეიცავს პოემის მხოლოდ ტექსტს. წიგნი უკვე დაბეჭდილი იყო 1889 წ. ოქტომბერში. გავრცელების ნებართვა კი ცენზურამ გასცა აღნიშნული წლის 2 ნოემბერს.

1889 წლის 19 ნოემბერს გაზეთი „ივერია“ (№ 247) იუწყებოდა: „ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი გ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავას ქართული წიგნის მაღაზიის მიერ ჯიბით სატარებელი პატარა ზომის ვეფხისტყაოსანი. გამომცემლებს წიგნი სუფთად დაუბეჭდილ და ფასიც ძვირი არ არის, ღირს ორი აბაზი“.

რაკი 1889 წ. უკვე იწურებოდა, ამიტომ გამომცემლებმა წიგნს 1889 წლის ნაცვლად 1890 წელი დააწერეს.

პოემის ეს გამოცემა არის მეათე და არა მეცხრე, როგორც წიგნს აწერია.

თავფურცლის წარწერები აწყობილია აკად. კორპუსით, 20-იანი შავით, მრგვალი შავით, გოგებაშვილის 16-ით: ვახტანგისეული კორპუსით და ჩვეულებრივი პეტიტით (იხ. ტაბ. IX). მეორე გვერდზე 10 კურსივით დაბეჭდილია ცენზურის ვიზა.

პოემის ტექსტი აწყობილია ვახტანგისეული 10-ით: სათაურები — შავი ციცერო აკადემიურით. ლუწ გვერდზე მარცხნივ და კენტის მარჯვნივ კუთხესთან დაბეჭდილია კოლონციფრები. რომლებსაც ქვემოთ გავლებული აქვთ თხელი ხაზი.

კოლონციფრი ზოგ ცალში დარღვეულია, 408 გვ. შემდეგ დაბეჭდილია 401—404, ნაცვლად 409—412-ისა. გვერდების ასეთმა აღრევამ გამოიწვია წიგნის ფორმების აღრევა აკინძვის დროს.

სათაურები დანომრილია მარცხნივ რომაული ციფრებით. ყოველი თავის ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში, დასმულია სხვადასხვა სახის ხაზი ან ბორდიურა.

სტროფები დაბეჭდილია შუაზე გაყოფილი შაირით, რვა სტრიქონად.

სტროფები დაშორებულია ერთმანეთისაგან ერთი სტრიქონით. ეს წესი ზოგ შემთხვევაში დარღვეულია.

წიგნი იბეჭდებოდა ნახევარ ფორმობით. ტირაჟი უცნობია, მაგრამ 1200 ცალზე მეტი არაა საფიქრებელი რომ დაებეჭდათ.

XIX

ვეფხისტყაოსნის 1890 წლის გამოცემამ ერთ წელსაც ვერ გაუძლო წიგნის ბაზარს. გამოცემის მთელი ტირაჟი სწრაფად გაიყიდა. ამიტომ პოემის მორიგ გამოცემას 1890 წელსვე შეუდგა ოზურ-

გეთში აღფეზ მიქელაიშვილისა და კონსტანტინე თავართქილაძის წიგნის მაღაზია. სათანადო ნებართვა ცენზურისაგან მიიღეს 1890 წ. 8 მაისს²⁶⁸.

გამომცემელთა მიზანი იყო, წიგნი „რაც შეიძლება შნოიანი და ლაზათიანი გამოსულიყო და ფასიც ისეთი დადებოდა, რომ მისი შეძენა არავის გაძნელებოდა“.

ამ გამომცემის შესახებ „ივერიის“ კორესპონდენტი ოზურგეთიდან შემდეგს იტყობინებოდა: „ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გაგიზიაროთ: ამჟამად აქაური მესტამბეები ბექდავენ ვეფხისტყაოსანს, რომელსაც მცირე ლექსიკონი ექნება ჩართული და საგულისხმიერო ფრაზები განსაკუთრებულის მოდილო ასოებით იქნება დაბეჭდილი. წიგნი იქნება შემკული ავტორის სურათითაც. სასათაურო ასოების ამოჭრა ამ წიგნისათვის შეკვეთილი აქვს თბილისში გ. ტატიშვილს“²⁶⁹.

წიგნი მზად იყო 1891 წ. მარტში. აღნიშნული თვის ბოლოს სტამბის მეპატრონეებმა საცენზურო კომიტეტში წარადგინეს 30 ცალი წიგნი და სთხოვეს გავრცელების ნებართვა. იმავე წლის 4 აპრილს საცენზურო კომიტეტმა აცნობა გამომცემლებს, რომ წიგნის გავრცელების ნებართვისათვის საჭიროა წარმოადგინოთ პოემის ის ცალი, რომელზედაც აღნიშნულია საცენზურო კომიტეტის დაბეჭდვის ნებართვა, აგრეთვე უნდა გვაცნობოთ წიგნის ტირაჟი და ქალაქის ზომაო²⁷⁰.

7 აპრილს გამომცემლებმა საცენზურო კომიტეტს გაუგზავნეს საჭირო ცნობები და მიიღეს წიგნის გავრცელების ნებართვაც. პოემა შესდგება 1583 სტროფისაგან. დაიბეჭდა 1200 ცალი. II, 247 გვ., ანაწყობის ზომა $16\frac{1}{2} \times 9\frac{1}{2}$. გარეკანი ჩასმულია სასტამბო ხაზების აშიაში, რომელთა მარცხენა და ზემო ნაწილები ორპუნქტიანი შავი ხაზია, მარჯვენა და ქვემო ხაზი კი 10 პუნქტ. შავია, მათი მარჯვენა კუთხე ზემოთ და მარცხენა ქვემოთ მოცერილია.

გარეკანზე და თავფურცელზე ნახევარ ოვალურად დაბეჭდილია პოემის სახელწოდება ე. წ. ფერადი ასოებით, ქსილოგრაფიული წესით შესრულებული. სხვა ტექსტისათვის გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: ვახტანგისეული თეთრი კორპუსი, ვახტანგისე-

²⁶⁸ მოწერილი ამბები, გაზ. „ივერია“, 1890. 4 XII, № 258.

²⁶⁹ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, საცენზურო კომიტეტის ფონდი, საქმე № 1068, ფ. 98.

²⁷⁰ იქვე, ფურც. 103.

ული პეტიტი, გოგებაშვილის 12 და ჩვეულებრივი რუსული ციკერო (იხ. ტაბ. X).

თავფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილია რუსულად ცენზურის ვიზა დახრილი 10-ით. ქვემოთ ჩვეულებრივი ციკეროთი, დაბეჭდილია სტამბის მეპატრონეების ვინაობა. ორივე სტრიქონს თავზე ახურავს ტალღისებური ხაზები.

მესამე გვერდზე დაბეჭდილია: „გამომცემლებისაგან“, ეს სიტყვა აწყობილია 10 შავი მთავრულით, ტექსტი კი — გოგებაშვილის 16-ით. შიგ ჩართული ციფრები — ე. წ. ინგლისური კეგ. 16-ით. თვე და რიცხვი — ციკერო ვენურით, ქალაქის სახელწოდება — ვახტანგისეული 10-ით.

სიტყვა „სარჩევი“ დაბეჭდილია გოგებაშვილისეული 12-ით, ამის ქვემოთ გავლებულია ტალღისებური ხაზი.

პომის სარჩევი აწყობილია ვახტანგისეული კორპუსით. შმუცტიტული—ვეფხის-ტყაოსანი—20 შავი მრგვალით. წინასიტყვაობა — გოგებაშვილის 16-ით, მის ქვემოთ გავლებულია ტალღისებური ხაზი.

პომის ტექსტი დაბეჭდილია ჩვეულებრივი ციკერო ვენურით. თავების საწყისის პირველი სიტყვის ასო არის 24 პუნქტიანი თეთრი მრგვალი. ტექსტში აფორიზმები—12 მთავრული შავით²⁷¹. ტეპების საწყისი ასო—შავი მთავრული 12-ით. ყოველი სათაურის ბოლოს, ორიოდ შემთხვევის გარდა, დასმულია ტალღისებური ხაზი.

სათაური, სიტყვების განმარტება—გოგებაშვილი 12-ით. მის ქვეშ გავლებულია ბორდიურის ხაზი. ანბანის დასაწყისი—24-იანი თეთრი მთავრულით. დანარჩენი ყოველი სიტყვის დასაწყისი—თეთ-

²⁷¹ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან გამომცემლებმა დაიწყეს ვეფხისტყაოსნიდან „საგულისხმო აზრების“ ძირითად ტექსტიდან გამოყოფილი შრიფტით დაბეჭდვა და აგრეთვე მათი ცალკე გამოცემაც. 1887 წ. გრ. ჩარკიანის სტამბაში ათასი ცალის რაოდენობით დაიბეჭდა „ლექსები ვეფხისტყაოსნიდან“, იმავე წელს ივ. იუზბაშევმა დაბეჭდა „ადგილები ვეფხისტყაოსნიდან“, ცენზურაში წარადგინა 1887 წ. 19 მარტს, გამოცემის ნებართვა მიიღო იმავე წლის 22 მარტს, გვ. 18.

1890 წ. ნ. ველისციხელმა კ. ი. მესხიევისა და ს. ა. პოლუტაევის სტამბა-ცენტორაფიაში ცალკე გამოსცა ვეფხისტყაოსნის „საგულისხმო აზრები“, ვაკრცელების ნებართვა ცენზურისაგან მიიღო 1890 წ. 1 ნოემბერს, გვ. 38, ტირაჟი 600 ცალი.

1897 წ. ა. რუხაძემ და ბ. კალაძემ ცალკე წიგნად გამოსცეს შესანიშნავი ადგილები ვეფხისტყაოსნიდან, რომელსაც დაურთეს მ. გურიელისა და ალ. ყაზბეგის რამოდენიმე ლექსი. ნებართვის მისაღებად ცენზურაში წარადგინეს 1897 წ. 27 I, ნება მიეცათ იმავე წლის 17 IV (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქმეები № 829, ფ. 124; № 835, ფ. 17; №1014, ფ. 328 № 329, ფ. 25—26).

რი მთავრული ციკეროთი. ლექსიკონის ბოლოს დაბეჭდილია ზორ-
დიურის ხაზი. სიტყვები: „უმთავრესი“ — ციკერო მთავრულით,
„კორექტურული შეცდომები“ — გოგებაშვილის 16-ით. შეცდომათა
გასწორებები აწყობილია ვენური 12-ით. ბოლოში გასმულაა ტალ-
ღისებური ხაზი.

წიგნის კოლონიციფრი დაბეჭდილია თავში ხაზებშუა, რუსული
12-იანი გარნიტურიდან.

პოემას თან ერთვის შ. რუსთველის პორტრეტი, რომელიც შემ-
დეგ გამოცემებშიც იბეჭდებოდა²⁷². ბოლოში დართულია „სიტყ-
ვების განმარტება“ (გვ. 237—247) და „უმთავრესი კორექტურული
შეცდომები“ (გვ. 248), სადაც გასწორებულია 22 შეცდომა.

გამომცემლების ცნობით, წიგნის თვითღირებულებას შეადგენ-
და 25 კაპ., რომელსაც ემატებოდა შ. რუსთველის პორტრეტის ფასი
10 კაპ., წიგნი კი იყიდებოდა სურათით 40 კაპ., ხოლო უსურათოდ
30 კაპ. ვინც ას ცალ წიგნს შეიძენდა, გამომცემლები მათ პირდ-
ბოდნენ წიგნის თვითღირებულ ფასებში დათმობას.

ვეფხისტყაოსანი მთლად ისე ვერ გამოიცა, როგორც იყო გათ-
ვალისწინებული, მაგ. ყდაში ჩასმის დროს ზოგ ცალში შეცდომით
ჩართულია ზედმეტი ფორმა; ვერ მოხერხებულა სასათაურო ასოების
ხეზე ამოკრა, როგორც გამომცემლები ფიქრობდნენ; მათი სურვილი
იყო ტექსტი გადმოებეჭდათ გ. ქართველიშვილისეული გამოცემიდან.
ტექსტის ბეჭდვაზე მეთვალყურეობა, ეტყობა, გამომცემლებს სხვი-
სთვის დაუვალებიათ. მოწვეულ პირს აულია ვეფხისტყაოსნის 1887
და 1888 წლების გამოცემები და მათი მიხედვით დაუმუშავებია
1891 წ. გამოცემა²⁷³. რომ ეს ასეა, ჩანს შემდეგიდან: სტროფები
1012 (ტირის იტყვის), 1151 (მოვიდიან შესამკობად), 1460 (წადი უს-
ტამო) და 1488 (შენ საყვარელო), ყველა წინა გამოცემაშია. არაა
მხოლოდ 1888 და 1891 წლების გამოცემებში. ამას გარდა, 1711
სტროფი (ფრიდონ წაჰყვა განალამცა) პირველად დაიბეჭდა ბრო-
სეს გამოცემაში, მეორედ კი გ. ქართველიშვილის გამოცემაში. ეს
სტროფი შეტანილია 1891 წლის გამოცემაშიც. რედაქტორს სხვა გა-

²⁷² იხ. ბ. გორდეზიანი, ქართული გრაფიკა, 1959, გვ. 34.

²⁷³ ასოთამწყობები პოემის ტექსტს ნაბეჭდი ცალიდან აწყობდნენ. საამისოდ
1888 წ. მდიდრული გამოცემა, რომ აელოთ და ის ჩაესწორებინათ, საეკუოა. ამ
გამოცემის ცალს, რომელიც ძვირად ფასობდა, ამისთვის არ გააფუჭებდნენ. 1890 წ.
გამოცემა კი აწყობილია ძალიან წვრილი შრიფტით და თანაც ტაეპები დაყოფი-
ლია შუაში. ამიტომ ასოთამწყობებისათვის ეს გამოცემა არ გამოდგებოდა. ამ
მხრივ ყველაზე უფრო მოსახერხებელი იყო 1887 წლის გამოცემა. საერთოდ გა-
მოცემათა ფილიაცია საბოლოოდ მანამ არ დაზუსტდება, ვიდრე პოემის ყველა
გამოცემათა ვარიანტები არ შედგება. ეს კი უახლოესი მომავლის საქმეა.

მოცემა რომ ჰქონოდა ხელთ და იქიდან გადმოებეჭდა ტექსტი, მაშინ ასეთი მდგომარეობა არ შეიქნებოდა.

რედაქტორს შეგნებულად უსწორებია 1888 წ. ნაბეჭდი ტექსტი, მაგ. 580 სტროფი (შე დილასა მოციქული) დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემის შემდეგ პირველად ქართველიშვილის გამოცემაშია შეტანილი, 1891 წ. გამოცემაში ეს სტროფი ამოღებულია (იხ. გვ. 193). ამას გარდა, ქართველიშვილის გამოცემაში არაა რამოდენიმე სტროფი: 268 (თავსა უთხრა), 270 (მთით ჩამოვიდა), 309 (ყმა-მა უთხრა, დაო ასმათ), 439 (წიგნი წიგნსა ეცემოდა), 462 (აღარ ვიცი, დამავიწყდეს), 467 (ზღუდელ მოვლიდა), 513 (ასმათი მეუბნებოდა) და სხვ. რომლებიც 1891 წ. გამოცემის რედაქტორს სხვა გამოცემიდან შეუტანია.

რედაქტორის ასეთი მოქმედება გამომცემლებისათვის ცნობილი გამხდარა წიგნის აწყობის თუ დაბეჭდვის შემდეგ, რასაც მათი გულისწყრომა გამოუწვევია. ამის შესახებ ისინი წიგნის წინასიტყვაობაში წერენ: „ეს გამოცემა სრულად გადმობეჭდილია პატივცემული გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ სურათებიან დიდ ვეფხისტყაოსნიდამ, გარდა რამდენიმე კორექტურული შეცდომისა და ოთხი-ხუთი ტაეპისა, რომელიც შეგვეპარა შიგ სხვა გამოცემებიდამ, და რადგან მათი ამოღება დიდ შრომას მოითხოვდა, ჩვენც დავტოვეთ“ (გვ. II). როგორც ჩანს, გამომცემლები საქმის სრულ კურსში არ ყოფილან, „შემოპარულ“ სტროფებს გარდა, ამ გამოცემაში, როგორც აღვნიშნეთ, „გაპარული“ სტროფიც მოიპოვება.

მწუხარებას გამოსთქვამდნენ გამომცემლები იმის გამოც. რომ მათ ვერ მოახერხეს პოემის ყველა „საგულისხმო აზრის“ მთავრული ასოებით დაბეჭდვა, რადგანაც „შემწე ამ საქმეში სრულიად არ მოგვეპოვებოდაო“. ყოველივე ამის გამო, ბოდიშს იხდიდნენ მკითხველთა წინაშე და იმედოვნებდნენ, „შემდეგში, თუ მოვესწარით ახალ გამოცემას, ვეცდებით ყოვლისფრით უნაკლულად გამოვსცეთ“.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ეს გამოცემაც მალე გავრცელდა და პრესამაც კარგად შეაფასა: „წიგნი ძლიერ იაფთა—ექვსისი შაური ღირს, დიდი ფორმატისა და საკმაოდ კარგს ქალაღზედაც არის დაბეჭდილიო“, წერდა გაზეთი „ივერია“ (№ 85).

XX

ვეფხისტყაოსნის მორიგ გამოცემას ოზურგეთში შეუდგა კ. თავართქილაძე. გამოცემის ნებართვა ცენზურისაგან მან აიღო 1891 წ. 28 ნოემბერს. გამომცემელმა გაითვალისწინა წინა გამოცემის გამოცდილება, მაგრამ ტექსტი ზუსტად მაინც არ გადმოუბეჭდია გ. ქარ-

თველიშვილისეული გამოცემიდან. უკანასკნელიდან ამოულიათ 580 (მე დილაა მოციქულთა) სტროფი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 1860 წ. გამოცემის შემდეგ პირველად 1888 წ. გამოცემაში დაიბეჭდა. 1888 წ. გამოცემისათვის დაუმატებიათ 1227-ე სტროფი (ძელი მოსტყდა).

ეს გამოცემა 1576 სტროფისაგან შესდგება. პოემის საგულისხმიერო აზრები, წინა გამოცემებთან შედარებით, აქ მეტია წარმოდგენილი და უფრო დაზუსტებულია.

წიგნი მზად იყო 1892 წ. მაისში. XVI, 248 გვ., ანაწყობის ზომა 16×10, ტირაჟი 2400. სტამბის მეპატრონეებმა (კ. თავართქილაძემ და ა. მიქელიაშვილმა) 2 ივლისს საცენზურო კომიტეტს სთხოვეს გავრცელების ნებართვა²⁷⁴. 14 ივლისს გაზ. „ივერია“ წიგნის მიღებას იუწყებოდა.

ამ გამოცემას პირველად აქვს დართული ე. წ. „წინასიტყვაობისებური“ წერილი, სადაც საუბარია ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობაზე და შ. რუსთველის ბიოგრაფიულ ცნობებზე. ამას გარდა, დაბეჭდილია რუსთველისადმი მიძღვნილი ლექსები „ობოლი“ (ვახ. ორბელიანისა), „რუსთაველის სურათზე“ (აკაკი წერეთლისა) და „რუსთაველის სურათს“ (დ. მაჩხანელისა). გამოცემას ერთვის შ. რუსთველის სურათი. წიგნის ბოლოში მოცემულია „სიტყვების განმარტება“, რომელიც დადმობეჭდილია წინა გამოცემიდან.

გარეკანი და თავფურცელი გაფორმებულია, როგორც 1891 წლის გამოცემა. განსხვავება მხოლოდ რამოდენიმე სტრიქონის შრიფტშია (იხ. ტაბ. XI).

თავფურცლის მეორე გვ. დახრილი 12-ით დაბეჭდილია რუსულად ცენზურის ვიზა, მის ქვემოთ კი, დაშორებით, პირდაპირი 12-ით აწყობილია სტამბის ფირმა. პირველ სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ გავლებული აქვს სწორი ხაზი, მეორეს თავზე — სწორი თხელი ხაზი.

მესამე გვერდზე სიტყვა „წინასიტყვაობისებური“ დაბეჭდილია გოგებაშვილის 16-ით. ტექსტი კი—აკადემიური 12-ით. ციტატები პოემიდან — ვახტანგისეული 10-ით. რუსთველისადმი მიძღვნილი ლექსების სათაურები — ციცერო შავი მთავრულით, ავტორის ვინაობა — ვახტანგისეული 10-ით, ლექსების ტექსტი — ციცერო ვენური 12-ით, გრ. ორბელიანის ლექსის სტრიქონების დასაწყისი ასოები—შავი მთავრული 12-ით. პოემის ტექსტში შიგადაშიგ ნახმარია ორმაგი წინწყლები («»). პოემის თავების ბოლოს დასმული ხაზები ზოგი ტალღისებურია და ზოგიც სწორი.

²⁷⁴ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქმე № 1138, ფ. 246.

წიგნის დანარჩენი ნაწილები ისეა პოლიგრაფიულად გაფორმებული. როგორც 1891 წლის გამოცემა.

XXI

1896 წელს ახალ-სენაკში (დღევანდელი ცხაკაია) ძმ. თავართქილაძეებმა გამოსცეს ვეფხისტყაოსნის მორიგი გამოცემა. 1895 წ. 12 აპრილს ცენზორმა რ. ერისთავმა²⁷⁵ გასცა დაბეჭდვის ნებართვა. გამომცემლებს სურდათ პოემა დაბეჭდილიყო ზიჩის ილუსტრაციებით. ამიტომ 1895 წ. 14 აპრილს ოზურგეთისა და ახალ-სენაკის სტამბის მეპატრონემ კ. თავართქილაძემ ქართველთა შორის წ.-კ. გ. საზოგადოებას შემდეგი განცხადებით მიმართა: „ამჟამად იბეჭდება ჩემს სტამბაში მესამედ ჩემ მიერ გამოცემა ვეფხისტყაოსნისა. ამ უკანასკნელ გამოცემისათვის მინდა რამდენიმე სურათა ჩავუერთო იმგვარი, რაგვარიც გიორგი იოსელიანის გადმოკეთებულ საყმაწვილო ვეფხისტყაოსანს აქვს²⁷⁶. ამისთვის, თუმც საზოგადოებისათვის საზარალო არ იქნება, რომ ჩვენი ვეფხისტყაოსანი რამდენიმე სურათით გამოვიდეს, ჩვენ დაბეჭდვისთანავე ხსენებული წიგნისა, ასი მანეთის წიგნებს საზოგადოების წიგნის მალაზიას შევსწირავთ პროცენტების გამოკლებით“²⁷⁷.

ეს განცხადება ქართველთა შორის წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობამ მოისმინა იმავე წლის 18 აპრილს და კ. თავართქილაძის თხოვნა დააკმაყოფილა.

1896 წ. მარტში წიგნი უკვე დაბეჭდილი იყო. 10 აპრილს ცენზურამ გაერცელების ნებართვაც გასცა²⁷⁸. წიგნი დაიბეჭდა 1200 ცალად. შეიცავს 1595 სტროფს, XVI, 248 გვ. (21×14).

თავფურცელზე, ნახევრად ოვალურად, დაბეჭდილია პოემის სახელწოდება ე. წ. თეთრი ასოებით, ქსილოგრაფიული წესით შესრულებული. სხვა წარწერებისათვის გამოყენებულია შემდეგი შრი-

²⁷⁵ ერისთავი რაფიელ (1824—1901)—ცნობილი პოეტი, ეთნოგრაფი, მთარგმნელი და ლექსიკოგრაფი. 1889—1896 წლებში მსახურობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში ქართულ და აღმოსავლურ ენებზე გამოცემათა ცენზორად. იგი მედგრად იცავდა ქართულ ისტორიას და კულტურას მაშინდელი ცენზურის მკაცრი შემოტევებისაგან, რისთვისაც მას არაერთხელ მიუღია სასტიკი საყვედური და გაფრთხილება (იხ. შ. ვაშაყმაძე, „რაფიელ ერისთავი“, 1962, გვ. 101—107).

²⁷⁶ 1892 წ. გიორგი იოსელიანმა ილუსტრაციებით გამოსცა ვეფხისტყაოსნის შინაარსი მოზრდილ ურმათათვის. არსებობს მისი რამდენიმე გამოცემა.

²⁷⁷ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229; საქ. № 497, ფ. 6.

²⁷⁸ იქვე, ფონდი 114, საქ. № 1365, ფ. 122.

ფტები: აკადემიური 12, ვახტანგისეული პეტიტი, გოგებაშვილის 16, შავი ციციერო აკადემიური და აკადემიური 12 თეთრი (იხ. ტაბ. XI).

თავფურცლის მეორე გვ. დახრილი 10-ით დაბეჭდილია რუსულად ცენზურის ვიზა, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ გავლებული აქვს ხაზები.—III გვ. სიტყვა „წინასიტყვაობისებურად“ აწყობილია გოგებაშვილის 12-ით, ტექსტი კი—აკად. 12-ით; ციტატები პოემიდან — ვახტანგისეული 10-ით. ამავე შრიფტით არის აწყობილი რუსთველისადმი მიძღვნილი ლექსთა ავტორების დასახელება, ლექსების ტექსტი კი—აკად. 12-ით. გრ. ორბელიანის ლექსის სტრიქონების დასაწყისი ასო აწყობილია შავი აკად. 12-ით.

პოემის ტექსტი აწყობილია აკად. 12-ით. იმავე შრიფტის შავით დაბეჭდილია აფორიზმები.

სათაურები აწყობილია გოგებაშვილის 12-ით. პოემის ყოველი თავის საწყისი სიტყვის პირველი ასო აწყობილია 24 პუნქტიანი თეთრი მრგვალით. თავების ბოლოს დასმულია სხვადასხვა სახის ხაზი (ტალღისებური, წერტილოვანი, სწორი, ბორდიურიანი და სხვ.). გამოცემაში ჩართულია შ. რუსთველის სურათი და ზიჩის ილუსტრაციები.

წიგნს ბოლოში ერთვის „სიტყვების განმარტება“, აწყობილია გოგებაშვილის 12-ით. ქვემოთ გავლებული აქვს ბორდიურის ხაზი. ანბანის დასაწყისი—24-იანი თეთრი მრგვალით. ასახსნელი სიტყვები — შავი ციციერო აკადემიურით. ამხსნელი სიტყვები დაბეჭდილია აკად. 12-ით. სიტყვების „განმარტების“ ბოლოს დასმულია ხაზებიანი ბორდიური.

ლექსიკონი აწყობილია ორ სვეტად, მათ შორის გავლებულია წმინდა ხაზი, რაც ტექნიკურად გაუმართლებელია, რადგანაც ასოები ზედაა მიტყუპული.

წიგნი შეიცავს XVI, 248 გვ., ანაწყობის ზომა 10×6.

ამ გამოცემის ტექსტი 409 სტროფამდე (ყმასა უთხრა ვინცა კაცმან, გვ. 46) შევსებულია სხვადასხვა გამოცემიდან, მაგ. ბროსეს გამოცემიდან (1841 წ.) არის შემოტანილი შემდეგი სტროფები: 257 (მთით ჩამოვიდა), 277 (ჩვენ ასრე მყოფნი), 292 (ჩვენი ძმა გლახ დაკოდილი), 301 (აწ იმა ყმისა საკრავად), 325 (ყმა ეტყვის), 377 (მისი მძებნელი იყომცა), 399 (მოსრულვარ შენდა შეყრამდის), 403 (ასმათ უთხრა, ლომო ცრემლით) და 404 (მეხვეწებოდა ლამოდა).

ქართველიშვილისეულ გამოცემაში ამოღებული სტროფები: 309, 348, 355. 406, 407 და სხვ. შევსებულია სხვა გამოცემებიდან. 467 სტროფის შემდეგ კი ტექსტი ზუსტად მიყვება 1888 წ. გამო-

ცემას. ეს ჩანს იქიდანაც, რომ 439 სტროფი (წიგნი წიგნსა ეცემოდა) და 1488 (შენ საყვარელო ნუ სკმუნავ) ყველა წინადროის გამოცემაშია, არაა ისინი ქართველიშვილისა და 1896 წლის გამოცემებში.

ტირაჟის ნაწილი დაიბეჭდა კარგ ქალღმერთად და ღირდა 80 კაპ., ჩვეულებრივ ქალღმერთად დაბეჭდილი კი — 70 კაპიკი.

ეურნ. „კვალის“ რეცენზენტი გამომცემელს უსაყვედურებდა, რომ მან წინასიტყვაობაში ვეფხისტყაოსანი გადაჭარბებით შეათასაო. რეცენზენტს მიზანშეწონილად მიაჩნია ვეფხისტყაოსნის გაწმენდა ყალბი სტროფებისაგან და მოითხოვს გამომცემლებს დაევალოთ ყალბი სტროფებით აღარ დაბეჭდონ ვეფხისტყაოსანიო²⁷⁹.

XXII

1899 წ. თბილისში დაიბეჭდა ვეფხისტყაოსნის ახალი სახალხო გამოცემა, რომელიც ეკუთვნის ვლ. ყიფიანს. ამის სამზადისს გამომცემელი შეუდგა 1898 წელს. გამოცემის ნებართვა ცენზურისაგან მიიღო იმავე წლის 23 მარტს. 1899 წ. ივლისში წიგნი უკვე დაბეჭდილი იყო და 26 აგვისტოს გავრცელების ნებართვაც მიიღო²⁸⁰.

ტექსტის შესახებ გამომცემელი წერს: „წიგნი გადმოიბეჭდა პატივცემულის გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის გამოცემიდან. დამატებული იქმნა ის ტაეებიც, რაც კი დ. ჩუბინაშვილისაგან გამოცემულს ვეფხისტყაოსანში მოიპოვება. სახელმძღვანელოდ ვახტანგ მეფის გამოცემული ვეფხისტყაოსანიც გვეკავა“. ეს ცნობა მთლად სწორი არ არის. დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემის ყველა სტროფი არაა დაბეჭდილი ამ გამოცემაში: მაგ. 439 (წიგნი წიგნსა ეცემოდა), 462 (აღარა ვიცი დამვიწყდეს), 467 (ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი), 513 (ასმათი მეუბნებოდა), 1012 (ტირს იტყვის), 1460 (წადი უსტარო ისწრაფე) და სხვ. უფრო ბლომადაა სტროფები შემოტანილი ბროსეს გამოცემიდან, მაგ 1497, 1584, 1700, 1726, და სხვ. რომლებიც 1841 წლის შემდეგ პირველად ამ გამოცემაშია დაბეჭდილი.

მართლწერის ნიშნები, ვლ. ყიფიანის ცნობით, 1888 წ. გამოცემის მიხედვით ყოფილა გასწორებული.

პოემა შესდგება 1600 სტროფისაგან. ტექსტში ჩართულია ზიჩის 23 ილუსტრაცია, რომელთა კლიშეები დამზადებული ყოფილა პეტერბურგში. ტექსტს ბოლოში ერთვის რუსთველისადმი მიწერილი სამი ლექსი: „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის

²⁷⁹ ეურნ. „კვალი“, 1896, № 25, გვ. 442.

²⁸⁰ საქართველოს ცენტრალურა ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქმე № 1560, ფ. 450.

ლეთისმშობელს დროშა და მანიაკი მიაართვა, ეს იამბრიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად შოთა რუსთველმა აღწერა“ (გვ. 239); „იამბრიკო ესე თქმული რუსთველის მიერ, ზედა — წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღვთის—მშობლისასა“ (გვ. 240); „ზრდილობა და გვარიშვილობა, თქმული შოთა რუსთველის მიერ“ (გვ. 240). ეს ლექსები გადმობეჭდილია დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემიდან. აღნიშნულ ლექსებს მიყვება ლექსიკონი ანუ, როგორც მას გამომცემელი უწოდებს „ძველი სიტყვების ახსნა“ (გვ. 241—253) და სარჩევი, ანუ გამომცემლის სიტყვით „ზანდუკი ვეფხისტყაოსნისა“ (გვ. 254—256).

ამ გამოცემის მიზანდასახულობის შესახებ, წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია შემდეგი: „ქართულს მწერლობაში არაერთხელ გამოითქვა აზრი იაფფასად გამოცემულ ქართულ კლასიკურ წიგნების შესახებ. ხშირად განმარტულა ნატვრა, რომ საჭიროა თვით ვეფხისტყაოსანიც კი გამოიცეს ისეთ ხელშისაწვდომ ფასად, რომ მისი სყიდვა ყოველს ქართველს შეეძლოს, მდაბიოსაც შეეძლოსო.

ასეთ ნატვრას ჩვენს მწერლობაში საზღვარი არ ჰქონდა, რადვანაც ყოველი ქართველი ბრძენი, ყოველი გულშემატიკივარი და ჩვენი სიკეთის მოსურნე ასეთი წიგნების ვრცელებაზედ აფუძნებდა ხალხში კარგის, სუფთა ქართულის ენის აღორძინების საქმეს, კეთილი აზრების ვრცელებას, ზნეობის სიფაქიზეს და მამულისშვილობას.

ბოდიშს მოვიხდი და თან ვიტყვი გულის სიწრფელით, რომ მე სწორედ ამ დიადმა შეხედულებამ გამაბედვინა ვეფხისტყაოსნის სახალხოდ გამოცემა და სრულიად მცირე ფასის დანიშვნა“.

წინასიტყვაობის დასასრულს მოცემულია ვეფხისტყაოსნის წინა გამოცემების სია. ცალკე თავადაა გამოყოფილი შ. რუსთველის ბიოგრაფიული ცნობები. წიგნები ყდაში იყო ჩასმული. ამ საქმეში ვ. ყიფიანს დახმარებას უწევდა ზ. კიკინაძე²⁸¹.

ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა დაიბეჭდა 1200 ცალი, მაქსიმე შარაძის სტამბაში (ყოფ. ნიკოლოზის ქ. № 21). VIII, 256 გვ.

ამ გამოცემის თავფურცელზე გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: 20 მთაწმინდური არამთავრული, თხელი 36-იანი. კორპუსი კად., 12-იანი ხომლი, შავი აკადემიური, 10 მთ. შავი, წვრილი კორპუსი და მთავრული კორპუსი შავი (იხ. ტაბ. XIII). თავფურცლის მეორე გვ. რუსულად დაბეჭდილია ცენზურის ვიზა, აწყობილია იგი 10 ე. წ. ჩვეულებრივი გარნიტურით.

²⁸¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1899, 3 IX, № 907, გვ. 1—2.

შმუცტიტული: პოემის სახელწოდება—20 მრგვალი შავით; ავტორი — წერილი კორპუსით.

გამომცემლის წინასიტყვაობა-16 გოგებაშვილით, ტექსტი—აკადემიური 12-ით, ხელმოწერა წერილი კორპუსით.

სათაური: შოთა რუსთაველი—ჩონჩხი თეთრი მთავრული 12-იანი, წელი—12-იანი ჩვეულებრივი რუსული. ხელმოწერა—წერილი კორპუსით. ვეფხისტყაოსანი — ჩონჩხი თეთრი მთავრულით. მის ქვემოთ წერტილოვანი ხაზია.

პოემის თავების დასაწყისი ტაეების პირველი ასო — ასოსართი, შესრულებულია ქსილოგრაფიულად.

სათაურები აწყობილია 16 გოგებაშვილით, ტექსტი—ჩვეულებრივი ციცეროთი. აფორიზმები — აკად. შავი ციცეროთი. ყველა ტაეპის საწყისი სიტყვების პირველი ასო დაბეჭდილია ასომთავრული შავით.

თავების ბოლოს დასმულია სტამბის სხვადასხვა სახის ხაზები, ზოგ შემთხვევაში — ბორდიური.

რუსთველესადმი მიწერილი ლექსების სათაურები დაბეჭდილია შავი ციცერო აკადემიურით. „ძველი სიტყვების ახსნა“—ჩონჩხი 12 მთავრულით. განსამარტებელი სიტყვები — 12 ჩვეულებრივი; განმარტება—აკად. 12-ით; განსამარტებელი სიტყვების საწყისი ასო დაბეჭდილია ასომთავრული შავით. ზანდუკი — მრგვალი 16 მთ. შავით. სიტყვა: ვეფხისტყაოსანი — ჩონჩხი მთ. 12-იანი თეთრით, ტექსტი—12 აკადემიურით.

კალონციფრი ხაზებს შორის აწყობილია კორპუსი რუსული გარნიტურიდან.

ილუსტრაციები დაბეჭდილია ქსილოგრაფიული წესით.

პოემის ტექსტში 1737-ე სტროფი (შინა წავიდეს ყოველი) შეცდომით ორჯერაა დაბეჭდილი (იხ. გვ. 229).

გამომცემელი მწუხარებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად დიდი ცდისა, თითო წიგნის ფასი 30 კაპ. ყოფილიყო, ვერ მოხერხდაო, „რადგანაც თვით წიგნიც ამაზე მეტ ფასად დაჯდა, ამას უნდა აღმატოს მეწიგნეების გასასყიდი პროცენტის მანათზე აბაზი და მაშინ გამოვა, რომ წიგნი ამ გამოცემისა უნდა გაიყიდოს თითქმის იმ ფასად, როგორც თვით დასაბეჭდი დამჯდარა. იმედი კი გვაქვს, რომ შემდეგი გამოცემის, თუ ეს დროით მოხდა, ბევრად იაფად დაჯდება და მაშინ ცხადი საქმეა ჩვენს ნატვრასაც სისრულე მიეცემა, თითო წიგნი 30 კაპ. ელირება“.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ეტყობა, გამომცემელს წიგნზე ფასი მაინც 30 კაპ. დაუდგია. გაზ. „ივერიამ“ სიამოვნე-

ბით აღნიშნა, რომ წიგნის ფასი 30 კაპიკია, რაც არ არის ძვირიო²⁵².

XXIII

1899 წელს ბათუმში ძმ. თავართქილაძეებმაც დაბეჭდეს ვეფხისტყაოსანი, რომელიც წარმოადგენს მათ მიერ 1891, 1892 და 1896წ. გამოცემული პოემის საფუძველზე დამუშავებულ ახალ რედაქციას. მაგ. 1891 და 1896 წწ. გამოცემებიდან 1899 წ. გამოცემაში არ შეუტანიათ 270 (მთით ჩამოვიდა ავთანდილ) და 309 (ყმაყა უთხრა, დავო ასმათ) სტროფები; არ შეუტანიათ აგრეთვე 1896 წლის გამოცემიდან 247 (შერმადინ უთხრა: „მართალ ხართ“), 257 (იგი პირად მზისა მსგავსი). 325 (ყმა ეტყვის, ხედავ სისხლისა), 355 (იმა მოყმისა ამბავი), 377 (მისი მძებნელი იყომცა) და სხვ. სტროფები. წინა გამოცემებიდან ახალ გამოცემაში ამოუღიათ 278 (ხელთა ჰქონდა ისარ-მშვილდი) სტროფი, ხოლო 1896 წ. გამოცემიდან დაუტოვებიათ 277 (ჩვენ ასრე მყოფნი არ ვარგვართ) სტროფი. პოემა წარმოდგენილია 1578 სტროფი.

ამ გამოცემისათვის საცენზურო კომიტეტმა (ცენზორი ჟურული) ნებართვა გასცა 1899 წლის 18 თებერვალს, რომელიც გამოცემელმა მიიღო იმავე წლის 9 მარტს. წიგნი დაბეჭდილი იყო იმავე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში, გავრცელების ნება კი საცენზურო კომიტეტმა გასცა 17 აგვისტოს²⁵³.

წიგნის გარეკანზე დაბეჭდილია მ. ზიჩის ილუსტრაცია: შ. რუსთველი თამარ მეფეს უძღვნის ვეფხისტყაოსანს. ილუსტრაციის თავზე 36 განიერი არამთავრული თეთრით დაბეჭდილია პოემის სახელწოდება. ქვემოთ: სურათებიანი გამოცემა — გოგებაშვილის 16 გაშლით.

გარეკანის მე-4 გვ. დაბეჭდილია ფრთოსანი ბავშვი, რომელსაც ხელში უჭირავს გაშლილი პერგამენტი. ქვემოთ მარჯვენა ხელის ცერი მიუთითებტ წარწერას: „მალე გამოვა გასასყიდათ „ვეფხისტყაოსანი“ ფერადი წამლებით დაბეჭდილი, კარგ ქალღმრთელ და ძვირფას ყდაში, ფაჩი ორი მანეთი“, — აწყობილია კენჭური 12-ით.

თავფურცელზე ნახევრად ოვალურად დაბეჭდილია პოემის სახელწოდება ქსილოგრაფიულად შესრულებული ასოებით. სხვა წარწერებისათვის გამოყენებულია შემდეგი სტამბური ასოები: აკადემიური 12, 16 მრგვალი ფერადი, 10 მთ. შავი, ვახტანგისეული შავი

²⁵² გაზ. „ივერია“ 1899, № 184, 27 VIII. 4.

²⁵³ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქ. № 253, ფ. 95—96.

12, რუსული რემინგტონის გარნიტურის 10 (იხ. ტაბ. XIV). თავფურცლის მეორე გვ. ცენზურის ვიზა დაბეჭდილია რუსული დახრილი 12-ით, ქვემოთ გავლებული აქვს სწორი თხელი ხაზი. III გვ. წარწერა ავტორის სურათზე—გოგებაშვილი 16-ით; ტექსტი—ციცერო ვენურით. ზოგი აბზაცის საწყისი სიტყვის პირველი ასო დაბეჭდილია შავი მთავრული 12-ით. თავების ბოლოს დასმულია სტამბური ბორდიურა. სარჩევი—გოგებაშვილის 16-ით, მის ქვემოთ დასმულია სასტამბო ბორდიურა. სარჩევის ტექსტი—კორპუსი ვენურით. ბოლოში უზის ბორდიურა.

შპეტტიტული: ვეფხისტყაოსანი—20 ფერადით, მარჯვნივ და მარცხნივ უზის ორ-ორი ვარსკვლავისებური ბორდიურა. ქვემოთ ავტორის ვინაობა — 12 ჩონჩხი მთავრულით.

პოემის წინასიტყვაობა — ვახტანგისეული შავი 20 არამთავრულით. ქვემოთ უზის ბორდიურა.

პოემის ტექსტი აწყობილია ვენური 12-ით. ტაეპის დასაწყისი პირველი ასოები—შავი მთავრული 12-ით. ყოველი თავის დასაწყისი ტაეპის პირველი სიტყვის ასო—24-იანი თეთრი, ჩასმულია სასტამბო სხვადასხვა სახის ბორდიურაში. პოემის წინასიტყვაობის ბოლოში და პოემის ტექსტის დასასრულს დაბეჭდილია მფრინავი მტრედის სურათი, რომელსაც ნისკარტით ტოტი უჭირავს.

პოემის სათაურები დაბეჭდილია გოგებაშვილი 16-ით. ზოგან თავის დასასრულს დაბეჭდილია სასტამბო ბორდიურა. ზემო აშიის ქვემოთ. პატარა ხაზებს შორის, დაბეჭდილია გვერდების ნუმერაცია რუსული გარნიტურის ციფრებით. „სიტყვების განმარტება“ — შავი ციცერო მთავრულით. განსამარტავი სიტყვები — ციცერო ვახტანგისეული შავი. განმარტება — ციცერო ჩვეულებრივი. ლექსიკონი აწყობილია იმ სახით, როგორც 1896 წლის გამოცემაშია. დასასრულ არის ბორდიურა.

ტექსტში ჩართულ ილუსტრაციებზე წარწერა დაბეჭდილია წვრილი კორპუსით. ზოგი მათგანის საწყისი სიტყვის პირველი ასო აწყობილია მთავრული შავით.

წიგნი სუფთად არის გამოცემული (288 გვ., ანაწყობის ზომა $9\frac{1}{2} \times 6$) და ფასიც 30 კაპიკი არ იყო ძვირი.

გაზ. „ივერიის“ რეცენზენტი 1899 წ. 27 აგვისტოს ნომერში (№ 184), იხილავდა ვლ. ყიფიანისა და კ. თავართქილაძის გამოცემებს და წერდა: „სიამოვნებით აღვნიშნავთ ვეფხისტყაოსნის იათის გამოცემის დაბეჭდვას, რადგან კარგის ნაწარმოების გავრცელების პირველი საშუალება მისი სიიაფაა. რაც უფრო იათია წიგნი, რაღათქმა უნდა, მით უფრო ბევრს შეეძლება მისი მოპოვება და წაკითხვა“.

როგორც აღნიშნეთ, თავართქილაძის 1899 წ. ზემოაღნიშნული გამოცემის გარეკანის მეოთხე გვერდზე გამომცემლები აცხადებდნენ, მალე გამოვა გასასყიდად ვეფხისტყაოსანი ფერადი წამლებით დაბეჭდილი კარგ ქალაღზედ და ძვირფას ყდაშიო. ბიბლიოგრაფიებში კი, აღნიშნულ წელს ნაჩვენებია თავართქილაძის მხოლოდ ერთი გამოცემა²⁸⁴.

ვეფხისტყაოსნის 1899 წლის გამოცემის ცალების შესწავლამ გამოავლინა, რომ ძმ. თავართქილაძეებს 1899 წელს ქ. ბათუმში ვეფხისტყაოსანი მართლა გამოუციათ მეორედ, რომლის ყველა გვერდი ჩასმულია აშიაში. დაბეჭდილია იგი სტამბური ბორდიურით ორ ფერად—შავად და ვარდისფერად. კუთხეებში დამატებული აქვს სასტამბო ბორდიურები, რომლებიც ჰქმნიან ჩარჩოსებურ მოყვანილობას (იხ. ტაბ. XV). პირველად დაბეჭდილია შავ ფერში, შემდეგ კი ვარდისფერში. ბეჭდვის დროს ფერებს შორის სიმეტრია ზოგჯერ დაცული არ არის.

წიგნი დიდი ფორმატისაა (26×18). ჩასმულია იგი მაგარ მუყაოს კოლენკორგადაკრულ ყდაში. გარშემო ოთხკუთხედად შემოვლებული აქვს ტვიფრული ჩარჩო, რომლის ქვემოთ, მარცხნივ 36 განიერი არამთავრული თეთრით დაბეჭდილია: „შოთა რუსთაველი“. ჩარჩოს ქვემო მარცხენა კუთხიდან ზემო მარჯვენა კუთხისაკენ გასწრვივ, 36 მსხვილი მთავრულით დაბეჭდილია პოემის სახელწოდება. ძირს 36 მთავრულით დაბეჭდილია: „გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა“. მის ქვემოთ კი ბორდიურაა.

წიგნი დაბეჭდილია სუფთად, სქელ, კარგი ხარისხის ქალაღზე, ღირებულა 2 მანეთი. ქართველიშვილისეული გამოცემის შემდეგ, იგი პირველი მდიდრული გამოცემაა.

ძმ. თავართქილაძეების 1899 წ. პოემის ორივე გამოცემა ერთი ანაწყობიდან მომდინარეობს: ორივე გამოცემის წიგნების გვერდები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს; ამას გარდა, ზოგ ადგილას სტროფების დასაწყისი სიტყვის პირველი ანო ორივე გამოცემაში შეცდომით შავით არ დაუბეჭდიათ (შდ. გვ. 42, 44, 46, 47, 49, 61, 67—69, 76, 94, 97, 98 და სხვ.). პოლიგრაფიული გაფორმება. ცენზურის ვიზის თარიღი, წინასიტყვაობა, ილუსტრაციები და მათი განლაგება ორივე გამოცემაში ერთნაირია, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ 56 და 62 გვერდზე მოთავსებული ილუსტრაციები.

²⁸⁴ მიუხედავად იმისა, რომ თვით გამომცემელს აქვს აღნიშნული, რომ მან 1899 წელს ქ. ბათუმში პოემის ორი გამოცემა დაბეჭდა (იხ. ვეფხისტყაოსანა, ქ. თავართქილაძის გამოცემა, 1910, გვ. 1).

ვეფხისტყაოსნის ბექდვის დროს ზოგი ასო დაზიანებულია და შემდეგ შეუცვლიათ, მაგ. 42-ე სტროფის დასაწყისი „იყო არაბეთს“, ი გამოცემებში სხვადასხვა ჩარჩოთია დაბეჭდილი (გვ. 19), აგრეთვე (161 გვ.) სიტყვა „რაზომცას“ პირველი ასოც სხვადასხვანაირია.

XXV

1895 წ. 4 მაისს გაზ. „ივერია“ იუწყებოდა: „გრიგოლ ჩარკვიანის სტამბაში იბეჭდება ვეფხისტყაოსანი ქართულის წვრილი ასობით. წიგნი იქნება პატარა ჯიბის სატარებელი“.

ეს წამოწყება გამომცემელს. მაშინ, ეტყობა, ვერ დაუმთავრებია და ამიტომ 1899 წელს ხელახლა შედგომია აღნიშნული სახის პოემის გამოცემის სამზადისს. საამისო ნებართვა ცენზურისაგან მიუღია 1899 წ. 25 აპრილს²⁸⁵. 1900 წლის აპრილში კი წიგნი მზად ჰქონია, რომლის გავრცელების ნებართვა ცენზურისაგან მიუღია იმავე წლის 10 მაისს (ცენზორი ჟურული)²⁸⁶.

გარეკანზე დაბეჭდილია ბორდიური მ. ზიჩის ილუსტრაციიდან (იხ. ტაბ. XVI). გრავიურა გრ. ტატიშვილისაა. ტექსტისათვის გამოყენებულია წვრილი ვენური კორპუსი.

თავფურცელზე წერია: „შოთა რუსთაველი“, აწყობილია იგი 12-იანი შავი აკადემიურით.

შმუცტიტულზე დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსანი“. ქვემოთ — გამოცემული გრ. ჩარკვიანის მიერ. პირველი აწყობილია ჩონჩხი 12-ით, მეორე — წვრილი კორპუსით.

შმუცტიტულის მეორე გვერდზე დაბეჭდილია რუსულად ცენზურის ვიზა, მის ქვემოთ—სტამბის ფირმა, მათ შორის გავლებულია წმინდა ხაზი. პირველი აწყობილია პეტტიტი კურსივით, მეორე—ჩვეულებრივი პეტტიტით.

გამოცემას ერთვის შ. რუსთველის სურათი, გრავიურა აქაც გრ. ტატიშვილისაა.

პოემის ტექსტი აწყობილია ჩვეულებრივი პეტტიტით, უშპონოთ, ზომა 6×3. სათაურები შავი აკადემიური 12-ით. ლუწ და კენტ გვერდებზე გადაბმით დაბეჭდილია პოემის შესაფერისი სათაურები, რომლებსაც ქვემოთ მთელ მანძილზე გავლებული აქვს წმ. ხაზი. სათაურები ტექსტისაგან გამოყოფილია სხვადასხვა სახის პატარა ხაზით.

²⁸⁵ წიგნზე ცენზურის ვიზა აღნიშნულია 1900 წ. 4 აპრილი.

²⁸⁶ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 114, საქმე № 1628, ფ. 253, საქ. № 134, ფ. 56—57, საქმე 1624 ფ. 25.

ამ გამოცემის გვერდებზე დაბეჭდილი სტროფები ეთანაბრება 1890 წ. გამოცემის გვერდებს იმ განსხვავებით, რომ პირველში სტროფი „დავითის ქნარი ვითა ვსთქვენ“ რომელიც 1890 წ. გამოცემაში 411-ე გვერდზეა მოთავსებული, ამ გამოცემაში დაბეჭდილია 412 გვერდზე. ამას გარდა ამ გამოცემაში სათაურების ნუმერაცია სათაურთა თავზეა დაბეჭდილი და არა სათაურის დასაწყისში, როგორც 1890 წლის გამოცემაშია. მართალია, ამ გამოცემაში გასწორებულია 1890 წლის გამოცემის კოლონიფრებში დაშვებული შეცდომა, მაგრამ ახალი შეცდომისაგან არც ეს გამოცემა დაზღვეული: ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა სიგნატურით არის დაბეჭდილი. ბეჭდვის დროს ეს შეცდომა გამოუსწორებიათ, რის გამოც ზოგ ცალში გვხვდება ტექსტის განმეორებანი.

წიგნი დაიბეჭდა 1200 ცალი, ღირდა 25 კაპიკი.

ამ გამოცემით დამთავრდა ჩეცხრამეტე საუკუნეში ვეფხისტყაოსნის ბეჭდვა.



ვეფხისტყაოსნის ძარბველი შვილისეული გამოცემის ბეჭდვის დამდგენი კომისიის მიღებული შენაწორებანი*

ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული (1860 წ.) გამოცემიდან პოემის 1888 წლის ტექსტის დამდგენ კომისიას ფსევდორუსთველისად მიუჩნევია და გადაუხაზავს შემდეგი სტროფები:

190 (თავსა უთხრა) ამ სტროფის მესამე ტაეპში წითელი ფანქრით გაუსწორებიათ: სიტყვა „მზისა“—„ყმისა“, მარჯვენა აშიაზე ტაეპისათვის მიუწერიათ კითხვითი ნიშანი, რომელიც შემდეგ იმავე ფანქრით გადაუხაზავთ.

192 (მთით ჩამოვიდა ავთანდილ) ლურჯი ფანქრით მესამე ტაეპში გასწორებულია სიტყვა „გასცუდებოდეს“—„გასცუდებოდეს“, სტროფი გადახაზულია წითელი ფანქრით.

221 (ყმამან უთხრა დაო ასმათ) ნასწორებია უბრალო ფანქრით: ჰსთქვა-ჰთქვა, გარდმოჰსწვიმდეს— გარდმოსწვიმდეს (2), ერთმანერთსა—ერთმანეთსა, ჰსწმინდეს—სწმინდეს (4), სტროფი გადახაზულია წითელი ფანქრით, მარჯვნივ, ლურჯი ფანქრით, მიწერილია კითხვითი ნიშანი.

252 (მაშა რათგან მიჯნურობა) ნასწორებია უბრალო ფანქრით: რათ-გან—რადგან (1), შენ-თვის მოვჰკვდე ამის-ებრივ—შენთვის მოჰკვდე ამისებრივ (4), სტროფი გადახაზულია ლურჯი ფანქრით.

*მხედველობაში მიღებული არაა უ-ს ვ-ით გასწორება, ვეფხისტყაოსნიდან—პეორე ვინის ამოკლება, მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი და, რომელიც ყველგან გადახაზულია წითელი ფანქრით და შავი ფანქრით ნასწორები დეფისები.

258 (იმა მოყმისა ამბავი) გასწორებულია წითელი ფანქრით: არ-სადა—არა სად (1), უბრალო ფანქრით: ვის-გან—ვისგან (2), დაჰს-სდუმდი—დასდუმდი (4), სტროფი გადახაზულია წითელი ფანქრით, მარჯვნივ მიწერილია კითხვითი ნიშანი.

301 (კაცმან ვით ჰპოოს) ნასწორებია უბრალო ფანქრით: დანაბა-ღია—დანაბა ღია (2), დანაბაღია—და ნაბაღია (3). 302 (მაგრა ღმერ-თმან მოწყალემან). ეს ორივე სტროფი ერთდროულად არის გადახა-ზული უბრალო ფანქრით ორივე ერთად შემოხაზულია ლურჯი ფანქრით.

320 (წიგნი წიგნსა ეცემოდა) წითელი ფანქრით გასწორებულია ნაბეჭდის კორექტურული შეცდომა: თამამობდა—თამაშობდა (4). სტროფი გადახაზულია უბრალო და წითელი ფანქრით, მარცხენა აშიაზე კი შემოხაზულია ლურჯი ფანქრით.

336 (ალარ ვიცი დამავიწყდეს) გასწორებულია ლურჯი ფანქ-რით: ნაკეთა—ნაკეთთა, სტროფი გადახაზულია უბრალო და წითე-ლი ფანქრით. მარცხენა აშიაზე შემოხაზულია ლურჯი ფანქრით.

339 (ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი) გადახაზულია უბრალო და წი-თელი ფანქრით, მთელი სტროფი კი შემოხაზულია ლურჯი ფანქრით.

377 (ასმათი მეუბნებოდა უშიშრად) გადახაზულია უბრალო და წითელი ფანქრით, მარცხნივ შემოხაზულია ლურჯი ფანქრით.

649 (დეეთა ყვირილი, ზახილი) გადახაზულია წითელი ფანქრით.

756 (შეკრა წითელი ასი ათასი) გადახაზულია ლურჯი ფანქრით.

829 (ჰსტირს, იტყვის) გადახაზულია ლურჯი ფანქრით.

962 (მოვიდიან შესამკობლად) გადახაზულია წითელი ფანქრით.

1037 (ძელი მოსტყდა) გადახაზულია ლურჯი ფანქრით.

1269 (წადი უსტარო, ისწრაფე) გასწორებულია წითელი ფანქ-რით: ბედად—ბედით, სტროფი გადახაზულია იმავე ფანქრით.

1296 (შენ საყვარელო, ნუ სკჰუნავ) გადახაზულია წითელი ფანქრით.

1497 სტროფის შემდეგ შავი მელნით მიწერილია 1956 წ. გა-მოცემის 1700-ე სტროფი (ანთანდილ იცნეს გაისმა ხმა მათგან სი-ხარულისა). ამავე მელნით და ზელით მარცხნივ მიწერილია: „აქ უნ-და“. შემდეგ ეს სტროფი გადაუხაზავთ წითელი ფანქრით. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს 1521 სტროფის შემდეგაც: სადაც მიწერილია 1956 წ. გამოცემის 1726 სტროფი (ტარიელ ფრადონ გაგზავნა მის ყმისა მოსაყვანელად), რომელიც გადახაზულია ლურჯი ფანქრით.

ზოგი სტროფი საექვოდ მიუჩნევიათ, მაგრამ შემდეგ მაინც და-უბეჭდავთ, ასეთებია: 5 (მიბრძანეს მათდა საქებრად, გვ. 2)*, 9 (მი-

* აღნიშნავს: სტროფს მარცხენა მხარეს უბრალო ფანქრით მიწერილი აქვს „საექვოა“, **—სტროფს მარცხენა აშიაზე მიწერილი აქვს კითხვითი ნიშან-

ჯნურობა არის ტურფა გვ. 3)*, 10 (ჰხამს ზიჯნური ხანიერი, გვ. 3)**, 16(ესე ამბავი სპარსული, გვ. 4)*, 18 (რაცა ვის რა ბედმან მის-
ცეს, გვ. 4), 21 (მაშინდა ნახეთ მელექსე, გვ. 5)**, 22 (მოშაირე არა
ჰქვიან, გვ. 5)**, 26 (ჩემი აწ სცანით ყოველმან გვ. 6)**, 27 (ვთქვა
მიჯნურობა პირველი, გვ. 6)**, 28 (მას ერთსა მიჯნურობასა, გვ.
6)**, 29 (მიჯნური შმაგსა გვიქვიან, გვ. 7)**, 30 (მიკვირს კაკი რად
იფერებს, გვ. 7)**, 31 (თუ მოყვარე მოყვრისათვის, გვ. 7)**, 70
(ყვლავ ჰბრძანა მონა თორმეტი, გვ. 16)*, 124 (დაღრეჯით იყო
მჯდომარე, გვ. 27), 165 (მიწამცა თქვენი ავთანდილ, გვ. 36)*, 171
(„იგი ველი გაირბინა“, გვ. 37)*, ეს სტროფი გადახაზულია უბრალო
ფანქრით და მარჯვენა აშიაზე იმავე ფანქრით ორი კითხვითი ნიშა-
ნი უზის), 176 (ამ საქმესა მემოწმების გვ. 39)*, 234 (ყვლავ ეტყვის
ყმაო რა გინდა, გვ. 50)*, 240 (ყვლავ ეტყვის ყმაო რად მპოვე,
გვ. 51)*, 267 (მან ქალმან ხელ-ჰყო, გვ. 56)*, 268 (ცოტად მიწვა,
მიიძინა, გვ. 56)*, 272 (ყოვლი პირი ქვეყნისა, გვ. 57)* 282 (მობ-
რუნდა, ყმამან ავთანდილს, გვ. 59)*, 369 (ავდეგ მსხდომნი ნადი-
რობით, გვ. 77)*, 387 (პირველ გაჭრისა პირება, გვ. 84) სტროფი
ნასწორებია წითელი ფანქრით: პირობა—პირება, დასწყენარდეს—
დაწყენარდეს (1).

1507-ე სტროფის შემდეგ ჩამატებულია პოემის 1956 წ. გამო-
ცემის 1711-ე სტროფი (ფრიდონ წაყვა გაღანამცა გავლეს ველი დი-
დსა ხანსა, გვ. 340), რომელიც ქვემო აშიაზეა შავი მელნით მიწერი-
ლი, წითელი მელნით კი გასწორებულია: მეფე-მეფეს (4). მარცხნივ
მითითება აქვს: ნახეთ ზემოთ, ზემოთ კი, 1507-ე სტროფის დასას-
რულს, ჩასაწერი ადგილი წითელი ფანქრით არის მითითებული და
აშიაზე შავი მელნით მიწერილია: „აქ უნდა“.

657-ე სტროფი („რაცა გითხარ, მომისმინე“, გვ. 145) გადახაზუ-
ლია უბრალო ფანქრით. მარჯვნივ კი შემოხაზულია ლურჯი ფანქრით
და გვერდზე იმავე ფანქრით დასმული აქვს კითხვითი (?) ნიშანი.

1013 („მოასხნა ოთხი მონანი“, გვ. 224) მარჯვნივ შემოხაზულია
ლურჯი ფანქრით.

თვით ტექსტში შეტანილია შემდეგი სახის შესწორებანი:

6,1 გამოქმად—გამოთქმად. 7,1 მოდავსხდგეთ—მო დავსხდეთ;

ნი (?). დანარჩენი სტროფები მარცხნივ შემოხაზულია უბრალო ფანქრით. გვერ-
დები მითითებულია ვეფხისტყაოსნის გ. ქართველიშვილისეული გამოცემის.

184-ე სტროფამდე ჩასწორებულია წითელი მელნით, შემდეგ კი—წითელი და
ლურჯი ფანქრით. ლურჯი ფანქრით ნასწორები აღნიშნული გვაქვს ვასკველით
(*), შიმის წინა ციფრი აღნიშნავს სტროფის ნუმერაციას, ბოლო—ტიეპისას,
ტირეს (—) წინა ნაწილი ვეფხისტყაოსნის 1860 წ. გამოცემის ტექსტია, მომდე-
ნო—კომისიის მიერ გასწორებული.

